

ჩვენი ქართველობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

28 მაისი 2010 №11(115)

ვინფრიდ ბოედერი იაკობ გოგებაშვილზე
ნუციკო დეკანოზიშვილის სხვა ნაპირი
ბუნებითი არისტოკრატიის გამო
ბელა ჩეკურიშვილის ლექსები
მაგნოლიები ამბებს ჰყვებიან
ენ სექსტონის ლექსები
ოთარ ჭილაძის პუბლიცისტიკა
კობა იმედაშვილი ესმა ონიანზე
მაკა ჯოხაძის ესეისტური პროზა
გივი ალხაზიშვილი ნატო ინგოროვაზე
უშანგი ჩხეიძის სენსაციური მოგონება



შირვარსი

ეროვნული განებაზე	2	„იაკოპ გოგეგაშვილი განიოსი იყო“
		(ვინფრიდ ბოედერისა და გიორგი გოგოლაშვილის მიმოწერა)
გამოხატვება	3	მამაზ ივანიძე რამ გაამსუბურა მონოგრაფის ქადი?
		(სპირო შიმონეს პიესა „კონვერტი“ ქართულად)
ესარეს-ინტერვიუ	4	თამაზ ხმალაძე „ნუ დაკარგეთ ძველსა გზასა“
		(მოამზადა ნატა ვარადამ)
ფრავაზურგი	6	ოთარ პერტახია მაგნოლიერი ამგებს ჰყვებიან
არაზია	9	ბელა ჩეკურიშვილი მფარველი აგენტობის დღე და სხვა ლექსები
არაზის ართი ლექსი	11	ნუციკო დეკანოზიშვილი სხვა ნაპირი — თავშესაფრად
		(ნუციკო დეკანოზიშვილის ერთი ლექსის გამო)
უცხოეთის ცხოვრებიდან	13	ჯონ ადამსი ბუნებითი არისტოკრატიის გამო
		ტომას ბებინგტონ მაკოლეი ცურვა უღუბოდ
ფილოვი	16	საიდუმლოდ — გულში მთიზე პროცეულის მარცვლები
		(თამარ შაიშმელაშვილის ესაუბრება ირმა შიომლაშვილი)
მოგორევათა სეივრი	18	უშანგი ჩხეიძე კოტეს რუსთაველის თეატრიდან ნასვლა
მონაცემის მაპიარ	23	გუბაზ მეგრელიძე უშაგი ჩხეიძის სანსაციური მოგორევა
გილრი ზატკარავილი — 100	24	ნოშრევან არაბული სიტყვა, ენა, მორალი
იზარქი, მცვალე ჯვარი	25	ნინო ჩხიკვიშვილი 306 აიდეალავს ცაპი?
ლიტერატურული კორტევი	28	კობა იმედაშვილი ნამდვილობის საიდუმლო ანუ ჩანარერეპი ესმა რინანის სიტყვითხელოვნებაზე
რეარტაზი	38	ეკა ბუჯიაშვილი რცხება რომ არა
		(რიტუალი ელიზბარ ერისთავის ძეგლთან)
კრიტიკა	40	ივანე ამირხანაშვილი ცხოვრება, იღეა, გრძელება
დაუვიცხავი სახელები	42	იოსებ ჭუმბურიძე აშკარად განსაკუთრებული
დღიურის ფურცლებიდან	44	ეთერ ბერიაშვილი დედაქალაქის კულურობიდან დანახული ქართული სოციალი
სემინარები: სამი ისპორია	45	პასუხისმგებლობა და მოვალეობა
არაზი კონცერტი	48	გივი ალხაზიშვილი „ვიდრე სიტყვაზე ვეძობი სიტყვას“...
არაზის მოძღვავები	50	ენ სექსტრონი დაცყვილება აგენტოსთან და სხვა ლექსები
ასალი თარგმანები	52	ჯონ სტაინბეკი ნითშრი კონი
ნაკვეთი	61	მახვილისტიკვარბის ნიმუშები
მოხატვა	63	აღიღოს პევარი თვისი

ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქტორი — (995 32) 96_20_62
რეკლამა — (995 93) 65_93_68
გაფრცელება — (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი — მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი — კარლო ფაჩულია დიზაინერი — მამაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი — ნინო დეკანონიძე დაკაბადონება — თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი — თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური — ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ჭრელი პეპელა დაათრო...
მურმან ჩაჩუას ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 11 ივნისს

„იაკობ გოგეჩაშვილი გენოციდი იური“

I

300-იდენტური გოგებისა და გილობრივი გოგების მიმღებისათვის

გერმანელი ენათმეცნიერი ვინფრიდ ბოედერი ქართული ენისა და კულტურის ცნობილი მკვლევარია. ბატონი ვინფრიდის მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე არ არის შემთხვევითი მისი დაინტერესება იაკობ გოგებაშვილითა და იაკობის „დედაენით“; გთავაზობთ ვინფრიდ ბოედერის მიმღების გიორგი გოგოლაშვილთან, სადაც კარგად ჩანს მისეული შეფასება იაკობ გოგებაშვილის პიროვნებისა (გერმანელი მეცნიერის წერილში საუბრია ვ. გოგოლაშვილის ნაშრომზე „დედაენა“ — იაკობ გოგებაშვილის სიტყვაშემოქმედის ნაყოფი“, რომლის საურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა „ჩვენს მწერლობაში“ — „სიტყვა „დედაენა“ და წიგნი „დედაენა“ — (№ 19, 2009).“

1.

ძვირფასო ბატონო გიორგი,

ავთანდილ არაბულის წყალობით მივიღე იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების კონფერენციის მასალები და უდიდესი ინტერესით წავიკითხე თქვენი მოხსენება „დედაენაზე“. უნდა გითხრათ, რომ ძალიან მომენტია და, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი წაბიჯვია იმ მიმართულებით, რომელსაც ძალიან საჭიროდ ვთვლი: ქართული ენის მოლაპარაკეთა თვითშეგნების არაიდეოლოგიური და ისტორიული გაგება. ეს, ჩემი აზრით, იმიტომ საჭიროა, ვინაიდან აქამდე ჭარბობს ასეთი ცნებების არაისტორიული შეხედულება, თითქოს დედაენის ცნება ქართველების მარადიული ხასიათის მექანიზმებისა იყოს. ი. გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა. ქართული ენის დაცვაში იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება.

ახლა მაინტერესებს, საიდან ჰქონდა ეს სიტყვა: 1994 წელს ერთ სტატიაში აღნიშნე, რომ რუსული კალკი არ არის, არამედ რომანული და გერმანიკული ენების სიტყვის შესატყვისია (წარმოშობით რომანულ სფეროში განვითარდა როგორც განათლებული ლათინურის საწინააღმდეგო ცნება: ენა რომელიც დედისგან მივიღეთ როგორც დედის რძე — ამიტომ იმდენად ემოციური ცნება ევროპაშიც იყო. რომანული გერმანულში გადავიდა კალკად - მაგრამ ეს საკითხი დიდი კამათის საგანი იყო ვასტეგერბერის და შპიცერს შიორის!). ვიცი, რომ ქართულის დედაენა-ში დედა „მთავარს“ ნიშნავს, მაგრამ ჯერ ერთი: მე-19 საუკუნეში პროდუქტიული მნიშვნელობა იყო „დედა“ ამ გაგებით? ხომ არ შეიძლება, რომ ი. გოგებაშვილს ორივე მნიშვნელობა უნდოდა: დედა „ევროპული“ და ქართული გაგებით?

ჩემი კონკრეტული კითხვაა: გოგებაშვილმა რამდენად იცოდა ევროპული ენები და ლიტერატურა?

გილოცავთ შობასა და ახალ წელს!

კეთილი სურვილებით

ვინფრიდ ბოედერი

20. XII. 2009

2.

ბატონო ვინფრიდ,

გილოცავთ დამდევ ახალ წელს. დიდი მადლობა ჩემს მოხსენებაზე გამოხმაურებისათვის.

თქვენი შეკითხვის პასუხად მოგახსენებთ შემდეგს:

ვფიქრობთ, იაკობთან „დედაენა“ „ქართული გაგებით“ იხმარება. ამის თაობაზე მიანიშნებდა ილია ჭავჭავაძეც: „ქართველი დვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლოსას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“ ...“

ამასვე უნდა მიანიშნებდეს ისიც, რომ იაკობი „დედაენის“ სინონიმად მთავარ ენასაც ხმარობს. ამის თაობაზე ვწერდი ერთ სტატიაში. ვფიქრობ, დაგაინტერესებთ ეს წერილი სხვა თვალსაზრისითაც, ამიტომ გიგზავნით წერილს „იაკობი და ქართველური ენობრივი სივრცე“ (გამძევენდა ერთ-ერთი კონფერენციის მასალებში; შევიდა ჩემს წიგნშიც „ქართული სალიტერატურო ენა — ისტორია და თანამედროვეობა“, 2009 წ.).

რაც შეეხება უცხო ენათა ცოდნას: იაკობმა დაამთავრა თბილისის საულიერო სემინარია. როგორც ირკვევა, იმუშავდ სემინარიაში ევროპული ენები არ ისწავლებოდა. სემინარის შემდევ ერთი წელი კიევში სწავლობდა (ავადმყოფის გამო შეწყვიტა სწავლა). არანაირი ცნობა არ არსებობს ევროპული ენების ცოდნისა. იაკობი ერთგან წერს: თბილისის სემინარიაში ძველი ენები არ ისწავლებოდა, ამიტომ კიევში ამ ენების ცოდნა არ მოუთხოვიათო.

იაკობის ბიოგრაფები წერენ: „როდესაც იგი კიევის უნივერსიტეტის მონინავე პროფესიონალური სამსახურის მინისტრი არ ისწავლებოდა. სემინარის შემდევ ერთი წელი კიევში სწავლობდა (ავადმყოფის გამო შეწყვიტა სწავლა). არანაირი ცნობა არ არსებობს ევროპული ენების ცოდნისა. იაკობი ერთგან წერს: თბილისის სემინარიაში ძველი ენები არ ისწავლებოდა, ამიტომ კიევში ამ ენების ცოდნა არ მოუთხოვიათო.“

სხვა ამ თემაზე ვერაფერს გეტყვით. ჰუმბოლდტისა და სხვათა ნაშრომებს რომ იცნობდა, ესეც კარგად ჩანს მისი შრომებიდან...

თუმცა ესეც საინტერესოა: იაკობი თავის ამონენტებს როცა ეკამათება, წერს, ჩემი წიგნი „დედაენა“ თავისი ლირებულებით არ ჩამოუვარდება ევროპულ სახელმძღვანელოებს. ევროპულ სახელმძღვანელოთა მაგალითს იგი არაერთგზის მომართავს; თუნდაც ასეთ შემთხვევაში: „აი ია“-ს პრინციპი ანბანის შესასწავლად მოხერხებულია ქართული ენისათვის; არაა მოხერხებული ევროპული ენებისათვის, რადგან ქართულში ერთ ბეგრას ერთი ასო შეესაბამებაო...

ბედნიერი ვიქტორი, თუ კვლავ შევძლებ თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემას...

პატივისცემით
გიორგი გოგოლაშვილი
28. XII. 2009

3.

ბატონო გიორგი,

ულრემსი მადლობა თქვენი ვრცელი პასუხის, ინფორმაციისა და მოხსენების ტექსტისათვის. თქვენი წიგნის ეს ნაწილი, რა თქმა უნდა, ვნახე, მაგრამ მოხსენების „რეზიუმე“ უფრო ვრცელი იყო და, რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ ეს ტერმინი იაკობ გოგებაშვილის ნაპოვარია, უფრო აშკარა ამ ვარიანტში.

ამასობაში ბატონი ზურაბ კიკნაძის ძველი წერილი (16. X. 05) ვიპოვე. მან იცოდა, რომ **დედა ენა** ტერმინის ისტორია მაინტერესებს, და მომწერა: „ამას წინათ წავაწყდი ამონანერს 1857 წლის ურნალ „ცისკრიდან“, რომელიც ჩემი სტატიისთვის („ილიას მამული“) მჭირდებოდა. ვინმე ირაკლი ლორთქიფანიძე, „იმერი თავადი“, როგორც ის თავის თავს უწოდებს, წერს: „მივსცეთ მათ კანონნი ჩვენისა დედა-ენისა თვისებისანი...“ ისე რომ, ცოტა სხვანაირი სიტუა-



იაკობ გოგებაშვილი

ცია გვაქვს. მაგრამ პრობლემა მაინც მხოლოდ გადაგდებულია, ვნაიდან არ ვიცით, იმ იმერელს საიდან ჰქონდა ეს ტერმინი და მისთვის რას ნიშნავდა და თუ ერთსა და იმავეს ნიშნავდა, როგორც გოგებაშვილისთვის. ყოველ შემთხვევაში თქვენი გზა უნდა გავაგრძელოთ!

მაპატიეთ, რომ უფრო ადრე არ მითქვამს, მაგრამ ბოლო წლებში სხვანაირი ინტერესები მქონდა და უბრალოდ დამაკანიშება ეს წყარო...

ახლა იმის მიხედვით, რაც მომწერეთ, უნდა გამოვირკვიო, თუ როგორ იხმარებოდა „დედა ენა“ მაგალითად გერმანულ პედაგოგიკურ სახელმძღვანელოებში. საინტერესო იქნებოდა, რა აზრები იყო გავრცელებული „დედა ენის“ შესახებ მაშინდელ რუსულ პედაგოგიკაში, რომელიც კიევში ან თბილისში წაიკითხა. „დედა ენა“ ტერმინისთვის, რა თქმა უნდა, გერმანულის ან ფრანგულის ძალიან მცირე ცოდნაც საკმარისი იყო.

მოგწერთ, როდესაც ახალი შედეგები მექენება! კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ძვირფასი ინფორმაციისათვის.

პატივისცემით

თქვენი ვინფრიდ ბოედერი
29. XII. 2009

გამოხაზულება

მალხაზ ივანიძე

რამ გაამსუბუქა მონომახის ქუდი?

□

საირო შიმონეს პიესა „კონვერტი“ ქართულად

ადამიანი ყველგან ადამიანია, ძალაუფლება ყველგან ძალაუფლებაა, დემოკრატია ყველგან ფარისევლობაა... ასეთი აზრი გამოიჩინდა, როცა წავიკითხე იტალიელი დრამატურგის სპირო შიმონეს პიესა „კონვერტი“. როგორც ჩანს, მთელ მსოფლიოში დემოკრატია იქცა ტვირთად, რომლის ზიდვა ადამიანს აღარ შეუძლია. მძიმეა დემოკრატიის ქუდი. უცნაური რამ ხდება. მონომახის ქუდი შემსუბუქდა, გამჩატდა, გაუნიონადდა, სამაგიეროდ, დამძიმდა, განწელდა სარქმელი დემოკრატიის თავისა.

კარგი საქმე გააქეთა „ჩვენმა მწერლობამ“, სპირო შიმონეს „კონვერტი“ რომ გამოაქვეყნა. მრავალმხრივ საგულისხმო ნანარმოებია ამ ახალგაზრდა იტალიელი დრამატურგის ერთმოქმედებიანი პიესა, რომელსაც სულ ოთხი პერსონაჟი ჰყავს, მაგრამ ასე გგონია, მთელ მასებთან გაქვს საქმე.

აქვე უნდა ალინიშნოს, მთარგმნელის, თორნიკე მსხილაძის, მაღალი ოსტატობა. ისეთი დახვეწილი თარგმანია, პირდაპირ ახლავე შეიძლება მისი სცენაზე გატანა. პიესის მოუ-

ლოდნელი დასასრული ბევრ რამეს ამბობს და ბევრსაც გულისმობას. ვიღაც სინიორი შედის პრეზიდენტის მისაღებში და სურს მასთან შევედრა, რათა გაარკვიოს, რას ნიშნავს კონვერტი, რომელიც პრეზიდენტის სახელით მიიღო.

არავინ იცის, ვინ გაუგზავნა კონვერტი, არც მდივანმა, არც მზარეულმა და არც კარადაში ძალივით გამოკეტილმა X-მა.

გენიალურია პიესის რამდენიმე დეტალი. მათ შორის პირველი: როცა მდივანი პიჯაკის ჯიბიდან იღებს ნილაბს და თავზე იფხატებს; მეორე: როცა მდივანი სინიორის პირადობის მონმობას დაპირდავს და ჰქითხავს „ეს თქვენ სახეა?“ „დია-ას“, — არის პასუხი. „დიდი ხანია?“ — კელავ ეკითხება მდივანი; მესამე: როცა კარადაში ძალივით ჩაკეტილი კაცუნა, სახელად X, პრეზიდენტი აღმოჩნდება.

ეტყობა, იტალიელებს მარტო მელიკური და კულინარიული გატაცებებით არ ვგავართ. რაღაც სიღრმისეული მსგავსებებია ჩვენს შორის.

კურციო მალაპარტეს აქვს რომანი „ტყავი“, რომელშიც მოთხოვილია მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ამბები, როცა ამერიკელი გამათავისუფლებლები აპენინებზე შედიან. ამერიკელები დანახვაზე იტალიელები უცემ გარდაიქმნებიან, მეტისმეტად აქტიურები ხდებიან, უჩნდებათ ლალატისა და ენატანიობის სენი, აბეზლებენ მეგობრებს, შვილებს, ძმებს, ქმრებს, ცოლებს, საყვარლებს, ყველას, ყველას... რა თქმა უნდა საკუთარი თავის გარდა. განზე რჩება მხოლოდ მცირედ ნაწილი მოქალაქეებისა რომლებსაც რცხვენიათ, რომ იტალიელები არიან.

სიცილის ქალაქ მესინაში 1964 წელს დაბადებულ მწერალს ნიჭთან ერთად დიდი სულიერი გამოცდილებაც უნდა ჰქონდა, რომ ასეთი განმახოვადებელი მეტაფორა შეექმნა.

კითხულობ და გიკეირს — ნუთუ სიცილიაზეც ისევეა, როგორც ჩევნთან?! უფრო სწორად, როგორც ჩევნთან, იქაც ასევე?

დიახ, იქაც ყოფილა დემოკრატიის უფასო გაკვეთილები; იქაც — როცა არ მუშაობება, ბევრს ენევიან; იქაც — არარაობით დაღლილან ადამიანები; იქაც — შინ ჩაკეტილი ადამიანები ფარჯრიდან ჰაეროვან კოცნებს უგზავნიან პრეზიდენტს.

რა უცნაურია, როგორ ჰქავს „კონვერტის“ ფინალი გიორგი შენგელაის ფილმ „ხარება და გოგიას“ დასასრულს.

ცხადია, სპირო შიმონეს დრამატურგიული პოეტიკა არ ახალია, მაგრამ, დამეთანხმებით, ძველის განახლებაშიც არის რაღაც რეზონი.

კლასიკიდან სემიუელ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“ და უჯენ იონესკოს „მარტორქა“ ან „მელოტი მომღერალი ქალი“ გაგვასხვნება უთუოდ; თანმედროვებიდან — ჰაროლდ პინქტერის, სლავომირ მრიუქეს, ვაცლავ ჰაველის პიესები. პირადად ძალიან მესიმპათიურება ირლანდიელი ალინ ტიტლი და მისი პიესა „გოდო მოდის“, რომელიც 1987 წელს არის დაწერილი, მაგრამ საკმაოდ თანამედროვედ უდერს და, რაც მთავარია, ბეკეტის კარგი პაროდია. შთამბეჭდავა ფინალი: მაცივრიდან გამოიდის ფრაკსა და ცილინდრში გამოწყობილი გოდო და ავტომანქანით უჩინადება.

სპირო შიმონე ნინამორბედებს ჰქავს, მათგან ბევრი რამ აქვს აღებული, მაგრამ ორგანიალურიც არის. თანაც უფრო პლასტიკურია, უფრო დინამიკური, უფრო თბილი, კარგად

დაგვანახებს ადამიანური სულის კრიზისს. თვალდათვალ გვიჩვენებს, თუ როგორ გააქრო პოლიტიკამ ადამიანში ადამიანი და სიცოცხლის საზრისი.

დემოკრატიის ფარისევლურმა სულისკვეთებამ დასავლეთს გული ამოაცალა. ჩვენ რას გვიზამს? მინიმუმ თაგს მაინც დაგვაკარგვინებს, თუ უკვე დაკარგული არ გვაქვს.

არსებობს ერთი კარგი ფრანგული ნიგნი სათაურით „გორგულას ყვირილი“, რომლის ავტორია საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის უკავი შირაკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დომინიკ დე ვილპენი.

ეს პატიოსანი ფრანგი ისეთ რამეს ამბობს და ისე ამბობს, არ შეიძლება არ ენდო. კერძოდ, აი, რას წერს: „ჩვენი, ფრანგული საზოგადოება, რომელიც კარგა ხას ინარჩუნებდა ჭუავ-გონებას, ამჟამად დაბეჭულია. სად გაერა სიცოცხლის აზრი, ბუნებრივი, თანდაყოლილი გრძნობა, რომელიც ჰქონდა ყველას, ვინც საზოდობდა თაობათა მეხსიერებით, ტრადიციებით, მშობლიური ნიადაგითა და კულტურით? სად გაგვიქრა ბავშვობიდან შეფისებული ისეთი ცნებები როგორებიცაა შრომისმოყვარება, სიტყვის ერთგულება, პატიოსნება, თავშეწირვა? სად დაკარგეთ იმ სულიერ ფასეულობათა აზრი, რომელიც დღემდე გვიცავდნენ და გვიფარავდნენ? როგორდა დავიბრუნოთ ყოველივე ეს, როცა ადამიანებს ალარ სური თავს ძალა დაატანონ, როცა ვეღარც გაუგიათ, თუ რატომ უნდა დათმონ პირადი ინტერესები საერთო იდეალებისთვის, უზენაესი მიზნებისათვის, პიროვნული კეთილშობილებისათვის?

მაშ რაღას ვერჩით ქართულ საზოგადოებას, რომელიც, გალაკტიონის პერიფრაზით რომ ვთქათ, ყოველთვის არის ისეთი წყარი, ისეთი ჩემი, რომ არის თუ არა, ალარც კი გვახსევს.

ამასწინათ რომელილაც სიტზე სპირო შიმონეს ტელეინტერვიუს ვუყურე. განმაციფრება ამ კაცის უბრალოებამ და სიდარბაისლება. არაზრით ჰქავს ექსტრავაგანტულ, აბსურდისტულ აზირებულ თეატრლის, ერთი ჩვეულებრივი, ოღონდ ჭკვიანი ადამიანი. არის მასში არალაც, რაც დამატიქრებელი დასკვნის საპაბს იძლევა: აბსურდი უკვე აღარ არის უჩვეულო არაორდინარული მოვლენა, რომელსაც ესოთეტიზმის სამზერიდან ვუყურებდით, ის ჩვენი ცხოვრების ნინილი გახდა, მეტიც, სულაც ცხოვრება იქცა აბსურდად. შედეგი? — ადამიანში პიროვნება ქრება, იღება, დნება, ინავლება.

ესპარეს-ინტერვიუ

თამაზ ხმალაძე

„ნუ დაკარგა პილსა გზასა“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგრამარეობა?

— უძლურება. როცა შენი სამშობლოს რუკას დაპყურებ, რომელსაც ათასი ჯურის მტაცებლის მიერ ჩამოგლევიდილი ლუკმებისაგან ათხევი კუთხით დატოვებული ნალოჯრებიდან სისხლი წევთავს, შენს უძლურებას კი საზღვარი არა აქვს.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ჩემი ცხოვრების დამატებად გაფაციცებული ინტერესით ვიცხოვრებდი სხვადასხვა დაროში სხვადასხვა ადგილას, კუთვნილ ერთადერთ სიცოცხლეს კი მხოლოდ საქართველოში გავატარებდი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— რა გითხოვათ, ასეთ რამეზე აზრის გამოთქმა წიგნებში წაკითხულით და სხვების მონაბრძოლით უჯეროა, თვითონ თუ გმილური, აუცილებლად მოგიყვებით, ისე, მინდა იცოდეთ: იმ ხამუშ-ხამუში სახალის იძლევა: აბსურდი უკვე აღარ არის უჩვეულო არაორდინარული მოვლენა, რომელსაც ესოთეტიზმის სამზერიდან ვუყურებდით, ის ჩვენი ცხოვრების ნინილი გახდა, მეტიც, სულაც ცხოვრება იქცა აბსურდად. შედეგი? — ადამიანში პიროვნება ქრება, იღება, დნება, ინავლება.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ალუდა ქეთელაური, გივი შადური, უბედენთიანი გაბრიელ კოხორაშვილი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— კონსტანტინე გამსახურდიას გიორგი მეფე, ლევან გორეას ალექსანდრე მეფე, ოთარ ჩხეიძის აშოთ კურაპალატი.

- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- ფიროსმანი, ელენე ახვლედიანი... ვან გოგი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- რევაზ ლალიძე, ბიძინა კვერნაძე.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?
- „ვაჟუკაცი წყნარი სჯობია, რო გაჭირდება — მშენებარი...“
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- კადემამოსილებას... ქმარ-შეილისა და საკუთარი კომლის ერთგულებას, რაც სამშობლოს ერთგულებასაც ნიშნავს.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- თანალმობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- კითხვა, ფიქრი, ბუნებაში ყოფნა და მის საიდუმლოებების ჩაჭრება.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- ერთცხოვრებაგავლილი და „მეორე წრეზე“ წამოსული თამაზი ხმალაძე.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მიმტევებლობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- უღალატოდ გვერდში დგომას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- მედლეხვალიობა. ვერანაირად ვაიძულებ თავი დამეჯჯებინა, რომ ამქვეყნად მოვლინება ერთადერთი შანსია და არა რეპეტიცია მომავალი ცხოვრებისა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- დიდი ხანია, ბედნიერებაზე ფიქრი მიჭირს.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- წუთისოფელი თუ იმდენად გამნირავდა და მაიძულებდა, ისეთი ცხოვრებით მეცხოვერა, ღმერთი რომ არ შემინდობდა.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- ეჭ, მე რომ მინდოდა, ის სად არის... ყოველ შემთხვევაში, იმაზე უკეთესი, ვიდრე ვარ.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- გომბორის ტყეების ფერი დაინობისთვეში.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ია. ყოჩივარდაც კარგია, მაგრამ იად ამაოდ ასაღებენ გაზაფხულობით.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- მამალი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- „ვისრამიანის“ მთარგმნელი, გიორგი მერჩულე და სხვაც ბევრი ქართველი თუ უცხოელი მწერალი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- შოთა, გურამიშვილი, ვაჟა და სხვებიც განწყობილებისა და სულიერი მდგომარეობის შესაბამისად.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?



— გიორგი მერჩულის „სიძეის დიაცი“ (სახელიც კი რომ არ აღირსეს, სანამ ვასილ ბარნოვმა არ შეიძრალა), შოთას ასმათი, ვაჟას აღაზა და... ბოლოშს კი გიხდით, მაგრამ თამაზ ხმალაძის ნაია.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— გრიგოლ ხანძთელი, იმანე მარუშისძე, გიორგი ჭყონდიდელი, ილია ჭავჭავაძე-პო, კიდევ ძალიან მიყვარს გრიგოლ სურამელი, რომელმაც ყველა დროის ხელისუფალთ ამაქვეყნისათა დაუბარა: „...უმჯობეს მიჩნის, რათა ჩვენ (წარჩინებულები) მოვიკვლეთ და არა ყოველი ესე ძალი...“

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში? ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელი?

— მარიამი და გიორგი (ჩემი დედ-მამის სახელებია), გელა, ანანო, დავითი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ანგარებას. როცა კაცი ავლისას სიკეთის ნერგს იმიტომ რგავს, რომ ჩამოვლისას ათჯერ მეტი მოისთვლას. ეს ავეკაციაზე მეტია — სიკეთის გაუსატიურება.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზლი დაიმსახურა.

— ისინი ბევრნი არიან და მათი საერთო სახელია „ოროზ-მოროზის ძენი“.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ლირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორისა და ასპინძის ომები.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რუს-ურთინისის საეკლესიო კრება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ვისურვებდი, მქონოდა ნიჭი, საკუთარი ნიჭის სრულად გამოყენების (ეჭ, რაღა დროსია!).

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— არანაირი სიკედილი არ მინდა. გარდაცვალება კი ადრე მსურდა: მარცხენა ხელში ანთებული სანთლითა და მარჯვენაში დავითფერულით (ერთადერთი, რაც მერგო მემკვიდრეობით). ახლა ეგეც აღარ მინდა, მსურს: გავქრე, ავორთქელდე, არავინ შევაწურო.

— თქვენ სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ვეგუები შავნალვლიანობას.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— თვითმეცვლელობა. ვიცი, რომ უდიდესი მომაკვდინებელი ცოდვაა, მაგრამ იმდენმა ჩემთვეს ძეირფასა ადამიანმა დასარულა სიცოცხლე თვითმეცვლელობით, მათ მიმართ შემწყნარებლობის მეტი აღარა დამრჩენია რა.

— თქვენი დევიზი?

— ნუ დაპერავავ ძველსა გზასა.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდთ ლმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— (გავკადნიერდები და: რატომ თუკი?! მოხვედი, შვილ!

დაიბადა 1972 წელს, სოხუმში. 1996 წელს დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1999 წელს წარჩინდით დაამთავრა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ერლომ ახვლედიანის კინოდრამატურგიის სახელოსნო). 2006-2007 წლებში მონაცილეობდა IFA-SC -ის მიერ ორგანიზებულ ტრეინინგში: სამხრეთ-კავკასიური კინოპროექტებისა და სცენარების განვითარება. 2007 წელს ტრეინინგ-სემინარი თანამედროვე ევროპული კინოწარმოებისა და კინოინდუსტრიის შესახებ, პროგრამა „AVANTI“-ს ფარგლებში, ორგანიზებული შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მიერ. 2005-2007 წლებში მუშაობდა აფხაზეთის „AVANTI“-ს ფარგლებში, ორგანიზებული შვეიცარიის სამინისტროს კულტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტად. 2009 წელს მონაცილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ საკულტურული არხზე მიმღინარე ტელეპროექტში „დიდი ქართული ათეული“, სადაც წარადგინა აფხაზეთის ოში, ისტორიულ სოფელ კაბანში, 1993 წელს დახვრეტილი ახალგაზრდა მღვდელ-მოაზონი მამა ანდრია ყურაძეილი. აღნიშნულ თემაზე გამოქვეყნებული აქვს სტატია „დამეში გადებული ხიდი“ (2009 წ. „ჩემი აფხაზეთი“, გაზ. „24 საათი“).

არის რამდენიმე გახმაურებული პიესის ავტორი:

„სისხლანი მერი“ (გაზეთი „ალტერნატივა“, პიესას წილად ხვდა კრიტიკის დადებითი შეფასება);

„ლიუტში“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“), პიესა დაიდგა ერთი მსახიობის თეატრში „ვერიკო“ 2004 წ. და თეატრალურ სარდაფში „ვაკე“ 2007 წ. (რეჟისორი გიორგი სიხარულიძე); სპექტაკლმა „ლიუტში“ მონაცილეობა მიმღინარებული კართული ქართული თეატრალური პროექტი, მინვეულ იქნა ერევნის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „HIGHFEST“, 2006 წ.

„მაგნოლიები ამბებს ცყვებიან“ 2005 წ. (რეჟ. გიზმა სიხარულიძე. თეატრი „ვერიკო“), იმავე წელს მაყურებელთა თხოვნით სპექტაკლის ჩვენება გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში.

გამოქვეყნებული აქვს მოთხოვნები, დებიუტი შედგა 1996 წელს უურნალის „რინა“ ფურცლებზე. თანამშრომლობდა აგრეთვე უურნალთან „ტაბლა“.

ოთარ პერტახია

მაგნოლიები ამბებს ჰყვებიან

თბილისი. ჩვენი დრო. დევნილი მხატვრის მოკრძალებულ სახელოსნოში იმყოფებან ბაბუა და შვილიშვილი. ბაბუა მოლერტის ნინ დგას და ტილოზე მუშაობს, სახელოსნოს კედლებს ამშენებს მოხუცი მხატვრის ნახატები, რომლებზეც ძირითადად ასახულია ზღვა და მწვანეში ჩაფლული თეთრი ქალაქი, სანაბიროზე მოსეკრნე ქალები, კაფეები, საჩინო-ლობელი ქოლგები და ძაღლევნები. შვილიშვილი გულდასმით ათვალიერებს კედლებზე დაკიდებულ ნახატებს, ერთხანს ჩერდება ფანჯარასთან და დედაქალაქის ხედს ყურადღებით დააკვირდება, შემდეგ მუჯდება მაგიდას და შეეცდება ნანახი სურათი ფურცელზე ფანქრით დახატოს.

შვილიშვილი: ბაბუა, თბილისი დიდი ქალაქია?

ბაბუა: დიდი ქალაქია, კი.

შვილიშვილი: ყველაზე დიდი ქალაქი მაინც რომელია? ბაბუა: მთელს მსოფლიოში?

შვილიშვილი: ჰო.

ბაბუა: საერთოდ, ყველაზე დიდი ქალაქები დიდ ქვეყნებშია.

შვილიშვილი: მერე, დიდი ქვეყანა რომელია?

ბაბუა: ის ქვეყანა, სადაც ძალიან ბევრი ხალხი ცხოვ-რობს.

შვილიშვილი: მაინც?

ბაბუა: მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი...

შვილიშვილი: კიდევ?

ბაბუა: კიდევ ამერიკა და რუსეთი.

შვილიშვილი: (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) თბილისი მე ძალიან მიყვარს. რა მოხდა მერე თუ ყველაზე დიდი ქალაქი არ არის!?

ბაბუა: რა მოხდა და არც არაფერი.

დუმილი.

შვილიშვილი: ბაბუა, მითხარი, მე ხომ თბილისელი ვარ?

ბაბუა: (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) შენ თბილისში დაიბადე.

შვილიშვილი: ესეი-გი, თბილისელი ვარ!

ბაბუა: ჲო, თბილი-სელი ხარ.

შვილიშვილი: შენ სად დაიბადე?

ბაბუა: მე... ს ო ხ უ მ შ ი.

შვილიშვილი: დედიკო და მამიკოც?

ბაბუა: კი, დედიკო და მამიკოც.

კაუზა.

შვილიშვილი: ს ო ხ უ მ ი სად არის, ბაბუა?

ბაბუა: (ხანგაძლივ ანექებს და გაკვირვებული შვილიშვილის მიაჩერდება) დედამიწაზე უამრავი ქალაქია, ძალიან ბევრი ქალაქი... მათ შორის არის ერთი პატარა ქალაქი, იმას ს ო ხ უ მ ი ჰქვია და იგი ჩვენი ქალაქია.

შვილიშვილი: მართლა ჩვენია?

ბაბუა: ჲო.

შვილიშვილი: რატომ არის ჩვენი?

ბაბუა: იმიტომ, რომ ჩვენ იქ დიდი სახლი გვაქვს. ჩვენი ს ა ხ ლ ი.

შვილიშვილი: მეტი კიდევ რა გვაქვს?

ბაბუა: კოხტა ეზო, ცივი წყარო და რკანის ჭიშკარი.

შვილიშვილი: ვერავინ რო ვერ შემოვა ისეთი?

ბაბუა: სტუმარი შემოვა, ბაბუა, ჭიშკარს გააღებს და შემოვა.

შვილიშვილი: ქურდი არ შემოვა?

ბაბუა: ქურდი არა, ვერ გაბედავს.

შვილიშვილი: რატომ, დიდი ძალიც გვყავს?



დრამატურგია

ბაბუა: კი, დიდი ძალლი გვყავს, უურდს არ შემოუშვებს.

შვილიშვილი: ე, ჩვენს ძალლს რა ჰქვია?

ბაბუა: რა ჰქვია და ჯე ე კა.

შვილიშვილი: (იცინის) ჯეკა!... ბაბუ, იცი, ძალიან მინდა მყავდეს ლეკვი, ვგიუდები ისე მიყვარს. ხომ მიყიდი?

ბაბუა: გიყიდი, აბა არ გიყიდი? აუცილებლად გიყიდი. პატა. ბაბუა განაგრძობს ხატვას.

შვილიშვილი: ბაბუ, მამიკოს რა დაქმართა?

ბაბუა: ძველმა ნატყვიარმა შეაწუხა... არაფერია, გაუვლის.

შვილიშვილი: საავადმყოფოდან მალე გამოუშვებენ?

ბაბუა: კი, მალე გამოუშვებენ.

დუმილი.

შვილიშვილი: ეჱ, დედიკო ძალიან იღლება, არა?

ბაბუა: ჰო, ბევრს მუშაობს და ძალიან იღლება, მამიკოს უვლის, ჩვენც, მთელს ოჯახს...

შვილიშვილი: მე და შენ მამიკო როდის ვნახოთ?

ბაბუა: ხვალ, გენაცვლე, ხვალ ვნახოთ.

დუმილი.

შვილიშვილი: დედიკომ მითხრა ფერად ფანქებს მოგიტანო.

ბაბუა: მაშინ მოგიტანს.

შვილიშვილი: (იცინის) გახსოვს, მამიკომ ერთხელ გასაფერადებელი ნახატები რო მომიტანა, იქ ბაყაყს თავზე გვირგვინი ედგა... აუ, რა სასაცილო იყო!

ბაბუა: რას ვიზამთ, გვირგვინს, სამწუხაროდ, ბაყაყებიც იდგამენ.

შვილიშვილი: ბაბუ, ფული რო გექნება, ბურთს ხო მიყიდი?

ბაბუა: კი, ბატონო, გიყიდი.

შვილიშვილი: ბოტასებს?

ბაბუა: მაგასაც გიყიდი.

შვილიშვილი: დედიკოს როგორ გაუხარდება! რო მქონდა ის ბოტასები, სულ დაიხა.

ბაბუა: ჰოდა, ახალს ვიყიდით.

შვილიშვილი: ფეხბურთზე როდის შემიყვანთ?

ბაბუა: ცოტაც გვაცალე და მალე...

გახარებული შვილიშვილი ნამოდგება, ბაბუას მიუახლოვდება და მხარზე ხელს გადახვევს.

შვილიშვილი: კიდევ რა არის სოხუმში? აუ, მიდი რა, მითხარი!

ბაბუას თბილად ეღიმება, ხატვას თავს ანებებს და **შვილიშვილი კალთაში ჩაისვამს.**

ბაბუა: ცა არის, ბაბუ, იმოდენა, საითაც გაიხედავ, ცქერით ველარ გაძლები. ზღვა არის ვეებერთელა, ღრმა და საოცარი. ზაფხული იცის ისეთი, გულს რომ სიხარულით აგივსებს. ბევრი, ბევრი ადამიანი ჩამოდის ჩვენთან ზაფხულობით.

შვილიშვილი: რატომ?

ბაბუა: სოხუმი ზღვისპირა ქალაქია და ადამიანები იქ დასასვენებლად ჩადიან.

შვილიშვილი: ზღვაში რომ იცურაონ?

ბაბუა: ჰო, რომ იცურაონ, დაისვენონ და სიცოცხლე გაიხანგრძლივონ.

შვილიშვილი: უხარიათ მერე?

ბაბუა: როგორ არა! გაოცებული ადამიანები ყველა-ფერს ათვალიერებენ.

შვილიშვილი: რას ათვალიერებენ?

ბაბუა: ზღვას, გემებს, კოპნია სახლებს, ლამაზ სასტუმროებს, შადრევნებს, მაღალ მთებს, პალმებს...

შვილიშვილი: კიდევ?

ბაბუა: ზღვაზე თოლიები დატრინავენ, ქალაქის მოენებზე უამრავი მტრედი ღუღუნებს... დამსვენებლები თოლიებს აპურებენ, მტრედებს მზესუმზირით უმასპინძლდებიან, ბოტანიკურ ბაღში შედიან... ზოგი ნავზე ან წყლის ველოსიპედზე ჯდება და შეუაზღვაში გადის... ადამიანები სანაპიროზე ფოტოებს იღებენ, მერე კაფეებსა და ბარებში სხდებიან, გემრიელ ნაყინს მიირთმევენ, ყავას სვამებ და ციფრ კონტეილით გრილდებიან.

შვილიშვილი: აუ, ნაყინი მე ძალიან მიყვარს. აი ის, ხო იცი, მარწყვის გემო რო აქვს და კიდევ შოკოლადის.

ბაბუა: ვიცი, ვიცი.

შვილიშვილი: ბაბუ, სოხუმში მტრედებს არავინ იჭერს?

ბაბუა: ოჳ, არა, მტრედს იქ არავინ იჭერს!

შვილიშვილი: არც თოლიას?

ბაბუა: არა, არც თოლიას.

შვილიშვილი: მანანწალა ძალლებს?

ბაბუა: არიან ადამიანები, რომლებიც მანანწალა ძალლებს უვლიან. ვის როგორ შეუძლია, ხან რას აჭმევენ და ხან რას.

შვილიშვილი: ისინი ცოდნის არიან, ხო?

ბაბუა: სახლი მაგათ არა აქვთ და პატრონიც არ ჰყავთ... ცოდნის როგორ არ არიან.

პატა.

შვილიშვილი: ბაბუ, ჩვენს ძალლს სოხუმში ვინ უვლის?

ბაბუა: ჩვენი ჯეკა ისეთი ყოჩალია, თავს არ დაიკარგავს.

შვილიშვილი: წვიმა როცა წამოვა, სად უნდა დაიმალოს?

ბაბუა: თავის სახლში.

შვილიშვილი: მაგარი სახლი აქვს?

ბაბუა: კი, ხის სახლი აქვს, მაგარი, პატარა მწვანე სახლი... ჩემი ხელით ავუშენე.

შვილიშვილი: წერა ახლა სოხუმში თუ წვიმს?

ბაბუა: შეიძლება წვიმს კიდეც.

შვილიშვილი: ვითომ ცოტას იწვიმებს თუ ბევრს?

ბაბუა: შენ ნუ ღელავ, იქ ხშირად წვიმს ხოლმე, მაგრამ ისე ლამაზად წვიმს, თავი ზღაპარში გეგონება... წვიმა თავს კი არ გაძებერებს, გეთამაშება, შენთან განშორება ეწნელება, გეალერსება... გამოიდარებს და მოგენატრება.

შვილიშვილი: კიდევ, ბაბუ, კიდევ რა არის სოხუმში?

ბაბუა: ულამაზესი ტბება, ზღაპრული გამოქვაბულები და უძველესი ეკლესიები, ქვები, საუკუნეები რომ გამოუვლიათ... კიდევ ჯადოსნური მაგნოლიები და ზღვაში მოცურავე იალენიანი ნავები...

შვილიშვილი: მაგნოლია რა არის?

ბაბუა: დიდრონი ხეა, თეთრი და სურნელოვანი ყვავილის ხე... ამ ყვავილს ჯადოსნური ძალა აქვს, ბაბუ.

შვილიშვილი: როგორ ჯადოსნური?

ბაბუა: მ ა გ ნ ო ლ ი ე ბ ი ა მ ბ ე ბ ს ჰ ყ ვ ე ბ ი ა ნ.

შვილიშვილი: ე, რა ამბეჭს?

ბაბუა: ამბეჭს ჩაირულ ქალაქზე და ზღვის ასულებზე, რომლებიც ტალღებზე დარბიან და ცეკვავენ... კიდევ გემებზე და კაპიტებზე... ამბეჭს ქვიშის სასახლებზე და ჯარისკაცებზე, ოდესლაც ზღვისპირა ქალაქს გმირულად რომ იცავდნენ...

შვილიშვილი: მაგნოლიები ამბეჭს როგორ ჰყვებიან, განა ლაპარაკი იციან?

ბაბუა: თუ გულით მოუსმენ, მაშინ მაგნოლიების ხმასაც გაიგებ... ნიავიფით მოგაიახლოვდება, ცხვირზე მოგილიტინებს, თმაზე ხელს გადაგისვამს, სახეზე სულს შეგიბერავს და, თუ მოეწონე, თუ დარწმუნდა, რომ შენც მოინიბლე, ამბეჭსაც მერე მოყიყება.

შვილიშვილი: მითხარი, ბაბუ, შენ რა ამბავი მოგიყვა მაგნოლიამ, გეხვეწები რა.

ბაბუა: იყო და არა იყო რა. ზღვისპირა ქალაქში ერთი პატარა, ცელქი ბიჭუნა ცხოვრობდა. ერთხელ, ზაფხულში, მამამ ეს ბიჭუნა ზღვაზე ნიაყვანა, უნდოდა შვილისთვის ცურვა ესწავლებინა. სანაპიროზე ძალიან ბევრი ხალხი იყო, ზოგი ზღვაში ცურავდა, ზოგიც ქვიშაზე მშვიდად იწვა და ირუჯებოდა. ბავშვები კენჭებსა და ნიუარებს აგროვებდნენ, ქვიშის სასახლებს აშენებდნენ... მოზრდილები ხელბურთს თამაშობდნენ... ადამიანები ერთმანეთს ეძახდნენ, სუმრობდნენ და მხიარულობდნენ... ბიჭუნა, რომელიც ძალიან ცელქი იყო, ახლა ჩუმად იჯდა კენჭებზე და გაფართოებული თვალებით ზღვას გაჰყურებდა. მზე ისე ლაღად ანათებდა, რომ ზღვა აღტაცებას ვეღარ მალავდა, ძალიან ბრჩყინავდა... ზოგჯერ ჯადოსნური ნაპერნკლებსაც ისროდა მალა, პაერში, იქ, სადაც თოლიები თავისულად დაფრინავდნენ. ბიჭუნას მოეჩვენა, თითქოს ზღვიდან ოქროს თევზები ხტოდნენ, თევზები და დელფინები... ისინი თოლიებთან ერთად ცაში კამარას კრავდნენ, ბრჭყვიალა ხაზებს ავლებდნენ, ფერად სახლებს ხატვდნენ, დელფინებს და მეფეებს, დათუნიებსა და ბაჭიებს, სპილოებსა და ლომებს, უფლისწულებსაც ხატვდნენ და ჭირვეულ პრინცესებსაც... იცინოდნენ და ხატვდნენ... ირგვლივ სულ, სულ ჯადოსნური ნაპერნკლები ცვიოდა... კალიასავით მოხტუნავე ნაპერნკლები ბიჭუნას თავზე დატრიალდნენ, პანია ხელისგულებზე ჩამოუსხდნენ და ტკბილად და ნაზად ამდერდნენ... ბიჭუნა გაოცებისგან ხმას ვეღარ იღებდა. რატომლაც ძალიან მოუნდა ეს ყველაფერი დედიკოსთვის ეჩვენებინა, დედიკოსთვის და მეგობრებისთვის. შინ მოუნდა. იქვე გადაწყვიტა რამდენიმე ნაპერნკალი დაეჭირა, მაგრამ როგორც კი ეს დააპირა, ნაპერნკლები ბიჭუნას უმალ გაშორდნენ. პატარა ბიჭს ცრემლები მოაწვა; ტუჩები აუკანკალდა; ძალიან გაბრაზდა: თოლიები, ოქროს თევზები და დელფინები სადღაც შორს გაუჩინარ-

დნენ... ბიჭუნამ კარგად დაინახა, რომ ზღვა უზარმაზარი და საშიში გახდა, თითქოს ურჩხულს დაემსგავსა; ძალიან შეშინდა და, როცა მამამ ხელი ჩაჭკიდა რომ ზღვისკენ წაეყვანა, ხმამაღლა ატირდა. იმ დღეს მამას აღარ შეუყვანია შვილი ზღვაში... როცა გაიზარდა, ბიჭუნამ ცურვა თავისით ისნავლა და ბოლოს სახელივანი მეზღვაურიც გახდა.

შვილიშვილი: (ხელებს შემთხვევს პაბუას და თავს მკერ-დზე მიადგებს)

ნეტა მაგნოლიები ამბეჭს მეც მომიყვებიან?

ბაბუა: თუ მთელი გულით მოუსმენ, მოგიყვებიან.

შვილიშვილი: რას მომიყებიან, როგორ მაინტერესებს!

ბაბუა: ბევრ საოცარ ამბავს.

პაუზა: შვილიშვილი წამოდგება, ავანსცენაზე გამოდის და შორს სივრცეს გახედავს.

შვილიშვილი: ბაბუ, სოხუმი საით არის?

ბაბუა: იქით, დასავლეთისკენ.

შვილიშვილი: შორსაა დასავლეთი?

ბაბუა: არა, აქვეა, ახლოს.

შვილიშვილი: ძალიან მინდა სოხუმში, ჯეკასთან მინდა, ჩვენს სახლში... მაგნოლიებთან მინდა, ზღვაც მინდა ძალიან, სულ ძალიან. (დუმილი; ბაბუას თვალებზე ცრემლი მოადგება) მეც ურვასაც ვისნავ ბული, ბაბუ!

ბაბუა: მიჯერა შენი.

შვილიშვილი: იცი რა, დედიკო და მამიკო სახლში რო არ არიან, მეშინა შენც არ დამტოვო. მარტო ყოფნა არ მინდა. უჩემოდ ხომ არსად ნახვალ?

ბაბუა: (წამოდგება და შვილიშვილს მიუახლოვდება) ეგ რამ გაფიქრებინა, უშენოდ სად უნდა ნაგიდე... (ჩაიკრავს გულში) შენ ჩემი ვაჟებაცი ხარ, ბაბუ, გვარის გამგრძელებელი...

შვილიშვილი: მაგნოლიების ამბეჭს კიდე მოიტყვები?

ბაბუა: მოგიყვები, შენ თავს გეფიცები, ყოველდღე მოგიყვები...

2005



მხატვარი ნინო ხურცილავა



არის ამ ლექსებში ის ეფექტი, რაც შეიძლება დღეს არამოდურიც კი იყოს, მაგრამ მნიშვნელობას არასოდეს კარგავს.

ეს არის ზომიერების გრძნობა და აქედან გამომდინარე, თანმიმდევრულობა, სტაბილურობა, სანდოობა.

ამიტომ აღარ გიკვირს, თუ როგორ ხდება, რომ საგნებს შენარჩუნებული აქვთ ბუნებრიობა და სიტყვა არ შორდება თავის შინაარსს.

კოთხულობ და გრძნობ, ეს არის ეპიზოდი ბელა ჩეკურიშვილის პოეტური სულის ბიოგრაფიიდან. მას აქვს სათქმელი და ამბობს.

მას სურს იყოს ჩვენთვის და შეგვახსენოს, თუ როგორ ვჭირდებით ერთმანეთს, იმისათვის, რათა გავძლოთ და გავაძლებინოთ სიცოცხლის იდეას.

იდეას, არა მარტო როგორც განცენებულ ცნებას, არამედ არსებობის ფორმას, სიცოცხლეში ყოფნის ხელოვნებას, უბრალოდ, სიყვარულს.

ბელა ჩეკურიშვილი

სიზოდეს

ჯერ ქვა მოძებნე
და მტკიცე კვანძის შეკვრა ისწავლე,
თორემ იქ, ხელი ხავსისენ გაგექცევა
და შერცხვები.

ეს ინსტინქტია,
ბოლო წუთებში ყველას უჭირს,
და ხანდახან ისეც ხდება, რომ
ხავსი მაშველ რგოლად იქცევა
და შენ, გალუმპულს,
ნახევარი ქალაქის თვალინ
მადლობსაც გათქმევინებენ.

ჯერ ქვა მოძებნე
და ჩუქურთმის გათლა ისწავლე,
თორემ კედლებს ისე სწრაფად ამოიყვანენ,
ჯერ მუხლამდე,
მერე ყელამდე,
დაყვირებასაც ვერ მოასწრებ,
ბეტონის ყორები აღმოჩნდები ჩაშენებული
და შენს ადგილას, ტაძრის ნაცვლად,
უსახური გალავანი იდგება ბოლოს.

ჯერ ქვა მოძებნე
და ფერები გადაარჩიე,
ვიდრე ოსტატს ოქროს ბეჭედს შეუკვეთავდე,
იკითხე მათი წარმომავლობა და პოვნის ფაზები:
ზოგი ქვა სმენას ამახვილებს,
ზოგი აბრმავებს,
ზოგი გულს ამსხვრევს,
ზოგი ნაცველს შლის და
ზოგიც, სულაც, უმიზეზო ოცნებებს იწვევს...

ჯერ ქვა მოძებნე,
და ზომები კარგად გათვალე,
ვიდრე შეილის გაჩენას გადაწყვეტდე,
თორემ ვინ იცის,
მამამ ახალშობილის გადაყლაპვა მოიგუნებოს.
თუ მზად გექნება შეფუთული, დალებულ ხახას რომ შეაგებო,
იქნებ შეძლო და გადაარჩინო,
თორემ ღმერთები, ხომ იცი რომ
საკუთარსაც არ ინდობდნენ
და მუდამ ძლიერის მხარეზე იდგნენ.

ჯერ ქვა მოძებნე,
და ვიდრე სურვილს ჩაუთქვამდე,
კარგად დაფიქრდი,
კიდევ გინდა დაბრუნება ამ ქვეყნად,
სადაც
ქვებიც კი ამდენს მოსთქვამენ?

ალფა და რმება

...მე შენი დუმილის მცველი ვარ
და ხსოვნის წამშლელი.
დავდივარ, ვითვლი და ვანანილებ
სიტყვებს — ხერელიდან გველის ამოსაყვანად,
ცრემლებს — ფეხების დასაბანად,
ნაცარს — საქეად...
ვითვლი და ვგრძნობ,
თვითონ ვხდები გველიც და სიტყვაც,
განბანილი ფეხიც და ცრემლიც,
ნაცარიც და ბროლის ქოშებიც...

მე შენი შიშის უფლება ვარ
და ვნების ნიშანი.
დავდივარ, ვკრებ და ვაბათილებ
ვაშლს — საიდუმლოს გასამხელად,
ქვას — სასროლად,
ვერცხლს — გასაბნევად...
ვაბათილებ და თვითონ ვხდები
ვაშლიც და ცოდვაც,
გასროლილი ქვაც და სამიზნეც,
30 ვერცხლის მონეტაც...

მე შენ არყოფნის გამართლება ვარ
და დასასრულის გამოცდილება.
დავდივარ, ვზრდი და ვამთლიანებ
ჩარჩოს — ქალაქად,
კვამლს — ბუხრის ცეცხლად,
ცარცის ხაზებს — საფრენ ბილიკად...
ვამთლიანებ და თვითონ ვხდები
ქალაქის ფოტოც და
მყუდრო სახლის თბილი ბუხარიც,
ცისა და მიწის ბილიკებიც და
კედელზე გასმული ხაზიც...
(შენ ტახზე წევხარ და ამბობ,
რომ მგელს,

რომელსაც ჯერ არ შეუჭამია წითელქუდა
და მგელს,
რომელსაც მუცელი უკვე გაუჭრეს,
ერთნაირი ბიოგრაფია აქვთ...)

მუსიკული ადგელოზის დღე

...ჯანდაბას,
მოვიხსნი წიმბსა და ყელსაბამს,
ამ ფრთხებსაც დავკეცავ,
გადმოვალ კედლიდან,
დავტოვებ ლაჟვარდს და
შენი ქალაქის ნაცრისფერს მოვირგებ,
რადგანაც მეძახი,
დამლალე,
მაგრამ ამ ძახილსაც შეგინდობ,
ჯანდაბას,
ვიცი, რომ
წაგებულ ომში ხარ,
რომ მხარი აქციე სამი გზის არჩევანს,
რომ თავის წესი აქვს ომსაც და თამაშსაც —
ვერასდროს მიხვდები საიდან იწყება
და როდის მთავრდება...

...ჯანდაბას,
გადმოვალ,
და სათადარიგო გასასვლელს გაგილებ,
გაჩერებ კარებსაც,
ჯავშანს და
ბეჭიერ ბილეთებს მოგიტან,
იღბლიან რიცხვებსაც,
ქვას აგატანინებ ამ მთაზე,
ბოლომდე,
და მერე გასწავლი დუღაბის ჩასხმასაც...
...ჯანდაბას,
გადმოვალ,
სიცხიან სახეზე ცივ ტილოს დაგაფენ,
მოგიქსოვ წინდებსაც...

* * *

— ლეიტენანტ, სიგარეტი არა გაქვს?
ფსიქიატრიულის ფანჯრიდან

ვენეოდით სიგარეტს,
ერთმანეთს — წარსულიდან,
ავტობუსს.
გვიხაროდა:
გვაქვს სიგარეტი,
წარსული,
ერთმანეთზე მოგონებები,
ქალაქი,
სადაც ვიღაც მარტოა
უსიგარეტოდ,
უწარსულოდ,
და ჩვენ ვჭირდებით,
სიგარეტით,

ერთმანეთით,
მოგონებებით...
...
გისოსებიდან დანახული სამყარო დატეხილია
და მახინჯი,
გისოსებიდან დანახული ადამიანები — წახნაგოვანნი
და ხეიბარნი,
და სულ ერთია,
შიგნიდან გარეთ ვიყურებით,
თუ გარედან შიგნით,
თვალებში შემოფრქვეული უცხო წატეხები თავზარს
გვცემენ
და გავრბივართ,
სილრმისკენ,
ჩვეულ ყოფაში,
საიდანც არ გამოჩენდება გისოსები,
არც გარე სამყაროს წატეხები
დანაწევრებული ადამიანებით,
არაფერი შეგვახსენებს,
რომ არსებობს გარე—ხეიბარი—მახინჯი—უცხო...
...
ლეიტენანტო,
მომიკიდე სიგარეტს...

შეყვარებულება მინა

ეუენ იონესკოს და სხვებს...

შეყვარებულები არ ითმენენ,
რომ მინას, სადაც ისინი დააბიჯებენ,
სხვადასხვა ქვეყანა ერქვას.
ჩვენ კი ისიც გვანუგეშებს,
როცა ფეხქვეშ ვგრძნობთ,
მინას,
რომელიც არასოდეს არ გვაყვედრის
სქესს და ნაბიჯებს
სხვადასხვა ქვეყანად სახელდებული
ქალაქების ქვაფენილებზე
და თანახმაა, დაყონ, აზომონ,
გაყიდონ და გაასაჩუქრონ,
იფერებს სახელს,
საზღვრებს და დროშებს,
რაც შეყვარებულებს არ ადარდებთ,
მაგრამ ჩვენ ამ საზღვრებში,
დროშისა და სახელის გასწვრივ,
ვოვებთ სიმშვიდეს, სიმყარეს და თავდაჯერებას...
შეყვარებულები არ ითმენენ,
რომ პაემანზე ძველი კაბით გაისეირნონ,
დღეგამოშვებით იცვლიან თმის ფერს
და წვიმაში თავდავიწყებით ილუმშებიან.
ჩვენ კი მივყვებით სეზონების მონაცემეობას
და ხანგამოშვებით აღვნიშნავთ, რომ
რაც დრო გადის,
თითქოს უფრო სწრაფად ტრიალებს
მინა,
რომელსაც ვგრძნობთ ფეხქვეშ და გვეშინა,
ხელიდან არ გამოგვეცალოს...

სხვა ნაკირი

გადახუნებულ მდელოებსაც,
აშმორებულ ჭაობებს და
ნალვლიან წყვილებს
გადაფუჯრინე.
ოქროს მტვერივით
ბრჭყვიალებდნენ
ცხვირწინ ბურნები,-
მზეს უმადლოდნენ.
ის კი-შლებივით ხელგაშლილი-
წვებოდა მთაზე,-
ეფინებოდა “ვარდთა და ნეხვთა”.

იდგა მკათათვე. ცხელოდა და მუხლები მტებდა.

მოზღაუნებდნენ ძროხები და დონდლო ცურებით
დაატარებდნენ რძეს და სევდას-სამყაროს სევდას.
ქალები თივას უმატებდნენ კაცებს ურმებზე,
და ორი მხარეც ალარ ჰქონდა რადგანაც მედალს,

თავი მინაზე ამოვყავი.

ხეები-გზებზე.

ტოტები-ფრთები.

ფრთები-ხელები.

რამდენიც გინდა, აქნიე

და ასავსავე,-

ფაქტია,-ხმები.

და დილაობით, როცა ჩიტები

მილეთის ამბავს გიამბობენ,

ისმენ უბრალოდ, ჩაის წრუპავ და არც გინდება

წერილი გახსნა. წაიკითხო. მერე დახურო.

ან უპასუხო. ან იფიქრო კარგზე ან ცუდზე.

გინდა, გადახდა დაუკვეთო სახლის სახურავს,

და გაუნდრევლად დაელოდო წვეთების ურდოს.

ჰომოპლა!

რა უცხო ნაპირია,-

ტბის პირას დგები.

ზურგს უკან-დია თვალებივით-დაგრჩნენ ცოცხლები;

მტრები, მოყვრები, გამვლელები, ქმები და დები.

სარკეში-წყალში აკვირდები წამხდარ ოცნებას.

სარკეში-წყალში.

შენ-ნარცისი.

ნარცისი-ფერი.

ფერი პირმატის,

და წყალწყალა ხაზები თვალში.

ფეხებქეშ-მინა შემღვრეული,

და ნაწილ-ნაწილ,

სვენებ-სვენებით,

ზოგჯერ ხმაურით, ზოგჯერ ჭენებით,

ფეხაკრეფით და უჩუმრად, ზოგჯერ,

გადაწყვეტ,-რჩები.

და გამართლებად დახაესებულ სიტყვებს

იგონებ,-

წყალდიდობისას სათქმელად და

მოსაჭიდებლად.

წუცებულ დუანიშვილი



ნინო სოზაშვილი

ნაკირი — თავშასავრად

□

ნუციკო დეკანოზიშვილის
ერთი ლექსის გამო

თანამედროვე ქართული პოეზიის მოყვარულთათვის უკვე ნაცნობია ნუციკო დეკანოზიშვილის სახელი. იგი საკუთარი ხმის მქონე, თამამი და მაძიებელი პოეტია. ნუციკო მუდმივად გვთავაზობს ლექსის ახალ ვერსიფიკაციას, ახალ თემებს, არაორდინარულ მიდგომას მოვლენებისადმი, მისი პოეტური ესთეტიკა დახვეწილი და, ამავდროულად, ლალია. მუდმივ ძიებებში არასოდეს იყარგება მისი სულისკვეთება და მკვეთრად დამახასიათებელი ხიბლი, რომელსაც ფრაზის სისადავე და, ამავე დროს, სიძლიურე აგსებს. ახალმა ლექსმა „სხვა ნაპირი“ თავისებური ეშნი და ლაზათი შესძინა მის პოეზიას.

ესაა პოლიმეტრიული ლექსის მეტად საინტერესო ნიმუში. ლექსი ინყება რითმიანი ვერლიბრით, რომელსაც ორიგინალურად ცვლის გამყოფა ტაცპი: „იდგა მკათათვე, ცხელოდა და მუხლები მტებდა.“ აღსანიშნავია, რომ გამყოფი ტაცპი შემდეგი კონვენციური სტროფის რიტმისა და ხასიათის მარეგულირებელია.

მოზღაუნებდნენ ძროხები და

დაატარებდნენ რძეს და სევდას – სამყაროს სევდას.
ქალები თივას უმატებდნენ კაცებს ურმებზე,
და ორი მხარეც ალარ ჰქონდა
რადგანაც მედალს,
თავი მინაზე ამოვყავი.

ტაცპი ალეგორიული ხასიათისაა. აქ შეფარვით, მაგრამ დაფიქრებული მკითხველისათვის აშკარაა სახის-მეტყველება წუთისოფლისა და ახლოა ხალხურ ფილოსოფიურ ლექსთან. „თავი მინაზე ამოვყავი“ კვლავ გამყოფი ტიხარის როლს ასრულებს და კვლავ იცვლება ლექსის საზომი — კონვენციურიდან ვერლიბრისკენ.

აღსანიშნავია, რომ ლექსის ყოველი ვერლიბრის ყაიდის სტროფი ინდივიდუალურობით ხასიათდება და არ იმეორებს თავისითავს, კონვენციური სტროფები კი ერთსა და იმავე რიტმულ საზომზეა აწყობილი და ქმნის ერთიანობისა და ჰარმონიის შეგრძნებას. ამასთან, თითოეული „ტიხარი“ მომდევნო კონვენციური ტაცპის განმსაზღვრული და მარეგულირებელია.

ლექსში განსაკუთრებით ორიგინალურია ბეგერების გათამაშება, რომელიც ნაცრისფერის ასოციაციას ქმნის

თი ხატი. ასევე საინტერესო და მიმზიდველია „ვეფხის-ტყაოსნის“ ალუზია: „ეფინებოდა „ვარდთა და ნეხვთა“.

ლექსი აღვსილია უფლისადმი მადლიერების გრძნობით, რამეთუ უდიმდამო ბურნებიც კი მზის შუქზე ოქროსმიერ ბრნებინვალებას იძენენ.

სტრუქტურული ტიხარი — „იდგა მკათათვე, ცხელოდა და მუხლები მტებდა“ — ლირიკული გადასალა მომდევნო, პასტორალურ სურათ-ხატებზე პირველი კონვენციური ტაეპი მდიდარია ცხოვრებისაული, ხელშესახები ნიუანსებით, ზუსტი მეტაფორულით, პოეტი არ ერიდება ისეთი ეპითეტების წერას, როგორიცაა „დონდლო“, „მოზღაუნებდნენ“ და ა.შ.

პასტორალური ტაეპი, რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აღეგორიულია, დატვირთულია ორაზროვნებითა და ქვეტექსტებით. ლირიკული გმირი მას ზემოდან გადაუფრენს და განხიბლულისათვის „მედალს მეორე მხარე“ უკვე აღარა აქვს. აქ პოეტი იდიომის მზა კონსტრუქციის დაშლას მიმართავს და ახალ — ინდივიდუალურ სტრუქტურას გვთავაზობს — „და ორი მხარე აღარ ჰქონდა რადგანაც მედალს“. სწორედ ამიტომ ლირიკული გმირი კვლავ მინაზე ეშვება, მაგრამ უკვე „სხვა ნაპირზე“.

მომდევნო, ვერლიბრის ფორმის ტაეპში შედარებების სამყარო იშლება. აქ თითქმის არაა გამოყენებული ზმნა, როგორც მეტყველების ნაწილი, და ამ მხრივაც მეტად საინტერესოა სტროფის სტილისაური მხარე:

„ხები — გზებზე“ — ანუ ადამიანები და მათი სავალი გზები.

„ტოტები — ფრთები“ — ანუ ადამიანებს უნდათ ფრენა.

„ფრთები — ხელები“ — ანუ ადამიანური ბუნება.

„ფაქტია — ხები“. — ანუ ადამიანები უძლურნი არიან ბუნების კანონზომიერების წინაშე, ისინი ბერდებიან.

**და დილაბით, როცა ჩიტები
მილეთის ამბავს გიამბობენ,
ისმენ უბრალოდ, ჩაის წრუპავ
და არც გინდება...**

ეს ტაეპი ლექსს მეტ ექსპრესიულობას სძნს. აქ სრული ინდიფერენტულობის განცდა ისადგურებს. ლირიკულ გმირს უკვე აღარ აინტერესებს „მილეთის ამბები“ და ცხოვრების ელემენტარული ნიუანსებით ტებება. აქვე ისმის მკაცრი თვითირონია სრული უმოქმედობის მიმართ. ლირიკული გმირი ჩაფლულია ღრმა სევდაში, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. სახლის სახურავის გადახდა გამოსავალია, რათა წინიმაზ მაინც შეძლოს მისი გამოფხიზლება. მსუბუქი იუმორი, თვითირონია ზოგადად დამახასი-

ათებელია ნუციკო დეკანოზიშვილის შემოქმედებისათვის, ისევე როგორც ფრაზის სიმსუბუქე და გამჭვირვალობა.

„სხვა ნაპირზე“ აღმოჩენის შემდეგ ლირიკული გმირი ცოცხლებში აღარ თვლის თავს, იგი სხვა განზომილებაში იმყოფება. ესაა მისი პოეზიის ნაპირი და მისი თავშესაფარიც.

პოპლა!

რა უცხო ნაპირია,

ტბის პირას დგები,

ზურგს უკან — ღია თვალებივით —

დაგრჩნენ ცოცხლები;

მტრები, მოყვრები, გამვლელები, ძმები და დები, სარკეში-წყალში აკვირდები წამხდარ ოცნებას.

ფინალისკენ მიმავალი სტრიქონები (რომელიც ლირიკული გმირის აშკარა ეგოცენტრიზმითაა დატვირთული და ამას მითოლოგიური ნარცისის გამოყენებით მშვენივრად აღწერს) აურზაურით მიაქანებენ მკითხველს პოეტის იდეალური სამყაროსაკენ. იგი რჩება ამ „სხვა ნაპირზე“ — გადაწყვეტილება უცვლელია.

ფეხებქეშ-მინა შემღვრეული,

და ნანილ-ნანილ,

სვენებ-სვენებით,

ზოგჯერ ხმაურით, ზოგჯერ ჭენებით,

ფეხაკრეფით და უჩუმრად, ზოგჯერ,

გადაწყვეტ-რჩები.

დაბოლოს, ფინალში, ხალხური ანდაზის „წყალწალებული ხავსს ეჭიდებოდაო“ პოეტისეული ინტერპრეტაცია გვხვდება, რომელიც კრავს და კომპოზიციურად ასრულებს ლექსს. ხავსი მოსდებია სიტყვებსაც და, მიუხედავად მოსალოდნელი წყალდიდობისა, ლირიკული გმირი მანც სიტყვას ეჭიდება, რამეთუ „პირველად იყო სიტყვა...“

**და გამართლებად დახავსებულ
სიტყვებს**

იგონებ,

**წყალდიდობისას სათქმელად და
მოსაჭიდებლად.**

ლექსი „სხვა ნაპირი“ საინტერესო და აღსანიშნავია როგორც ვერსიფიკაციული თვალსაზრისით, ასევე შინაარსობრივი პლანით და ქვეცნობიერში ექსპრესიული წიაღსვლებით.

ნუციკო დეკანოზიშვილის ხელნერა — გამოკვეთილი და უცხო, როდესაც პოეტი მხოლოდ თავის „სხვა ნაპირზე“ გვაჩერებს და გვხიბლავს.

სამშაბათს, 1 ივნისს
უურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

როსტომ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა

„მგზავრი
თიპათვის მზავი
(მისაკო ნერათელი)“

მომხსენებელი
რუსუდან ნიშნიანიე

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ჯონ ადამსი

პუნეპითი არისტოკრატიის გამო

ეს წერილი ჯონ ადამსმა კაროლინელ ჯონ ტეილორს მის-
ნერა 1814 წლის 15 აპრილს.

საერთოდ, ბუნებით არისტოკრატიაში უნდა ვგიგულის-
ხმოთ საზოგადოებაზე მოხდენილი ის უპირატესობანი,
რაც ადამიანური ბუნების კონსტიტუციიდან ამოიზრდე-
ბა. „ხელოვნურ არისტოკრატიაში” კი იგულისხმება ის
უთანასწორობანი წონისა და უპირატესობანი გავლენისა,
რაც შექმნილი და დაფუძნებულია სამოქალაქო კანონე-
ბით. ტერმინები მანამდე უნდა განვისაზღვროთ, სანამ
მსჯელობას დავიწყებთ. არისტოკრატიაში ვგულისხმობ
იმ ადამიანებს, ვისაც შეუძლია გასცეს ბრძანება, მოახდი-
ნოს გავლენა ან მოიპოვოს ხმათა უმეტესობა; არისტოკ-
რატს უწინდებ ადამიანს, ვისაც შეუძლია ხმის მიცემა ჩა-
აგონოს თუნდაც ერთ კაცს. ცოტა თუ ვინმე უარყოფს,
რომ არსებობს ღირსებითა და ნიჭით დაჯილდოებული
ბუნებითი არისტოკრატია ყოველ ერსა თუ პარტიაში, ყო-
ველ ქალაქსა თუ სოფელში. უთანასწორობა ნაწილია ადა-
მიანის ბუნებრივი ისტორიისა.

მგონი ჰელვეციუსის გარდა არავინ ამტკიცებს, ბავშ-
ვები თანაბრად გენიალურები იბადებიანო.

ვერავინ აიხირებს, რომ ყველანი ერთი და იგივე წონი-
სა, ხასიათისა, სიგრძისა და ძალისა იბადებიან; დაბადე-
ბისას ერთნაირი ნერვული სისტემა, კუნთების ერთნაირი
მოქნილობა, ერთნაირი აგებულება, სხეულის მოხდენი-
ლობა და სილამაზე აქვთ.

მინახავს პარიზში, მიტოვებულ ყრმათა ჰოსპიტალში (“Enfans Trouves”) ორმოცდაათი ბავშვი ერთ თახახში; ყო-
ველი მათგანი ითხო დღისა იყო; ყველანი ერთნაირ აკვ-
ნებში იწვენენ; ყველას ერთნაირად უვლიდნენ; ყველას ერ-
თნაირად ეცვა; ყველა ერთნაირად იყო განვეულ-მონეს-
რიგებული. მნერივში ჩავიარე თავიდან ბოლომდე და ყუ-
რადდებით დავაკვირდი მათ გამომტკიცებულებას. და არა-
სოდეს მინახავს უფრო დიდი სხვადასხვაობა, ან გამოკვე-
თილი უთანასწორობა პარიზისა და ლიონის ქუჩებში.
ზოგს მწუხარება, სევდა და იმედგაცრუება, ზოგსაც ხა-
ლისი და სიხარული ეწერა სახეზე. ზოგიერთი სიკვდილის
ბრჭყალებში ფართხალებდა; ზოგი ისე გამოიყურებოდა,
თითქოს ოთხ სიცოცხლეს გაივლისო. ზოგი ისეთი შეუხე-
დავი იყო და ზოგიც ისეთი ლამაზი, როგორიც ბავშვები
და უფროსები არიან; ნაწილი ბრიყვი ჩანდა, ნაწილი ნიჭი-
ერი. ესენი თანაბარი უფლებებით დაბადენ, მაგრამ
განსხვავებული ბედისწერით; განსხვავებულ წარმატებას
მიაღწევენ და შესაფერის გავლენასაც მოიპოვებენ ცხოვ-
რებაში.

მსოფლიო წიგნებს
ველარ დაიტევდა, თუკი
ვინმე გამოსცემდა ყვე-
ლა მარგალიტს, რისი
მოწოდებაც კითხვასა და
გამოცდილებას შეუძ-
ლია. ნება მიბოძე ორიო-
დე მაგალითი მოვიტან.

შეუძლია ვინმეს, თუნ-
დაც ჰელვეციუსს, გა-
ნაცხადოს, ყოველი კაცი
თანაბარი ძალ-ლონით
იბადება? განა ჰერკუ-
ლესი უფრო ღონიერი არ
იყო, ვიდრე მისი მეზობ-
ლები? რამდენ ერს მარ-
თავდნენ და თანაც რამდენი საუკუნის მანძილზე მისი ძალ-
ლონითა თუ მისი რეპუტაციის განახლებით შთამომავლობის
წინაშე? ბოლო დროს ჰიუმი, რობერტსონი ან სკოტლენდელი
ბელადები თუ წაგიკითხავთ, ნება მიბოძეთ გყითხოთ, სერ
უილიამ უოლესი სკოტლენდელთა უმრავლესობას ლონით არ
სჯობდა? და განა უოლესი შეძლებდა იმდენის მიღწევას, გან-
საკუთრებული ძალ-ლონები რომ არ ჰქიოდა?

შეუძლიათ ჰელვეციუსსა და რუსოს თქვან, კაცი და
ქალი ერთნაირად ლამაზები იბადებიანო? რომელი ფი-
ლოსოფონი იტყვის, რომ სილამაზე გავლენას არ ახდენს
საზოგადოებაზე? და თუ იტყვის, წაიკითხოს ევას, ივლი-
თის, ელენეს, მშვინერი გაბრიელას, დიანა პუატიეს, პომ-
პადურის, დიუ ბარის, სიუზანა აბიგაილის, ლედი ჰამილ-
ტონის, მისის კალარესისა და მილიონი სხვა ამბავი. განა
დესპოტები, მონარქები, არისტოკრატები და დემოკრა-
ტები ერთგვარად არ ემორჩილებიან ცდუნებას სილამა-
ზისა, როცა არჩევნებისას საითმე გადახრა უნევთ?

სოკრატე სილამაზეს ხანმოკლე ტირანიას უწინდებდა;
პლატონი — ბუნების პრივილეგიას; თეოფრასტე — მუჯ
მჭევრმეტყველებას; დიოგენე — საუკეთესო სარეკომენ-
დაციო წერილს; კარნეადე — დედოფალს, ჯარისკაცების
გარეშე; თეოკრიტე — ყვავილებით დაფარულ გველს; ბიო-
ნი — სიკეთეს, რომელიც მფლობელს არ ეკუთვნის, რადგან
შეუძლებელია გაცეცეთ ან შევინახოთ სილამაზე. მადამ დიუ
ბარიმ კარნეადეს ფილოსოფია უფრო ლაკონური ენით გა-
მოხატა, როცა თქვა, „La véritable royauté, c'est beauté”, ჰემ-
მარიტად, სილამაზე მეფობს. და ასეთივე სიმართლე იქნე-
ბოდა, თუ იტყოდა, რომ ესა ჰემმარიტი არისტოკრატია;
რადგან მას ისეთივე გავლენა აქვს ერთი სახის მთავრობა-
ში, როგორც ყველა სხვაში; და ნარმოშობა არისტოკრატია
ყველაზე უფრო ღრმა დემოკრატიაში, რაც კი არსებობს, და
შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისევე შეურყვნელად, რო-
გორც მთავრობის ნებისმიერ სხვა ფორმაში. რა შეიძლება
ვუთხრათ ყველ ამ ფილოსოფონის, კაცი იქნება თუ ქალი?
განა სილამაზე ბუნების მიერ ნაბოძები უპირატესობა არ
არის, როგორც პლატონი სამართლიანად ამბობს, და ხში-
რად კანონებსა და მთავრობაზე უფრო მაღლა არა დგას და
უფრო გავლენიანიც არ არის საზოგადოებაში, ვიდრე ვარს-
კვლავები, წვივის ორდენები, ჯვრები, არწივები, ოქროს
საწმისები თუ შთამომავლობითი ტიტულები ან სხვა განსხ-



ვავებანი? ბრძენი მოხუცები ვერაფერს გახდნენ სუსანას მომხიბვლელობის წინაშე. პერქენ ბრძენებაცებს აღარ გაჰკვირვებიათ ტროას ომი, როცა ელენე იხილეს. ივდითის დანახვაზე ოლოფერნეს დარაჯებმა თქვეს: „ერთი ასეთი ქალი მთელ დედამიწას აცდუნებსონ“.

და თქვენ გჯერათ, მრ. ტეილორ, რომ ამგვარი ქალის ძმას, ამგვარი ქალის მამას, ამგვარი ცოლის ქმარს ან ამგვარი ქალბატონის მამას, ამგვარი ცოლის ქმარს ან ამგვარი ქალბატონის თაყვანის მცემელს მხოლოდ ერთი ხმა ექნება თქვენს ზნეობრივ რესუბლიკაში? არა ისტორიაში, ფილოსოფიასა ან პოლიტიკაში, მაგრამ მაინც გენიალურო, განათლებულო, კლასიკურო, პოეტურო ბარლო?! მე ვგლოვობ შენს ცხოვრებასა და სიკვდილს. პოპულარობისა და პარტიულობის ნაცვლად ჭეშმარიტება რომ ყოფილიყო შენი მიზანი, შენი პამჟლეტი პრივილეგიური წესრიგის გამო სრულიად სხვა რამ იქნებოდა!

მართალია ყველა ადამიანი თანაბარი უფლებებისათვის იბადება. ყოველ არსებას თავისი უფლება აქვს და ისეთივე ნათელი, ზნეობრივი, წმინდა, როგორც ყველა სხვა არსებას. ეს ისეთივე ეჭვშეუვალია, როგორც ზნეობრივი მთავრობა სამყაროში. მაგრამ იმის სწავლება, რომ ყველა კაცი თანაბარი ძალითა და უნარით იბადება, თანაბარი გავლენა ექნება საზოგადოებაში, თანაბარი ქონება და უპირატესობა — ცხოვრებაში, ისეთივე დიდი სიყალება, როგორც ადამია-

ნის მიამიტობით ბოროტად სარგებლობა, რასაც მიმართავ-დნენ ხოლმე ბერები, დრუიდები, ბრამინები, უკვდავი ლა-მას მსახურები, თვითნასწავლი ფილოსოფოსები საფრან-გეთის რევოლუციისა. ლირსების გულისათვის, მრ. ტეი-ლორ, სიმართლისა და სიქელის გულისათვის, მოდი, ამე-რიკელმა ფილოსოფოსებმა უკუვაგდოთ ასეთი რამ.

მრ. ადამისი მიმართავს ჰიმეროსასა და ვერგილიუსა, ტაციტუსასა და კვინტილიანეს, მუჰამედსა და კალიონს, ედვარდსა და პრისტლის, ან თუ გნებავთ მილტონის ანგე-ლოზებს, იქ, ზევით, პანდემონიუმში განსაჯონ თავიანთი ზუსტი განაზრებებითი ბედი ილბალი, სრული წინასწარ-ცოდნა, საჭიროება და წინასწარგანსაზღვრულობა. პრობლემატურად ეჩვენება იმის შესაძლებლობა, რომ თუ ვინმე გამოჩნდება, ერთის გარდა, ვისაც შეძლება გაიაზ-როს ეს უვრცესი საკითხი თავის საკანონმდებლო პრინ-ციპებში, მას არაფერი ესაქმება ამ უსაზღვროდ წინააღმ-დეგობრივ სფეროსთან. იგი ადამიანებს აღიარებს თავი-სუფალ, ზნეობრივ და ანგარიშმებელ პირებად; და მიი-ღებს ისეთად, როგორიც ღმერთმა შექმნა, და განა მრ. ტეილორი შეძლებს უარჟყოს, რომ ღმერთმა ზოგი კაცი ყრუ გააჩინა, ზოგი ბრმა, და ნუთუ იგი შეძლებს დაამტკი-ცოს, რომ მათაც იგივე გავლენა აქვთ საზოგადოებაში და იმდენი ხმის მოპოვებას შეძლებენ, რამდენსაც ის, ვინც ხედავს და ესმის?

ტომას ბებინგტონ მაკოლეი

ცურვა ულუზოდ

1857 წელს მოხუცემა ლოროდა მაკოლეიმ რადენიმე წერილი გაცალა პენრი ს. რანდოლთან, ტომას ჯეფერსონის ამერიკელ ბიოგრაფიოსთან. ისტორიკოს რანდოლს გაუკვირდა, რომ მაკოლეი არც ჯეფერსონზე იყო დიდი აზრისა და არც ამერიკის კონსტიტუციაზე.

I.

სერ,

გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა წერილისა და, ამასთან, ვაშინგტონის ავტობიოგრაფიისათვის, რამაც ჩემამდე სამი კვირის წინათ მოაღწია; აგრეთვე „ნიუ-იორკის შტატის ისტორიისათვის“, რაც გუშინნინ მივიღე.

ცნობისმოყვარეობით ველოდები თქვენი წიგნის, „ცხოვრება ჯეფერსონისა“, გამოჩენას. ვერ ვიტყოდი, რომ ჯეფერსონი ერთ-ერთი გმირთაგანია, მაგრამ შესაძლოა დამარნმუნოთ, რომ მცდარად ვაფასებ მის ხასიათს.

ჩემი მცირეოდენი გაოცება გამოიწვია თქვენგან შეტყობილმა აბბავმა, რომ თურმე ამერიკელები მას ვაშინგტონის საპირისპირო პოლიტიკოსად მიიჩნევენ, როგორც არიმანი უპირისპირდებოდა პორმუზდა. ვშიშობ, უეჭველია, რომ თქვენი ინსტიტუტები, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, სულ უფრო ჯეფერსონული და ნაკლებად ვაშინგტონური ხდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, უცნაურია, რად-

გან ვიდრე ეს პროცესი მიმდინარეობდა, ვაშინგტონი ღმერთს მიეახლებოდა და ჯეფერსონი სატანასთან დაეჭვებოდა.

რამე შანსი რომ მქონდეს ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებში თქვენი რევოლუციის აღწერისა, დიდი მონადინებითა და მადლიერებით მივიღებდი თქვენს დახმარებას. მაგრამ ახლა ჩემს უპირველეს ამოცანად მიმაჩნია ჰანოვერთა სახლის ზეასვლის გამოვლევა...

II.

დვირფასო სერ,

„ნიუ-იორკის კოლონიური ისტორიის ათხმა ტომშმა მშვიდობიანად მოაღწია ჩემამდე. გარნმუნებთ, დიდად ვაფასებ ამ საჩუქარს. ისინი შეიცავენ საინტერესოს არა მარტო ამერიკელი, არამედ ინგლისელი მკითხველისთვისაც. გთხოვთ მიიღოთ ჩემი მადლობა და გადასცეთ უნივერსიტეტის რეგენტებს.

თქვენი გაკვირვება გამოუწვევია, მაღალი აზრისა რომ არ გახლავართ მრ. ჯეფერსონზე და ოდნავ მაოცებს თქვენი გაკვირვება. დარწმუნებული ვარ, არასოდეს ერთი სტრიქონიც არ დამიწერა და პარლამენტში იქნებოდა, საუბრისას თუ საარჩევნო მიმართვის დროს — როცა აუცილებელია მო-



უცხოთის ცხოვრებიდან

ეფერო მოსახლეობას — სიტყვაც კი არ წამომცდენია იმის მიმანიშნებელი, რომ უმაღლესი ხელისუფლება სახელმწიფოში უნდა ჩაპარდეს მოქალაქეთა უმრავლესობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოების უღარიბება და ყველაზე უვიც ნაწილს. დიდი სანია დავრჩმუნდი, რომ პირნმინდად დემოკრატიული ინსტიტუტები, ადრე თუ გვიანა, მოსპობენ თავისუფლებას ან ცივილიზაციას, ანდა თრივეს ერთად. მჭიდროდ დასახლებულ ევროპაში ამგვარ ინსტიტუტთა შედეგი თითქმის მყისიერია. ამის ნიმუშია ის, რაც ამ ბოლო ხანს საფრანგეთში მოხდა. 1848 წელს იქ დამყარდა პირნმინდა დემოკრატია. მოკლე ხნის მანძილზე სრული საფუძველი არსებობდა დაწყებულიყო საერთო ძარცვა, ეროვნული ბანკოტობა, ახალი გადანაწილება მიწებისა, ფასების უკიდურესი ზრდა, გადასახადთა დამანვრეველი ტვირთი მდიდრებს დასწოლოდა კისერზე ლარიბთა შესანახად და უქარიბის გასაადგილებლად. ასეთი სისტემა ოციოდე წელიწადში საფრანგეთს ისე გააღატაკებდა და გააველურებდა, როგორიც კარლოვინგური საფრანგეთი გახლდათ. საბედნიეროდ, ხიფათი აიცილეს; და ეხლა იქ დესპოტიზმია, ტრიბუნა დადუმებულა, პრესა დამონებულა. თავისუფლება გაქრა, ხოლო ცივილიზაცია გადარჩა. უჭვიც არ მეპარება, აქ რომ გვერდოდა პირნმინდად დემოკრატიული მთავრობა, შედეგად იმაგვეს მივიღებდით. ან ლარიბები გაძარცვავდენ მდიდრებს და ცივილიზიცია დაილუბებოდა, ან წესრიგი და საკუთრება გადარჩებოდა მძლავრი სამხედრო მთავრობის შემწეობით და თავისუფლება დაილუბებოდა. თქვენ გვონიათ, რომ თქვენი ქვეყანა საბედნიერო გამონაკლისია და ეს უბედურება არ შეეხება. გულწრფელად მოგახსენებთ, რომ მე სულ სხვა აზრისა გახლავართ. მჯერა, თქვენი ბედი გადაწყვეტილა, თუმცა ის განსხვავებულია მატერიალური მიზანთა გამო. მანამდე, სანამ ფლობთ უსაზღვრო სივრცებს ნაყოფიერი და ხელუბებელი მინისა, თქვენი მშრომელი მოსახლეობა გაცილებით უკეთ იცხოვებს, ვიდრე ძველი მსოფლიოს მშრომელი მოსახლეობა; და ვიდრე ასე ხდება, ჯეფერსონული პოლიტიკა იარსებებს და არაფთარ უბედურებას არ მოიტანს. მაგრამ დადგება დრო, როცა ახალი ინგლისი ისეთი მჭიდროდ დასახლებული გახდება, როგორც ძველი ინგლისია. ჯამაგირები ისევე შემცირდება და იმერყევებს თქვენთან, როგორც ჩვენთანაა. გაგიჩნდებათ თქვენი მანქესტერები და ბირმინგემები, ასეული ათასობით მუშა დროდადრო უთუოდ უმუშევარი დარჩება. და მაშინ თქვენს ინსტიტუტებს ნამდვილი გამოცდა ელის. გაჭირვება ყველგან ააჯანყებს, აამრისანებს მშრომელებს და განაწყობს საიმისოდ, რომ ხარბად უსმინონ აგიტატორებს, ვინც ჩააგონებენ, ჯოჯოხეთურ უსამართლობაა, როცა ერთს მილიონი აქვს მაშინ, როცა მეორეს ლუკმა-პური არ გააჩნიაო ცუდი წლებისას ჩვენთანაც იყო უკმაყოფილება და ხანდახან მცირე ამბოხებანიც, მაგრამ დიდში არ გადაზრდილა. მაგრამ ჩვენში ღატაკნი არ მართავენ. უმაღლესი ძალაუფლება იმ კლასის ხელშია, რომელიც მართლაც მრავალრიცხოვანია, მაგრამ რჩეული; ეს გახლავთ განათლებული კლასი, რომელიც არის და იცის, რომ უნდა იყოს სილრმისეულად დაინტერესებული საკუთრების ხელშეუხებლობასა და წესრიგის შენარჩუნებაში. ამრიგად, უკმაყოფილებანი მტკიცედ, მაგრამ მაინც დაყვავებითაა ჩახშობილი. ცუდი დრო ისე ჩათავდება ხოლმე, რომ აღმფოთებული ამბოხებულები საკუთრებას არ იტაცე-

ბენ. კელავ გადმოსჩექეფს სახელმწიფოს სიუხვე და ბარაქა; გაჩნდება სამუშაო; ხელფასები გაიზრდება; ყველგან კმაყოფილება და მხიარულება დაისადგურებს. მე მოვესწარი თუ როგორ გაიარა ინგლისმა, სამჯერ თუ ოთხვერ ასეთი კრიტიკული სეზონი, როგორიც აღვწერე. ასეთი დრო დაუდგება ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, თუ ამ საუკუნეში არა, მომავალ საუკუნეში მაინც. როგორ გადაიტანთ ამ კრიზისებს? გულით გისურვებთ, კეთილად გადაიტანოთ. მაგრამ ჩემი გონება და სურვილები განგაშს შეუბყრია და არ შემიღლია უარესი არ წარმოვიდგინო. ცხადზე უცხადესია, რომ თქვენი მთავრობა ვერ შეძლებს დააოკოს შეჭირვებული და მდელვარ უმრავლესობა. რადგან თქვენთან უმრავლესობა თვითონ მთავრობაა, და მდიდრები — ვინც მუდამ უმცირესობაში არიან — მთლიანად მის წყალობაზე არიან დამოკიდებულნი. დადგება დღე, როცა ნიუ-იორკს შტატში ხალხის დიდი ჯგუფი, ვისაც ნახევარი პურიც არ გააჩნია და მეტის იმედი არცა აქვს, აირჩევს კანონმდებელს. ნუთუ საეჭვოა, თუ როგორ კანონმდებელს აირჩევენ? ერთ მხარეს იქნება სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ქადაგებს მოთმინებას, არსებული ნესრიგის პატივისცემას, ხალხის მოთხოვნების ფრთხილ აწონ-დაწონას; მეორე მხარეს კი დემაგოგია, რომელიც გაჭივივის კაპიტალისტთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ და კითხულობს, რატომ უნდა სვამდეს ვინე შამპანურს და სეირნობდეს კარეტით, მაშინ, როდესაც ათასობით პატიოსანი ადამიანი გაჭირვებაში ცხოვრობს. რომელ კანდიდატს აირჩევნ, მეტი პური გვინდაო, შვილების ტირილით დაყრუებული მუშები? სერიოზულად ვშიშობ, რომ ამგვარი დაპირისპირებისას, როგორიც აღვწერე, თქვენ ვერ შეძლებთ ისე მოიქცეთ, რომ კეთილდღეობის დაკარგვა აიცილოთ; ისე მოიცევით, რომ საშიშ წელს ხორბლის მთელ მარაგს შეჭამთ და მომდევნო წელი, შიშისა კი არა, შიმშილისა იქნება. ვშიშობ, აუცილებლად მოიშლება მართვა, რაც გაზრდის გაჭირვებას და ეს კიდევ უფრო წაახდეს ყველაფერს. ვერაფერი შეგჩერებთ. თქვენი კონსტიტუციი არის ცურვა უღუზიდ. როგორც აღვნიშნე, როცა საზოგადოება ამ დაღმი პროგრესს დაუყვება, ან ცივილიზაცია დაიღუბება, ან თავისუფლება. ან რომელიმე კეისარი თუ ნაპოლეონი ჩაიგდებს მძლავრ ხელებში ხელისუფლების სადავეებს, ან თქვენს რესპუბლიკას ისეთივე ძარცვა და გაცამტვერება უწერის XX საუკუნის ბარბაროსათ მიერ, როგორიც რომის იმპერიამ ინვნია V საუკუნეში; განსხვავება ის იქნება, რომ ჟუნები და ვანდალები, რომის იმპერია რომ დააქციეს, გარედან მოვიდნენ, ხოლო თქვენი ჟუნები და ვანდალები თქვენივე ინსტიტუტთა მიერ.

ასე რომ, რაღა თქმა უნდა, ვფიქრობ, ჯეფერსონი არ უნდა მოიაზრებოდეს კაცობრობის კეთილისმყოფელთა შორის. მზად ვარ აღვნიშნო, რომ სურვილები კეთილი ჰქონდა და შესაძლებლობანი — საკმარისი. მისი პირადი ცხოვრების შესახებ უსიამოვნო ამბებს ჰყებიან, მაგრამ არ ვიცი, რა სამხილებს ეფუძნება ეს ამბები და ამიტომ, ვფიქრობ, ან შეთითხონია, ანდა უზომოდ გადაჭარბებული. ეჭვი არ მეპარება, თქვენებული ანალიტიკი ამაზე ინფორმაციასაც მომანვდის და კმაყოფილებასაც მომგვრის.

ინგლისურიდან თარგმნება
პარტა და როსტომ ჩეიიდება

საიდუმლოდ — გულში მცივე პროცესის მარცვლები

I

თამარ შაიშვილაშვილს ესაუზრება ირმა შიომლაშვილი

— ირმა, „ფოთლების ხიდი“ შენი მეოთხე პოეტური კრებულია. როგორ დაიბადა ეს წიგნი და რით გამოირჩევა ნინა სამი კრებულისგან?

— დიდი ხანია მინდოდა ძველი და ახალი ლექსები ერთ გამოცემად შემექრა და ასე ახალ ლექსებთან ერთად ბავშვობისდროინდელი ნაწერებიც „გადამერჩინა.“ მსგავსი სურვილი ალბათ ბევრ შემოქმედს უწინდება; ასეთი წიგნის დაბადების შემდევ გრძნობა, როგორ დაემშვიდობე წარსულ შინაგან გზებს, როგორ ლამაზად გათავისუფლდი ადრეული ასაკის ლექსებისგან და, ამავდროულად, როგორ შეადუღაბე შენი ძველი სამყარო ახალთან...

იმის მიუხედავად, რომ კრებული მშვენიერი გამოვიდა, ვფიქრობ, შედგენისას ცოტა არ იყოს, ვიჩქარე — ასეთი წიგნი დიდხანს უნდა ძერწო, მე კი საქართველოში ყოფნისას ორ კვირაში შეკრიბება ნაწერები, ზოგირთ გამოუქეცენებელ ლექსს ჩემს ძველ არქივში ვეღარ მივაგენი, თანაც ვეცადე წიგნი ნაკლებსევდიანი ყოფილიყო და რამდენიმე საყვარელი სევდიანი ლექსი განზე გადავდე, რაც დღევანდელი გადასახედიდან ასევე ნაჩქარევ გადაწყვეტილებად მეჩვენება, რადგან ჩემი ვერც ერთი წიგნი რამდენიმე ლექსის გადამალვით სევდას ვერ გაექცევა...

— რატომ უწოდე ამ კრებულს მაინცდამაინც „ფოთლების ხიდი“?

— წიგნის სათაური ერთ-ერთი ძველი ლექსიდან ავიღე. ორი წლის წინათ დიუსელდორფში ჩატარებული ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში მქონდა ორენოვანი შემოქმედებითი საძამო ამ სახელწოდებით. მაშინ ვიფიქრე, რომ ახალ წიგნს „ფოთლების ხიდს“ დავარქმევდი...

— „ლექსი თვითონ მწერს“ — როგორ აღიქვამს პოეტი ირმა შიომლაშვილი ამ სიტყვებს.

— როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ვფიქრობდი, რომ ლექსი თვითონ მწერდა. მაშინ ჩემი შემოქმედება ემოციების ნაკადი იყო, ლექსზე თითქმის არ ვმუშაობდი — როგორც „მოდიოდა,“ ისე ვტოვებდი. ახლა ვფიქრობ, რომ ლექსი და პოეტი ერთმანეთს წერს. ლექსზე მუშაობის მოთხოვნილება ალბათ ასაკთან ერთად მოდის....

— შენ პირველი წიგნი ძალზე ახალგაზრდამ — 17 წლისამ გამოიცი. რას ფიქრობ, რამდენად გონივრულია ადრეულ ასაკში წიგნების გამოცემა და ნაადრევი აღიარება?

— ვფიქრობ, ნაადრევი წახალისება არავის აწყენს. გონიერ ადამიანს წარმატება არ გაათამამებს და საკუთარ თავზე მუდმივად იმუშავებს. ჩემთვის ის პარველი წიგნი — „არარსებული სიტყვა,“ — ბავშვურად ლალი გრძნობების გადარჩენაა, და სწორედ ბავშვური გულწრფელის გამო დღემდე უსაყვარლეს კრებულად რჩება....

— „აღარაფერი აღარ შემეძლო სიყვარულის და ტკივილის გარდა“ — ეს სტრიქონები შენი ძველი ლექსიდანაა. რას ნიშნავს შენთვის სიყვარული და ტკივილი?

— ჩემთვის ორივეს ერთი და იგივე დატვირთვა აქვს. როცა მარტო ვიყავი — მტკიოდა. როცა ვიპოვვე — სხვა ფორმით, მაგრამ მაინც მტკივა... ალბათ ვერც ერთის გარეშე ვერ ვიცოცხლებთ ვერც მე და ვერც ჩემი პოეზია...

— „თუ მიუხედები იდუმალ სევდას ძვირფასი ცოლის ბაგეს და თითებს „...შენ გერმანელი მეუღლე გყავს. რამდენად ესმის ქართველი პოეტი ქალის?“

— ვფიქრობ, ერთ დროს ჩემი სულის ნაწილი საინტერესოდ წაიკითხა, რადგან, ეროვნების მიუხედავად, ერთ ენაზე ვსაუბრობდით. ხანდახან კი მაინც ასეთ სტრიქონებს ვწერ: „...შეილების მამა უცხოელია. ვუყვარვარ, მაგრამ ჩემი მაინც ნახევრად ესმის. მეც საიდუმლოდ ვიტოვებ, რომ გულში მწიფე ბრონეულის მარცვლებს ვინახავ.“

— რას ნიშნავს შენთვის, იყო პოეტი, დედა და ქალი?

— სამივე უდიდესი ტვირთი და პასუხისმგებლობაა ჩემთვის.

— „არის წუთები, როცა ლაპარაკი არ შეიძლება“ — ამბობდა მარინა ცვეტაევა. შენთვის ასეთი რომელი წუთებია?

— როცა მძინარე შეილებს დავყურებ.

— „...შეხედე, ცხოვრების უჯრაში თოვლია და შენი ლამაზი შეილები ხარობენ, რომ ზამთარს ფიფქები ნატვრად მოჰყოლია...“ სხვა რა ჩანს „ცხოვრების უჯრაში?“

— ჩემი ორად გაყოფილი ცხოვრების საინტერესო, ყოფის გასამართლებლი დღეები და ლამეები, რომელთაც თოვლასა და მზესთან ერთად შემოქმედებითი მუხტი მოაქვთ.

— „და დღეს გაზრდილმა მეგობრებმა უხმოდ დამტკიცეს მარადიული ბავშვობის და სინათლის გამო...“ როგორ ფიქრობ, პოეტი დიდი ბავშვია?

— ჩემი აზრით, რაც უფრო ბავშვია პოეტი, მით დიდი და ძლიერია ფურცელთან. მთავარია, შემოქმედმა ადამიანმა ისე ცხოვრება მოახერხოს, რომ ცნობისმოყვარე და სუფთა ბავშვი გადაარჩინოს შინაგან სამყაროში, ეს თუ შეძლო, მისი წანერებიც ბევრად მიმზიდველი იქნება.

— ფოლენერი ამბობდა: „სანამ პანანინა თვლები წინიცებს, დრო მკვდარია, გაჩერდება საათი და დროც მაშინვე ცოცხლდება...“ რას ნიშნავს შენთვის დრო?

— დრო ჩემთვის დაუნდობელი რამა, რომელთანაც დიალოგს ვერ გააბამ, ვერ დაუმეგობრდები. შეიძლება წაბიჯი აუწყო ან გაასწრო, მაგრამ ბოლოს მაინც გიღალატებს — წარსულად გაქცევას.

— „ჩემს მიწა-სხეულს ვიღაცა ფატრავს და ცრემლი მახრიბს...“ შენს ლექსებში სიმძაფრითაა დახატული სამშობლოს განცდა. მახსოვს, აგვისტოს ომსაც ძალი-ან ტკივილიანი ლექსით — „ბარათი საქართველოს“ — გამოეხმაურე. როგორია დღეს შენი თვალით დანახუ-ლი სამშობლო?

— ისით, როგორც ამ ლექსში „სამომცდა“: ავადმყოფი და მაინც მშვენიერი, ჩემთვის განუმეორებელი და ძირიფასი....

— შე 10 წელზე მეტია, გერმანიაში ცხოვრობ და, როგორც ვიცი, ქალაქ ბონის რეგიონალურ რადიოს ეთერში უძღვები გადაცემას ქარ-თულ კულტურაზე. როგორც ჩანს, ლექსების წერას ნაყოფიერ ჟურ-ნალისტურ საქმიანობასაც უთავ-სებ...

— ჩემი პროფესია — ტელერა-დიო ჟურნალისტიკა — ძალიან მიყ-ვარს. მიყვარს მიკროფონთან მუშა-ობა. მართალია, ჟურნალისტს უცხო მხარეში ფრთხი ისე ვერასდროს ექნება გამლილი, როგორც საკუთარ ქვეყანაში, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რომ უცხოეთში ჩემი საქმის კე-თების შესაძლებლობა მომეცა. ჩემს ნახევარსასათიან გადაცემებში ვცდილობ გერმანიაში მოღვაწე სა-ინტერესო ქართველებისა და საქარ-თველოზე შეყვარებულ გერმანელ-თა პორტრეტები დაგხატო, ეს არაჩ-ველებრივი ადამიანები გავხსნა, მათი ხმები და გრძნობები შევაგ-როვო და მერე ჩემს არქივში შევინა-ხო...

— შენს ლექსებს გამოხმაურება მოჰყვა უცხოეთში. დიდი ხნის წინათ ითარგმნა გერმანულ ენაზე. ხარ ევ-როპელ მნერალთა გაერთიანება „კოგეს“ წევრი, ეს კვე-ლაფერი მაფიქრებინებს, რომ შენი წილი აღიარება უცხოეთშიც არ გაკლია.

— როცა გერმანიაში პირველად ითარგმნა ჩემი ლექსე-ბი და მოგვიანებით წიგნადაც გამზადდა, აქაურ ლიტერა-ტურულ წრეებში შესასვლელი გზა გამეხსნა და სტიმული მომეცა. რაც „კოგეს“ წევრი ვარ, რამდენიმე საინტერესო დასავლეთ ევროპელი ავტორი გავიცანა და შინაგანი სამ-ყაროც უფრო გამიმდიდრდა, მაგრამ მაინც ყველგან ქართ-ველ პოეტად ვრჩები. ისევ ქართულად ვწერ და რაც უცხო-ელ მკითხველად აღწევს, ყველაფერი თარგმნილია.

— იქნებ ორიოდე სიტყვით „კოგეზეც“ მოგვითხრო?

— მნერალთა ეს გაერთიანება გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა გერმანიაში. დამფუძნებელი იყო ვილ-ჰელმ შარელმანი, რომელმაც მიზნად თავიდანვე ევროპელ მნერლებს შორის შემოქმედებითი და ადამიანური ხიდის გა-დება დაისახა. ამჟამად „კოგე“ 17 ეროვნების 170-მდე მნე-რალს აერთიანებს. გერმანიის ქალაქ მინდენში იკრიბებან. წელიწადში ერთხელ გამოიცემა „კოგეს ანთოლოგია.“

ამის გარდა, ეწყობა შემოქმედებითი სემინარები, რო-მელსაც ორგანიზებას გერმანიაში მცხოვრები ერთი

არაჩვეულებრივი პოლონელი მწერალი ქალი-მათგორცა-ტა პტოსცენსკა უკეთებს. უცხოელ კოლეგებთან ურთი-ერთობა ჩვენთვის, ყველასოთვის, დიდი შენაძენია...

— პირადი ურთიერთობები უცხოელ კოლეგებთან, ალბათ, გეხმარება, რომ გერმანულ და ქართულ თანამედ-როვე პოეზიასთან პარალელები გავლო. რითაა საგუ-ლისხმო ორივე ერის თანამედროვე პოეტური სამყარო?

— გერმანულ თანამედროვე პოეზიაში თვალშისაცემია ძიების პროცესები და ჯერ ვერმიგნებული მთავარი სათქ-მელი. აქ თანამედროვე პოეზია ერამდე, ხალხამდე ვერ აღნევს და, ალბათ, ამიტომ ეპატიება იყოს გაუგებარი და მხოლოდ გარკ-ვეული წრისთვის განკუთვნილი.

ქართველებს სხვანაირი პოეტუ-რი კულტურა გვაქვს, ჩვენთან ხალხს სჭირდება პოეზია და გაუგე-ბარი პოეტი დიდხანს ვერ ისულდგ-მულებს. საბედნიეროდ, ინტერნე-ტის სამუალებით თვალს ვადევნებ ქართულ პოეტურ სამყაროს და ძა-ლიან მიხარია, რომ რამდენიმე ნიჭი-ერი ახალი სახელი გამოიკვეთა.

— შენს დისერტაციაში, რომე-ლიც მეორე მსოფლიო ომის შემდ-გომ პოლიტიკურ ლირიკას მიუძლ-ვენი, საკმაოდ საინტერესოდ გად-მოცი 40-იანი წლების გერმანუ-ლი პოეტური სამყარო, რამდენიმე საინტერესო გერმანელი ავტორიც თარგმნე...

— ვფიქრობ, მაშინ სხვა დრო იყო გერმანიაში — ხალხი ლიტერატურას ენაფებოდა და პოეტის ენა სწორედ ამიტომ გასაგები და ლაბაზი უნდა ყოფილიყო. თარგმნებ-მა, რომლებზეც მაშინ ვიმუშავე, ჩემი სამყარო ძალიან გა-ამდიდრა. მაშინ ალმოვარინ ნელი ზაჟის და გიუნტერ აიხი, ბახმანი და ენცენსბერგერი...

— „ვინ შემიბრალებს უცხო მიწაზე ბელურასავით მცირანს და ამტანს...“ სევდიანი სტრიქონებია, რას და-უმატებდი?

— ალბათ იმას, რომ მართალია, შეგნებული მაქვს, რამ-ხელა სიმდიდრეა ორ კულტურას შორის ცხოვრება, — უცხო ქვეყანაში თავს მაინც ნახევარ ადამიანად ვერძნობ; რომ წლების მერეც ვერ შევიცვალე, ისევ ძალიან ქართვე-ლი დავრჩი და ამიტომ მიჭირს უცხო მიწაზე გაძლება...

— რას ინატრებდი?

— ვინატრებდი, რომ პოეტურმა ენერგიამ არ მიმატო-ვოს და ჩემს ერთისა და ჩემს მკითხველთან ის სულიერი ძა-ფები არ გამიწყდეს, რამაც საქართველოში თქენებს ნანი-ლად უნდა დამაბრუნოს.

— რომ გითხრან, გაუგზავნე ბარათი საქართველო-სო, რას მისწერდი?

— ალბათ ასე მივწერდი: „...დიდი ხანია გამოუგზავ-ნელ ბარათებს გზე, დიდი ხანია ხმამალია არ მითქვამს შენთვის, რომ ძალიან მიყვარხარ. შვილებს უცხო ერი ვუზრდი, გულიც უცხო ტომის კაცს ვაჩუქე, მაგრამ ჩემი



ირმა შიოლაშვილი

უშანგი ჩხეიძე

პოტეს რუსთაველის თეატრიდან ნასვლა

1926 წელს, რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის ნასვლის ერთი და თვალსაჩინო მიზეზი არ არსებობდა. დღეს ყველაფერი წარსულს ეკუთვნის, რადგან ზოგიერთი მთავარი მოქმედი პირი უკვე ასპარეზს ჩამოსცილდა. ამ საკითხებს სრულიად ობიექტურად მინდა მივუდგე, რამდენადაც შევძლებ ვცადო სიმართლის გარკვევა, რადგან მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრიდან წასვლის ნამდვილი მიზეზები ჯერაც გამოურკვეველია ან არადა დამახინჯებული.

1925 წელს, „პამლეტის“ დაგმით, მარჯანიშვილის მუშაობაში ახალი პერიოდი დაიწყო, რასაც რუსთაველის თეატრი უდიდესი ინტერესით შეხვდა. მომავალშიც თეატრი ბევრ საინტერესო დადგმას ელოდა, რადგან კოტეს მთელი რიგი კლასიკოსებს განხორციელება ჰქონდა განზრახული, როგორიც იყო „ორი“, „რიჩარდ III“, „ყაჩალები“ და სხვა. აქტიორებს დიდი და მეტად საინტერესო მუშაობა ელოდათ, თანაც ისეთ ოსტატთან, როგორიც კოტე იყო. ასე რომ, იმ ხანებში კოტესადმი რწმენა და სიყვარული კიდევ უფრო გაიზარდა.

საზოგადოებამაც, რომელიც „დურუჯმა“ გააჯავრა და ექსპრესიონისტული პიესებით დააფრთხო, „პამლეტის“ შემდეგ, თეატრისკენ პირი ისევ იბრუნა.

მაშ რაში იყო საქმე?.. რატომ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ბოლოს კოტე იძულებული გახდა თეატრიდან წასულიყო? ერთი თვალსაჩინო მიზეზთავანი კოტეს ავადმყოფობა იყო, რამაც თეატრიდან მისი დროებითი ჩამოცილება გამოიწვია. ამ დროებითი მოშორებით, იმ ერთმა თუ ორმა პირმა ისარგებლა, რომელთაც კოტე არ უყვარდათ და ახმეტელს წაქეზება, მის თავმოყვარეობაზე მოქმედება დაუწეს – რომ ყველაფერს კოტეს სახელი აქვს, ხოლო მის მუშაობას არავინ აფასებს, რომ კოტე დაბერდა, ავადმყოფია და ახლა, თეატრის ხელმძღვანელობა მან (ე.ი. ახმეტელმა) უნდა აილოს.

ამ შემთხვევაში „დურუჯელებს“ ვეულისხმობ, რადგან მარჯანიშვილს შეტაკება მათთან მოუწია და თეატრში განწყობასაც „დურუჯი“ ქმნიდა. კონფლიქტის დასაწყისში „დურუჯელებში“ კოტეს წინააღმდეგი, როგორც ზემოთ აღვნიშვნე, ერთი ან ორი კაცის გარდა, არავინ ყოფილა. პირიქით, კოტეს წასვლის წინ, მოგზაურობის დროს, ახმეტელის წინააღმდეგ დიდი უქმაყოფილება იყო.

კოტეს წინააღმდეგი მხოლოდ ა... იყო. ჩემთვის დღესაც გაურკვეველია მას კოტე ასე საშინალად რისთვის სძულდა. ეს ყველას შეეძლო გაეგო და შეემჩნია, რადგან მის გამოსვლებში კოტეს მძულვარება მკაფიოდ მოსჩანდა. ამ მძულვარების მიზეზს რიამე საზოგადო ხასიათის საქმის ინტერესებიდან გამოწვეულს, ვერც მაშინ ვხედავდი და ვერც შემდგომში აღმოვაჩინე. ცხადია, ეს მხოლოდ პირადი დამოკიდებულებით, პირადი წყენითა და შეურაცხოფით იყო გამოწვეული. ასეა თუ ისე, ამ ისტორიაში მან თვალსაჩინო როლი ითამაშა.

ის ცდილობდა კოტეს ადგილი ახმეტელს დაეკავებინა და ამ ხერივ ახმეტელზე ზეგავლენის მოსახდენად ყოველგვარ საშუალებას იყენებდა. ახმეტელი მაინც ხანგრძლივად იმაგ-

რებდა თავს, რადგან კოტესგან როგორც სცენაზე, აგრეთვე კერძო ცხოვრებაშიც დიდად დაგალებული იყო.

მაგრამ კაცი ვართ... აღბათ მისი ადგილის დაკავებაზეც ფიქრობდა. მით უმეტეს, როდესაც მარჯანიშვილი ყოველი ახალი დადგმის შემდეგ მას ლოცავდა და ჩევნც გვარწმუნებდა – თვითონ დაბერდა, ხოლო ახმეტელი იმდენად გაიზარდა, რომ თეატრის გაძლოლა თავისუფლად შეეძლო და იმედიც ჰქონდა – თეატრს საიმედო ხელში დატოვებდა.

ასე რომ ახმეტელი, ეჭვი გარეშე, კოტეს ადგილის დაკავებაზე აუცილებლად იფიქრებდა და ეს სრულიად ბუნებრივი იყო.

1926 წლის იანვარში, მარჯანიშვილი იპერაციის გასაკეთებლად საავადმყოფოში დაწვა. ახმეტელი, ფაქტიურად, თეატრის ხელმძღვანელად დარჩა. ამ დრომდე მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის, აგრეთვე მარჯანიშვილსა და კორპორაციას შორის მშვენიერი დამოკიდებულება იყო. შე და ახმეტელი, მარჯანიშვილთან იპერაციის წინა დღეს, 28 იანვარს ვიყავით. მეორე დღეს „დურუჯის“ დღე იყო. მიადიოდა „ლამარა“. თეატრის გარშემო დიდხანს გველაპარაკა და მის დამოკიდებულებაში ახმეტელისა და „დურუჯი-სადმი“ მხოლოდ სიყვარული მოსჩანდა.

აი, სწორედ ამ დროს, როდესაც მარჯანიშვილი და ახმეტელი ერთმანეთს უშუალოდ აღარ ხედებიან, კოტე თეატრს მოცილებულია, მათ შორის თანდათანობითი დაშორება იწყება. ამას ზოგიერთმა პირმა შეუწყო ხელი, რომელთაც მარჯანიშვილთან ენები მიჰკონდათ – ახმეტელს ამუშავებდნენ, ლანდლავდნენ, ყოველგვარ ზომებს იღებდნენ მის შესაძლებლად. ეს ის პირები იყვნენ, რომლებსაც ახმეტელი ეჯავრებოდათ და მის თეატრიდან მოშორებასაც ცდილობდნენ. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა თვითონ არ შეეძლოთ, რისთვისაც მარჯანიშვილი სჭირდებოდათ. მხოლოდ მას ჰქონდა თეატრიდან ახმეტელის გაძევების ძალაცა და უფლებაც. ეს ხალხი თავს არ ზოგავდა – ყოველ მოხერხებულ მომენტში ისინი ცდილობდნენ მარჯანიშვილისათვის შთაეგონებინათ, რომ ახმეტელი გათავსედდა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა.

ახმეტელი მათ ყველას სძულდა. მაგალითად, ორი წლით ადრე, ვიდრე ეს ამბები მოხდებოდა, ახმეტელთან დიდი ჩეუბი და დავა „დურუჯშიც“ ირჩეოდა და მომხდარი უსიამოგნების ნიადაგზე ახმეტელი თეატრიდან წასულიც კი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინვე დაიწყო მუშაობა ძველ აქტიორებთან, რაც „დურუჯის“ პრინციპების უკან დახევას მოსახულებდა.

ამ დროს, კოტე იპერაციის შემდეგ, ავადმყოფობისგან ისე იყო დასუსტებული, რომ მასზე ყველაფერი გადაჭარბებულად მოქმედებდა. სეზონის დასასრული ახლოვდებოდა. კოტე საავადმყოფოდან გამოვიდა, მაგრამ თეატრში სიარული კიდევ არ შეეძლო.

სეზონი დასრულდა. თეატრის დასი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა. მოგზაურობაში ვერიკო ანჯაფარიძე

არ მონაწილეობდა, რადგან ოპერაცია გაიკეთა და წამოსვლა არ შეეძლო. როდესაც გამოკეთდა, მოყიდა კოტესთან, რომელიც ამ დროს ტფილისში იმყოფებოდა და „პამლეტში“ მონაწილეობის ნებართვა სთხოვა.

კოტემ ნება დართო, მაგრამ როდესაც ვერიკო ქუთაისში ჩავიდა, ამსანაგების თხოვნის მიუხედავად, ამეტელმა წარმოდგენაში არ დაუშვა. რასაკვირველია, ეს გამოწვეული იყო ვერიკოსადმი ახმეტელის პირადი დამოკიდებულებით.

ახმეტელიც ოფიციალურად თაგა იძართლებდა – ანჯაფარიძე, თუ ნებას დავრთავ, ჯერ ერთი, უკვე მოგზაურობის მონაწილე ხდება და იძულებული ვიქენებით მოგზაურობის ფული მივცეთ. თანხას მიიღებს არა ერთი, არამედ განსაკუთრებული გამოსვლისთვისო.

ადსანიშნავია, ვინც მოგზაურობაში არ იმყოფებოდა, ის მხოლოდ ჯამაგირს, მოგზაურობის მონაწილე კი გადიდებულ ჯამაგირს (ახლა აღარ მახსოვს რამდენს) იღებდა, რაც მოგზაურობაში მყოფთ დააკლდებოდა. ახმეტელმა განაცხადა: ჩვენს თეატრში არ მინდა ვინმე „გასტროლიორი“ იყოს, რადგან ანჯაფარიძეს მხოლოდ ქუთაისში სურს გამოსვლა.

ერთი სიტყვით, წარმოდგენაში ვერიკო არ დაუშვეს. ეს, რასაკვირველია, კოტეს სულ სხვა სარჩულით გადასცეს: თითქოს ახმეტელმა ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ კოტეს განკარგულებას არ დამორჩილებოდა. ადვილი წარმოსადგენია, მაშინ ეს კოტეზედ როგორ იმოქმედებდა.

გარდა ამისა, მოგზაურობაში, ყოველ ახალ ადგილას ახმეტელი სიტყვით გამოდიოდა და ლაპარაკობდა რეპერტუარზე, ხელისუფლებაზე, თეატრის სახესა და „დურუჯის“ როლზე. როგორც შემდგომში გავიგეთ, კოტეს ატყობინებდნენ, რომ ახმეტელი ცდილობს არსად ახსენოს არც შენი სახელი და არც შენი ნამოლვანარი ქართულ თეატრში. მას ასე თანდათანობით აძულებდნენ ახმეტელს.

ბათუმში ყოფნისას მარჯანიშვილი ჩამოვიდა. ამის წინ ახმეტელის მიმართ „დურუჯელებში“ დალიან ცუდი განწყობა შეიქმნა. ასე რომ, კოტეს ჩამოსვლას ბევრი დიდი სისარულით მოელოდა. სწორედ ამ ჩამოსვლის წინ ბათუმში „დურუჯის“ კრება შედგა, სადაც ახმეტელის წინააღმდეგ აშკარა უკმაყოფილებამ იჩინა თავი და ახმეტელს ბევრი ბრალდება წაუყენეს. უმთავრესად ისინი შეეხებოდნენ უხეშ დამოკიდებულებასა და მის პირად ინტიმურ ცხოვრებას. ბევრის აზრით, კოტეს ჩამოსვლა ახმეტელის თვითნებობასა და თავგასულობას ბოლოს მოუდებდა.

მახსოვს, ერთ საღამოს ბათუმის თეატრთან რამდენიმე კაცი ვიდექით. ვასაძე გამწარებით იძახდა კოტესთან მივალ და ყველაფერს ვეტყვი, რასაც ახმეტელი სჩადისო. ახმეტელის საქმე ცუდათ წავიდოდა, რომ „დურუჯელები“ კოტეს საქციელს არ შეეჩერებინა და მათთვის ახმეტელის

საკითხი სრულიად არ დაევინებინა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ კოტე ბათუმში ჩამოსვლამდე ჩვენზე გაჯავრებული იყო. ესა იგი, „დურუჯელებზე“ და ახმეტელზეც, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოგზაურობიდან ათასგვარ ჭორებს აწვდიდნენ.

ბათუმში მატარებელი ადრე ჩამოდიოდა და მას მხოლოდ ორიოდე კაცი შეხდა, რამაც კოტე კიდევ უფრო გააჯავრა. აქედან აღბათ ის დაასკვნა, რომ დასა აღარაგთარ პატივს აღარ სცემდა. მასზე ყოველი წვრილმანი გადიდებულად მოქმედებდა. ამიტომ თეატრში მოსვლისას ძალზე აღლევებული იყო და თავისი სიტყვა ლანძლვა-მუქარით დაიწყო და დაასრულა. ასე რომ, თუ ზინა დღით „დურუჯელები“ მისი, როგორც მხსნელის, ჩამოსვლას აღფრთვოვანებული მოელოდნენ, რომელიც ყველაფერს გამოასწორებდა, ამ სიტყვის შემდეგ სახტად დარჩენ და საგონებელში ჩავარდნენ. სურათი სრულიად შეიცვალა. მარჯანიშვილმა მაშინდელ ჩვენს განწყობას აღლო ვერ აუდო, რადგან ჭორების წყალობით სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა, სიმართლე კი არავინ აცნობა.

ერთი სიტყვით, მისმა გამოსვლამ ჩვენზე ძალიან ცუდი შაბაბებილება დატოვა – სრულიად დაუმსახურებლად გავილანდეთ, რადგნ მის მიმართ არავითარი დანაშაული არ მიგვიძლოდა და ასეთი საქციელიც ჩვენთვის გაუგებარი იყო. ახმეტელის მიმართაც უკმაყოფილება შენელდა. ახმეტელიც ჩვენ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ლანძლვა მასაც ეკუთვნოდა.

დაიწყო „დურუჯის“ კრებები, სადაც კოტესთან დამოკიდებულებამ ცენტრალური მდგომარეობა დაიკავა და სხვა საკითხები მიიჩემალა, ზოგი კი სრულიად მოიხსნა. მარჯანიშვილმა „ლამარას“ ნახვა აქვე მოისურვა, მაგრამ ვინაიდან დეკორაციები უკვე დატვირთული იყო, ეს სურვილი ვერ აუსრულეს, რაც ისე გაიგო, თითქოს მისთვის პიესის ჩვენება არ უნდოდათ. ამან კიდევ უფრო გააჯავრა. ამას კიდევ ზედ დაერთო უსიამოვნება იმის გამო, რომ წასვლისას მხოლოდ ორმა თუ სამამა კაცმა გააცილა. აქ უკვე შეგნებულად არ გავედით გასაცილებლად, რადგან აღარ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ სადგურზე ჩვენ მისვლა მისთვის სანენად არ დარჩებოდა. ეს უკვე პირდაპირ აჯანყებად ჩაგვეთვალა და კოტეც ბათუმიდან ძალიან გაჯავრებული წავიდა.

ბათუმში მან სცენარი „სამანიშვილის დედინაცვალი“ ჩამოიტანა, რომლის გადალებასაც ზაფხულში აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე გაჯავრებული იყო, მსახიობებს სცენარი მაინც წაგვიკითხა, ვინაიდან სურათში ვჭირდებოდით.

ასე რომ, კოტეს უკვე მაშინ ჰქონდა მოფიქრებული კინოში მუშაობა, რაც მან კრებაზედაც ახსენა და თანაც ირონით დასძინა: თქვენ მე აღარ გჭირდებით, რადგან უკვე



კოტე მარჯანიშვილი

მოგონებათა სპიცრი

დამოუკიდებლად შეგიძლიათ მუშაობათ. რასაკვირველია, მაშინ თეატრიდან სავსებით წასელის არ ფიქრობდა. ეს სიტყვები ჩვენ დასატუქსად წარმოსთხევა და ისინი მხოლოდ შემდგომში შექმნილმა მდგომარეობამ გაამართლა.

ამის შემდეგ კოტე ზესტაფონში ჩავიდა, სადაც დასი ბათუმიდან მიემგზავრებოდა. იქაც მოინდომა „ლამარას“ ნახვა, მაგრამ ახმეტელმა უთხრა: აქ ნუ ნახავ, ახლა სცენაზე ცუდ ტექნიკურ პირობებში მოგვიხდება თამაში. კარგ შთაბეჭდილებას ვერ დავტოვებთ და სჯობს ისევ ტფილისში, ჩვენს თეატრში ინახულოთ. აღსანიშნავია, რომ „ლამარაში“ ახმეტელმა კოტეს ნამუშევარი გააგრძელა. მესამე და მეოთხე აქტები უკვე კოტეს ავადმყოფობის შემდეგ გაკეთდა და ერიდებოდა, რომ მის მიერ ჩატარებული მუშაობა კოტეს არ დაეწუნებინა.

შემდგომში ეს პიესა ახმეტელმა სრულიად უსამართლოდ მიისაკუთრა, თითქოს მის დადგმაში კოტეს მონაწილეობა არ მიეღოს. სინამდვილეში ასეთი ამბავი იყო: პიესა კოტემ დაიწყო. I და II აქტები მოამზადა. აქტიორებთან თითქმის ყევლა სახეზე მუშაობა მან ჩაატარა, რადგან ყევლა მთავარი პირის ხასიათი I და II აქტების სურათებში ირკვეოდა. ზემოთ როგორც ალვინშენ, III და IV აქტები ახმეტელმა გააკეთა. ასე რომ, პიესა ორივეს ნამუშევარი იყო.

„ლამარას“ დადგმაში მარჯანიშვილმა მეტი თუ არა, ნაკლები შრომა არ მიყედოდა. მეტი იმიტომ შეიძლება ითქვას, რომ მთავარ გმირთა ხასიათების გახსნა, პიესის დაწყება, მისი ტონისა და სტილის გამოხატვა, მუსიკისა და დეკორაციების გამორკვევა – ეს თითქმის მთელი პიესის მომზადებას უდრის. ამას ისიც მიუმატეთ, რომ მარჯანიშვილმა არამც თუ დაიწყო, არამედ ორი აქტი სრულიად მომზადებული დატოვა.

პიესას დასასრულებლად ახმეტელმაც, რასაკვირველია, დიდი შრომა ჩატარა, მაგრამ ეს არავითარ უფლებას არ აძლევდა, რომ დადგმა საკუთრად მას მიეთვისებინა, რასაც შემდგომში ჰქონდა ადგილი, როდესაც მარჯანიშვილი რუსთაველის თეატრიდან წავიდა. და რასაც ახმეტელს ზოგიერთი აქტიორი ისე ურცხვად უდასტურებდა, რომ მათ მაგიერ მე ვერძნობდი ხოლმე თავს უხერხეულად. ისე არასასიამოვნო მთაბეჭდილებას ტოვებდა ეს ცრუმონმეობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც კი მაგიდას მოვშორდით და მარჯანიშვილმა მიზანსცენებზე გადაგვიყვანა, პიესას თავიდანვე უკვე ის რიტმი ჰქონდა, რომელსაც შემდგომში „ეროვნული რიტმი“ ეწოდა, რომლითაც ახმეტელი და რუსთაველის თეატრი ამაყობდა, თითქოს ეს მათ აღმოერჩინათ. ასეთი რიტმი მარჯანიშვილის უმეტეს სპექტაკლს ჰქონდა. ამაში ნანარმოებმაც შეუწყო ხელი. ასე რომ, ახმეტელმა მხოლოდ ბოლომდე შეინარჩუნა პიესის ის რიტმი, რომელიც მარჯანიშვილმა და მასხიობებმა პიესის დასაწყისშივე დაისახეს. ახმეტელმა ეს რიტმი შეიძლება კიდევ უფრო გაამახვილოს.

ახმეტელს სამართლიანად სურდა, რომ კოტეს პიესა კარგ პირობებში ენახა და შებეჭდილებაც კარგი დარჩენიდა, მაგრამ კოტე ამ საქციელს სულ სხვანაირად ხსნიდა. თანდათანობით მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის ის იდეალური დამოკიდებულება ფუჭდებოდა, რომელიც მათ შორის არსებოდდა.

მოგზაურობის დასრულების შემდეგ, ტფილისში ჩამოსვლისას თეატრმა წარმოდგენა გაუმართა ფუტბოლისტების

გუნდს, რომელიც „დურუჯის“ სახელს ატარებდა და რომლის შეფებიც ჩვენ ვიყავით. შემოსავალი გუნდის სასარგებლოთ იყო გათვალისწინებული. დასადგმელად „ლამარა“ ავორჩიეთ და კოტეც, რასაკვირველია, საგანგებოდ მოვიწვიეთ.

აღარ მახსოვოს, რომელი აქტის შემდეგ, ყველა მონაწილე (მგონი ფუტბოლისტებიც ჩვენთან ერთად იყვნენ) ფარდის წინ გამოვედით და ახმეტელმა კოტეს სიტყვით მიმართა – განუურნება და თეატრში დაბრუნება მოულოცა.

ახმეტელს სიტყვის თქმა ეზარებოდა და რამდენჯერმე ვთხოვე უარი არ ეთქვა. ეზარებოდა იმიტომ, რომ არ იცოდა მარჯანიშვილი ამ სიტყვას როგორ შეხვდებოდა და უხერხეულ მდგომარეობაში ჩავარდნის ეშინოდა. ეს შემი მაინც გამართლდა. მარჯანიშვილი ლოუიდან ისე გავარდა, სიტყვა ბოლომდე არც კი მოისმინა, რითაც ახმეტელი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა.

მეორე დღეს, მარჯანიშვილთან მთელი კორპორაცია მივედით. ვთხოვეთ აეხსნა, თუ რისთვის იყო ჩვენზე ასე გაჯავრებული. კოტემ თავისი გულმოსვლის ნამდვილი მიზეზი არ გამოამდებარენა და მეტად აღელვებული ისევ ლანდგვას მოჰყვა. გვითხრა, რომ თეატრიდან მიდის – სახალხო სახლში გადავა და დაგვანახებს, თუ როგორ უნდა მუშაობა: „Я буду с Народного дома хлестать Вас по спине“. გვლანდავდა, რომ დაგვარგებ დისციპლინა, თავს გაგვივიდა, გავაფუჭეთ ისეთი პიესა, როგორიც „ლამარა“. ეს რასაკვირველა, განსაკუთრებით ახმეტელს ეკუთვნოდა. კერძოდ, შემსრულებელთა შორის ხორავა გალაზნდა.

ერთი სიტყვით, მისი სახლიდან მეტად ცუდ ხასიათზე გამოვედით – რომ ვერაფრით დავამშეიდეთ მარჯანიშვილი, ვეღარ მოვაპოვეთ დაკარგული ნდობა და ასეთი დიდი რეჟისორი ჩვენგან გაქცევას აპირებდა. თანაც, მარჯანიშვილის ეს დაუმსახურებელი ახირება უკვე მის წინააღმდეგ იმ ხალს ამხედრებდა, რომლებიც სრულიად უდანაშაულონი იყვნენ. მარჯანიშვილს რამდენადაც თანდათანობით ვცილდებოდით, იმდენად ახმეტელს ვუახლოვდებოდით. რადგანაც ის უკვე თეატრის ფაქტიური მეთაური ხდებოდა და მარჯანიშვილთან დამოკიდებულებაში, ისიც ჩვენი ბედის მოზიარე იყო.

მარჯანიშვილის გაჯავრების ერთადერთი ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ მის წარმოდგენაში ახმეტელი მეტად გათავებდა და თანდათანობით მას თეატრს აცლიდა – ასე არამუნებდა მას, ზოგიერთი კეთილისმსურველი. რასაკვირველია, ახმეტელის ნაქეზებლებსაც არ ეძინათ და უსისინებდნენ, რომ ტყუილუბრალოდ ითმენდა მოხუცი და გამოსულელებული ადამიინის კაპრიზებს.

მარჯანიშვილი, ერთი მხრივ, ზემოაღნიშნული მდგომარეობით იყო გაჯავრებული, მეორე მხრივ, ის გარემოებაც ემატებოდა, რომ თეატრში „დურუჯი“ მეტად ძლიერდებოდა და თითქმის მთელ ძალაუფლებასაც ხელში იგდებდა. რამდენადაც ახმეტელი „დურუჯის“ იდეოლოგი და სულისაბარებელი იყო, იმდენად კითხებიც სულ უსაფუძვლებული არ გამოიყენობდა.

მარჯანიშვილის „დურუჯამა“ თითქმის რამდენჯერმე წარათვა ხელმძღვანელის უფლებები. მაგალითად, „დურუჯის“ შეეძლო კორპორაციიდან მსახიობი დავთხოვა და ხელმძღვანელობაც ვალდებული იყო, ის თეატრიდან გაეგდო. სხვას კი თავის კორპორანტებს არავის შემცირებინებდა, თუ კორპორაციის დასტური არ იქნებოდა. ბოლო ხანებში კორ-

მოგონებათა სკივრი

პორაცია ალძრავდა ხოლმე საკითხს ამა თუ იმ მომუშავისთვის ხელფასის მომატებაზე, სწყვეტდა მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებს, რომლებიც არა მარტო „დურუჯას“, არა-მედ მთელ თეატრს შეეხებოდა და თითქმის ყოველგვარი საკითხის მოგვარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

მარჯანიშვილი ხედავდა, რომ „დურუჯა“ თეატრის ხელმძღვანელი ორგანო ხდებოდა. ამიტომაც იყო ჩვენზე გაჯავრებული. მარჯანიშვილს არ შეეძლო „დურუჯასთვის“ ერთი დაკვრით ბოლო მოეღო.

დასახუისში მან „დურუჯა“ არამცთუ თავის ნებაზე მიუშვა, ეიდევაც ეხმარებოდა და ახლა თეატრის ცოცხალ ძალას, მის ბირთვესა და ხერხემალს „დურუჯასთვის“ ნარმოადგენდნენ. ამას გარდა, თეატრის თითქმის მთელი ახალგაზრდობა „დურუჯას“ კანდიდატი იყო.

„დურუჯათა“ შეპროლება არცთუ ისე ადვილი იყო. მისი კედლები შეუვალი და მტკიცე გახლდათ, რადგან 1925-26 წლის სეზონის დასასრულს კორპორანტებს შორის რღვევა და უთანხმოება არ იყო დაწყებული. მარჯანიშვილმა გედევანიშვილთან ერთად (რომელიც ოპერის დირექტორი იყო და რუსთაველის თეატრიც ფინანსურად მას ემორჩილებოდა) დასი შეამცირა და რუსთაველის თეატრის სულ მცირე ნანილი, არ მახსოვე რამდენი, მაგრამ არა უმეტეს 15 აქტიორისა, დატოვა. ეს მარჯანიშვილმა იმისთვის ჩაიდინა, რომ თეატრში შემდეგ ვინც უნდოდა ის მოენვია – როგორც შემოკრებილ, ისე თეატრის გარეშე მყოფ მსახიობებიდნ. მარჯანიშვილმა ასეთი ხერხი იმიტომ გამოიყენა, რომ უნდოდა „დურუჯასთვის“ წერტვა აქტიორთა მიღებისა და დათხოვნის საკითხებში ჩარევის უფლება, ამავე დროს, თეატრში მისი გავლენა საერთოდ მოესპი.

გედევანიშვილი იმდენად აქტებდა მარჯანიშვილს, რამდენადც გედევანიშვილი „დურუჯას“ მტრობდა და აბ ორგანიზაციის დამლაც ცდილობდა. თანაც გედევანიშვილს ძევლი მსახიობები აწუხებდნენ, რომლებსაც თეატრში მოსვლა სურდათ. ისიც უნდა ითქვას, რომ გედევანიშვილს არცთუ მაინცდამაინც უყვარდა მარჯანიშვილი, რადგან სწორედ ის მიაჩნდა „დურუჯას“ მხატვრულ იდეოლოგიად.

ზემოთხსენებული ღონისძიებით „დურუჯა“ და მარჯანიშვილი ერთმანეთს უსათუოდ შეეტაკებოდა. მათ შორის, რომელი მხარეც არ უნდა დაზარალებულიყო, გედევანიშვილი მაინც მოგებული რჩებოდა. სპარსელი პოეტის, საადის ლექსისა არ იყოს, „ან გველი დაილუპებოდა ანდა მტერი“. სარგებლობა ორივე შემთხვევაში უჟრეველი იყო. მათლაც, ისეთი შეტაკება მოხდა, რაგვარსაც ალბათ არც გედევანიშვილი ელოდა. შემცირებაში ვანიკო აბაშიე და პავლე კანდელაცი მოჰყვნენ, რომლებიც „დურუჯაში“ იმ წელს ჩაირიცხნენ. თეატრისთვის ისინი შეიძლება დიდ მხატვრულ ძალას არ ნარმოდგენდნენ, მაგრამ მათი მოხსნა კორპორაციის გარეშე არავის შეეძლო.

კორპორაციის წესდების ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი იყო, რომ თუკი რომელმე კორპორანტი თეატრში არ იქნებოდა მოწვეული ადმინისტრაციის მიერ, მაშინ მუშაობაზე ყველა დანარჩენი კორპორანტი უარს აცხადებდა. ასე რომ, კორპორაციას არ შეეძლო თავისი ორი წევრი დაეთმო, რაც მისი სურვილის გარეშე ხდებოდა.

გარდა იმისა, რომ მარჯანიშვილი ზემოხსენებულ კორპორანტებს ამცირებდა, დასში იწვევდა ძველ მსახიობებს: იმედაშვილს, ზარდალიშვილსა და გელოგანს. კორპორაცია

მარჯანიშვილს არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმებოდა, ვინაიდან ეს მსახიობები, ზარდალიშვილის გარდა, კორპორაციის მოწინააღმდეგება ბანაკიდან იყვნენ. ასე რომ, კორპორაციასა და მარჯანიშვილს შორის უკვე აშკარა კონფლიქტი შეიქმნა.

თუკი კორპორაცია ყველაფერს დათმობდა, ეს მის განიაღებას ნიშნავდა. რასაკივრველა, კორპორაციაც ყოველივეს გრძნობდა და ითვალისწინებდა. კორპორაციას ახლად მოსაწვევე მსახიობების არ ეშინოდა, რადგან უკვე საკმაოდ ძლიერი მსახიობები ჰყავდა, მაგრამ მოსაწვევი მსახიობები სულ სხვა თეატრალური სკოლისა და ტრადიციების აქტიორები, სულ სხვა მსოფლმხედველობის ადამიანები იყვნენ.

გარდა ამისა, მარჯანიშვილს განზრახული ჰქონდა ისინი კორპორანტებისთვის დაეპირისპირებინა და რადგანაც მარჯანიშვილი კორპორაციაზე გაჯავრებული იყო, კორპორაციასაც აღარ სწამდა, რომ მის მიმართ ის სამართლიანი იქნებოდა. აშკარა იყო ისიც, რომ კორპორაცია, რომელიც თანდათან „ადურუჯაბდა“ (თუ შეიძლება ასე ითქვას) მთელ თეატრს, თავის მოწინააღმდეგებს თეატრში არ შემოუშვებდა.

ერთი სიტყვით, მარჯანიშვილსა და კორპორაციას შორის უკვე ბრძოლა გაიმართა. მართალია, მარჯანიშვილი სარდლის უფლებებით იყო აღჭანყდება. ჯარი კი კორპორაცია და მთელი ახალგაზრდობა იყო. თეატრის დანარჩენი წევრები უშცირესობაში იყვნენ. აქტიორთა ბრძოლაში ვერ მონაწილეობდნენ და მთელი კონფლიქტის ჰკრიოდში პასიურ როლს თამაშობდნენ.

თეატრში კორპორაციის ყოველდღიური კრებები დაიწყო და კორპორაცია იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ თუ მარჯანიშვილი კორპორანტების შემცირებას და ახალი პირების მოყვანას არ უარყოფდა, კორპორაცია უკანასკნელ ღონისძიებამდე მიღიოდა და მარჯანიშვილსაც დასთმობდა.

მარჯანიშვილსა და კორპორაციას შორის ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა. მხოლოდ ჭორიკანა ხალხს აროვა მხარისთვის მიჰერნდა გაჯავრების დროს წამოსროლილი სიტყვები, რითაც ხელს უწყობდნენ უთანხმოების გაღრმავებას. მაგალითად, ჩემზე ვიღაც კეთილისმსურველს გადაეცა, თითქოს მეთქვას: ჰამლეტი დამოუკიდებლად მოვამზადე და მარჯანიშვილს არავითარება აბაშიება არ გაუწევიათ. როგორ შეიძლებოდა ამისთანა აბსურდი მეთქვა. ამის მსგავსი არსად წამომცდენია. პირიქით, ლაპარაკში შეიძლება მეტსაც ვანერდი ხოლმე მარჯანიშვილს, ვიდრე ის სინამდვილეში დამეხმარა. ჩემით გაკეთებულ ადგილებასც კი, სადაც მარჯანიშვილი არ დამხმარება – იმ ხანებში ყოველთვის კოტეს ვანერდი ჩემს ნამუშევარს, მეტი დამაჯირებლობა, მეტი წონა რომ ჰქონოდა. ასეთი სიცრუე როგორიც მემოიგონეს, სხვებზედაც ასეთ ჭორებს თხზავდნენ.

მარჯანიშვილმა შეხედა, რომ კორპორაცია არავითარ დათმობაზე არ მიღიოდა. ისიც ესმოდა, რომ თეატრში ყოველდღიური კრებები ტარდებოდა და სხვა ტაქტიკას დაადგა – მსახიობების სათითაოდ დაბარება დაიწყო. მეც დამიბარა. მეოთხა, მსურს თუ არა მასთან მუშაობა. რასაკივრველია, თანხმობა სიამოენტებით განვუცხადე. შემდეგ მითხ-რა, შექსპირის ტრაგედიიდან რომელიმე როლი ამომერჩია, ზაფხულის პერიოდში ამ როლზედ მეფიქრა და მემუშავა. თანაც მკითხა, რომელი მაინტერეს უკვე აშკარა კონფლიქტი შეიქმნა.

მოგონებათა სპიცრი

უარი განვუცხადე – ჰამლეტის შემდეგ ასე უცბად ვერ-ცერთ დიდ როლს ვერ ავარჩევ და ჯერჯერობით თავს შე-ვიკავებ-მეთქი. კოტებ მაინც მითხრა, რომელიმე როლზე უსათუოდ მეფიქრა.

შემდეგ ვასაძე გამოიძახა, როგორც თვითონ გადმოვვ-ცა, კოტებ რეჟისორობა შესთავაზა და თან დასძინა: საჭი-როა ახმეტელს ფრთები შეეკვეცოს (ნუჯი ემუ პიდრევ-ათე კრის). ვასაძეს რეჟისორობაზე უარი განუცხადებია, მაგრამ სრული თანხმობა უთქამს მარჯანიშვილთან მუშა-ობაზე. შემდეგ მარჯანიშვილმა ხორავა გამოიძახა. მეში-ნოდა ხორავას რაიმე შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, ისე იყო გაჯავრებული კოტებზე, მაგრამ ხორავამ ძალიან ზრდილობიან ფორმებში სრული თანხმობა განუცხადა. მართალია, სათითაოდ პრინციპულად უარს არ ვეუბნებო-დით, მაგრამ კორპორაცია მარჯანიშვილთან მუშაობაზე უარს აცხადებდა, ვიდრე შემცირებულ კორპორანტებს არ აღადგენდა და არ უკუაგდებდა აზრს, თეატრში ძევლი მსა-ხილების მოყვანის შესახებ. ასე რომ, ეს ჩვენი საერთო აზ-რი მარჯანიშვილმა იცოდა.

მარჯანიშვილი ახალგაზრდა მსახიობების ცალკე გამო-ძახებას შეუდგა. ჩვენ წინასარ მივიღეთ ზომები. რადგან თითქმის ყველა ახალგაზრდა აქტიორი კორპორაციის კან-დიდატი იყო, გადაწყვიტეთ მათთან დ. ანთაძე და ალ. გვე-ლესანი გავვეგზავნა, რომლებიც დააჯერებდნენ კორპო-რაციისთვის დაქვიდა მარჯანიშვილთან მუშაო-ბაზე უარი განეცხადებინათ, რადგან კორპორაციის საერ-თო ინტერესები არ შებალულიყო. მართლაც, კანდიდატ-თა უმრავლესობამ მარჯანიშვილს უარი განუცხადა. ასე რომ, კორპორანტები მარჯანიშვილს თუ სათითაოდ მაინც თანხმობას უცხადებდნენ, კანდიდატებმა ჩვენ გადაგვა-ჭარბეს. ადვილი წარმოსადგენია, ყოველივე როგორ იმოქ-მედებდა, თან რა დაემართებოდა მარჯანიშვილს. თეატრში ის ძალიან აღლევებული მოვიდა და ადმინისტრატორ ცელმს (რომელიც ამ დროს თეატრთან შემთხვევით შეეფე-თა) მოსთხოვა მისთვის ახლავე გაესწორებინათ ანგარიში. ამის შემდეგ მარჯანიშვილი თეატრში აღარ მინახავს.

„ჰამლეტის“ შემდეგ, ჩემთვის ერთი თვის დასვენება მა-ინც იყო აუცილებელი. მე უარი განვუცხადე „სამანიშვი-ლის დედინაცვალში“ გადაღებაზე და ოცი დღით საირმეში წავედი. ამ დროს მომხდარი ამბები დანვრილებით აღარ ვი-ცი, უბრალოდ არ დავსწრებივარ. მხოლოდ ვიცი, რომ მარ-ჯანიშვილი სოფელ რიონში წავიდა, სადაც სურათში გადა-სალებად მსახიობებიც წაიყვანა. სოფელ რიონში თანდათან კიდევ უარესდებოდა დამოკიდებულება მარჯანიშვილსა და კორპორაციის შორის. აქვე მოხდა მარჯანიშვილისა და ახმეტელის მოლაპარაკება, სადაც მარჯანიშვილი ისევ და-ბეჭითებით მოითხოვდა აბაშიძისა და კანდელაკის დათხოვნას, მათ ნაცვლად ძევლი მსახიობების შემოყვანას.

ახმეტელი კორპორაციის პოზიციას იცავდა და მარჯა-ნიშვილს არწმუნებდა, რომ ეს თეატრის მხატვრული სახის აღრევას გამოიწვევდა. თავის მხრივ, მარჯანიშვილი ამტ-კიცებდა, რომ მისი საქმეა თეატრის მთლიანობის შენარ-ჩუნება, რასაც შესძლებდა კიდევაც. ერთი სიტყვით, მარ-ჯანიშვილი და ახმეტელი ვერ შეთანხმდნენ და ახმეტელი გამობრუნდა ტფილისა.

1926 წლის აგვისტოში საირმიდან ზესტაფონში ჩამოვ-დი, რათა რამდენიმე დღე მშობლებთან დამეყო. არ გასულა

ერთი კვირა, რომ ტფილისიდან კუკური პატარიძე ჩამოვიდა, რომელიც იმ ხანებში კორპორაციის მორიგე მამასახლისი იყო. მე და დოდო ანთაძეს (რომელიც აგრეთვე ზესტაფონში იყო) გვთხოვა მასთან ერთად სოფელ რიონში ავსულიყავით, სადაც კოტებ და მსახიობები „სამანიშვილს“ იღებდნენ.

მეორე დილას ქუთაისში ჩავედით და ნასაღილევს ეტ-ლით სოფელ რიონში გავემზავრეთ. რატომდაც არასწორი გზით (ახლა არ მახსოვეს რატომ, მგონია გზა არ ვიცოდით) წავედით, რის გამოც საჭირო შეიქნა რიონზე გადასვლა. მდინარეზე გადასასვლელ ადგილას მისვლისას მენავე არ დაგვხვდა. ერთხანს ვიცადეთ და როდესაც მენავის ლო-დინში იმედი გადაგვიწყდა, გალმა მომავალ პატარა ბიჭს დავუწყეთ ძახილი, რათა სოფელში მყოფ ვასაძისთვის ეთ-ქვა, რომ ჩვენთან ჩამოსულიყო. ვიფიქრეთ, ვასაძეს ეცო-დინებოდა გადასვლა როგორ შეიძლებოდა, ან მენავე სად იშვებოდა, ვასაძე დავასახელეთ არა რაიმე განზრახვით, არამედ იმიტომ, რომ მასთან სამივე კარგ განწყობაში ვიყა-ვით და მეორეც, სულ ერთი იყო ვინც არ უნდა ჩამოსული-ყო და გადასვლამი დაგვემარჯებოდა.

ამ აბავს ძალიან არასასიამოვნო შედეგი მოჰყვა. პატა-რა ბიჭი დაგვიპირდა, რომ ჩვენს თხოვნას სოფელში მყოფ მსახიობებს გადასცემდა. ეს ბიჭი გზაში შემთხვევით შეხვ-და ქუთაისში ეტოლით მიმავალ მარჯანიშვილს, რომელსაც თან ახლდნენ: მისი ცოლი დონაური, ცოლის ბიძაშვილი, რეჟისორი ბერიშვილი და კიდევ სხვები, რომლებიც ახლა აღარ მახსოვს. პატარა ბიჭმა მათ მიმართა, თუ რომელი იყო ვასაძე. როდესაც კითხეს, რად გინდა ვასაძეო, ბიჭმა უბასუხა – გალმა სამი კაცი იცდის და მითხრეს ვასაძე მოგ-ვიყანეო. მარჯანიშვილმა და მისმა მხლებლებმა მიასწავ-ლეს, რომ ვასაძე სოფელში იმყოფებოდა და ქუთაისისკენ გზა განაგრძეს. შხოლობ ძალიან დააინტერესათ, თუ ვინ იყო ეს სამი კაცი, რომლებიც სოფელში არ მიდიოდნენ და ვასაძეს იძარებდნენ.

ამასობაში მენავეც მოვიდა. მეორე მხარეს გადავედით და სწორედ იმ დროს ამოვემერით გზაზე რიონის ნაპირი-დან, როდესაც მარჯანიშვილის ეტლიც მოგვიახლოვდა. კოტეს დანახვა ძალიან გაგვიხარდა, ყოველ შემთხვევაში მე მაინც მხიარულად მივესალმე. გამიკვირდა, რომ კოტეც და მისი ოჯახიც გულცივად შეგვხვდა, თითქმის არაფერი არ გვითხრა და გზა მალე განაგრძო.

კოტეს ასეთი საქციელი ძალიან გამიკვირდა. მხოლოდ შემდგომში გამოირკვა, რომ კოტემ მიგვილო, როგორც სა-იდუმლოდ მისული პირები, რომლებიც სოფელში არ უნდა გამოჩენილობებით ვასაძე განვითარებინათ. სანინააღმდეგო აზრში კოტე შემდ-გომშიც არ რნმუნდებოდა, როდესაც რუსთაველის თეატ-რიდან ნამოვედი და მასთან ვმუშაობდა.

კოტეს მაშინ თურმე მომავალი დასის სია მიჰქინდა და ტფილისში მომავალი სეზონის საქმეების მოსაგვარებლად მო-ემზავრებოდა. ჩვენი, და განსაუკრებით კი ჩემი, დანახვის შემდეგ უთქვამს, რომ მუშაობა აღარ ლირდა და გადაწყვიტა თეატრის ხელმძღვანელობაზე უარი განუცხადებინა. ქუთაის-ში მისა ლორთქიფანიძესაც უთხრა, რომ საქმეს თქვენ თვა-თონ უნდა მოუაროთ და საესპილო ვანებზე თავს თეატრს. იმ ხანებში კოტეს განსაუკრებით ვუყვარდი და როდესაც დაი-ნახა, რომ მეც მის წინააღმდეგ შეტემულებაში ვმონანილეობ-დი (რასაკვირველია, მისი აზრით) ძალიან ენყინა.

მოგონებათა სკივრი

სინამდვილეში კი მსგავსი არაფერი იყო. პირიქით, წას-ვლისას დიდი სურვილი მქონდა საქმე კარგად დაბოლოვე-ბულიყო. სიმართლე და საქმის ნამდვილი მდგომარეობა გამეგო და კოტე თეატრიდან არ წასულიყო. კოტეს ყველ-გან დალატი ეჩვენებოდა და მეტისმეტი სიფიცხის გამო, ამბის გამორკვევასაც აღარ ელოდებოდა ხოლმე.

მისი ახლობლები არამკუთ არ იფარავდნენ ასეთი შეცდომებისგან, არამედ ისედაც ფიცხსა და ეჭვიან ადა-მიანს საწინააღმდეგო ქმედებებში უწყობდნენ ხელს. მი-სი ოჯახი გადაგვარებული ქალებისგან შედგებოდა, რო-მელთაც არც უყვარდათ და არც ანტერესებდათ, რო-

გორც ქართული თეატრი, ისე საერთოდ ქართული კულ-ტურა. მათ მხოლოდ პატარა, წერილმანი, ყოველდღიური ადამიანური ინტერესები ამოძრავებდათ და ასეთი ხალხი კარგს არაფერს გააგონებდა და ვერც რაიმე გონიერს ურჩევდა.

კოტე ჩავიდა თუ არა ტფილისში, ცეკაში გამოცხადდა, სადაც ახმეტელიც გამოიძახეს. როგორც დამსწრენი ამბო-ბენ, იქ კოტემ უარი განაცხადა, მაგრამ მაინცდამაინც მგონი ახმეტელმაც არ მოინდომა. მას უსათუოდ აცდუნებ-და და იზიდავდა ის პერსპექტივები, რომელიც მარჯანიშ-ვილის თეატრიდან წასვლით, მის წინ იშლებოდა.

მინაცერის მაგიერ

უშანები ჩევიძის სესაციური მოგონება

უშანები ჩევიძის დღემდე გამოუქვეყნებელი მოგონება „კო-ტეს რუსთაველის თეატრიდან წასვლა“ (საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი. უშ. ჩევიძის ფონდი. ფ. 1. საქმე №570. ხ—16888. საქალალდე №9) მრავალმხრივა საინ-ტერესო. მასში ასახულია რუსთაველის თეატრში არსებული ფარული, თუ აშკარა დაპირისპირებები, რამაც მოგვიანებით კოტე მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლა განაპირობა.

მოგონებაში მოცემული რუსთაველის თეატრის 1924-26 წლების შემოქმედებითი ანალიზი, აგრეთვე კ. მარჯანიშვილ-სა და ს. ახმეტელს შორის თავიდანვე კარგ ურთიერთობას თანადათანობით დაძაბენ და უკიდურესად გამნვავება, თუ რა ვითარებებმა განაპირობებს კონფლიქტური სიტუაციის შექმ-ნა, რამიც გვარების დაუსახელებლად მსახიობთა გარკვეულ ჯეფსაც მოიხსენიებს.

უშ. ჩევიძე გაბედულად ასახელებს იმ მიზეზებს, რამაც დასი კ. მარჯანიშვილის ნინააღმდეგ განაცყო და ახმეტელის მხარეს გადავიდა. ასევე თამამად არის მოცემული კ. მარჯა-ნიშვილის მერდ დაშვებული შეცდომები და დასის მოთხოვნე-ბის გაუთვალისწინებლობა. ესენია: კოტეს ავადმყოფობა, მი-სი ბათუმში ჩასვლა და დასთან ლანძღა-მუქარით საუბარი, დასის შეცირების მცდელობა, კორპორაციასა და მარჯანიშ-ვილს შორის კონფლიქტის გაღრმავება. უშ. ჩევიძე პირდაპირ წერს, რომ მასწავლებელს თავისი აღზრდილება დაუპირის-პირდნენ და ბრძოლა გაუმართეს: „ამ საკითხს ახლა, სრული-ად იმიურებულად მინდა მიუუღდე, რამდენადც შევებულ ვცა-დო სიმართლის გარკვევა, რადგან მარჯანიშვილის რუსთავე-ლის თეატრიდან წასვლის ნამდვილი მიზეზი ჯერაც გამოურ-კვეველია, ან არადა დამახინჯებული“.

ამ მოგონებიდან ის ვითარებაც კარგად ჩანს, რომ მრ დიდ ხელოვანს შორის ურთიერთობის დაძაბენ მხოლოდ „ლამარას“ დადგმაზ არ განაპირობა, რასაც წინ უძლოდა მარჯანიშვილისა და „დურუჯას“ შორის კონფლიქტური ვითარების შექმნა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, თუ როდის ნახა მარჯანიშ-ვილმა პირველად სპექტაკლი „ლამარა“, ვინაიდან ამის შესა-ხებ არსებობს თამარ წულუკიძის, მიხეილ ყვარელაშვილის, აკაკი ვასაძისა და დოდო ანთაძის ნინააღმდეგობრივი მოგო-ნებები.

უშ. ჩევიძე არ არის მართალი, როდესაც წერს — თითქოსდა ახმეტელმა „ლამარას“ დადგმა უსაბრთოლოდ მისაკუთრა. ამ შემთხვევაში უშ. ჩევიძე ვერ ასხვავებს 1926 წლის მარჯანიშ-ვილ-ახმეტელის დადგმას 1930 წელს ახმეტელის მიერ დადგ-მულ სრულიად დამოუკიდებელი სპექტაკლისგან. ორივე ნარ-

მოდგრენა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა და ყოვლად შეუძლებელია ახმეტელს მიმთვისებელი ენდონს. მითუმეტეს, როდესაც სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრი-დან წასვლის შემდეგ მოიხსნა. ამაზე მეტყველებს ორივე სპექ-ტაკლზე არსებული რეცენზიები, თეატრალურ მოღვაწეთა მე-მუარები და არაერთი სამეცნიერო გამოვლევა.

უნდა აღინიშონს, რომ უშ. ჩევიძე ისეთ დეტალებს იხსენებს, რაც სხვათა მოგონებში არ გვხვდება და უკეთ წარმოაჩენს პი-რად ურთიერთობათა სირთულეებსა თუ ინტრიგებს, რომელიც თეატრალურ ცხოვრებაზე ზეგავლენას ახდენდნენ. ნათლადაა წარმოაჩენილი კ. მარჯანიშვილსა და „დურუჯას“ შორის არსე-ბულ ბრძოლის მიზეზებს. იგი დაუფარავად საუბრობს უკომპ-რომისონ დაირისპირებასა და არსებულ ინტრიგებზე.

აუცილებლად უნდა აღინიშონს, რომ უშ. ჩევიძის, აკ. ხო-რავას, აკ. ვასაძის და და. ანთაძის მოგონებებში ერთიანი აზრი იკვეთება კ. მარჯანიშვილის ხასიათის სიფიცხის, დასზე გა-ნაწყების, თეატრიდან წასვლის შესახებ, რამიც მნიშვნე-ლოვან როლს ობიექტურ გარემობათა გარდა, თამაშობდა მოარული ჭორები, მარჯანიშვილისა თუ ახმეტელის მხრიდან ენის მიმტანები. ყურადღებამისაცევია ისიც, რომ უშ. ჩევიძე ზოგ ეპიზოდში დაუფარავად ადანაშაულებს კ. მარჯანიშვი-ლის გარემოცვასა და ოჯახის წევრებს, როგორც კონფლიქ-ტის ნამეტებლებს.

უშ. ჩევიძის ამ მოგონების ფრაგმენტი შესულია ს. ახმე-ტელის კრებულის პირველ ტომში, (კრ. „სანდრო ახმეტელი“ (დოკუმენტები და ნარკვევები), სთს, 1978, გვ. 454.) სადაც აღ-ნიშნულა, რომ დედან თითქოს დაკარგულად ითვლება. სი-ნამდვილეში იგი დაცულია საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმის ფონდში.

ვულინერბოთ, რომ ამ მოგონების გამოქვეყნება ზოგ პირს ხელს არ აძლევდა, ვინაიდან უშ. ჩევიძე დაუფარავად საუბ-რობს კ. მარჯანიშვილის გარემონ შექმნილ ვითარებებზე, მის პირველ ნაკლასა, თუ ღირსებებზე, კორპორაცია „დურუ-ჯას“ პაზივებზე, ჩანს, რომ უშ. ჩევიძე გარკვეულ საკითხებ-ში კ. მარჯანიშვილს არ ეთანხმება და ხშირად გამართლებუ-ლია ს. ახმეტელის გადაწყვეტილებები. ეს მოგონება იმ გარე-მოებასაც ცხადყოფს, რომ კოტეს რუსთაველის თეატრიდან წასვლაში ის მსახიობები მონაცემების წილი, რომელიც თეატრი-დან ნასულიყო, მაგრამ შექმნების ლეგენდა — თითქოსდა სი-ცოცხლის ბოლომდე მის ერთგულ მონაცემებად დარჩნენ (კო-მენტარი უფრო ვრცლად ის. „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“, შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტე-ტი, 2008, №4, გვ. 94-100).

გუბაზ მეგრელიძე

ნოშრევან არაბული

სიტყვა, ენა, მცერალი

პირველთაგან ყოფილა სიტყვა...
იქნებოდა კიდეც!

ღვთის ნებას წინ ვინ და სად და
როდის აღდგომია.

ოღონდ ახლა ბიბლიურ ჭეშმარი-
ტებათა ლაპირინთში შეღწევას აღარ
შევეცდები, სათუოა, ეგებ ვერც შე-
ვაღნიო, ანაც, მერმედ, იქიდან გამოღ-
ნევა გამიჭირდეს.

მწერალი რომ ხმარობს, ჩვეულებ-
რივი ან არაჩვეულებრივი მოკვდავი
რომ ხმარობს, იმ სიტყვაზე მინდა მო-
გახსენოთ, ისიც ხომ ღვთიურია,
ოღონდ უფრო ხელმისაწვდომი, ანუ
ვისთვის და როგორ და რამდენად.

გააზრებულ ბგერათა კარგად, ლა-
მაზად დალაგებული ერთობლიობა,
ანუ ფრაზეოლოგია, ჯერჯერობით
მხოლოდ ადამიანთათვისაა დამახასი-
ათებელი, მხოლოდ ადამიანები ფლობენ ბგერათა წერი-
ლობით გადაცემის საშუალებასაც.

მწერალი თავისი „სოფლის“, ანუ „ქვეყნის“ მშენებლო-
ბას ასოს მოხაზუით იწყებს. სულან-საბას იგავში სხვანაი-
რად ხდება, ყოველდღიურ ცხოვრებაში — სხვანაირად, იქ,
ხელოვნებაში კიდევ სულ სხვანაირად, ანუ „ქვეყნის“ შენე-
ბის მეთოდი ყველას თავისებური აქვს.

და მწერალი ჯერ ასოს ჩააგდებს ბალავერში, ბგერას, მწერლების მეტყველებაში ხომ ბგერები ასოების დუღა-
ბია, სიტყვათა და ფრაზათა დუღაბია, პოეტებისათვის —
მითურრო!

მერმედ იმ ასოზე სიტყვას შემოდგამს, სიტყვაზე — წი-
ნადადებას და ასე და ასე შემდევ და შემდევ და შენდება ის,
რასაც ვერა კაცი ვერ მოიმოქმედებს ისევ და ისევ ღვთიუ-
რი ხელდასხმის გარეშე.

და ეს გახლავთ ურთულესი პროცესი, ნეტარების ყვე-
ლასათვის მიუწვდომელი განცდა...

აი, ცხონებული გიორგი შატბერაშვილი...

როგორც მისდევს თითოეული სიტყვის ფესვს, მისდევს
და მიჰყება და ჩაბდაუჭება და მიაღვევს საუკუნების
სიღრმეში გათანგულ წყვდიადს, რომ მიაგნოს და დარ-
წყულდეს და ჩვენც დაგვარწყულოს თავანკარა ქართლუ-
რის პირველყოფილი ხიბლით.

სტილი — ყველაფერიაო, უთქვამთ, და რაზე შენდება სტი-
ლი? ენაზე. სტილი ხომ მწერლის აზრივნების სამოსელიცაა.

მდიდრული ზიზილპიპილა ვერც სამოსელსა და ვერც
მის მფლობელს ვერაფერს შემატებს, პირიქით კი შეიძლება
რომ მოხდეს. ვერც გაცვეთილი და უგემოვნო სამოსელი
გამოდგება ღირსების ნარმოსაჩენად.

როგორი სადა და ბუნებრივია გიორგი შატბერაშვილის
ენა, როგორ ესათუთება სიტყვას, ეფერება, ელოლიავება,
ზელს, ჰქმის და ზუსტად იმ ადგილზე სვამს თვეისი „ქვეყ-
ნის“ ედელში, სადაც ყველაზე უფრო უპრიანია. ისეთი გან-
ცდა გაქვს, ყვავილივით უჭირვესო ხელში სიტყვა, ანაც ან-
თებული სანთელივით. არის ვინმე კიდევ ჩვენს მწერლობაში,
შემოქმედებითი პროცესის თანადროულად რომ დასდო ამ-
დენი ღვანლი სიტყვის ძებას, აღდგენას, შენახვას და ლამის,

უხეშად რომ ვთქვათ, ფიზიოლოგიურ
კვლევას? რამდენი „თვალადია“ საქარ-
თველოში, მაგრამ მან ერთმა მოგვცა
ერთი სოფლის ისეთი ლექსიკონი, რო-
მელმაც შეავსო ცნობილ ლექსიკოლოგ-
თა გამოცემები და გაამდიდრა სალიტე-
რატურო ენა იმ ლექსიკით, რომლითაც
მეტყველებენ და მეტყველებდნენ ქართ-
ველი გლეხები — ჩვენი სამწერლობო
ენის ძარღვნი და სისხლი და ხორცი.

მამული, ენა, სარწმუნოება,
თუ ენა, მამული, სარწმუნოება,
ან — სარწმუნოება, მამული, ენა?

ესეც კადნიერთათვის მიუწვდომე-
ლი სფეროა, არც იქ შეღწევას შევეცდე-
ბი, ოღონდ — ფაქტია: ნახევარი მამუ-
ლი, როგორც ახლა იტყვიან — გავასხ-
ვისეთ, თანაც, ზოგიერთი პროვინცია
ისედაც, რომ ქართული სისხლი წვეთიც
არ დაღვრილა.

სარწმუნოების ციტაცელსაც ეჯაჯგურებიან ათასი
ჯურის რწმენაშერყეულებინი და მედროვებინი.

აი, ენაზე კი — იერიში იერიშზე მიაქვთ. ირყევა და ზან-
ზარებს და კვენესის და ტორტმანებს მშობლიური ენის გო-
დოლი; უცხოენოვან ფაკულტეტებს შეესია ფეხის ხმას
აყოლილი ახალგაზრდობა. თვალადური ქართულით ყელს
სად მოიღერებენ!.. გამეფდა ქართულისათვის არაბუნებ-
რივი ინტონაციები, ტელევიზიდან ხო...

აბა, ერთ დღეს, ერთ ნებისმიერ სატელევიზიო არხს,
ერთი-ორი საათით ყურადღებით მოუსმინეთ ხელში კალ-
მითა და ფურცლით და აღნუსხეთ გრამატიკული ლაფსუ-
სები; მერმედ ის ნუსხა გადაამრავლეთ ყველა არხზე და,
ნელინადი მეტისმეტი მოგვივა, თვის თცდაათ დღეზეც.
თმა ყალყზე დაგიდგებათ! ქვემდებარესა და შემასმენელს
რომ ვერ შეათანხმებს რიცხვში ზოგიერთი მეცნიერი თუ
პარლამენტარი თუ მინისტრი...


მადლი უფალს, რომ ერთმანეთს მაინც როგორდაც ვა-
გებინებთ!

და უსამართლოდ გავროზგეთ ჩვენი სიამაყე — რჩეულ
თოთხმეტაგანი ენა.

და შეშინებული ცახცახებს უძლიერეს იმპერიათა რის-
ხვაში გამოტორებული ჩვენი მშობლიური ქართული.

იქნებ გაუძლოს, იქნებ ერთ რისხვასა და იმპერიასაც
გაუძლოს, თორემ თუ ერთბაშად მძლავრად შეძირგინდა
და თავზე ჩამოგვემხო ჩვენი ენის რუდუნებით ნაგები გო-
დოლი თუ ტაძარი თუ დედა ციხე, ეს იქნება საბედისწერო
დგაფუნი გლობალიზაციის მდვრიე მორევში ჩვენი ეროვ-
ნული სხეულის დანთქმისა.

მაგრამ რომ გვყვანა?



„თვალადური ქართულის ჭაშნიკიც“ რომ გვაქვს?
ძველი და ახალი ლექსიკონები?
ტკბილმოქართულებულები ბუმბერაზი მწერლები და მეცნიერები?
კარგი ქართველი ქალები? — ძუძუსთან ერთად მშობლიურ ქართულსაც რომ „აწოვებენ“ პანია ბაიებს.
არა!

გვალორტმანებდნენ, მაგრამ ვერ გაგვსრისეს!
გვარყევენ, მაგრამ ვერ დაგვანარცებენ!

საქართველოში ყოველ კუთხეს, ხეობას და სოფელს რამდენადმე განსხვავებული ლექსიკა აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან არ მოიპოვება იქური ქართულის დამჭაშნიერებელი. დამჭაშნიერებელი თუ გამოიწჩდა, მარცვალმარცვალ შემკრებ-შემგროვებელი და ამკინავ-დამკაბადონებელი უსათუოდ მოესაკლისება.

არა და როგორ ნაადგებოდა ჩენება მაღლიან ქართულს, ყოველ სოფელს თუ არა, ხეობასა და კუთხეს მაინც თავისი შატერაშვილი რომ ჰყოლოდა.

არა და დახეთ, რას გვეუბნები მოკრძალებული მწერალი, ხედვის რა ვრცელი თვალსანიერი აქვს და პასუხისმგებლობის როგორი გრძნობა:

„ჩემი ჩანაწერები თვალადური მეტყველების ამომწურავი აღნუსხვის პრეტენზითაც კი არ გამოდის; მითუმე-

ტეს, ქართლურს როდის გადასწვდება. თვალადური ქართლურის ერთი კოლორიტული შენაკადია, ისევე, როგორც პატარა კავთურა დედა მტკვრისა“.

რაც უფრო შორს და ღრმად წვდება მწერლის მზერა, მით უფრო მტკიცნეულია მისთვის ყოველდღიური ყოფა, და რაც უფრო შემაღლებელია ტკივილი, მით უფრო მძაფრია განცდილის გადმოცემის წყურვილი. ყოველდღიურობის მიღმიერ განცდათა გადმოცემა ხომ რთული და რთულია და სწორედ მაშინაა საჭირო მრავალფეროვან სიტყვათა ლაშქარი.

სტილი თუ ყველაფერია, ენა უნდა იყოს გრძნობადი სამყაროს აღმის გადაცემის საშუალება. აღმის სიღრმეს მზერის სიმახვილე განაპირობებს, ხოლო მისი გადაცემის ხარისხს — სიტყვიერი მასალის ელასტიკა და სიზუსტე.

რამდენმა მესიტყვემ შეაფშვნა ამაოდ დრო და ენერგია განცდილის სრულყოფილად გადმოცემას, რამდენ კალმოსანს წაართვა თავი გაჭენებულმა სიტყვამ, ანაც განა ყველას ამოუზიდაგს მარგალიტი, ვისაც ზღვაში ჩაუყვინავს?

არა!

სიტყვა იყო, არის და იქნება საჭირო.
ისეთი სიტყვა, რომელიც იქნებოდა ღმერთი.

იზარდე, მცვანე ჯეჯილო

ნინო ჩხიცვილი

306 აისადას ცაში?

გასული წლის ბოლოს შვედების მიერ საქართველოში გამართულ საბავშვო ლიტერატურის სემინარს დავესწარი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მსავასი თავყრილობები ჩემი საქმე არ არის, რადგან არც დიდი ორატორი ვარ და არც ამბიცია გამარჩინა იმისა, მავანთ და მავანთ ჩემი უპირატესობა დავუმტკიცო. თუმცა კი... არც იმისთვის ვარ მოწოდებული, სიყალება და თვალოთმაცკობას მშვიდად შევცემოდე და ვითმენდე, როცა უცხოელთა წინაშე თავგამოიდებით უგულებელყოფენ ერთეულს, მართლმადიდებლურ ფასეულობებს...

მყითხველს ალბათ აინტერესებს, ეს სემინარი რად ვას-სენე? ამიტომაც ვეტყვი: ამ სემინარზე ორიოდე წინადაღება მეც წარმოვთქვა, როცა ერთ-ერთმა შვედმა მცლევარმა მკითხა: რაზე არ შეიძლება წეროს საბავშვო მწერალმაო?!

არ შეიძლება საბავშვო მწერალმა დააკინინოს ეროვნული და სულიერი ფასეულობები-მეტქა, ვიპასუხე, და როცა სულიერი ფასეულობანი ვასხენე, ბუნებრივია, მართლმადიდებლური მენტალიტეტი ვიგულისხმე. ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა... შეიქმნა დიდი ვნებათაღელვა. ჩემდა გასაოცრად, ამ მოსაზრებამ ჩემი ქართველი კოლეგები უფრო გააღიზანა, ვიდრე განსხვავებული აღმსარებლობის მქონე უცხოელები...

იმის მტკიცება დაინტეს ქართველებმა, რომ ჩვენში რელიგიური უფლებები დაცულია და არცერთს არ გასჩენია

სურვილი აესხნა, რა განსხვავებაა საერთოდ რელიგიურსა და მართლმადიდებლურ მენტალიტეტს შორის.

ამ ამბავმა ცოტა არ იყოს გამაკვირვა... მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: ეს ის სამწუხარო რეალობაა, რომელშიც გვინებს ცხოვრება. და თანამოაზრეთა თუ გულშემატკივართა რიგები ნელ-ნელა ცოტავდება... როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს ადამიანი?

უნდა შეებრძოლოს არსებულა!

ჩვენმა თანამედროვე მკვლევარებმა და საყმანვილო მწერლებმა უნდა დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ყმანვილთა მართლმადიდებლური მორალით აღზრდა სამარცვინო და დრომომოქმული არ არის!... ეს რომ ასეთი აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობისა არ ყოფილიყო, არც იაკობ გოგებაშვილი არ აირჩევდა ამ გზას და მომავალ თაობათა აღზრდა-განათლებას არ წარმართავდა მართლმადიდებლური მსოფლმხედველობით!..

შეიძლება ვინებს გაუკვირდეს: XXI საუკუნეში გოგებაშვილი რამ გაახსენა, მაგრამ... ამგვარად მოაზროვნეთ შევახსენებ: ამ დიდი წინაპრის იდეათა, მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, როგორც პედაგოგის, უგულებელყოფა, კარგს არაფერს მოგვიტანს, და თუ გვინდა ეროვნული სულისკვეთებით აღვზარდოთ მომავალი ქართველები, ისევ იაკობ გოგებაშვილს უნდა დაუკუდოთ ყური!..

ისე ერთიცა: ეპოქათა ცვლა მხოლოდ მართლმადიდებლობისადმი ბრძოლის ხერხსა ცვლის და არა არსს... ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება. დრო და დრო სიმზვავესაც იძენს, მაგრამ ამან არ უნდა ჩაგვაგდოს საგონებელში, ბოროტებას ისევ და ისევ უფლის ძალითა და სიყვარულით უნდა დაგუპირისპირდეთ... ვისაც როგორ შეგვიძლია, თუნდაც ვიყოთ ბოლო უამის მუშაქი, უფალი ხომ ამასაც მიიღებს და დაინახავს. მცირე დვანლისაც შეინტენდებს...

ამ კეთილ საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს მანანა წერეთლის საბავშვო წიგნსაც, რომელსაც „**ცისა, ლექსო და ეს სამყარო**“ ეწოდება.

ვიდრე უშალოდ ამ წიგნზე ვისაუბრებდეთ, მინდა გამომცემლობა „**შემეცნებაზე**“ მოგახსენოთ: კარგა ხანია ამ გამომცემლობის საქმიანობას თვალს ვადევნებ და მიხარია, რომ იყო, ჩვენში ასერიგად პოპულარულ ზოგიერთ გამომცემლობასავით, მოდას ნაკლებად ასდევს და როცა ხელს ჰყადებს საყმანვილო ლიტერატურის გამოცემას, მისთვის მთავარია არა საზოგადოებაში, სნობთა მიერ გაფეტიშებული, ხშირად ძალდატანებითაც კი თავსმოხვეული სახელები, არამედ ის ავტორები, რომლებიც მართლაც ღირებულ ტექსტებს ქმნიან პატარებისთვის. „**შემეცნებას**“ დასტაბული აქვს რამდენიმე საინტერესო სამეცნიერო-პოპულარული წიგნი და მასატერიული ტექსტი. შემიძლია ზოგიერთი ავტორი ვახსენო კიდეც: **გუგული ტოგონიძე** („ლაშა მიდის სკოლაში,“), **მანანა ჯოხარიძე** („მზიარული ზღაპრების კალათა“), **ამირან ჭიჭინაძე** („მოთხოვობები პირველ სიყვარულზე“), **შოთა ხოდაშელი** („სახალისო ლექსები, გამოცანები და ენის გასატეხები“), ასევე გამოცემული აქვს: მსოფლიოს ხალხთა იგავ-არაკები და ქართული ხალხური შედევრები, რომლებიც ყმაწვილოთათვის იქმნებოდა. ეს სია არასრულია. ყველას ევრ ჩამოვთვლი, მხოლოდ ერთს ვიტყვი: გამომცემლობა „**შემეცნება**“ (გამომცემელი ლია შალვაშვილი) საყმანვილო ლიტერატურის გამოცემას სრული სერიოზულობით ეკიდება.

ახლა ისევ მნიშვნელოვნის წიგნს დაუუბრუნდეთ: ეს ტექსტი თამამად შეიძლება შევიტანოთ სასწავლო-სახელმძღვანელობა დამატებით სიაში, როგორც სავალდებულო საკითხავი წიგნი, რადგან ის სამყარო, რომელსაც მისი მეშვეობით შეიცობს პატარა, მართლაც საგულისხმოა. ყმაწვილისთვის ეს ყოველივე ახლობელია და ნაცნობი, თანაც უცხოცაა და მორეულიც, მიუწვდომლის იდუმალებით შემკული...

მაინც რა არის ასეთი, ერთდროულად მახლობელიცა და უცხოც რომ გამხდარა პატარასთვის?

ეს არის ცხოვრება, ყოველდღიურობა და ამ ცხოვრების წარმმართველი — უფალი. მამაზეციერი ხომ მართმადიდებლური წესით მონათლულ ადამიანს იმ ანგელოზს მოუკლენს, რომელიც მთელი ცხოვრება თან სდევს, იფარავს და მის სიხარულსა და ტანჯვას იზიარებს.

ჩვენი დროის დიდი ბერი, ფეხით მოსიარულე მამა გორგი (ბასილაძე) ამბობს: უფალს ამ ქვეყნად ყოველი კენჭი, თითოეული ჭიანჭველაც კი დათვლილი ჰყავს... და რაკი ასევა, მაშინ მით უფრო უნდა გავმხნევდეთ. განა უფალი ადამიანებს დაგვტოვებდა უნუგეშოდე? — ეს მოკვდავთათვის სრულიად ამოუცნობი, დაფარული მისტიკაა. მის არსში წვდომა, თუკი ნამდვილი წმინდანი არა ხარ, შეუძლებელია... მაგრამ ის ხომა შესაძლებელი, წმინდანთა ცხოვრების მაგალითზე, უფალთან სიახლოების სურვილითა და ნდომით აღვზარდოთ ჩვენი პატარები!?

სწორედ ამას გულისხმობდა დიდი მამა, ლირის პაისი, როცა ამბობდა: „თუკი ბავშვობის წლებიდან ბავშვები მშობლების დახმარებით მოიპოვებენ ქრისტეს, ისინი მის სიახლოებს სამუდამოდ დარჩებიან. მოზრდილობაში გარკვეულწილად გზასაც რომ აცდნენ, — ასაკიდან გამომდინარე, ან ცუდ წრეში მოხვედრის გამო, — ბოლოს მაინც გონს მოეგებიან. ლვთის შიში და ლვთისმოსაობა, რომლითაც

სიყმანვილეში მათი გულები იყო სავსე, მათი არსებიდან სრულიად არასოდეს გაქრებაო.“

მამა პაისის ეს დარიგება ნუგეშვით აღიქმება და ამ ფონზე ლოგიკურად იყოთხება წინასიტყვაობაში გამოიტემული კეთილშობილური სურვილი წიგნის ავტორისა, ნატვრა იმისა, რომ მისი წიგნის მომავალმა პატარა მკითხველმა, მთავარი პერსონაჟის — ლექსოს — ერთი თვისება მანც რომ მიიღოს და გაითავისოს, მაშინ მის შრომას ფუჭი აღარ ეთქმის.

ეს წიგნი, ყოველდღიურ აურზაურსა და ყოფითობაში, ბედის ანაბარად მიგდებულ პატარას დახმარებასა და ნუგეშს ჰპირდება. იგი თითქოს ის მორალური საყუდენიცაა, რომლის დახმარებითაც ყმაწვილმა საკუთარ არსებაში უნდა აღმოაჩინოს (აღზარდოს) ყველა ის თვისება, რომელიც ცხოვრების სწორ გზაზე გაიყვანს...

საგულისხმოა, რომ წიგნი ეპოქის წიშანსაც ატარებს: სულიერებისგან დაცლილმა ყოველდღიურობამ, მშობლების გაუცხოებამ შეიღებთან და შეიღების განმარტოებამ საგალალო შედეგი მოგვიტანა. საკუთარ ფესვებს, ქართულ სოფელს მოწყვეტილმა პატარებმა უკვე აღარ იციან რა გზას დაადგენ და როგორ იცხოვორონ. ამიტომაცაა, რომ მათი სულიერი სამყარო ლამის სულ გაღატაკედეს და გაიცრიცოს...

ახლა მაკა ჯოხაძის კარგა ხნის წინათ, 1985 წელს დაწერილი წერილი „**ენჭი და კლდე**“, მომაგონდა (ჯერ კიდევ როდის გრძნობდა მწერლური ალლოთი ჩვენი ყმაწვილებისა თუ საქართველოს სავალალი მომავალს). განხილვას რა ქართული საბავშვო მწერლობის პრობლემებს, ბავშვის მარტობის თემასაც ეხება და იმ მწერლებს, რომლებიც ყმაწვილთათვის წერენ, ტკივილით შეასენებს: „უმთავრესი პრობლემა გახლავთ ქალაქში გაზრდილი ბავშვის პრობლემა. ასეთი ბავშვის ფსიქოლოგია საერთოდ სრულიად ახალი და შეუსწავლელი პრობლემა ჩვენი საბავშვო მწერლობისათვის. იგი, სამწუხაროდ, ჯერ არ ქცეულა მხატრული კვლევისა და შემეცნების საგნად...“

არადა, ამ მწირპეზაჟიან, გისოსებში ჩასმული აივნების მზერას მიჩვეული პატარებისა და მოზარდების ცხოვრებათავის მოქირნანულებს, თანაგანმცდელს, თანამოაზრეს მოელის. უნდა გამოჩინდეს მწერალი, რომელიც მათთან ერთად აუჯანყდება იმ დღეს, როცა ცისკენ ვერ გაიხედავს პატარა...“

სწორედ ამ აჯანყებულ მწერალთა რიცხეს მივაკუთვნებდი მანანა წერეთელს, რაკი მისი წიგნის მთავარი პერსონაჟი — ლექსო — მეგობრებთან ერთად ცდილობს ცისკენ გახედვას.

ცისკენ გახედვა სულაც არ გახლავთ მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა. ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი მართლაც იცქირება ცისკენ და ცდილობს დაინახოს ყველაზე მთავარი — უფლის ანგელოზი.

ცისკენ გახედვა სულაც არ გახლავთ მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა. ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი მართლაც იცქირება ცისკენ და ცდილობს დაინახოს ყველაზე მთავარი — უფლის ანგელოზი. კეთები ბავშვი თამაბიძებაში ქუჩაში. ერთს უნდოდა, რომ მეორესთვის ეკა დაერტყა თავში და უკვე უმიზნებდა კიდეც. მეორე ბავშვი ამ საფრთხეს ვერ ხედავდა. და აი, მფარველმა ანგელოზმა ისე მოაწყო, რომ ამ ბიჭუნამ უცებ რაღაც შენიშნა, მისებნ ისკუპა და ქვა აცდა.“

ეს რომ დაინახო დიდი სულიერი ხედვაა საჭირო. ჩვენ, ერში დარჩენილები, მართალია ასეთ სულიერ ხედვას მოკ-

ლებულნი ვართ, მაგრამ სულიერი ნუგეში და სიხარული დიდი მამების მემვეობით გვეძლევა. ვფიქრობ, სწორედ ამგვარი სულიერი ნუგეშისა და სიხარულის ერთგვარ ექოდაც შეიძლება აღვიქვათ მანანა წერეთლის ეს საყმანვილო წიგნი, სადაც უმტკესად ისეა აღწერილი ყოველდღიურობა, რომ ხანდახან ეჭვიც კი გეპარება, პატარებისთვის განკუთვნილ ტექსტს რომ ეცნობი. ხშირად ისეთი განცდა გრჩება, რომ ესა თუ ის აბზაცი რომელიდაცა საგაზითო ჰუბლიკაციის ამონარიდა და სტილურადაც ყურს გჭირს, მაგრამ ესეც იქნებ მწერლის ჩანაფიქრია, საგანებოდ იმტყველოს მისმა პერსონაჟებმა ასეთი მნირი ლექსიკოთ, რათა ჩვენ, უფროსები კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ უმთავრესზე: რაკი ასე დაკინძა და დაემცრო არსებული რეალობა, ამან პირდაპირ „დაარტყა“ სამტყველო ლექსიკასაც, იოლად დავთმეთ მშობლიური ენის მაღლა და დიდი წინაპრის ანდერტიც დავარღვიეთ. მან წულებ გაგვაკვირვებს ის სიავე, რასაც ვიმკით, მაგრამ თუკი სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, შევეგულთ არსებულს? იქნებ ასეც მოვიქცეთ? და... მაშინ როცა, ნებით თუ უნებურად, ამ მნარე რეალობას ეგუები, ტექსტის ავტორი უცებს სულ სხვა სამყაროს გიხსნის. თითქოს ჯადოსნურ ჭოვრიტს აწვდის პატარა მკითხველს და მარტონიბისა და სასონარკვე-თისაგან უფლის ანგელოზის გამოჩენით იფარავს...

მგონი, მშვენიერი მიგნებაა, არა?!

მინდა კიდევ ერთი რამ შეგახსნოთ: წინასიტყვაობაში ეს წიგნი ამერიკელ და ევროპელ თანატოლთა საინტერესო სათავადასავლო ტექსტთა ერთგვარ ანალოგადა მიჩნეული. და ამ ანალოგიაში საგანებო მინიშნებაა უმთავრესზე — უცხოელ თანატოლთაგან განსხვავებით ჩვენს პატარებს, რაკი მართლმადიდებლები არიან, ერთი უპირატესობა გააჩნიათ — მათ სულ სხვა დაფარული საუნჯე ეხსნებათ...

წიგნი პანანინა სათავადასავლო ამბებისგან შედგება. ეს ამბები შეიძლება დამოუკიდებელ სუჟეტებადაც აღვიქვათ, რომ არა ერთი მთავარი პერსონაჟი — ლექსო, რომლის მეშვეობითაც ეს სიუჟეტები ერთმანეთს უკავშირდება. და რაც აუცილებლადაა ალსანიშნავი და არ მინდა გამომრჩეს: ყოველ თავს ბოლოში ერთგვარი კითხვარი ახლავს. წიგნის წაკითხვისა და გააზრების ამგვარმა მეთოდმა თავდაპირველად ცოტა არ იყოს გამაკირვა, მაგრამ შემდეგ ავტორს ჩანაფიქრს მივუხვდი და ჩემეული ახსაც მოვუძებნე: მანანა წერეთელს მაჩნია, რომ თუკი პატარა მკითხველი თვითეულ ამ კითხვაზე გასცემს პასუხს, არა მხოლოდ სიუჟეტს დაიმახსოვრებს, არმედ ჩანვდება მთავარს — მწერლის იდეას. იდეა და მიზანი კი მართლაც შესანიშნავია: მიიყვანოს ყმანვილი უფლის სახლამდე ანუ ეკლესიამდე... და ეს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, შეუმჩნევლად, თანდათან მოხდეს.

ნანარმოებში უფლის ანგელოზის ცისა ჰქვია. ეს სახელი ერთდროულად მოგვაგონებს ჩვენში ასერიგად გავრცელებული ქალის სახელს ცირასა და ამავე დროს ყმაზეილისთვის მისადებ და გასაგებ ენაზე ასოცირდება უფალთან, ციდან გამოგზავნილ პატარა არსებასთან — ფერისათან. ფერიები კი, მოგეხსენებათ, როგორ უყვართ პატარებს.

უფლის ანგელოზი პატარა გოგონას სახით ეცხადება ლექსოს. ავტორმა ეს ასე გადაწყვიტა და, ვფიქრობ, ლოგი-



კურადაც, რადგან ანგელოზი როგორც უსქესო არსება ისე რომ წირმოედგინა, მაშინ ეს დიდი საიდუმლო — კავშირი მიწიერსა და ზეციურს შორის — პატარასთვის გაუგებარი და აბსურდული დარჩებოდა. შეიძლება მიუღებელიც კი ყოფილიყო. ამიტომაც ამ შემთხვევაში მარტივად აღსაქმელმა სახე-სიმბოლომ აჯობა სხვა, გაცილებით უფრო რთულ სახე-სიმბოლოს.

ცისას დანახებისას ყმაწვილი გაოგნებულია მისი სილამაზით. „ლექსოს ასეთი სინათლე და სილამაზე ჯერ არ ენახაო“, — წერს მწერალი და იქვე რამდენიმე სიმბოლურ, საჭირო მინიშნებასაც გვთავაზობს. აი, თუნდაც ასეთი:

„მე ყველაფერს ვხედავ, ხილულსა და უხილავს, ფიქრებიც მესმის...“ მე შენი უხილავი სამყაროდან ვარ. სულ შენთან ვიყავი და მომავალშიც ერთად ვიქნებით, ამიერიდან მე და შენ ერთად ვიმოგზაურებთ ამ სამყაროში, ბევრ საინტერესოს გაიგებ და დაინახავ...“ შეპირდება პატარა ფერია ლექსოს და ეს არ არის მხოლოდ ზღაპრული, ირეალური, გამოგონილ სამყაროში მოგზაურობის დასაწყისი. ამ შემთხვევაში ავტორი ამ მოგზაურობის დახმარებით წარმოაჩნდს და ერთმანეთს უპირისპირებს ორ სამყაროს — ორ რეალობას. ამქვეებიურსა და მიღმერუს, იმქვეყნიურს, სადაც წმინდა სამება, დედა დავთისმშობელი განავეგებს ყოველივეს — ადამიანებს გადარჩენისა და ბელნიერების მოპოვებში ეხმარება.

ავტორი უხსნის თავის მკითხველს, რომ მიღმერ სამყაროში არსებობს ბოროტიც. იგი საშინელი ურჩეულია და მხოლოდ ერთადერთი ვერაგული განზრახვა ამოძრავებს — წაართვას ლექსოს (და არამარტო მას) უფლისგან მინიჭებული სიკეთის, სიყვარულის ნიჭი, კეთილშობილი გრძნიერები, და ამით დაამარცხოს იგი, მაგრამ ბოროტი, როგორც მოსალოდნელია, ნადგურდება და მარცხდება... ბოლოს კი ლოცვის ძალით, სრულებით ქრება, მით უფრო ძლიერია ლოცვა, თუ ლოცვისას დედა დავთისმშობელს მოუხმობს ადამიანი! — ეს ჭემარიტება მართებულად, საჭირო ადგილასაა მოხმობილი, ისეა ტექსტთან შერწყმული, რომ არ ტოვებს დიდაქტიკის ან ზედმეტობის განცდას.

თან, ამავე დროს, არც იმის გამო გიჩნდება პროტესტი, რომ ამდენ საშინელება და სიავე ერთბაშად, ზუსტად ისე-ვე გამოკვეთა და დაანახა ტექსტის ავტორმა, როგორც ჩვენ, უფროსები შევცეკრით ყოველდღიურად. არადა, თითქოს პატარა ამ ყოველივეს აღსაქმელად ფსიქოლოგიურად სულაც არ არის მომზადებული. არ გვემეტებიან ისინი საშინელი რეალობისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მანანა წერეთელმა კეთილისა და ბოროტის შეპირისპირებით დახატა სამყარო, რომლის მკვიდრნიც ვართ — პატარებიცა და დიდებიც, რაც, იმედია, არ გამოიწვევს პატარაში აპათიასა და სინამდვილისგან გაქცევის სურვილს.

ამ წიგნით ავტორმა კიდევ ერთხელ შეგვახსნა, რაც ყველამ ისედაც ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად გვავიწყდება: პატარების არ უნდა ველაბარაკოთ ენის მოჩვენებით... და არც არასდროს მიღვატყუოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ახლოს დაგანა უფალთან და შეუმცდარი აღლობობის გრძნობენ, როდის ვცრუობთ უფროსები და როდის გამბობთ სიმართლეს...

კობა იმედაშვილი

ნამდვილობის საიდუმლო

ახუ

**ჩანაცემაზე ესმა ონიანის
სიტყვითხელოვნებაზე**

თქვენ მე ვერ მიპოვით ბზარს
ესმა ონიანი

ეს წიგნი – ესმა ონიანის „ლექსები, ესსეები, წერილები“ (2000) – დიდი ხანია დევს ჩემს წიგნის თაროზე, განგებისად პირით ჩემკენ, როგორც ყოველდღიური შეხსენება ძნელად შესასრულებელი ჩანაფიქრისა – გავანალიზო (თუნდაც მხოლოდ ჩემთვის) ამ დიდი შემოქმედის სიტყვითხელოვნება, დიდი ქალბატონის დიდი შემოქმედება, ღვთით ბიძებული ნიჭით, ცოდნითა და შრომით სიტყვასა თუ ფერში შექმნილ სამყარო.

ესმა ონიანმა შეძლო და კომუნისტური ეპოქის გაორებულ რეალობაში ღრმადმორწმუნე თავისუფალ შემოქმედად დარჩა, ღვთისკენ მუდმივად მავალ, სიყვარულით სავსე პიროვნებად.

„ყველაფერში, ყველაფერში ერთსა ვხედავ, ერთს! ერთს! ერთს!

თანდათან მცვივა ფოთლები ფიქრთა, სახეთა, სიტყვათა, დასახელებათა, შესვლება ერთადერთი, ერთადერთი, ერთადერთი თუ ჩამოვლებები თანდათან იბარდება, იტოტება, იფოთლება – ასვლისას მცვივა, მეცლება ერთში შესასვლელად, იფიქვნება, მეცლება და ვრთულდები, და გართულდებით ვმარტივდები“. (ესმა ონიანი, პირველი რვეულებიდან. „ერთი“).

ყველაგან და ყველაფერში მასთან ღმერთია – ყველაფრის საწყისა და ყველაფრის სასრული – ამიტომ ყველაფერს შეება მოაქვს, სიკვდილსაც, ტკივილსაც, დაბადებასა და სიხარულს ხომ მით უფრო. ყველაგან და ყველაფერში სიყვარულია, როგორც ღვთის გამოვლენა და „ვისაც აქვს მარადიულის, მთავრის, უმაღლესის, უკეთესის ხსოვნასარჩული, ამით შინაგანი სისავსე-სიმაღლე – ის აქაურობაში არ კარგავს ლირსებას, გონებას, არ ხარბდება, არ წვრილმანდება, არ გამოედევნება და არ გააფთრდება აქაურ ფასეულობებზე“.

აი, ესა ესმა ონიანის შემოქმედების საწყისიც და არ-სიც და ახლა ისლა დაგვრჩენია გავიგოთ, ვიგრძნოთ და გავიაზროთ, როგორ ხდება ამ „დიადი ერთის“ გამოვლენა იმ ყველაფერში, რასაც ესმა ონიანის სიტყვითხელოვნება ჰქვია. ეს კი ძნელია და მეტად რთული არა მხოლოდ ესმას ტექსტების სირთულისა და სიღრმის გამო, არამედ დროის ცვალებადობისა და თავად ჩვენი ცვალებადობის გამოც. მოგეხსენებათ, მხატვრული ტექსტის ადეკვატურ აღქმას თავად აღმქმელის (რეციპიენტის) არამარტო მზაობა უნდა, არამედ ცოდნის, ემოციის და ფანტაზიის შესაბამისობაც. მოკლედ, მზად უნდა იყო იმ სიმდიდრის დასანახავად

და დასათვლელად, რომელიც შემოქმედის ცხრა კარის იქითა დაგმანული და შეგეძლოს კიდეც ამ კართა გაღება.

ესმას სული, მისი ბეგერბი, მისი ხატები, მისი განწყობები და ყველაფერი ის, რასაც გრძნობდა და განიცდიდა აქ არის, ამ ტექსტებში და ჩვენი ხელის შეხებას ელოდება.

ეს „მე“ ვარ თქვენს წინ,
ამოღრევილი, ამოძალული ჩემს სიტყვებში
ჩემი სულია დადასტურებულ, ურყევ-თანმხლები
ასე იქნება – თუკი ოდესმე
ვინგე ჩემს სიტყვებს მიეკარება,
გაღმიბულს, თვალმიბჯენილს, ურყევ თანმხლებს
მას, შეუბოჭავს, ჩემს სულს იხილავს.

(„ესმა“)

* * *

60-იან წლებში, როდესაც ჩვენი აზროვნება თვისობრივად იცვლებოდა, ესმას დამ, ირინამ, გამაცნო ესმა-ოზემა. ეს სახელიც – ოზემა – განასხვავებდა მას სხვათაგა – მშვევირი ქალბეკილი გახლდა, გონიერი, ნაკითხი, ნიჭიერი, მომხიბლები. მისმა ნახატებმა და ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ყველაფერი ახალი და განსხვავებული იყო, განსაკუთრებით თავისუფალი ლექსები... მაშინვე მიუუტანე ყველაფერი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, კარგ პოეტს... რაღაც უნდოდ ჩახედა ტექსტებს... საკმაოდ ცივი და შინაგანად დაძაბული იყო ჩვენი საუბარი. არ ველოდი ასეთ უნდობლობასა და გაუცხოებას. ეტყობა, იგრძნო ჩემი გაკვირვება და შემრიგებლურად მითხრა – „რედაქტორის რომელიმე წევრმა მისცეს რეკომენდაცია, რომ დავბეჭდონ“. მიუუტანე „რედაქტორების რომელიმე წევრს“, მართლაც კარგ პოეტსა და ინტელექტუალს, რომელმაც შინაურულად, მაგრამ მოურიდებლად მითხრა – „არაფერი არაა ეს“.

მაგრამ „ნამდვილი“ (ესმას ტერმინია) მანც ნახულობს თავის გზას. მალე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად ახალი კაცი მოვიდა, შესანიშნავი ლიტერატორი და დაკვირვებული კრიტიკოსი, რეზი თვარაძე, მასაც მიუტანეს ეს ლექსები და 1968 წლის 19 იანვარს დაბეჭდა კიდეც ესმას ხუთი ლექსი, რასაც მაშინვე მოჰყვა მძაფრი კრიტიკა (იქვე, მასთან ერთად, „დაარტყეს“ ოთარ იოსელიანსა და ტერეზიტი გრანელსაც). სხვათა შორის, ეს არ იყო ესმა ონიანის ლექსების პირველი პუბლიკაცია, მანამდე მან საყმანილო უურნალში „დილა“ დაბეჭდა საბავშვო ლექსები, რომელიც მოინონებს და ასეთი მიღებით ნახალი-სებულმა ერთ ცნობალ უურნალში მიიტანა თავისი „სხვა“ ლექსებიც. იქ ერთი წელი უქმად იდო. მერე, ათი წლის მერე, ძლიერ გამოიცა, მისი პატარა კრებული „ლექსები“ (1978), კიდევ ხუთი წლის შემდეგ – ასევე პატარა კრებული „ჩუმად დაპერიან ფრინველები“ (1982) და კიდევ ორი პატარა კრებული – „თეთრი სტუმრები“ (1986) და „რა არ მავინებს“ (1988), მაგრამ სანამ მისმა დამ ირინა ონიანმა არ გამოსცა 2000 წელს ესმა ონიანის „ლექსები, ესსეები, წერილები“ და 2003 წელს მისივე დიდი ალბომი „ნახატებით, ლექსებით, ესსეებითა და ნერილებით“, მანამდე ესმა ონიანი, ნამდვილად დიდი და მთლიანი ხელოვანი – დიდი მხატვარი და დიდი ასეთი სი-

სავსით ჩვენ წინ არ იყო წარმოჩენილი (მადლობა მის დას ასეთი სამაგალითო ერთგულებისთვის ვან გოგის ძმის თე-ოს ერთგულებას რომ გვაგონებს).

მოგვიანებით (2002 წელს), რეზი თვარაძემ ზუსტად შე-ნიშნა: „ესმა ონიანი, უბრძყინვალესი პოეტი, დღემდე დარჩენილია სალონების და (ცალკეული ოჯახური წრეების კუთვნილებად“. მართალიც იყო იგი ამ თავის წათქამში, ისევე, როგორც სხვაშიც: „ესმა არ შეიძლება იყოს მასობ-რივი პოეტი, ეს არის ღვთით ბოძებული საჩუქარი, რომ-ლის ბადალი საუკუნეში მხოლოდ რამდენჯერმე გაიელებეს ხოლმე. ჩვენ ზეცას უნდა ვუთხრათ მადლო-ბა, რომ ამ რანგის ადამიანები, ამ რანგის სულნი ჩამოეშვებიან ხოლმე სწორედ ჩვენს სამშობლოში, საქარ-თველოში. და თუ ქვეყანას საუკუნე-ების მანძილზე ჰყავს ასეთი აღმა-ტებული სული, ეს ქვეყანა გამორჩე-ულია საკაცობრივ მასშტაბით“.

ეტყობა, ჩვენი საზოგადოება არ იყო მზად ასეთი პოეზიის შესაბამისად აღსაქმელად და თავისუფალი ლექსის მოძალების დროსაც კი, ესმას პოეზია ვერ იქცა საზოგადოების გემოვნების განმ-საზღვრელ მოვლენად. აქაც დაახ-ლოებით ისეთი რამ მოხდა, რო-გორც ნიკო სამადაჭვილის პოეზიას-თან მიმართებაში, როდესაც ჩვენმა ინტელექტუალებმა ვერ გაიგეს და ვერ მიიღეს მისი პოეზია. ისიც სათ-ქმელია, რომ ესმა არ იყო დაახლოე-ბული რომელიმე ლიტერატურულ ჯგუფთან (ხელისუფლებასთან და-ახლოებულთან მით უფრო), რომლის წევრები მუდამ აქე-ბენ ერთმანეთს, ერთმანეთს უქმნიან სახელს დამსახურე-ბულსა თუ დაუმსახურებელს.

განა ახლაც ასე არაა?

თავად ესმა ონიანი ირონიით ხვდებოდა ამ „ვერმილებას“:

**არ მეკადრება ესმას
სიბრაზით ენის ლესვა –
არ მიბეჭდავენ?! გადავწერ,
მომირთმევია ესა;
ნაკლები ბიჭები იყვნენ
ხელით რომ წერდნენ ლექსაა?!**

თავი გავანებოთ წარსულს.

ესმას პოეზია მართლაც რთული ტექსტია, რადგან მი-სი სრული აღქმა განცდათა მთელი სისრულით ხდება და საკმარისია, რომელიმე „გაგეთიშოს“, რომ ამ რთულ ტექსტს ადეკვატურად ველარ ალიქვამ. თანაც ამ პროცეს-ში აღმქმელის მიერ ტექსტის ადეკვატური სამყაროს შექმ-ნის პროცესში „რა“ და „როგორ“ ისე მჭიდროდ არის ერთ-მანეთთან შებოჭილი, რომ მათი გამხოლოების მხოლოდ მცდელობაც კი ყველაფერს ანგრევს.

ამ მხრივ სირთულე უდავოდ არის.

მაგრამ დრო მაინც თავისას აკეთებს და ნელ-ნელა ხსნის იმ ცხრა კარს, რომელთაც ამ პოეზიის საგანძურთან მივყავართ. „რაც უნდა რთული იყოს პოეზია, გარკვეული დროის მომენტისთვის ძნელად მისაწვდომი, თუკი იგი ჭეშმარიტია, გაუცნობიერებელი გზებით მაინც ატანს მკითხველის ქსოვილში“ (ესმა).

* * *



ესმა ონიანი

მათი სიმართლე, ვინც ამ აზრს იზიარებდა.

1979 წელს კრებულმა „ზეკარმა“ მას მიმართა შეკითხ-ვით – „რატომ წერთ, რა სარგებლობა მოაქვს თქვენს შე-მოქმედებას“. ნებისმიერ სერიოზულ შემოქმედს ამ კითხ-ვაზე თავისი პასუხი აქვს და ამ პასუხის მიხედვით შეიძლე-ბა ვიმსჯელოთ თავად მასზე. ესმას პასუხი ასეთი იყო: „უმეტესობა ასაკის მატებასთან ერთად შორდება მარადი-ულ ჭეშმარიტს, იძირება შემოგროვილ ჩენჩოში; მათი სუ-ლი ძეველდება იმ მნიშვნელობით, რომ უმიედოდ შორდება მარადიულ-ძეველს; ყველაზე ადამიანური სულის ადამია-ნები ყველა ასაკში ინარჩუნებენ პირველადი ბაჭვური ალ-ქმის სიმძაფრეს. ადამიანური დრო მათთვის დატერების, დაძველების, სვლის მნიშვნელობას არ იძენს. მათში არა-სოდეს არ ქრება მარადისობიდან გამოყოლილი თვისებე-ბი, „შთაბეჭდილებები“. არაფრით არ ნელდება მარადიუ-ლობის მშობლიური გრძნობა. ადამიანური დრო სასაცი-ლოდ უძლურია დააშოროს ისინი ძირითად შთაბეჭდილე-ბა-სანყისა. ისინი უწყვეტლად ატარებენ მშობლის სიყვა-რულს და უბრუნდებიან მას. ჩემი შემოქმედებით სწორედ ამას მინდა შევახსენებდე ადამიანს, შევხსენებდე რაღაც მივიწყებულს, ძირეულს, ძალიან ნაცნობ-ჩვეულებრივს; არ ვაძლევდე მის სულს პირველადის, ბედნიერის, კეთი-ლის დავიწყების საშუალებას“. (კრებული „ზეკარი“, 1979)

ლიტერატურული პოლიტიკი

ამაზე სრულად, ამაზე ორმად და არსობრივად ესმა ონიანის სიტყვითხელოვნებას ვერ დაახასიათებ.

სწორედ ასეთმა კონცეპტუალურმა საწყისმა განაპირობა ის, რომ ესმამ ტრიადის (ღმერთი-ოჯახი-სამშობლო) ერთი წევრი – ოჯახი აქცია თავისი პოზიციის მთავარ თემად, ოჯახი – სამყაროს მოდელი, ოჯახი – სამოთხე, ბავშვობა – როგორც უმანკულების სივრცე, ღვთისური სამყარო, რომელთანაც დამორჩება, დაცილება ან რომლის დავიწყება ადამიანის ტრაგიული შეცდომა.

შემოქმედი ცნობიერი თუ არაცნობიერი მახსოვრობის თუ დავიწყების პურუსიდან გამოიხმობს („რასაც შეეხები უნდა დაინტერესოს და გამოვიდეს ბურუსიდან“ – ესმა) ხატებს, ფერებს, ბეჭედებს, სურნელებს და როგორც თავისთვის, ისე ჩვენთვის ქმნის „ესმას სამყაროს“, რომელიც აღქმისას ჩვენი სამყაროს ნაწილიც ხდება მთელი თავისი სისრულითა და მშენებელით. ასე აცებს ჩვენს არსებობას „ნამდვილი სიმშვენიერის გრძნობა“ (ესმა) და ხდები ოდნავ სხვა, ოდნავ უკეთესი და ოდნავ „ნამდვილი“.

ხოლო „ვისაც აქეს მარადიულის, მთავრის, უმაღლესის, უკეთესის ხსოვნა – სარჩეული, ამით შინაგანი სისავსე-სიმაძლე, – ის აქაურობაში არ კარგავს ღირსებას, გონებას, არ ხარბდება, არ წერილმანდება, არ გამოედევნება და არ გააფთოდება აუაურ ფასეულობებზე“ (ესმა).

აი, ხელოვნების ერთი ნამდვილი ფუნქციაც – არა მხოლოდ შემოქმედის თვითგამოხატვა, არამედ „სხვის“ თვითგანწენდაც. ესმამ შესანიშნავად იცის ეს და გამიზნულად „მუშაობს“ ჩვენს ცნობიერსა და არაცნობიერზე, მით უფრო მაშინ, „როდესაც სხვადასხვა ანტაგონისტური ნაკადი და ყველა ცრუ, იპრძევის ადგილის დასაკავებლად, არის გადაწინგა-გადმოწინება, ჭემმარიტება კი დაძონილი ოდისესივით ჩრდილში გამდგარი უცქერის ამ პაექრობას და დავიმშვიდოთ თავი და ვიფიქროთ, რომ ის თავის წუთს მოესწრება“ (ესმა).

„გადახატეთ, დაინახეთ – ყველაფერი გადაშლილია, ყველაფერი ჩვენს წინაა, ყველაფერი იკითხება, დანებდით, მიხვდით, წაიკითხეთ, მოუსმინეთ – ყველაფერს გეუბნებათ თვითონ“ (ესმა). სწორედ ამიტომ (ვიმეორებ სხვის ნათქვაში) ამ ყოველივესთან შეხებისას ჩვენ ერთდროულად ვიცცევით იმად, რაც ვართ და იმად, რაც ვიყავთ. ეს კი წარსულის აწმყოდ ქცევის გზაცა.

ფორმალური თვალსაზრისით ესმა ონიანის ძიებანი და მიღწევანი, გარკვეულნილად, განპირობებული იყო, მისი, როგორც ფერმწერის აზროვნების წესით – სიტყვითხელოვნებაში მან ფერწერული ხედვა ტოტალურად დაამკვიდრა. შემოიტანა და დიდი ნარმატებითაც. ძნელია ზუსტად აღწერო, ესმა ამას როგორ აკეთებს, მაგრამ შედეგი განცვიფრებს – მკითხველი ცხადად ხედავს ფერებს, მათ რიტმულ მოძრაობას, მზის შუქით გასხივოსნებულს, ხედავს შუქ-ჩრდილებს და ეს ვიზუალური რიტმი ჩაწერა (ვალება ბგერათ და მახვილთა რიტმს, რაც კონვენციური ლექსის ხერხემალს წარმოადგენს. ამავდროულად, იგი ტოტალურად და ერთდროულად მოქმედებს ჩვენს შეგრძნებებზე, მზერაზე, სმენაზე, ემოციებზე, გონებაზე, მახსოვრობაზე...).

წაიკითხეთ ლექსის – „მოკლე ფიქრები სამი კონკრეტული გადახვევით“ – ნაწყვეტი:

და აპა! იძრა საძირკველი თვითონ ძირკველთა, მოუცურებელ, უძრავბადებულ ძირკველთა ძირი, გამაყრუებულ სიყვარულით ყველაფერი

გადაიკვეთა.

სადარბაზოს ვარდისფერი ბათქაში მზეში,

ნიკელის ძველი საწლოის სინათლე;

შუშაბანდში ხილის ვაზაზე ზოლება ტილო,

„ელვარებს ვაშლა სისხლივით წითელი“,

მობერილი შუბლს ზემოთა გაშლილ ფანჯრებში

გაღვიძებული ძველი სიგრილე;

ფოთლების ფარლალა ჭუჭრუტანებში

უცებ სიმჩატით ატაცებული ჩიტი იჭყივლებს.

ანთებულ ავურის კედლებს,

კაშკაშა ცისკენ საცხობიდან ამონადენ

ვანილიან სუნს,

ვინრო ქუჩის რულსა და თვლემას

შეერია ტკბილი სურნელი, გულის მიმლევი, –

განჯინის თავზე ყვითელ ფერილად ცვენილ მიმოზას

ნაზ-უილაჯოდ გადმოუშლია მიზეზიანი ლეროები

ჩამოყრილებით

აქეთ ეზიში, რძისფერ ბუსუსით

ამოყავილდა, ხე ამოჩნდა, ასცდა სახურავს.

როგორ ინთება! – მოჩანს ფანჯრებში,

დედა ტკბილი ჩაით გვაპურებს“.

დააკვირდით, მეითხველის რამდენ რეცეპტორს აღიზანდს ეს ტექსტი, გონებისა და გრძნობის რა მისამართებს მიმართავს: ჯერ გონებას, სიყვარულის აპოლოგით, შემდეგ მხედველობას, რომელშიც მზის შუქი და ამ შუქით განთხული ფერება ასახული, შემდეგ შეგრძნებას, სიგრილეს რომ აფიქსირებს, შემდეგ სმენსა, შემდეგ ყნოსვას, შემდეგ ის სურათიც უნდა აღიქვა ყვითლად რომ ღუის ფერილად ცვენილი მიმოზით, აყვავილებული ხით და ფანჯრის მინაზე არეკლილი ოჯახური იდილით – დედა ოჯახს რომ აპურებს. ამ მრავალფერ და მრავალშემიერ სურათს ისევ ოჯახი კარგს და ეს ყველაფერი ამ ოჯახის ნაწილია.

ეს ხერხი, პოეტის ერთდროული და ტოტალური შეტევა მკითხველზე შთამბეჭდავია, მაგრამ ფორმალური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არაა გარანტია იმისა, რომ შედეგი წარმატებული იქნება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში შედეგი ბრწყინვალეა), ხოლო ერთი გრძნობის გენერალზებით მკითხველზე ზემოქმედება – წაკლებად წარმატებული. ერთი გრძნობის გამძაფრებითაც შეიძლება დაიწეროს ბრწყინვალე ტექსტი და დაწერილა კადეც-მე, უბრალოდ, კვდილობ, გავერკვე იმ „ნამდვილობაში“, რასაც ესმა ანიანის თავისუფალი ლექსი ჰქვავა.

ასევე შთამბეჭდავად ვლინდება ესმა ანიანის თავისუფალი ლექსის ნოვაციები მხატვრულ ტექსტში იდენტური ხატების გამიზნული გამეორებით, სწორედ იმ რიტმული ანაზაზის შექმნით, რომელზეც ზემოთ ვწერდი (თვალშემიერი მაგალითია ასეთი ტექსტისა „მე“, ციკლიდან „ისევ გადახვები ითხ ნაწილად“).

ესმა ანიანი წარმატებით მიმართავს მოტივებისა თუ ხატების გაჭოლვის ხერხს და ამით სხვადასხვა ტექსტს ერთმანეთთან აკავშირებს. შეადარეთ:

ლიტერატურული პორტფო

ჩემ ოთახში როცა მზე ჩადის,
როცა ჩვენები – დედა, მამა და ჩემი და იქით არიან, –
დედა ქსოვს, მამას ისევ აკაკი დროდადრო
კანკალშერეული ხელით უჭირავს,
ჩემს ოთახში იატაკზე აბრიალდება ერთი ბილიკი,
კომშისფრად ღულის,
ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის!
მზე მიდის შინა.

(„ტერენტი გრანელი“)

ჩემს ოთახში, როცა მზე ჩადის,
იატაკზე აბრიალდება ერთი ბილიკი
და ბოლოს ღულის,
მზე მიდის შინა.
(„მოკლე ფიქრები სამი კონკრეტული გადახვევით“)

როგორც ხედავთ, ორი სხვადასხვა ტექსტი ერთმანეთს კონტრაპუნქტულად ეხმიანება ერთნაირი სურათებით, მაგრამ არა მხოლოდ სურათებით, არამედ კონცეპტუალური ერთობითაც – ოჯახის თემა, მამა, დედა ძირითად მოტივად გასდევს არა მხოლოდ ამა თუ იმ ლექსს, არამედ ფაქტიურად მთელ მის შემოქმედებას.

სახეთა გამეორებისა და მათი გადაძახილის პრინციპზეა აგებული (ამაზეც ზემოთ უკვე ითქვა), ლექსთა საკმაოდ დიდი ციკლი – „ისევ გადახვევები ოთხ ნაწილად“, ოღონდ აქ უფრო რთულად და მრავალგვარადაა ეს პრინციპი გამოვლენილი. ადამიანად მოსვლის მოტივი (მერთი „ჩვენთვის (ჩვენს სიბრტყეში) სწორედ ჩვენი ადამიანად განხორციელებით გამოვლინდება“ – ესმა), ადამიანის სიდიადის მოტივი, ფარულისა და დიადის მოტივი, ყველასი და ყველაფრის დამტევი სიყვარულის მოტივი ერთმანეთში გადადის, ერთმანეთს კონტრაპუნქტულად ეხმიანება და ერთდება ღვთისადმი – პუნქტისადმი – მზისადმი აღვლენილ ხოტბაში, სადაც ხმათა, თემათა, სახეთა პოლიფონიური აპოთეოზი მშვიდი და სიჩუმესთან დაწყვილებული ნოტით მთავრდება:

ამოგა მთვარე,
ამოგრვინდება მთვარის შუქში შავად კუნელი,
ასე მიჰგალობს ჩემი გული,
უცოდველი და უშურნელი.
(„მე“)

ასეთივე სტრუქტურისაა ლექსი „ოპერაციის დროს“, რომელიც ავტორის რეალური, ფიზიკური ტკივილის ანარეელია, მაგრამ ამ გაუსაძლის ფონზეც სიყვარულის აპოლოგიით ავლენს ავტორის ამაღლებულ სულს (ეხმიანება და ორგანულად აგრძელებს „გადახვების“ ციკლს), როდესაც კლინიკური სიკვდილის დროს, გონების დაკარგვის მიუხედავად, გრძნობს თუ რა დიდი სიყვარულითაა გარე მოცული და თვითონაც რა დიდ სიყვარულს ასხივებს:

დავსცერი ტკბილად, დაამებული უსასრულოდ,
„მე“-ს გარშემო ნათელ ციმციმით,
ჩემსკენ მომართულ სიყვარულის კუნძულებად
იშლება ხმელი,
ადამიანთა ჯგუფებია –

მე თქვენ შეგიგრძნობთ თითო-თითოდ
ერთად შეკონილთ,
მოსიყვარულე თქვენი გულების თაიგული
ჩემს გულში ტკბილად შემოვსებულა.

იქვე:

და ასე იყო:
როცა შევიგრძენ, ჩემს ღია გულში თქვენი გულები
თითო-თითოდ რომ თაიგულობს.

ახლა, როცა კიდევ ერთხელ მოვიხმე ესმას ციტატები მისი ლექსის ფორმალური თავისებურებების ნათელსაყოფად, ორი ეჭვი წამომიტივტივდა – ასეთი ოპერირების დროს ხომ არ დავაზიანე მისი პოეტური სიტყვის ძნელად დასაჭირო მთლიანობა და ონდავ მაინც თუ მივუახლოვდი მისი „გადახვების“ „ორკესტრირების მთლიანობაში აღქმას“... ეს ეჭვები გამიმძაფრა მისმა მინაწერმა „გადახვევებზე“: „ჩემს „გადახვევებზე“ ვფიქრობდი, მინდოდა წარმომედგინა რამდენად შეძლებს ესა თუ ის მკითხველი მისი ორკესტრირების მთლიანობაში აღქმას; არადა იმ ერთიანობის შეუმჩნევლად, რაც მას გასჭოლავს, ორგანულ მთლად კრავს, მას ბევრი აკლდება, აკლდება კარაულას უფასოსაურდება“.

რა უნდა ვთქვა. მართალია ესმა, თუმცა ეგეცაა: ორკესტრი თავის მთლიანობაშია მოსასმენი, მაგრამ ამ მთლიანობას ხომ ცალკეული ინსტრუმენტების უდერადობა ქმნის, მათი შეთანაბუბა, კონტრაპუნქტული შეხმიანება, ამა თუ იმ თემის წინ წამოწევა თუ მიჩუმათება და თუ გვსურს გავიგოთ, რა ქმნის ორკესტრის მრავალხმიანობას, ცალკეული ინსტრუმენტების ფუნქციასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება და გაგანალიზოთ – ეს კა ყოველთვის მთელის დამლას ინვენეს, რა თქმა უნდა, მისდა საზიანოდ. მაგრამ თუ არ დამლო, ვერ გაიგებ სათამაში როგორა გაკეთებული.

„გადახვევები“ საუკეთესო ლექსებია ესმას შემოქმედებაში და მისი „ამოხსნა“, „დაშლა“, ვფიქრობ, აუცილებელია ამ შემოქმედების სრულად გასაანალიზებლად. გულწრფელად რომ ვთქვა, „ჩემი“ ლექსები უფრო ესწინა თავისის არაორდინარულობის, სტრუქტურული სირთულის – კონცეპტუალურობისა და კონტრაპუნქტულობის – ზემაღალი იდეებისა და ზესიყვარულის, ფერადოვნებისა და კიდევ იმ გამოუცინობი ხიბლის გამო, რომელიც ნამდგილ ტექსტს ქმნის „ნამდვილად“. სხვა ალბათ სხვას დაითავისებს. აქ არჩევანი დიდია და ნამდვილი მხატვრული ტექსტის საიდუმლოც ხომ სწორედ ესაა, მასში ყველა თავისას ნაულობს და აღქმისას თავისი შეძლების შესაბამისად ამთავრებს.

ეს დავწერე და ახლა სხვა ლექსებმა მიმახდეს მათკენ, თავისი საგანძურისკენ, ბრწყინვალე ლექსებმა, და გული დამწყდა, რომ მონოგრაფიას არ ვწერ (ასე მე ამ წერილს ვერ დავამთავრებ) და მშურს მისი, ვინც ასეთ წიგნს შექმნის ესმას სიტყვითხელოვნებაზე.

ესმა ონიანის შემოქმედება რთულია და ღრმა არამარტო ფორმალური თვალსაზრისით, არამედ სააზროვნო მნიშვნელობითაც, ზემოთ უკვე ვთქვი, ესაა სერიოზული, ღრმადგანათლებული ინტელექტუალის, დაკვირვებული თვალის, ფაქტიზი და ამაღლებული სულის მქონე, ღვთითბოძებული ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედის ტექსტე-

ლიტერატურული პოლიტიკი

ბი... მისი სათქმელი ხშირად ვერ ეტევა სიტყვათა ჩვეულ შეთანხმებებში, სიტყვათა სალექსიკონში მნიშვნელობებში და ენის შინაგანი კანონებისა და შინაგანი, გარე თვალის-თვის უხილავი პოტენციის საფუძველზე, ენის სოცარი გრძნობის მეშვეობით მას თანამედროვე ენაში ბევრი სიახლე შემოაქვს, სიტყვათა ტრადიციულ მნიშვნელობებს ამდიდრებს ახალი ნიუანსებით, ფერებით, მოულოდნელ კონტექსტებში მათი ახლებურად ამეტყველებით: „წელვადობა“, „დაწყება თავისთავში“, „სასრულ-შედეგი“, „არასრული ორსიბრტყოვანება“, „არსული ორაზროვნება“, „ჩაფიქრებულ-გადაწყვეტილი“, „წელვადი ფორმები“, „გემოსდამამებელი“, „აღვტაც-ცრემლდებით“, „ცრემლ-გაღიმებული“, „ჭეშმარიტიანობა“, „ყყყოჩ-სიბინელე“, „საყვარელ-მომხიბლავია“, „სამუდამოდ დამპყრობა“, „ერთნაირ-ერთ მარადიულში“, „გაუქსენებლობა“, „დაუკარგაობა“, „მოუხელთბელობა“ და ა.შ. და სხვა მრავალი (საყოველთაო ენობრივი სიყრუის, ენობრივი უკიცობის, ენობრივი სიმახინჯის, ენობრივი სიბილნის, ენობრივი პროვინციალიზისა და უპასუხისმგებლობის ფონზე), რაშიც ჩვენი საზოგადოების დღევანდელი ინტელექტუალური და სულიერი დეგრადირება ვლინდება, ეს ნოვაციები ბევრს ნიშნავს. ნამდვილი მწერალი და ნამდვილი მკითხველი ხომ ყოველთვის უპირისიპირდებიან ენის გადატაკების ამ დამანგრეველ პროცესს როგორც თავისი ტექსტებით, ისე ამ ტექსტების თავისი წაკითხვით).

ყოველ ნაბიჯზეა ასეთი სიახლეები ესმა ონიანის ტექსტებში. მას თითქოს არ ყოფნის სიტყვის ტრადიციული სივრცე და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მხატვრულ ტექსტებში პოეტის სიტყვა ყოველთვის გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული, არამედ უფრო იმიტომ, რომ ესმას ნაფიქრ-განცდილი მკვეთრად განსხვავებულია სხვათა მიერ ნაფიქრ-განცდილისაგან. განსხვავებული სათქმელი კი ითხოვს განსხვავებულ ფორმებს. „დელი რვეულების“ ჩანაწერებში ესმა შენიშნავს: „ყველა დარგს თავისი ენა გააჩნია, არსებობს შინაარსის ენა, შინაარსი ერთია – ყოფიერება. არსებობს დარგის ენა, გზა, საშუალება და შემოქმედი თავისი დარგის ენაზე სრულყოფილად უნდა გეუბნებოდეს სათქმელი“. ეს მისწრაფება სრულყოფილებისაკენ კარნახობს მას ნოვაციებს ენაშიც – ცალკეულ სიტყვათა მნიშვნელობისა და ნაირკითხვაობის გაფართოებაში, ახალ სიტყვათ-შეთანხმებასა და სიტყვათზღვარზე (როგორც ფერწერამი ხდება ფერთაზღვარზე) ახალი მნიშვნელობებისა და ფერების დანახვაში.

მწერლის ერთი დანიშნულება და თვისება ხომ ესეცაა – გაამდიდროს ენა, დაიცვას და სრულყოს იგი იმ გლობალურ სამყაროში, სადაც მცირერიცხოვან ერთა ენები ითქვიფებიან სხვა ენებში, დარიბდებიან, უფრნეციოდ რჩებიან, ეს პროცესი დიდ საფრთხეებს მოიცავს და მნერლის ფუნქცია აქ ბევრს ნიშნავს.

ესმა ონიანი ამდიდრებს ქართულ ენას და მისი შემოქმედების საგანგებო შესწავლა ბევრს მოგვცემს როგორც მცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

* * *

ესმა ონიანის პოეზია სისხლსავე ადამიანის პოეზიაა, მას, შესანიშნავ მხატვარს, სრულად ესმის ლამაზი სხეუ-

ლის სილამაზის საიდუმლო და მომხიბვლელობა, იგი თავის პოეზიაშიც მხატვრად რჩება, ლამაზი სხეულის, დიდი ვნებების, დიდი სიყვარულის სრულად განმცდელ და აღმქმელ პიროვნებად.

იგი ორგანულად აგრძელებს ქართული ხალხური პოეზიისა და ქართული კლასიკური პოეზიის იმ ეროტიკულ შენაკადს, რომელიც მშვინივრად იჩენს თავს ჯერ შოთა რუსთაველთან, შემდეგ ცოტა სკაბრეზულად დავითი გურამიშვილთან, უფრო ფაქზად ვაჟა-ფშაველასთან და უფრო ვნებიანად გიორგი ლეონიძესთან (რისი დასტურიც თუნდაც „მოღალატე ცოლის აბბავი“ და „დანახული ანდაზებია“).

ამ პოეტმა კარგად იცის სიყვარულის თავბრუდამხვევი სტიქის ამბავი და შესანიშნავად გვაგრძნებინებს კიდეც მას ისეთ ლექსებში, როგორიცაა – უსათაურო („სამსახურში“), უსათაურო („ჩემი ოთახი“), „ჩემი გონება გაუთიშვავი“, „ია რჩეულიშვილი უკრავს თელავში“ და სხვა მრავალი.

* * *

ჯერ კიდევ კომუნისტთა ზეობის დროს, 1970 წელს, ესმა ონიანმა თარგმანა გავრიოლ დერუავინის პროგრამული ნანარმოები – „ლერთი“. ეს მხოლოდ მის პიროვნულ გაბედაობასა და სულიერ სმაბლეზე კი არ მეტყველებდა, არამედ იმაზეც, თუ რა სიმაღლიდან და კუთხიდან ხედავ – ეს შემოქმედი სამყაროსა და პიროვნებას:

თვითვე თვითონ ხარ თვით შენით ავსილი,
შენიდან შენით შუქი ხარ გზასინილი,
შენ ხარ ნათელი სით სხივი დენილა,
სიტყვით ყოველის მშობი,
ახალ განფენით მყოფი,
იყავი, ხარ, სამარადისოდ შთენილხარ!

და იქვე:

შენ ჩემში ანთიხარ
დიღი სიკეთით შენით:
როგორც წყლის წვეთში მზე ელავს და ბრნყინავს,
შენა ხარ ჩემში მჩენი.

ეს კონცეპტუალური საწყისი განსაზღვრავდა ესმა ონიანის შემოქმედებასა და ცხოვრებას, ამ ლექსის თარგმანდე და მერცე, ეს იყო მისი არა მხოლოდ შემოქმედებათი, არამედ ცხოვრებისეული არჩევანი, მისთვის ერთ-დერთი და უეჭვო, მისი დროისა და გარემოსთვის ვერ გასაგები და ამიტომაც მიუღებელი. ეტყობა, ამანაც განაპირობა მისი შემოქმედების ძნელად აღქმაც იმ დროს, როცა ღმერთის სიდიადე მხოლოდ ერთეულებისთვის იყო მისაწვდომი, ხოლო გაცხადება ღვთისესების სწრაფული სატექსტო განვითარება – ტაბუდა-დებული.

ესმას ფერწერასა და პოეზიას ერთი საერთო საწყისი აქვთ – ის, ღმერთი, ერთი და ერთადერთი. ყველა და ყველაფერი, ყველგან, ყველთვის და ყველაფერში მისი გამოვლენაა, მისით პირობადებული და მისით აღმატებული.

ეს საერთო საწყისი განაპირობებს ესმას ხედვასაც და აზროვნებასაც, იმას, რომ მის პოეზიასა და ფერწერას ერ-

ლიტერატურული პორტფო

თი საერთო ჰყავთ, მიწიერი შემოქმედი, რომელიც ადამიანში, ოჯახში, დედ-მამაში, ახლობლებში ხედავს ყოველივე ლეთიურის გამოვლენას, ოღონდ სიტყვა, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში სხვა სიღრმეებს წარმოგვიჩნის, ხოლო ფერი და ხაზი – სხვას. მაგრამ საერთო როგორც არსობორივად, ისე ფორმალურად მანც არის, ეს ლეთიური საწყისია. სწორედ ამიტომ მისი სიტყვითხელოვნება და მისი ფერწერა „ნამდვილია“, ფერგაუხუნავი და აქტუალური დღესაც, იგი, როგორც შემოქმედი „მხოლოდ ერთის და ერთადერთის“ გამომხატველი იყო იმ გაორებულ და ტრაგიულ სამყაროში, სადაც ბევრი ტალანტის სულიცა და შემოქმედებაც გაორდა და დაინგრა.

ესმა ონიანი თავის ამა თუ იმ არსებობაში მთლიანი, მრავალფერი და მრავალგვარია – თავისუფალ ლექსშიც, კონვენციურშიც, საპავშვოშიც, ესსავებშიც, თეორიულ წერილებშიც, ჩანაწერებშიც, ბიოგრაფიაშიც, მხატვრობაშიც და ჩვენს დღევანდელ წარმოსახვაშიც – ერთი მთლიანი რენესანსული პირვენება და შემოქმედია. ამიტომაცაა ალბათ, რომ ბანალური ყოფითი ფაქტები, იქნება სულაც მეტუარული დეტალები, წარსულის მოზაიკური ნამსხვერვები მასთან იქცევა შთამბეჭდავ პოეტურ სახეებად, დიდ ხელოვნებად, „ნამდვილობად“.

მისი ლირიკული ლექსებიდან ხშირად ნამდვილი ეპოსი იცეირება.

ეს საერთოობა – მსოფლმხედველობითი – რეალობის ერთგვარი ხედვა და გაანალიზება, ეტყობა განაპირობებს ფორმალურ დონეზე მისი მხატვრული ტექსტების პრინციპულ მსგავსებას, რაც იძლევა მათი მინაგანი სტრუქტურის განსაზღვრის შესაძლებლობასაც. თავად ესმას სიტყვებით რომ ვთქვათ (რომლითაც იგი დავით კაკაბაძის ფერწერას ახასიათებდა): „რიტმული წესრიგი, ყოველი გამოსასახვი დეტალის მნიშვნელოვნად გამოცხადება და მოწონება, საერთო მთელში მათ შორის ერთნაირად როლების განაწილება, მთელს დამორჩილება და მთელით განპირობებული მათი არსებობა, ორნამენტული ნაბეჭდობა, სათქმელის რიტმულ-დეკორატიულ ლერძზე დაყრდნობა – აი, რა უნდა ვისწავლოთ მისგან“. ვფიქრობ, თავად ესმა მიისწავლოდა ამ ყველაფრისეკნ. მის სიტყვითხელოვნებაში ეს მისწავლება შესანიშნავი შედეგით მთავრდებოდა და ვფიქრობ – ფერწერაშიც.

ამ ფორმალურ ძიებებშიც კი სრულად ვლინდებოდა ამ საოცარი ქალბატონის სული – მშვენიერი, ნათელი, ამაღლებული, სიყვარულით და თანალმობით სავსე. თუმცა ამ ყოველივესთან მისვლაა საჭირო, გონებრივი და ემოციური გარჯა ამ ტექსტების აღსაქმელად. მისი თავისისუფალი ლექსი არაა მეტროში, დროის გასაყიდვანდ წასაკითხი ტექსტი, არც სერიალებისაგან გაზარმაცებულ ტვინის აღსაქმელი. მაგრამ თუ მიყვებით მის სიტყვას, იქ ფერსაც დაინახავთ, ბერასაც მოსმენთ, სურნელსაც იგრძნობთ, სევდა და ტკივილიც შეგძრავთ და აიგნის რიკულებში რიტმულად დაშლილი მზის სხივიც მოგახუჭინებთ თვალს.

ნაიკითხეთ მისი „მოქლე ფიქრები სამი კონკრეტული გადახვევით“, რომელშიც სამი ლექსი შედის – „ველასკესი“, „ფიროსმანი“, „ტერენტი გრანელი“ და „ისევ გადახვევა ოთხ ნაწილად“ ლექსებით: „მე“, „ოპერაციის დროს“, „არაფერი“, „ქართული“, „მარგალიტა“, „მიამიტად აქ იმზირება“, „ია რჩეულიშვილი უკრავს თელავში“, „ბერნესი“.

ხიდი“, „ყვითელი“, „მზე“, „ლუი არმსტრონგი“, „შავი“, „მანანა“, „ნითელი“, „ქალისხმევა“, „ნითელი შიგულის გახსენება ფეხნალრძობზე“, „ვარდები“, „ვარდისფერი“, „გალინა დეიდას ნაქარგი“, „ქოლგიანი ქალი“, „სიმღერა სუფრასთან“, „სომები ბიჭი გიქორი“, „მ-ს“, „გარდამოხსნა“ (ვან დერ ვეიდენის ბრწყინვალე ტილოს მეშვეობთ ქრისტეს ტანჯვისა და ნეტარების წვდომა, ისევე, როგორც ლექსებში „ჯვარცმის პატარა ლექსი“ ან „შენ უმაღლესო“, „ვან დერ ვეიდენი“, „სრულყოფის ხმას“, „სუნი“, „თეთრი სტუმრები“, „სვიმონ ბაბუა“, „მოულოდნელი გაგრძელება – მამა“) და დამეთანხმებით, რომ თუნდაც მათი სათაურები უკვე მიგვანიშნებს ესმა ონიანის პოზიტის რელიგიურობაზე, ფერადოვნებაზე, ყოფითი დეტალების პოზიტის თემად აყვანის დიდ ნიჭიერება.

* * *

არის კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც სიტყვითხელოვნებასა და ფერწერაში სხვადასხვაგვარად გამოიხატება, დროის პრობლემა მაქვს მხედველობაში, და საინტერესოა, როგორ იჩენს თავს ეს პრობლემა ესმა ონიანის, ფერმწერისა და სიტყვითხელოვნებანის, შემოქმედებაში.

აქვე, მკითხველს ერთი ტეშმარიტება უნდა შევასხეონ – დრო და სივრცე მხატვრულ ტექსტში სხვაა, ყოველდღიურ რეალობაში – სხვა.

ნებისმიერი მხატვრული ტექსტი შექმნისთანავე წარსულის ფაქტად იქცევა, მას ანმყო ფაქტიურად არა აქვს, მაგრამ როგორც დაუსრულებელი სტრუქტურა, იგი უნდა დასრულდეს მომავალში, მისი მომავალი აღმქმელის წარმოსახვაში; სწორედ მომავალმა აღმქმელმა უკვე ახალ ან-მყოში უნდა ამოიკითხოს ტექსტში არსებული სახეები, სიმბოლოები, მინიშნებები, ალუზიები და ხელახლა აქციოს ისინი ანმყოს ფაქტად... ეს პროცესი უსასრულოდ მრავალჯერადია და ყოველთვის ახლებურად განმეორებადი... წარსულში არსებული მხატვრული ტექსტი მომავალი აღმქმელის ცნობიერსა თუ გრძნობად სამყაროში იწყებს ხელახლ ცხოვრებას – ესაა ჭეშმარიტი, „ნამდვილი“ მხატვრული ტექსტის თვისება და ამით განსხვავდება იგი წარსულში ჩარჩენილ ბანალურ საგანთა თვისებისგან – დარჩეს მხოლოდ იქ, სადაც იყო.

ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში სამი დრო კი არსებობს, მაგრამ რეალურად ეს დროები ერთმანეთის თანაბარი არაა, რადგან ანმყო, როგორც კი დაფიქსირდება, მაშინვე იქცევა წარსულად (თუნდაც ეს ფრაზა, რომელსაც ვწერ, დამთავრებისთანავე უკვე წარსულია). სწრაფმედინ დროში რეალურად, დროში განტელიად, მხოლოდ ორი დროა, წარსული და მომავალი. თავად წარსულიც მარტივი წარსული არაა, მას წინარენარსულიც აქვს, ისევე, როგორც მომავალს შორეული თუ ახლო მომავალი (ხოლო ზოგ ენაში გაგრძელებული ანმყო, თითქოს იმ სურვილითაა, რომ გახანგრძლივდეს ანმყოს ანმყობა).

ფერწერაში ეს ყველაფერი სხვაგვარადაა, აქ მარად მედინი დრო წარსულიდან ანმყოსეკნ მოდის... მწერლობაში ანმყო აღმქმის მოქმედიშივე წარსულად იქცევა, ფერწერაში – არა.

ფერწერაში დრო ყოველთვის ანმყოა, სიტყვითხელოვნებაში – წარსული, ხშირად – წინარენარსულიც.

როგორც ითქვა, სწრაფმედინ დროს ფერწერა აწმყოში აფიქსირებს და აღქმის დროს იგი აწმყოდან მომავლისკენ იყითხება – ფერწერი და საგნები სიღრმიდან ამოდის და რეციპიენტის აღქმაში ქმნის აწმყოს განცდას (ორი ფერის შერწყმის ადგილზე მესამე ფერი სწორედ აღმქმელის აღქმაში წარმოიქმნება).

პოეზიასა და პროზაში რასაც კითხულობ, უკვე მომხდარია, დასრულებული.

ფერწერაში განცდა ელის მომავალს.

სიტყვითხელოვნებაში – განიცდის წარსულს.

ყოველთვის მეგონა, რომ აწმყოს შეჩერება (უფრო სწორად, დაფიქსირება) შეუძლებელია, თურმე ვცდებოდი. მხატვარი აჩერებს აწმყოს და მუდმივ აწმყოდ აქცევს მას. იგი აჩერებს წამს, აკეთებს თითქოს შეუძლებელს.

„ფერწერული ნაწარმოები აღქმისას ადამიანური დროის გაქრობის მეტ გემოს იძლევა“ (ესმა).

„რაც შეეხება აღქმას, ერთბაში აღქმა – მოსმენის ყველაზე პირდაპირი, პუნებრივი რეალობა ამ დარგებიდან ფერწერას აქვს. მუსიკა, პოეზია ადამიანური დრო-სივრცის განუყოფლობაში დროიდან გამოდიან – დროში ჰქმნიან სივრცეს; ფერწერა კი სივრცეში ჰქმნის დროს“ (ესმა – „მუსიკა, პოეზია, ფერწერა“).

ნახატის აღქმისას მზერა მარცხნიდან მარჯვნივ მიემართება, და, სურათის სიღრმიდან ზედაპირისკენაც ამავდროულად, მაყურებლისკენ... ხდება ამოკითხვა და შეერთება ხატვის დროს დადებული ფერების და ფერთა შეხვედრის საზღვარზე წარმოქმნილი ახალი ფერების... ახალახალი ფერა ამოდის ალსაქმელად და იქმნება მუდმივი აწმყო... წარსულიდან იქმნება აწმყო... როგორც ვთქვი, სიტყვითხელოვნებაში სხვაგვარადა ეს პროცესი, აწმყო წაკითხვისთანავე, დაბადებისთანავე იქცევა წარსულად (თუმცა არა ყოველთვის!).

ესმა ონანის ვერლიბრის კითხვისას ისეთი განცდა მაქვს, რომ იგი ცდილობს ფერწერისა და სიტყვითხელოვნების ეს ორი განსხვავებული თვისება ერთმანეთით გადაფაროს, მათ შორის ზღვარი მოშალოს. მიზეზი ამისა ეტყობა ისიცაა, რომ თავად იგი ბრწყინვალე ფერწერიცა და ბრწყინვალე ლექსთმნერიც ამავდროულად. ერთი მაგალითი მისი პროგრამული ციკლიდან („ისევ გადახვევები ოთხ წანილად“):

**აგერ მოდიან ჩითის ჩანთებით,
მოეფარწენ ბაკშვები თვალს,
შემოდგომის ცა ყვითლად ღუის**

**ნათელ გადმოღვრით
სულმთლად ველებზე ვენახების ოქროსფერი ჩხვერით,
შრიალით**

**ვენახისპირა თხილის ბუჩქებში
სალამოს ნიავს მოაქვს სევდა სოფლურ სიჩუმის, –
ჯერაც სინათლე აუნთები თთახების,
ჩირისსუნიან ტახტის
კუნჭულის ბინდში ჩაძირვის,
აღარ ირჩევა ასოები – გარეთ გამოსვლით.
„პოლსა და ვირჟინს“**

**ჩუქურთმიანი აივანი ბოლო სხივს აფენს,
ჩუმად დაქრიან ფრინველები
უცებ და უცებ,**

**მღვივარ ცაზე შავად ელავენ,
ყვითელ ფურცლებს დაჩერებულ ქუთუთოებში
გვერდით ხედვას
მალი-მალ იშვიათი დაჭყივლებით გადასერავენ,
სიღრმე-სრიალით გამკვანი ცა კაშკაშებს...**

აქ ყველაფერი შენ თვალწინ ხდება, აწმყოში, რომელიც თავისი დაუსრულებლობით მომავლისკენ არის მზერამიქ-ცეული. ავტორი შენთან ერთად ხატვს და შენთან ერთად ხედავს იმ სურათებს, რომელთა შექმნის თანამონანილეც თავად შენ ხარ – მკითხველი. მოძრაობა, ხმა, ხაზები, ფერები, ბეგერები, სუნიც კი, რომელსაც გრძნობ, შენს თვალწინ იქმნება და კი არ მთავრდება, წარსულად კი არ იქცევა, წარსულისკენ კი არა მზერამიქცეული, არამედ – მომავლისკენ. ამ წუთში დანახული და გავონილი მომავალი ხატისა და განწყობის წინარე საფუძველი ხდება: აწმყო მომავლისკენ მოძრაობს და არა წარსულისკენ.

მის ამ ლექსში მისივე ფერწერის კანონები მოქმედებს.

კიდევ მიბრუნება რომ არ მოვიხდეს ზემოთმოხმობილ ტექსტთან (არადა, რამდენჯერ მივუბრუნდით ამ ციკლს!), აქვე თავად ესმას სიტყვებით მინდა დავახასიათო იგი: „ამ ლექსის ფორმალური მხარე ემსახურება პოეტის სულში ჩატრიფრული ცხოვრების უნაზეს დეტალთა, ბეგერათა, სურნელთა ამოტანა-ამოხმიანებას. ყოველი სიტყვა – თანმიმდევრობა, მათი ზუსტ-რაოდენობა – ამორჩევა, ყოველი ამოსუნთქვა – პაუზა, სიტყვათა გადაბაზილი, დაბოლოვება – დასაწყისთა ერთმნიერთი გაფრთხიალება – ნიავი, გარითმვა, ალიტერაცია – მეტაფორები, სიტყვათა წონა – სიმკვრივე, ინტონაციური შეფეროლობები ისეთი ცხოველი ძალით, ისეთი „მე“-სმიერი განუმეორებლობით დაღავს ამ დეტალებს, რომ ლექსის „სათქმელი აღმოჩნდება – თბილ ინტიმური პულსაციით მუდმივის, წარუგალის ფრთხილი, რაციონალურად შეუმჩნეველი ამოუნვა-შეგრძნებინება“.

ამაზე ამომწურავად ვერ იტყვი.

თანაც ეს ყველაფერი იმ სევდას განგვაცდევინებს, გალაკტიონის „მამულში“ რომ იღვრება, ნოსტალგიის ნისლში გაგვხვევს და გაგვახსენებს იმ ყოველივეს, რაც ოდესადაც იყო და რაც დღესაც არის (გალაკტიონთანაც წარსულის ფაქტი იქცევა აწმყოს ფაქტად).

ესმა ონიანთან დროსთან ასეთი მიმართება მისასვე ფერწერასა და სიტყვაცი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი (და ორივეგან „ნამდვილობით“), ორივე კი ერთად ქმნის სამყაროს მრავალფერ, მრავალსახოვან და მრავალშმიან სურათს, პოლიფონიურისა და კონტრაპუნქტულს. ეს რენესანსული მთლიანობა, რენესანსული სისახსით და „დაუსრულებლობით“.

ასეთივე ნოსტალგიური განწყობისაა ერთ დროს დანაშაულებრივად იგნორირებული მეოცე საუკუნის დიდი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის ერთი პატარა ლექსშედევრი: „გაზაფრულის სალამოა მშვიდი“. ესმას უყვარდა ტერენტი გრანელი, ზუსტად აფასებდა და აანალიზებდა მის პოეზიას იმ ბრწყინვალე სისადავის, ტრაგიზმისა და შორეულისა და მიუწვდომლისაკენ მუდმივი სწრაფვეს გამო, რომლითაც მართლაც გხიბავთ ეს დიდი შემოქმედი.

ტერენტი გრანელის ამ ლექსში თითქოს არაფერია „ისეთი“, მაგრამ ამ მოჩერებითი „არაფრობისა“ და „უბ-

ლიტერატურული პორტრეტი

რალიების“ იქით იმ ადამიანური გრძნობის გენერალიზება ხდება, რომელიც სულიერ სიმშვიდეს, მიუწვდომლობის კენ მუდმივ სწრაფვას, ადამიანად არსებობის დიდი სიხარულის შეგრძნებას და მასთან ერთად ამ არსებობით დაღლასაც უკავშირდება. აქ თითქოს მოწყენა სულის, მაგრამ დიდი სიმშვიდეც – ხიდან ხეზე გადაფრენილი ჩიტის მოძრაობით მოვუნილი. აქ ვიზუალური ხატიც უბრალოა. სიტყვათა მარაგიც განსაზღვრული, მაგრამ სწორედ ეს სისადავე და ერთი განწყობის გენერალიზება ქმნის იმ საოცრებას, რომელიც მეტითხველს (გინდა მსმენელს) იცყრობს.

ეს უპრეტენზიო ლექსი დიდი პოეზიის ნიმუშია.
მაგრამ მაინც რა ხდება აქ?

დააკვირდით დროის კატეგორიას:

გაზაფხულის სალამოა მშვიდი, (აწმყო)
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი. (ნარსული)

სული საზღვარს გადასცილდა ფრენით, (ნარსული)
ახლაც მახსოვს მისამართი შენი. (აწმყო)

ცამდე წვდება ლამეების სიგრძე, (აწმყო)
რალაც დიდი სიხარული ვიგრძენ. (ნარსული)

წინ მეშლება სხვა ოცნების არე, (აწმყო)
მინის ცქერით დაიღლალა მთვარე. (ნარსული)

გაზაფხულის სალამოა მშვიდი, (აწმყო)
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი. (ნარსული)

ამ ლექსში გრამატიკული დრო – აწმყო და წარსული ერთ პოეტურ დროშია მოქცეული, პოეტურ აწმყოში, რადგან მათი დაფიქსირება პოეტის მიერ და აღქმა რეციპიენტის მიერ აწმყოდ აფიქსირებს მათ, ერთ მთლიანობად, აწმყოში არსებულ მთლიანობად. იქნება ამ ორი დროის გაერთიანებაშიც არის ამ თითქოს მარტივი ტექსტის შთამბეჭდაობის საიდუმლოც: პოეტი „იშინაურებს“ დროს (გრამატიკულ წარსულს აქცევს პოეტურ აწმყოდ. აწმყო არ კვდება, არ იქცევა წარსულად, პირიქით, წარსული და აწმყო ერთდროულად ქმნიან შეუქცევად აწმყოს).

დროის კატეგორიის შედარებითი კვლევა ქართულ პოეზიაში ბევრ საინტერესო აღმოჩენას გვპირდება და ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჯერ კიდევ წინ არის.

* * *

ახლა რაც შეეხება აკაკი წერეთელს, ტერენტი გრანელს, გალაკტიონ ტაბიძეს, ნიკო ფიროსმანს, დავით კაკაბაძეს, მატისს, ველასკესს, ვაჟას, ვან დერ ვეიდენს, გურაბ რჩეულიშვილს, ერლომ ახვლედიანს, შოთა ჩანტლაძეს – ესმა ონიანის გემოვნების საწყაოს, მის სააზროვნო სივრცეს, მისი, როგორც შემოქმედისა და თეორეტიკოსის ათვლის წერტილს. აქ მთავარი მხოლოდ ის კი არაა, ვინაა მისი რჩეული და რას ხედავს მასში, არამედ ისიც, რომ ეს ყოველივე თავად მისი სულის ნაწილად იქცევა, მისი გემოვნების და მსოფლხედვის განმსაზღვრელად. სწორედ ეს არჩევანი და მათთან დამოკიდებულება ქმნის შემოქმედის განუმეორებელ დამლას.

ესმას აზრით – „გალაკტიონმა ქართული თანამედროვე პოეზიისთვის გააკეთა რამდენიმე პიროვნების გასაკეთებელ-მოსასწრები, გააკეთა ის, რასაც სხვა ქვეყანაში რამდენიმე პოეტი ქმნიდა და ამ ერთობლიობით ყალიბდებოდა მათი პოეზიის სახე, ეყრებოდა საფუძველი მომავალს; გალაკტიონმა მოასწრო სხვადასხვა არხის მიშვება, მოასწრო არ დაურჩენილიყავით ახალი პოეზიის რამე ელფერ-დაკლებული. დიდი წინაპრების შემდეგ ჩვენი ენის ახალი ცხრაკლიტული გახსნა, დაგვიტოვა უხვ-დაუმადლებლად მისი სიმდიდრე, მასში შესაძლებელ მოძრაობათა სითავისუფლე შეგვაგრძინიბინა, უმურველად დაღვარა ითვლი წინა დარბაზთა გახსნაზე და მეცხრესთან დაგვაპირისპირა. გალაკტიონის წყალობით ჩვენ გვაქვს სამუალება ვინგბივროთ, ისე აღარ გავწვალდეთ ქართული ენის ზმინის თავისებურებათა ძიებაში“.

ტერენტი გრანელი „გამუდმებული ხლეჩის ზღვარზეა: უმძაფრესი მონატრება – სიყვარული და ადამიანური ფეხმოუკიდებლობა; ვერ შეძლება, ვედარ გაძლება, ადამიანად არსებობს ვერ ცოდნა, ვერ შეთვისება, და თანაც მისკენ უდიდესი სიყვარულითა და ცრემლით ლტოლვა. პოეზია – მისი უტყუილო, ნამდვილი ბუნების შედეგია. ჭეშმარიტი პოეტი მხოლოდ თავისი სულის გამოცდილების ნამდვილობას მიელტვის პატიონსად, სულის „ბიოგრაფიას“, სულის აქ ყოფნის „ისტორიას“ ტოვებს“.

(ტერენტი გრანელი ხომ თითქოს ერთი გენერალიზებული განცდის პოეტია, მაგრამ მას ესმა ასევე „ნამდვილად“ აღიქვამს და აფასებს. თვითონ ესმაც ხომ ასეთია ზოგ თავის ლექსში, ოლონდ არა „მთავარში“).

„არ სჭირდება ტერენტის შეღავათები! ის დიდი პოეტია, საერთოდ, დიდი რა არის? არსებობს ერთადერთი განსაზღვრება (ამისთვის) – ნამდვილი!“

ისევ ესმა: „რატომა დიდი ფიროსმანი?“

საქმე ის არ არი, რომ ის მხატვარია, ფერმწერი – უბრალოდ ეს მისი გამოხატვის წილხვედრი გზაა. ფიროსმანი – უზადოდ, აბსოლუტურად მთლიანა (აი, შესანიშნავი მაგალითი – მძიმე ცხოვრება და მაინც შეუბზარავი პიროვნება – მთლიანობა). „ჭეშმარიტი, დიდი ტალანტი თავის-თავად გულისხმობს ნებისყოფას, გემოვნებას, ზუსტ წარმართველობას და დანიშნულებრივ მიზანსაუცდენლობას“ (ესმა).

აკაკი – „ჭეშმარიტი ტალანტისთვის დამახასიათებელი – შეუცდარი ზომიერების, შერჩევითობის, კლება-მატების უტყუარი გრძნობის წყალობით უბრალოებამდე, სრულებრივი ნაზ სუნთქვამდე მისული სტილი აკავისა, მისი პოეზიის სიღრმე, აი, რას მაღავს: „თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა, პოეტის გულის წყურვილსა“. ამ სიტყვებს რომ ნავადექი აკავის კითხვისას, უცცარი შეგრძნება მქონდა – ნაზ ლივლივში მკვრივად შენვთულ ელვარებისა; „რა მოჰკლავს უფსკრულსა“ – რა მკვრივი, სხეულებრივი პოეზიის ნიმუშია“.

„რა წყურვილს, რა უფსკრულს აქვს თავი გადაკრული ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედებაში“.

ისევ ესმა: „შოთა ჩანტლაძე რომ გარდაიცვალა მაშინ დაბეჭდეს („ცისკარს ვიღებდი“)... „უურნალშივე წავიკითხე მისივე „სქოლიო“!!! – აღტაცებაში მოვედი, შედევრია სათქმელ-ფორმის ის „დაუხსნელი“ გაუთიშოამბა („დაუხსნელად დამტკიცებულსა“ – გახსოვთ ნიკოლოზ ბარა-

ლიტერატურული პოლიტიკი

თაშვილი!!!?), ურომლისოდაც ნაწარმოებად წოდებული რამე ჩემთვის არარსებულია; რა მოხდენილი, რა ელეგანტური „თამაშია“! რა სრულყოფილად მიიღვრ-მოიღვრება სათქმელ-ფორმა. რა შესანიშნავი მწერალია“.

ესმა ონიანი მარტოობის ჟამსაც (როდესაც იქმნება ყველაზე და ყველაფერზე ლირებული რამ) არა და ვერაა მარტო, იგი სავსეა „სხვებით“, დროსა და სივრცეში დაცილებული, მაგრამ ერთად მყოფი „ნამდვილებით“:

„გულს რომ მივმართავ და ჩავიჩედავ – იქ უანგარო, ერთგული სიყვარულია, დაუკარგაობა, ტებობა და დაფასება სხვისი და მაშინ დაბეჯითებით ვიცი, რომ ნამდვილი ნაწარმოები ერთმანეთში ცხოვრობენ და ის ვინც თავდაკინებულ ქმნის პროცესშია, ამავე დროს, „მარტო“ დარჩენილებსაც ატარებს მუცლით“.

თავი გავანებოთ ლექსები, ფერწერასაც თავი გავანებოთ, დამეთანებით ესმა ონიანის ეს და სხვა ჩანაწერებიც მას გამორჩეულ შემოქმედად, მწერლობაში, მხატვრობასა და მუსიკაში, თეორიულ ლიტერატურაში ლრმად ჩახედულ პიროვნებად, ფაქტზე გემოვნების, დაკვირვებული თვალისა და სიყვარულით სავსე ადამიანად ნაწარმოგვიდგენს – „ნამდვილად“.

არადა, რა არის ეს „ნამდვილი“ წერილის სათაურიდან აქამდე რომ ხშირად მივმართავ როგორც ამაღლებულის, მთლიანის, მშენებირის აღმნიშვნელს და რა არის ის, რაც ამ სიტყვის ქვეშ ლამის წმინდა ორდენის ნიშნით აერთიანებს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედთ?

სიტყვა „ნამდვილი“ ესმა ონიანის ტერმინია, რა თქმა უნდა, ბევრად აღმატებული არა მარტო თავად ამ სიტყვის, არამედ თითქოს მისი მონაცვლე სიტყვების (ამაღლებული, მთლიანი, მშენებირი) ცალკეულ სალექსიკონ მნიშვნელობებზე. იგი მათზე ბევრად მეტია, ამაღლებული და მდიდარი, მოვლენის გარე თუ შინაგანი არსის სრულად და უნაკლოდ გამომხატველი, დროსა და სივრცეში ერთადერთი, მაგრამ აღქმისას ახალი სინამდვილის საწყისი, შემოქმედის მიერ აღმქმელისთვის შეთავაზებული საჩუქარი, რომელიც თავად აღმქმელს გადააქცევს შემოქმედად, თუკი იგი ამისთვის მზადაა.

სიტყვა „ნამდვილი“ ესმა სხვადასხვა დანწყილებაში და სხვადასხვა კონტექსტში მიმართავს („ნამდვილობა“, „ნამდვილი ხელოვნება“, „ნამდვილი თავისთავადობით აღქედილი ნაწარმოები“, „ნამდვილი, სრული სიყვარული“, „ნამდვილი მხატვარი“, „ნამდვილი შემოქმედი“, „ნამდვილი პოეზია“, „ნამდვილი წინი“, „ნამდვილი აღმქმელი“ და ა.შ.). ყველა ეს ესმასთან ლეთითკურთხეული ხელოვნების და ლეთითკურთხეული ხელოვანის, სრულყოფილი და ამაღლებული ლეთისმოსავი ადამიანის სულისა და ხელის ნაყოფა, რომელიც თავად აღმქმელს ამაღლებს და შემოქმედების სასწაულს აზიარებს. ნამდვილობა სრულყოფილი ხელოვნების, სრულყოფილი ადამიანის უცილობელი თვისებაა. აქ ამ სიტყვის ყველა კონტექსტში განმარტება შემოქმედის ნაგვიყვანს, ხოლო ზოგ აუცილებელ შემთხვევაში მისი გამოყენება მაინც უნდა განვმარტოთ:

„ნამდვილი (ხელოვნება) (შემოქმედება) ეს არის ქმედება უმაღლეს შემოქმედებაში და ცხადია ტალანტი შეიმეცნებს თავის როლს, თავის ხარისხს სრულად; ეს არ ნიშნავს, რომ იგი მთლიანად კმაყოფილდება თავისი ნამოქმედარით; არა, – სრულყოფილება უსასრულოა და მასაც (ტა-

ლანტს) გარკვეულ საფეხურზე ყოფნის, მუდმივად რაღაცის მისაღწევად ლტოლვის შეგრძნება აქვს“ (ესმა).

„ნამდვილ ნაწარმოებში სრულად არის განხორციელებული მისი (ავტორის – კ.ი.) სათქმელი, ამიტომაც არის ნამდვილი“ (ესმა).

„ნამდვილ პოეზიაში სიტყვების პირდაპირი, საკომუნიკაციო დანიშნულება უკან გადადის, ნაკლებმნიშვნელოვანია. მთავარია სიტყვებმა თავიანთი ნამდვილი „სახე“, არსი დაგვანახონ“ (ესმა).

„ნამდვილობა სტილურ განუმეორებლობასაც ნიშნავს“ (ესმა).

სიტყვა ნამდვილის გამრავალფეროვნება და გამდიდრება (რისი მაგალითები სხვაც ბევრია) იმ ნოვაციათა რიგშია, სადაც ბევრი ქართული სიტყვა გამდიდრდა ბუნებრივად და, ფატიურად, შეუმჩნევლად, იმდენად თრგანული ყო ესმას შემოთავაზებანი.

ასეა თუ ისე, იგი უმაღლესი სინჯის აღმნიშვნელი სიტყვაა, ზემაღლალის, ლეთიურთან მიახლოებულის, ძნელად მისაწვდომი იდეალის.

* * *

ესმა ონიანის სიტყვითხელოვნება, როგორც ზემოთ აღნიშნება, მრავალფვარია და მრავალფერი უანრული თუ სტილური თვალსაზრისით – აქა ინტელექტუალური პოეზია, ესეისტიკა, სატრფიალო ლექსი, საღალობოც, პოლემიკაც, თეორიული განსჯანიც... ახლა დავამატებ, ანდაზების პოეტური გარიაციებიც...

ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მაშინ, როდესაც ახალგაცნობილები ვიყავით, სულაც არა მეტობარს და სულაც არაახლობელს მკითხა: „ანდაზებზე მინდა დავწერო, რას იტყვი?“ მაშინ რა უნდა მეთქვა, საინტერესო იქნება-მეთქი. მერე ნავიკითხე სწორედ ის შესანიშნავი ლექსები – „დანახული ანდაზები“ („სიძე თუ მოდის, მოვიდეს, თუ არა და მეძინება“, „მორცხვი ქალი ერთ ქალაქად, მორცხვი კაცი ერთ ქალამნად“, „ბრიყეს ტაძარში არ უშვებდნენ, შეუშვეს და ისე გათამამდა, ხატებს ფურთხება დაუწყორ“, „კაცმა ჩიტს თოვით დააცილა და ჩემი ხელიდან ხომ მკვდარი ხარო“ და ა.შ.). ეს ციკლი შესანიშნავი სამკაულების ნაკრძია, ძვირფასი თვლებითა და კეთილშობილი მეტალით.

მე მსამოვნებს, რომ თავისი ეს ჩანაფიქრი მეც გამზიარა და ნეტა ახლა ამ ნერილის ნაკითხვა შეეძლოს, იმ კითხვის პასუხს ამ ნერილით დაგუბრუნებდი – დიდი ხელოვანის ხელში კველაფერი ანათებს.

ამ სიტყვების დასტურად წაიკითხეთ თუნდაც ამ ციკლის პირველი ლექსი – „სიძე თუ მოდის, მოვიდეს, თუ არა და მეძინება“ და თავად აღრწმუნდებით, თუ ამ ჩვეულებრივი ანდაზიდან ხელოვანმა რა ტექსტი შექმნა, როგორ ამოსწია მის პოტენციაში არსებული ტრაგედია:

პატარძალი ფშვინავს,

– სასთუმალთან ვერცხლის თასში წყალია

აბობოქრების პირას.

გადაბრუნდება – ღონიერ ბარძაყებს

ტახტი ვერ უძლებს, ძაგძაგებს.

თაფლით განებილ ძილში

პატარძალი შეკრთხება, ითრთოლებს –

თბილი ტუჩებით დაეწაფა სიძე

ლიტერატურული პორტფოსი

ხორცისფრად კოცნის, ველარ იშორებს.
სიძე კი წევს მშვენიერ ბილიკზე ტყეში,
არც აპირებს ადგომას,
მთვარე გვერდს უვლის –
შინ ნაქსოვ პერანგის თვალ-ბუდა ხვრელებში
ჭრილობა მოუმონავს, მნიუჟ ლელვივით
ძუძუს თავზე გადამთხვლეული.

კარგი პროზაიკოსი ესმას ამ ფაბულიდან ერთი შეხედვით, ამ ბანალური ღამიდან, რა სულის შემძვრელი ტრაგედია იბადება ტექსტის მოულონერი შეტრიალებითა და მოულონერი სიუჟეტური სვლებით რთულ, დახლართულ ტექსტს შექმნიდა, კინორეჟისორი – რასიომონის ცნობილი ფილმის ტოლფარდ ფილმს, ნიჭიერ აღმქმელს კი თავად, თავის ნარმოსახვაში შეუძლია შექმნას სავარაუდო სინამდვილე და დიდი შემოქმედის წყალობით ეზიაროს შემოქმედების სიხარულს.

არადა, ეს ყოველივე, პატარძლის ირონიული ხასიათით, ესმამ სულ ოცდაუთ სალექსო პნერში ჩატია (თუნდაც ეს ხასათი როგორაა დახატული ფუნჯის ერთი მოსმით: „ხაჭაპურის ჭიშივით მოკუმა პირი, თვალები ატრიალა მძივებად: „საქმეა გასაკვირი, თუ მოდის, მოვიდეს, თუ არა და მძინება“).

ამ კონტექსტში ანდაზების ციკლის მეორე ლექსიც უნდა შეგახსენოთ – „მამამთილო იისაო, დედამთილო ბიისაო...“ ასეთივე, მძაფრი ტრაგიზმით და ფერნერული ფერადოვნებით:

გალებულ კარში მოსალამოვდა,
ნუშისგულისფრად შესვა შვილი კალთაზე.
მამამთილი იჯდა იისფერ-ლურჯად.
გვერდით დედამთილს სახე-ხელები
ბიისფერ-ყვითლად უჩანდა.
მოვიდა მაზლი, იაგუნდისფრად გადატკეცია
საწვერ-ულვაშე,
ბრე მოსცვივა თმიდან ყვითლად.

ტრაგედიის გაცხადება სწორედ ამ ფერადი სურათის მერე იწყება, როდესაც ლექსში ლირიკული გმირის თვალით დანახული პერსონაჟი – ცენზორი გამოჩნდება შესაბამისი ფერით: „სად გამოჩნდი, მულო, ასე ფხიზელი და ავი! შავი და გადის თავს გარშემო თმა – შავი ცეცხლის ალი“. ემოციური დამოკიდებულებანი შვილთან, მამამთილთან, დედამთილთან, მულთან ვლინდება ფერებში, ემოციურ გამას ფერადოვანი გამა გადმოსცემს. ესაა ფერნერული სიტყვითხელოვნების შესანიშნავი ნიმუში სადაც სისტემური ფერადოვნება მეტად შთამბეჭდავად და ფერნერულად არის ნარმოჩნილი.

ახლა, როდესაც ესმა ონიანის ამქვეყნიური სიცოცხლე დასრულებულია, შეიძლება მეტ-ნაკლები სისრულით და მეტ-ნაკლები სიღრმით შეფასდეს მისი შემოქმედება, განისაზღვროს მისი ადგილი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში და თავმოწონების პრეტენზით გავიტანოთ მისი სიტყვა (ფერნერა უკვე გასულია) უცხოეთში.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ბევრ რამეს და ბევრ ვინმეს უნდა შევხედოთ სხვაგვარ-ახლებურად. საბჭოთა სინამდვილეში არა მარტო ცხოვრება იყო სხვაგ-

ვარი, არამედ ფიქრიც, შემოქმედებაც, მკითხველიც და ლიტერატურის ისტორიკოსიც. ახლა ყველაფერი სხვაგვარია და მე კიდევ ველი ახალი გვარებისა და ახალი შემოქმედებითი სამყაროების ნარმოჩნასა და უკვე ცნობილთა გადალაცებ-გადმოლაგებას.

ჩემს მაგიდაზე დევს ესმა ონიანის „ლექსები, ესსები, წერილები“ (2000), მისვე „ფერნერა, გრაფიკა, პოზია“ (2003) და სულ ახლა გამოცემული ესმას „ასი ლექსი“ (ინტელექტი), რომელთაც დაიტიქეს ესმა ონიანის დედამიწაზე არსებობის სამოცდაერთი წელი (1938-1999), მათში ყველაფერი ირეკლება, რასაც ესმა ჰქიანია, ჩვილისა და ბავშვის შთაბეჭდილებანიც კი, მაგრამ ერთი ფერითაც და ერთი ბერითაც კი არ შეგახსენებთ თავს საბჭოთა სინამდვილის ანარეკლი, თუნდაც არაპოლოტიკური, ბანალური ოჯახის ტკბილი, წებვადი სივრცე.

მისი სიტყვა (და ცხოვრებაც) არაა გაორებული, რაც არის ეს არის – „ნამდვილი“, ამქვეყნად ადამიანად მოსვლის სიდიადითა და ლვთის ნავლით სავსე. მისივე სიტყვებით რომ ვთქვა, მას „ვერ უპირვის ბზარს“, რადგან მისი სიტყვა „არავითარი (ადამიანური) მიზნით არ არის ნათქვამი, გარდა იმისა, რომ ემსახუროს თავის თავს, თავის გარდაუვალ ობიექტურ ჭეშმარიტიანობას“.

* * *

ესმა ონიანის სიტყვითხელოვნებაზე XXI საუკუნეში რამდენიმე საყურადღებო წერილი დაიბეჭდა: ახლახან გარდაცვლილი შესანიშნავი პოეტის, იზა ორჯონიკიძის, ასევე განსვენებულ ჯუმბერ თითმერიასი, ნოდარ ნათაძის, დოლონა კიზრიას, ემზარ კვიტაიშვილის, რენე კალანდის, მაკა ჯოხაძის და ნინო დარბასელის – კარგი პროფესიონალების კარგი წერილები... მათ იციან ნამდვილი სიტყვის ფასი. მე ვთქვირობ, ეს კარგი დასაწყისია ამ დიდი შემოქმედის მეტვიდრეობს შესწავლის გზაზე.

მხატვრულ ტექსტში ყველა იმას ხედავს, რაც შეუძლია რომ დაინახოს ან, ხშირად, რაც უნდა რომ დაინახოს... მე ვეცადე ამომებსნა ესმა ონიანის შემოქმედების, მისი სიტყვითხელოვნების „ნამდვილობის“ საიდუმლო, მაგრამ დამეთანხმებით, ერთ წერილში ყველაფერზე ყველაფერის თქმა შეუძლებელია, მოვა დრო, ესმას ტექსტებს თარგმნიან უცხო ენებზე და ჩვენ უცხოეთში თავს მოვიზონებთ მისი სიტყვით, ისევე, როგორც დღეს მისი ფერნერით მოგვწონს თავი, მოვა დრო სხვებიც დაწერენ წერილებს, მონიგრაფიებს, ისესერტაციებს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ამოცხსნით მისი „ნამდვილობის“ საიდუმლოს, რადგან ეს შეუძლებელია: ახალ დროს ბევრი რამ ახალი მოაქვს, ახალი დრო თავად ჩვენც გვცვლის, ამ ტექსტების აღმქმედებს, თავად ჩვენც ვმდიდრდებთ ან ვლარიბდებთ.

გარეთ უკვე XXI საუკუნეა, სხვაგვარი განათებითა და სხვაგვარი აკუსტიკით.

ბევრი რამ და ბევრი ვინმე ჩვენს ისტორიაში ახლა და ამ გადასახედიდან სხვაგვარად მოჩანს, რჩება მხოლოდ ნამდვილი.

ესმა ნამდვილი იყო და ნამდვილებთან ნავიდა.

„ნამდვილები ზემოთ აღმავალი ხაზს კი არ ჰქინიან, არამედ ხეივანს. ნამდვილობის ხეივანში დრო მკვდარია და მუდმივი სიცოცხლე სუფევს“ (ესმა).

ეკა ბუჯიაშვილი

ოცნება რომ არა

1

ରାତ୍ରିଶାଲି

ବ୍ୟକ୍ତିଗତ ପାଠୀରେ ପାଠୀରେ ପାଠୀରେ

— ნეტა რა ამბავია, რას შეუკრებია აქ ამდენი ხალხი?! — ასც ფიქრობდნენ ალბათ გამვლელ-გამომვლელინი, უფრო სწორად, ისინი, ვისაც ამ ტრადიციად ქცეული თავყრილობისა ჯერ არაფერი სმენოდა, არც შარშანა ამ ძროს შესწრებიან ასეთ შეკრებას, არც იმის ნინათ და, საერთოდ, არც ბოლო წლების მაძილზე. აი, ის ქალბატონიც ამიტომ შეჩერებულა — რა ხდება შვილოო, — უკითხავს და რომ აუხსნიათ, დარჩენილა და აგერ უკვე რახანია ჩვენთან ერთად დგას, უსმენს და აკვირდება აქ დატრიალებულ ამბეჭა. მერე კი:

— სულ ამ გზაზე დავდივარ
და ყოველთვის მაინტერესებდა
ამ კაცის ვინაობა და ასავალ-
დასავალი, ახლა კველაფერი
გასაგებია, გაგახაროთ ღმერთ-
მაო, — იტყვის.

აგერ ეს პატრულის მანქანაც ამიტომ გვიახლოვდება აღმართ - აი, შეჩერდნენ კიდევც, რახდებაო? - დაინტერესდნენ, რომ აუსწნანა: ესა და ეს ღონისძიებააო, ხომ არაფრით დაგეხმაროთ, - ამასაც გვეკითხებან, ურთხსანს შეყყოვნდეთ კოთვა მშევრის მომართვის არაძლობელობას.

ეს მხოლოდ ისინი, ვინც არც შარშა შესწრებია ასეთ შეკრებას, არც იმის ნინათ და, საერთოდ, არც ამ პოლონ წლების მანძილზე, თორემ გორის განათლებულმა საზოგადოებამ უკვე რახანია კარგად იცხს, რომ ყოველ ნაასალწლევს, ქალაქის უნივერსიტეტის მიმდებარე სკვერში, ელიზბარ ერისთავის ძეგლთან იყრიბებიან ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები და გორის ინტელიგენციასა და სტუდენტებთან ერთად ჰატიის მიაგებენ 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თაოსნის, იმპერიის ნინააღმდეგ დაგეგმილი ამბოხის მთავარსარდლის ხსოვნას.



ახლაც სწორედ ნაახალწლევია.

ელიზბარ ერისთავის ხსენების დღეა.

და შეკრებილები, იანვრის სუსტის მიუხედავად, არ იშურებენ არც დროსა და არც სიტყვას ამ დიდი მოღვაწის – პოლიტიკოსისა და ბიზნესმენის – გასახსენებლად.

* * *

— მანამდე არ წავალ ცხოვრების ასპარეზიდან, ვიდრე რუსეთ-საქართველოს შემაერთებელი უკანასკნელი ძალიც არ გაწყდება, — დაეჩერებინა ელიზბარ ერისთავს, და ახლა, ნლების შემდეგ უკვე ეროვნულ გმირად და ქარ-

თველთათვის ერთ-ერთ სანუკ-
ვარ სახელად ქცეული მოღვაწის
ძეგლთან ასე დაიწყებს თავის
გამოსვლას როსტომ ჩხეიძე:

- როცა დადგება დღე კავკა-
სიური მთლიანობის აღდგენისა,
ერთ-ერთი უდიდესი სახელი
ჩევნი ქვეყნის და, საერთოდ,
კავკასიის ერთიანობისა და თა-
ვისუფლებისათვის მებრძოლო-
ეროვნულ გმირთა შორის ელიზ-
ბარ ერისთავიც იქცება. ასე თა-
ვის თავში ასიმბოლოვებს სა-
ქართველოს წარსულს, მისი
მფეთქავ ძარღვს, იმ პიროვნე-
ბებს, რომელთაც მოამზადეს
ელიზბარის გამოსვლა ასპარეზ-
ზე და რომლებიც მზად იყვნენ
თუნდაც ოთხად განკვეთილიყვ-
ნენ ქვეყნის თავისუფლებისათ-
ვისო.

ოთხად განკვეთის საშიშროება კი არა მხოლოდ ცხოვრებაში, სიცოცხლის შემდეგაც თან სდევა-დათ ასეთ მოღვაწეებს. აյგ ამი-ტომაც არქიტექტორი გია სოსა-ნიძე – ერთ-ერთი დიდი მოამაგე გენო ზაქარაიას მიერ შექმნილი და ბაზენებისა და ქველმო-ქმედის ზაზა ოქუაშვილის წყა-ლობით დადგმული შთამბეჭდავი ძეგლისა, როსტომ ჩხეიძის თქმით,

რომის დიდებული ქანდაკებების გვერდითაც რომ იპოვნი-
და თავის ადგილს – იმ ქარტებილებაც გაიხსენებს, ძეგ-
ლის დადგმას რომ გადახდა თავს და იმ ერთობასაც, რომე-
ლიც გამოიჩინეს ელიზბარ ერისთავის დაპლის მცოდნეთ.

— მაშინ იმასაც ამბობდნენ, ელიზბარი როსტომ ჩხეიძეს პაპა და მისთვის ძეგლის დადგმაც ამიტომ დაუჩემებია, — სიტყვას გააგრძელებს მეცნიერი და მთარგმნელი პატარა ჩხეიძე, — საბოლოოდ ძეგლმა აქ დაიმკვიდრა ადგილი, უნივერსიტეტის წინ. მიხარია, რომ გორის უნივერსიტეტი ასე შენდება და მშენდება მისი ხელმძღვანელობის ძალისხმევით. ვფიქრობ, ეს იქნება ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილი ამ ქალაქში... და თუ სადმე უნდა ყოფილიყო ელიზბარ ერისთავის ძეგლი, სწორედ აქ, ამ შენო-

ბის წინ უნდა მდგარიყო და შემთხვევითი არ არის, რომ განვეხმად სწორედ ასე ინებათ.

გორის უნივერსიტეტის რექტორის **ზაზა ცოტნიაშვილის** თქმით, ეს ყველაფერი ძალზე მნიშვნელოვანია უწინარესად მათი სასწავლებლისთვის, სტუდენტებისთვის, პროფესიონალური მასაზე.

— უკვე თითოეული ჩეგნებანია ვალდებული შევინარჩუნოთ და გავაგრძელოთ ეს ტრადიცია, მითუმეტეს დევს, როცა სახელმწიფო გრძელივი მშენებლობის გზაზე არაერთი სირთულე და მტერი გველობება და ასერიგად გვჭირდება ელიზარ ერისთავის მსგავსი გმირების მაგალითით.

მტერს აუფორიაქებია პოეტ **ჯემალ ინჯიას** გული და მტრის მიერ ელიზბარ ერისთავის ძეგლისათვის ნასროლ ტყვიას და აგერ უკვე რასხინია მის მაგიდაზე დევს დაუშთავრებელი ლექსი, მიძღვნილი ამ ეროვნული გმირისადმი. გარდა ამისა, ბატონი ჯემალის თქმით, გამოსაცემად მზადდება გორის ალბომი, მისი რედაქტორობით, და იქ ელიზბარ ერისთავის ძეგლის ფოტოც იქნება, ასე რომ, ელიზბარ ერისთავი, როგორც ეროვნული სულის გამლვიძებელი ქართველობაში, დღესაც ჩევნ გვერდითაა და კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს.

სწორედ ეს ახარებს **ზაურ ნაკაძეს**, ვინც შესანიშნავი ბელეტრისტულ-დოკუმენტური ნაშრომი („შორია ოთარნმინდამდე, ოთარ!“) მუუძღვნა გორის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას და მნიშვნელოვან ტენდენციად მიჩნევს იმას, რომ ყოველწლიურად იზრდება ამ ძეგლთან შეკრებილთა რიცხვი.

— მაღლობა ღმერთს, რომ ეს ტრადიცია გვაქვს, — ამას გორის უნივერსიტეტის პროფესიონი, ისტორიკოსი **ელიზბარ მამისთვალიშვილი** აღნიშნავს, — ერთ-ერთი მათ შორის, ვისაც დიდი ღვანლი მიუძღვის ელიზბარ ერისთავის სახელის დამკვიდრებაში, — ეს ის მოღვაწეა, რომელიც ყველაფერს აკეთებდა ჩევნი ქვეყნის ჩასადგომად ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგში.

სწორედ ამიტომ არა მხოლოდ ელიზბარ ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ღვანლზეც გაამახვილებენ ყურადღებას სოხუმის უნივერსიტეტის პროფესიონერები: **სალომე კაპანაძე** და **ნინო ვახანია**.

— ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება დღეს სათავეში უდგას საქმეს, რომელსაც ერის მეხსიერება პეტიონი და ამ მეხსიერების შენარჩუნება საჭიროა იმისათვის, რომ ერად ვინოდებოდეთ, — იტყვის შეკრებაზე ქალბატონი სალომე, **ნინო ვახანია**:

— საკუუნეების მანძილზე თუ ბოლო წლებში თავსდამტყდარი არაერთი უბედურების მიუხედავად ჩევნ მაინც ბენდნიერი ერი ვართ (არა იღიასეული გაგებით, ცხადა), თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ტრადიცია გვაქვს, მართალია ერთი პიროვნების — როსტომ ჩეგიძის მიერ დამკვიდრებული, მაგრამ ასეთი ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა რომ პირვე თანამოაზრებში, და ვიდრე ჩევნს მომავალ თაობებს წარსული ემახსოვრებათ, ქართველებს, როგორც ერის, გადაშენება არ უწერიათ.

სწორედ მომავალი თაობის სახელით ემადლიერება ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას ეროვნული სახელების ასეთი მოამაგეობისათვის გორის უნივერსიტე-

ტის სტუდენტი, ოთარ ჩეგიძის სტიპენდიანტი **თეონა ქურთაული** და ამბობს:

— ეს ყველაფერი ახალგაზრდებსაც ბევრწილად ავალდებულებს, რომ ასეთი დიდი სახელები აღარასოდეს მიეცეს დავიწყებას.

მოგვიანებით, გორის ხარების ეკლესიაში რომ გადავინაცვლებთ ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებლად, **მამა იოანე (ცეცხლაძე)**, სწორედ იმაზე ისაუბრებს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს წინაპრების ხსოვნასა და ეროვნული ფესტივალის შენარჩუნებას ქვეყნისათვის.

— მე ბევრგან ვარ ნამყოფი და უკვე თვალნათლივია ის, თუ რით და როგორ ცდილობენ ცივილიზებული ქეყვნები გადარჩენას მოახლოებული ბოლო უამისას — ისინი კბილებით ინარჩუნებენ ტრადიციულს და უწინარესად საკუთარს მიაგებენ პატივსო, — იტყვის მამა იოანე და სტიქაროსნებთან (ნიკოლოზ რევაზიშვილი, უშანგი ენუქიძე, გაბრიელ მაზმიშვილი და გიორგი კლიმიაშვილი) ერთად ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებელ პარაკლისა გადაიხდის.

ესეც მერე იქნება, ჯერ კი...

ჯერ ისევ ძეგლთან ვდგავართ, აღარავინ კითხულობს რა ხდებაო, ისე გვემატება ხალხი, აღარც პატრული ღელავს და, მგონი, აღარც ისე ძალიან გვცივა. გორის უწინარესიტეტის პროფესიონი მარინა გიგაშვილი კი — ერთ-ერთი საყრდენი ალექსანდრე არბელიანის საზოგადოების მოღვაწეობისა ამ ქალაქში — თავის გულისტკივლს გვიზიარებს:

— ერთ-ერთი ტელეგადაცემის წამყვანმა თავის შოუში გასული წლის სიკეთები რომ ჩამოთვალა, თბილისი-გორის ტრასაც ახსენა, ახალი გზის წყალობით ოც წუთში გორში იქნებით, მაგრამ... იქ რა უნდა აკეთოთო? — იკითხა, ზურგი შეგვაქცია და უპასუხოდ დატოვა კითხვა. სიმართლე გითხრათ, ძალიან მეწყინა და ახლა მინდა ვუპასუხო მას:

რა უნდა გააკეთო და თუნდაც ის, რასაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ადგამს თავს საქართველოს სხვადასხვა რაიონში და მათ შორის გორშიც — სწორ ინტირებს განუსაზღვრავს ახალგაზრდობას, მომავალ თაობაში წარსულის ხსოვნას აღვიძებს, ერში იმ ცნობიერებას განამტკიცებს, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა, და ასპარეზზე აბრუნებს სახელებს, რომელთაც ბევრწილად განსაზღვრეს ჩევნი ერად დარჩენის ბედი...

ეს ყველაფერი ახალი ათასწლეულის დასაწყისში ხდება, წლების, ათეული წლების წინათ კი:

— მანამ არ წავალ ცხოვრების ასპარეზზიდან, ვიდრე რუსეთ-საქართველოს შემაერთებელი უკანასენელი ძაფიც არ გაწყდება, — თავის ერს და ქვეყანას ჰპირდებოდა და ელიზბარ ერისთავი.

— ოცნება იმის ოცნებაა, ადრე თუ გვიან რომ უნდა ახდეს და ღმერთმა ქნას თითოეული ჩეგნებანი მონანილე იყოს იმ გარდამტები მოვლენებისა, რომელიც გარდუვალია ჩევნის ქვეყნის ცხოვრებაშიო, — ახლა როსტომ ჩეგიძი ინატრებს თავისას.

ოცნება იმის ოცნებაა, ადრე თუ გვიან რომ უნდა ახდეს.

ასე რომ არ იყოს, ხომ არც ამ შეკრებას ექნებოდა აზრი.

ივანე ამირხანაშვილი

ცხოვრება, იდეა, გრძნობა

ქრესტომათიული — ეს არის სიტყვა, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტად განსაზღვრავს ამ წიგნის რაობას: მაკა ჯოხაძე, „სამოთხე უსიყვარულოდ“. ესეები, ლიტერატურული წერილები. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2009.

ბაგშვილის დროინდელი, ვალდებულებისა და აუცილებლობის გამომხატველი, მინიერად მჟღერი სიტყვა; სითბოს, სიკეთის, სიღრმის გადმომცემი საგანი. თანაც რა ახლოა მაცხოვრის სახელთან. „ქრესტო“, „ქრესტოს“, „ხრესტოს“ — კარგი, სასარგებლო, შესანიშნავი; „მათია“ — სწავლა თუ სწავლება და ესეც სახელი, ჩვენებური, ლიტერატურული, შორეული და ახლობელი, სიმშინდებთან დაკავშირებული.

ქრესტომათიული ესეისტიკა ანუ როგორ ეწეროთ ლიტერატურაზე — პირველი შთაბეჭდილება ნიგნის ნაკითხვის შემდეგ.

დიახ, ხმამაღალი განცხადებაა, უდავოდ პათეტიკური და ემოციურიც, მაგრამ არა ნაჩქარევი, ვინაიდან ეს არ არის პირველი შეხვედრა გამორჩეული ხელწერის მქონე მნერალთან. ვიცნობთ, წაგვიკითხავს, ვიციოთ.

ესე, ესსე, ესეი, თუნდაც ესსაი... როგორც გნებავთ, — „ცდა“, „ნარკვევი“, თავისუფალი უანრი, უფრო სწორად, თავისუფალი პროზა, რომელიც მწერალს საშუალებას აძლევს გამოხატოს შთაბეჭდილება, თვალსაზრისი, განწყობილება. ამოთქას ის, რასაც სხვაგვარად, სხვა ფორმით, სხვა მანერით ვერ ამოთქამს, ვერ გამოხატავს.

რთული უანრია. მიახლოებისთანავე ხვდები, თუ რა ძნელია თავისუფალება. ძნელია, როცა შენვე ხარ შენი თავის ბატონ-პატრონი და არ იცი, როგორ გამოიყენო ლიტერალიზმის სულისგან ბოძებული შესაძლებლობა.

ერთადერთი საშველი, გზამკვლევი თუ გამოსავალი იქნებოდა გემოვნება, მაგრამ მას, როგორც ცნობილია, სავალდებულო არსებობის წესი არ გააჩნია, ან არსებობს, ან არ არსებობს, ან არის, ან არ არის იქაც კი, სადაც ყოველმხრივ მოსალოდნელია, რომ იყოს.

მაკა ჯოხაძის ესეისტური აზროვნების ტიპი, ხედვის ესთეტიკური ბლანი, აზროვნების განსჯითი ხასიათი, ფასეულობათა მაღალი სკალა, საგანთა და მოვლენათა სიღრმისეული განცდა გაპირობებულია ლიტერატურული ტალანტის თავისებურებით, რასაც ზურგს უმაგრებს დახვეწილი, უტყუარი გემოვნება.

აქედან ჩნდება დიდი მასშტაბები — აზროვნების, თვალთახედვის, მგრძნობელობის.

ყველა სათაური პირობითობაა, მაგრამ პირობითობის ჩარჩოებშიც შეიძლება გამოჩნდეს ლიტერატურული გემოვნება, მსოფლმხედველობა, პოზიცია, განწყობილება. „სამოთხე უსიყვარულოდ“ — ეს არ არის შემთხვევით, პა-

ერიდან მოსული სიტყვათშეთანხმება, რადგან მასში იკითხება მკვეთრად გამოხატული აქცენტი, მინიშნება, კონცეფცია.

თითოეული ესეისა და სტატიის არქიტექტონიკას ქმნის მხატვრული კონცეფცია, სინამდვილის ბელეტრისტული აღქმა, იდეური შინაარსი, ცხოვრების სისავსის შეგრძნება.

საინტერესოა, თუ რა ვირტუოზულად ფლობს მაკა ჯოხაძე ტექსტის აგების ტექნიკას. გამოხატვის საშუალებათა ფლობა, რიტმის გრძნობა, მსჯელობის გაშლა, დასაბუთება, გაზრების სიზუსტე და ლოგიკური თანმიმდევრულობა, ინდუქციის წესის გამოყენება, კონკრეტულში ზოგადის, შემთხვევითში კანონზომიერის, წამიერში მარადიულის განაწვრეტა.

გარდა ამისა, ალსანიშნავია ტექსტის პოლიფონიური სტრუქტურა, საგნობრივი ასოციაციები და თემატური გადახვევები.

მისთვის არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი თემები, ყველაფერს ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება, ერთნაირი სიღრმითა და პროფესიონალიზმით აკეთებს.

გამოკვეთილად სუბიექტური, ცენტრიდანული ენერგიის მეშვეობით იქმნება სიტყვის ასოციაციური ველი. ჯაჭვური რეაქციასავით იშლება აზრობრივი ოპოზიციები. წერის რიტმულ სტრუქტურაში კონვეირივით შემოდის მრავალი ფაქტი და დეტალი, მაგრამ ზედმეტი არაფერია, ყველაზე უმნიშვნელო ეპიზოდსაც კი თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ესეი არის ერთი დიდი წინადაღება აზრის გამლა-განვითარების თავისი, თვითკმარი, ორიგინალური დრამატურგით.

ცალკე საუბრის თემა ემოციური მხარე, უაღრესად დრამატული პათოსი, რომელიც, როგორც წესი, სახის-მეტყველების ენაზე გადმოცემული.

მაკა ჯოხაძის ესეებისთვის ემოცია ის უანგბადია, რომელიც წვის პროცესს არეგულირებს.

ამ მხრივ საგულისხმოა შესავლის მაგიერ დაწერილი ლირიკული ინტერმეტო „სისხლიანი მეტაფორა“, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ერთი კარგი ლექსი, ვერლიბრი, თავისი რიტმით, ინტონაციით, ტონალობითა და კომპოზიციით:

„მოდი, სიყვარულზე ვილაპარაკოთ და შევეშვათ სა-დუევლებზე, ფარისევლებზე ფიქრს და ფორიაქს. რა ხანია თავი აიშვეს შავმა აფრებმა. მათი საქმეები ისე გაცხადდა, როგორც ჭრილობები მაცხოვრის ტანზე ცრემლად რომ ღვრიან სისხლის წვეთებს, მზეს ჭორფლავენ და აბნელებენ.“

მოდი, სინათლეზე ვილაპარაკოთ. სინათლის პანია ნაპერნებზე, ასე შთაგონებით რომ ისვრიან იმედის შეეფებს, შუშხუნა იმედებს. დიდგულა სანთლის თავგანწირვაზე, ასე ჯიუტად რომ მიიწევს მღვიმეებისკენ, ვეშაპის ფაშეში, ბენე წიაღში და შთანთქაეს წყვდიადს.

მოდი, წყურვილზე ვილაპარაკოთ, გაპარულ ზღვებზე, დამშრალ ჭებზე, შეურაცხყოფილ მდინარეებზე და მნარე სინამდვილეზე, რომ — ნაკადულები აუმღვრევლად მხოლოდ სიმღერებში კვდებიან“.

აქვე ვლინდება მაკა ჯოხაძის ესეისტური ნააზრევის მთავარი თემები: სიყვარული, სიცოცხლე, სინათლე, ნატ-

ვრა, სინანული, სიზმარი, ცხადი, იმედი, ხსოვნა, ნოსტალგია.

მაკა ჯოხაძის ლიტერატურული აზროვნების საინტერესო თავისებურებად მიმართავთ მსჯელობის განვითარება სამმაგ — პორიზონტალურ, ვერტიკალურ და სივრცით — მიმართულებად.

პორიზონტალი — ეს არის ცხოვრება, ვერტიკალი — იდეა, სივრცე — გრძნობა.

პორიზონტალის ჭრილში ყველაფერი მოძრაობს, მიმდინარეობს, მიედინება მდინარესავით, როგორც ვირჯინია ვულფის რომანებში. ყველაფერი ორთქლდება, დნება, ქრება, არყოფნასა და წარმავლობაში გადადის, გადაედინება;

ვერტიკალი პორიზონტალის გადაკვეთაზე იწყება, ალივით ავარდება როგორც აღტაცება, როგორც გადარჩენის, ადამიანურობის დაცვისა და სულიერ ფასეულობათა შენახვის გზა;


ემოცია, როგორც სივრცული გარემოს შემქმნელი ელემენტი, ყველაგან არის, ყველაფერს მსტვალავს, ყველაფერს წარმართავს, აშინაარსებს და აყალიბებს.

ასე იქმნება მაკა ჯოხაძის სტილი, მთლიანი, მდგრადი, დინამიკური. სამერთიანობის პრინციპი არასოდეს ირლვევა, არცერთ მასტებში არ კარგავს ფორმისნარმომქმნელ თვისებებს, ერთნაირად ეფექტურა როგორც ვრცელი ესეის ფარგლებში, ისე რეცენზიის ტიპის წერილში და თვით ინტერვიუშიც კი.

მიუხედავად იმისა, რომ მაკა ჯოხაძე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ესთეტიკური პრინციპების მიმართ, მისთვის მაინც უცხოა ხელოვნების იდეალიზების ტენდენცია, მკაცრად იცავს წონასწორობას იდეალისტურ და პოზიტივისტურ, არტისტულ და პრაქტიკულ სივრცეებს შორის. როგორც ჭეშმარტი შემოქმედი, ორი ცხოვრებით ცხოვრობს, ხელოვნებაში ხედავს სინამდვილეს და სინამდვილეში — ხელოვნებას. საგულისხმოა ერთი პასაუი რეზო ინანიშვილისადმი მიძღვნილი ესეიდან „თავისანების“ მონატრება:

„ორი ცხოვრება — ხელოვნება და სინამდვილე — ეს პარალელი სამყაროსავით ძეველია. ორი რეალობა — მხატვრული და ემპირიული — იმთავითვე სხვადასხვა ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, მაგრამ არცერთ საუკუნეში შემოქმედებას ისეთი ზენოლა არ განუცდია, როგორც ჩვენსაში. არცერთი საუკუნე ისეთი მძლავრი, მასობრივი, ყოვლისაშთანთქმელი ენერგეტიკით არ ჩართულა სულიერსა თუ მხატვრულ სამყაროში, როგორც ეს მეოცე საუკუნეში მოხდა. ამ თვალსაზრისით, ხელოვანისა და მასზე შეყვარებული ადამიანის ბედი, მწერლისა და მკითხველის ბედი არც არასოდეს დამსგავსებია ისე ერთმანეთს, როგორც დღეს. სისასტიკის პროგრესი არა მხოლოდ ხელოვნებას ეპრძეის, არამედ მის ჭეშმარიტ მცოდნესა და დამფასებელსაც, რადგან მწერალიც და მკითხველიც სწორედ ღვთაებრივი სინათლის მონატრებისა და სიყვარულის უნარის გმირ ჰგვანან, პირველ ყოვლისა, ერთმანეთს. მწერლობა ხომ ორმხრივი სიყვარულია!“

როგორც ითქვა, კრებულში შესულ ყველა სტატიას შესრულების მაღალი დონე ახასიათებს, მაგრამ ზოგი-



ერთს მაინც გამოვარჩევდი. მაგალითად, ქრესტომათიული კრიტიკის ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს „ო, ეს ბებერი კათარზისი“ (გენო კალანდის პოეტური კრებული), „გენიალური სიჯანსალე“ (ესმა ონიანის პოეტური პროფილი), „გედის სიმღერა“ (ლია რუსაშვილის ლექსიბი), „ჩემი ბრძოლის ველი“ (როსტომ ჩეგიძის ლიტერატურულ-რელიგიური ცდა „ხანი უნდობარი“), „ბედნიერი თვალი“ (ლალი ავალიანის კრიტიკული კვლევები), „XXI საუკუნის მადონები“ (მარიანა ნანობაშვილის მოთხოვნები), „სამოთხე უსიყვარულოდ“ (პერმან პესეს ზლაპარი), „დემონები და მფარველი ანგელოზები (ირმა

რატიანის „ასი უძველესი იაპონური ლექსა“), „გამორება“ (მანანა კვაჭანტირაძის ესეები და წერილები); ზომიერების იშვიათი გრძნობით არის დაწერილი ესეები ხელოვნების თემებზე: „ტანჯვით — რწმენისაკენ!“ (თემო ჯაფარიძის პეიზაზები), „მთვლემარე ვულკანები“ (ირინა აბუანდაძის ფოტოეტიუდები), „მშვიდობიანი დაშვება“ (ნოდარ ანდოლულაძე); ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „უცნობი მწერლის სილუეტი“, ლევან ბოლქვაძის, ამ მეტად უცნაური და საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ადამიანის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი. სხვათა შორის, ეს ის კაცია, სიკვდილს რომ გადარჩინა ალექსანდრ სოლუსიცინი, რომელთან ერთად საკანში იჯდა პოლიტპატიმრობის დროს.

მაკა ჯოხაძე, როგორც პროზაიკოსი, შესანიშნავად იყენებს ბელეტრისტულ გამოცდილებას და ესეისტურ კომპოზიციას ისეთი დეტალებით ავსებს, რომ მათი დავიწყება შეუძლებელია. ერთ-ერთი ეფექტური დეტალია მარადონას პორტრეტი „ხსოვნის ფირფიტიდან“:

„მარადონა — ტელეკამერა მსხვილი ხედით გვახსევებს მის ჰაბიტუსს. მარადონა — ტანმორჩილი, მზემოკიდებული, ასე რომ ჩამოჰვას აღმოსავლეთ საქართველოს პერიფერიებში გაზრდილ ბიჭებს. მარადონა — არგენტინის მზით მოხალული ყავის მარცვალი, რომელსაც დაეცნა თავისი თავი, თავგზაბნეული გადაიხისალა და ისე განიავდა, ველარ შესძლო, გალენტვისას შეენარჩუნებინა საკუთარი სიმაგრე; დაეფექტა, გამოეხადა მუქი ზეთის არომატი, მაგიური შავი სითხე მოდულებული მიერთმია საკუთარი გულშემატკიცრისათვის, დაეთრო, დაეტკბო მაყურებელი. ეს უნდა მომზდარიყო, თუ არა ზურგშექცევა გარდუვალი იყონ და აი, მიატოვეს კიდეც...“

მაკა ჯოხაძე — ესეისტის პორტრეტი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ არ გავითვალისწინეთ კიდევ ერთი პოეტიკური შტრიხი, კერძოდ ის, თუ როგორ გარდაიქმნება მისი პიროვნული ხასიათი თვითგამოხატვის ცნობილ პრინციპად, რომელსაც სტილს ვუზნოდებთ.

სტილი — ეს ადამიანია, ტყუილად არ ვიმორებთ ხოლმე ამ ტრივიალურ ფარაზას. ვინც კარგად იცნობს მაკა ჯოხაძეს, მის ხასიათს, მის დამოკიდებულებას საგნებისა და მოვლენებისადმი, მისთვის გასაგები იქნება, რას ნიშნავს და რა ფასი აქებს სიტყვებს, რომელსაც მღელვარების გარეშე ვერ წაიკითხავ:

„ფრთხილად, ძვირფასებო! ისედაც წელში გადატეხილ და ნეკნებდალენილ საქართველოს რა ახალი არტა-

ხები მოუჭირეთ აკვანში ჩაწოლილი ჩვილივით. სხვა პრობლემებს ვეღარ ხედავთ? წირვებზე ალესილი გუმანით მაინც ვერ გრძნობთ, დალოცვილებო, ახლა ეკლესიას, საქართველოს უკანასკნელ ციტადელს რომ მისდგომია მტერი და მრევლსაც, ერისა არ იყოს, დაშლა-დაქუცმაცებას და დამხობას უპირებს... სხვა მანკი და ზადი ვერაფერი ნახეთ საპატრიარქო-საეპისკოპოსო სანახებში, უძველეს ქართულ საგალობლებს ზოგიერთებმა მოძულებულ მოხუც მამასავით რომ მიუხურეთ კარი. და მერე რა დროს, და მერე როდის, როცა ამდენი ხნის დათრგუნვისა და მალვის მერე, როგორც იქნა, გაიმართა წელში,

როცა ღია ცისქევეშ დარჩენილი ხატივით ტაძარში იპოვა თავისი ადგილი ქართულმა საგალობელმა, როცა მისი სალბუნი და სამკურნალო ჟღერადობა საკმეველივით მოეფონა ტაძრისა თუ დახეთქილი გულის კედლებს“.

ასეთია ამ წიგნის ავტორი, ასეთია ეს წიგნი, ნიჭიერი ქართველი მწერლის ფიქრის, განსჯისა და გრძნობის დავთარი, რომელიც შედგება ეროვნულ-ინტელექტუალური არქეტიპებისა და მემკვიდრეობითი ტკივილებისაგან შექმნილი ტექსტებისაგან და ამიტომაც არის მრავალმხრივ საინტერესო, საგულისხმო, სანდო, ქრესტომათიულად ზუსტი და სილრმისეული.

დაუვითებარი სახელები

იოსებ ჭუმბურიძე

აშპარად განსაკუთრებული

□

ოთარ ჭილაძე,
როგორც პუპლიცისტი

არსებობს მადლიერება ზოგადად.

ალბათ, მწერლური მადლიერებაც არსებობს.

ეს, უთუოდ, ის გრძნობაა, ოთარ ჭილაძის მიმართ ზვიად კვარაცხელია რომ განიცდის.

გვახსოვს, როგორ მიესალმა გამოჩენილი მწერალი „ულმობელ დროში მოსულ ბალლს“, რა უშურველად დაულოცა გზა ცხრამეტი წლის პროზაიკოსს.

მწერლის სიდიდე უშურველობის ხარისხითაც იზომება.

ზვიად კვარაცხელია შეუძლებელია, მადლიერი არ იყოს.

მადლიერება კი ბევრის შემძლეა.

მას ძალუძს, ახალგაზრდა მწერალს ფრთები შეასხას და ენთუზიაზმით აღავსოს.

ასე რომ არ იყოს, ორმოც დღეში ორი წიგნის გამოსაცემად მომზადებას ვერ შეძლებდა.

ერთში ოთარ ჭილაძის ასი ლექსია, მეორეში – მისი პუბლიცისტიკა (სტატიები, ესეები, ინტერვიუები).

ორივე „ინტელექტმა“ გამოსცა.

გამომცემლობის ოპერატორულობა ისევე შესაშურია, როგორც ახალგაზრდა მწერლის თავგამოდება.

სრულიად კანონზომიერია, რომ „ინტელექტის“ ხელმძღვანელმა კახმეგ კუდავამ პრემია „გალა“ დამსახურა. დიას, დაიშასხურა და ისე მიიღო.

„გალა“ მის პროექტს „ნობელის პრემიის ლაურეატებს“ ერგო. ის რომ არ ყოფილიყო, მაშინ არანაკლები მნიშვნელობის სხვა პროექტს – „ას ლექსს“ უნდა მიეღო.

ილიას შემდეგ საქართველოში დაბადებული ყველა დიდი მწერალი მისი ბუნებრივი გაგრძელებაა. ისევე, როგორც ღმერთმა შექმნა ადამიანი ხატად და მსგავსად თვისისა, ყველა ჭეშმარიტ ქართველ მწერალს ილია ქმნის.

ეს ეტყობა ყოველი მათგანის ლექსს, მოთხოვნას, რომანს, პიესას...

ეს ეტყობა ყოველი მათგანის პუბლიცისტიკას, რომელიც ზოგს, რატომდაც, ლიტერატურის გერი ჰგონია (ალბათ, ამიტომაც გააუქმეს ლიტერატურის ინსტიტუტში უურნალისტიკის განყოფილება, რაც, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზული შეცდომა).

არადა, მისი სრულუფლებიანი შვილია და, იქნებ, დღეს ყველა სხვა „შვილზე“ უფრო გამოსადეგიც (ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში).

რა თქმა უნდა, იგულისხმება ნამდვილი პუბლიცისტიკა, ისეთი, მარკესი რომ ლიტერატურას მიაკუთვნებს, მაგალითად, ისეთი, ოთარ ჭილაძე რომ ქმნიდა.

დასტურად, ზემოხსენებული ახალი წიგნიდან („ნინ მარადისობაა“) ერთ სტატიას მოვიყვან – 2004 წელს აშშში გამომავალ გაზიერ „ივერიაში“ (84) გამოქვეყნებულს („ერთხელ კიდევ“).

ამ სტატიას რომ წაიკითხავ, თითქოს, თავიდან აღმოაჩენ ქართველ მწერლის ვალს და გაისიგრძეგანებ ნამდვილი პუბლიცისტიკის საჭიროებას. ისეთი პუბლიცისტიკისას, სწორედ ილიასეულ პრინციპს რომ მისდევს: „მოყვარეს პირში უზრახე“...

ოღონდ ზრახვის უფლება შემოქმედებასა და ყოფაში ზნეობრივი პრინციპების ერთგულებით უნდა გქონდეს მოპოვებული.

სწორედ ზნეობრივი უფლება უნდა გქონდეს, ეს რომ თქვა და დაწერო:

„მართალია, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ლეკვები ვართ, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, მაინც გავტყდით. ჩვენც დავკნინდით, დავწრილმანდით და, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმანეთს დავერიეთ, მტრების გულის გასახარად. აზლა აზრიც არა აქვს იმის გარკვევას, ვინ არის ჩვენს შორის ნამდვილი მწერალი და ვინ ცრუ; ვინ განაწესა ლმერთმა ქართული სიტყვის მსახურად და ვინ შექმნა „კაგებემ“

ციხის შიგნიდან გასატეხად. ციხე რა ხანია გატყდა, ქვეყნის გასაპოეპისთანავე, მაგრამ ნამდვილი, ასე ვთქვათ, ლვთით მოვლენილი მწერლები მანეც ჯიუტად ისხდნენ ყოველთვის ქართვლი მწერლობის სანგარში, რათა ენაშერყვნილ, ეკლესიაშებილნულ, არისტოკრატიადახვრეტილ და მეურნეობამოშლილ ქვეყანას იმედიც არ დაეკარგა. ჩვენ კი დღეს იმ სან-გრის მინით ამოვსებას ვცდილობთ“.

რატომ იყო საქართველოში წერა ძნელი ბოლო ორი საუკუნის მანძილზე და რატომ არის დღეს ადვილი? – ამ კითხვაზე ხსენებულ სტატიაში ტკივილამდე გულწრფელ პასუხს იპოვით: „ადვილია იმიტომ, ორსაუკუნოვან ომში დაღუპული (შესლილი, დახვრეტილი, ნაწამები, თვითმკვლელი) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე რომ თქვა უარი მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე. ანუ ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა“.

ამ სტატიას რომ კითხულობ, ისეთი გრძნობა გიუფლება, თითქოს, მწერალი ღია ჭრილობაზე მარილს გაყრის, ოღონდ, პრინციპული მინიშნელობა აქვს იმის შეგრძნებას, რომ საკუთარ თავსაც ასე ექცევა:

„ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისათვის. დღეს კი მეტნაკლებად თავისუფალ საქართველოში, ძირითადად მონებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ყაზბეგისა და ჯავახიშვილის წიგნებზე უკეთ საღდება“.

ოთარ ჭილაძემ, ცხადია, კარგად იცოდა, რომ ბოლო წლებში ღირსეული ლიტერატურაც იქმნებოდა, მაგრამ საძიშ ტენდენციებზე საუბრობდა და სატკივარს ასე მძაფრად ამიტომ აშიშვლებდა.

რა აქტუალურად უღერს ოთარ ჭილაძის ზემოთ მოყვანილი სიტყვები დღეს, როცა ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი პოეტი (ვისგანაც ამას არა და არ ელოდები!) საჯაროდ აცხადებს, არ ვიცი, რას ნიშნავს ხალხის გვერდით დგომა. მე ჩემი ხალხის გვერდით მხოლოდ ნავთის და პურის რიგში ვდგავარო.

* * *

უკვე ვთქვით, რომ ოთარ ჭილაძის ზემოხსენებული სტატია აშშ-შია გამოქვეყნებული და, ბუნებრივია, ქართული ემიგრაციის პრობლემასაც ეხება.

მწერალი ამ „უაღრესად რთულ, უაღრესად სათუთ“ (მისივე სიტყვებია) თემაზეც უშედავათოდ საუბრობს.

თავდაპირველად, იმას აღნიშნავს, რომ „ჩვენი ემიგრაცია, როგორც ყველაფერი ქართული, აშკარად განსაკუთრებულია და, აღბათ, მხოლოდ მიახლოებით თუ ჰგავს ემიგრაციის კლასიკურ მოდელს“.



ამის შემდეგ, მწერალს მოჰყავს სხვა ერის მაგალითი, რითაც სათქმელს კიდევ უფრო ამძაფრებს:

„ქართველმა ეპრაელებმა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცათ, გენი და-უბრუნეს სამშობლოს, ჩვენ კი სამშობლოდან, უპირველეს ყოვლისა, გენი გაგვაქვს... ეროვნებაც სიქალწულესავითაა – თუ დაკარგავ, ვეღარასოდეს დაიბრუნებ. თანაც, სიქალწულისაგან განსხვავებით, მისი დაკარგვა სრულებითაც არ არის სასურველი“.

და მთავარი, ანუ შედეგი, რაც მწერალს აწურებს და მთელ ერს უნდა აშფოთებდეს:

„მშობლების, ბებია-ბაბუების პატივმოყვარების დასაკმაყოფილებლად, მშობლიურ გარემოს ძალით მოწყვეტილი ბავშვი ქვეყნის ქომაგად ვერ გამოდგება“.

და იქვე, მწერლის მართლაც თავზარდამცემი, ძნელზე ძნელად მოსასმენი დიაგნოზი:

„განგებ შეგვყარეს, თუ ჩვენ თვითონ დავიმართეთ შეგნებულად, აშკარად ავი სენი გვჭირს. ამ სენს სამშობლოზე გულის აცრუება პქვია და ძნელი სათქმელია, რატომ უნდა შეგვყროდა მაინცდამაინც ჩვენ, როცა ყველა ჯურის გადამთიელს მაინცდამაინც ჩვენს სამშობლოზე რჩება თვალი“.

მაგრამ დიდამ მწერალმა მხოლოდ დიაგნოზი კი არ უნდა დასვას, ერს წამალიც უნდა გამოიწეროს. და აი, წამალიც:

„ერის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, სულიერი სიჯანსაღე რომ დაგიპრუნოთ, ხელახლა უნდა მოვინათლოთ ყველანი ქართველებად. და ხელახლა უნდა შევისნავლოთ ანი და ბანი“.

იმდენიც წამალია და დიდი მწერლისგან ერი, უპირველეს ყოვლისა, ამ წამალს ელის.

აი, ეს წამალიც:

„დღეს გაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით, რადგან დღეს უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად“.

აქ შეუძლებელია, არ გაგასენდეს მუხრან მაჭავარიანი:

„საქმე იმიტომ უფროა ცუდად,

ცუდად რომ არის, არ იცის ბევრმა“...

* * *

ოთარ ჭილაძემ, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ ემიგრაციაში ყველა ერთი მიზეზით არ მიდის. „ვინ იძულებით მიდის, ვინ საკუთარი ნებით, ვინ ფეხის ხმასაა აყოლილი, ვინ ახლობლების რჩევასა თუ მოთხოვნას. მოკლედ, რაც ერთისთვის ტანჯვაა, მეორისთვის ნეტარებაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთს დაბრუნება უნდა, მაგრამ არ შეუძლია, მეორეს შეუძლია, მაგრამ არ სურს. ასე რომ, ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ლუკმა-პურის მაძიებელი სჭარბობს მათ შორის, თუ ტკბილი ცხოვრებისა. ერთი ცხადია, ემიგრანტობა ცხოვრების წესად თუ არა, მოდად ნამდვილად იქცა ჩვენში, რასაც, თავის დროზე, თავად ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი“.

ოთარ ჭილაძის რანცის მწერალმა ისიც კარგად იცის, რომ „ასეთი ლაპარაკი, არა მარტო მტერს, მოყ-

ვარესაც ალიზიანებს, მაგრამ სათქმელს მაინც ბოლომდე ამბობს.

რუსეთში ემიგრირებულთ ცალკე გამოჰყოფს, რადგან, მისი აზრით, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში: „თავს აფარებ იმას, ვინც თავშესაფარი მოგიშალა“.

* * *

აქ – მცირე გადახვევა:

ოთარ ჭილაძის გარდაცვალებას „ლიტერატურნაია გაზეტაც“ გამოხმაურა. გამოსათხოვარ წერილში აღნიშნული იყო, რომ ის მთანმინდაზე, გრიბოედოვის სიახლოვეს დაკრძალეს.

არადა ბატონ თამაზ ჭილაძეს დიდ მწუხარებას ის უქარებს, რომ მის სათავაზებელ მმას სამუდამო განსასვენებელი ვაჟა-ფშაველას სიახლოვეს ერგო (აკაკიც ხომ იქვეა და შორს არც ილია).

გრიბოედოვთან სიახლოების ხაზგასმა ისეთივე ბედის ირონიაა, როგორც თვითონ ეს ფაქტი – მთანმინდაზე რუსი მწერლის საფლავის არსებობა, ანდა, ქორწინების სასახლესთან მდგარი მისივე ძეგლი – ერთ-ერთი ყველაზე უიბლო ქორწინების სიმბოლო მაინცდამარც ქორწინების სასახლის ახლოს და პირდაპირ.

ეს კიდევ ერთი სიმბოლური გამოხატულება იმისა, რომ რუსეთი ავ ბედისწერად გვექცა.

* * *

დავუბრუნდეთ წიგნს.

ამ პატარა წიგნში დიდი სათქმელით დახუნდლულ არა-ერთ სტატიას, ესეს თუ ინტერვიუს შეხვდებით.

კიდევ ორს გამოვყოფ.

ერთი გამოსათხოვარია, მეორე – მისალმება.

ანა კალანდაძის გარდაცვალებას ოთარ ჭილაძე ასე გამოეხმაურა:

„ამ სამწუხარო ცნობამ... სიცარიელის გრძნობა კი არ გააჩინა, არამედ სისაკისია, განწირულობისა კი არა – რწმენისა და იმედისა... ეს ანომალიური სიკვდილია. ძველს კი არ ამთავრებს, ახალს იწყებს. დიახ, დღეს და-ინყო ანა კალანდაძის უკვდავება – ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთი დიდებული, დიადი, საამაყო შვილი შეემატა; საქართველოს ციხე-გალავანს – კიდევ ერთი ურყევი, შეუვალი ბურჯი“.

ზოიად კვარაცხელიას გამოჩენას ოთარ ჭილაძე ასე მიესალმა:

„როცა ცხრამეტი წლის ბიჭი ასე საღად ფიქრობს, ასე მძაფრად გრძნობს და ასე მტკივნეულად განიცდის საკუთარი ქვეყნის, მშობელი ხალხის ბედსა და უბედობას... ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, მწერლობის და, ამ შემთხვევაში, კერძოდ, ჩვენი ეროვნული მწერლობის სიცოცხლის უნარიანობას ადასტურებს, ადასტურებს, ამ მწერლობის ბებერ ფეხებს კვლავაც რომ შეუძლიათ ახალი სიცოცხლის აღმოცენება, გმირტანა ახალი ყლორტისა“.

იქ, სადაც მიმავალს (უკვდავებაში!) ასე ეთხოვებიან და მომავალს ასე ეგებებიან, არც მწერლობას უნერია სიკვდილი და არც ქვეყანას...

დედაქალაქის კულუარებიდან დანახული ქართული სოცელი

შურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-8 ნომერში დაიბეჭდა ლელა კოდალაშვილის წერილი „რა არის საჭირო იმისათვის, რომ „საბას“ ლაურეატი გახდე“.

წერილი თავისთავად საკმაოდ საგულისხმოა ლიტერატურული პროცესებით დაინტერესებული მკითხველი-სათვის, მაგრამ ნამდვილად არ ვაპირებ საუბარს მასში წამოჭრილ პრობლემებსა და აღნიშნული კონკურსის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ჩემთვის განსაკუთრებით მოულოდნელი იყო წერილის ავტორის დამოკიდებულება ქართული სოფლისადმი. გთავაზობთ ციტატას: „ეს არის საქართველოში ყველაზე პრესტიული კონკურსის უოფიციალურესი ნაწილი (საუბარია „საბას“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე — ე.ბ.), რომელიც ტარდება დედაქალაქში და არა სადმე, სოფელ კაჭრეთში ან ყარავალაში, სადაც რამდენიმე ბირჟაზე მდგომი მოცლილი, სამი ნაბაზუსევი ლოთი, მაღაზიის ერთი ნოქარი და ოთხიოდე ტიტლიკანა ბაგშვია მსმენელი და სულერთია, რას გამოაცხადებ“.

კომენტარი თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო.

„საბას“ მესვეურებს კი შეუძლიათ ამის შემდეგ მარტივად გადაწყვიტონ პრობლემა. აირჩიონ ნებისმიერი (სადმე!) სოფელი საქართველოში და იქ ჩაატარონ ნომინანტთა დაჯილდოება თავიანთი სურვილისამებრ. ვერავინ ვერაფერს მიხვდება და არც არავინ არაფერში მოედავება.

გულდასასაწყვეტია, რომ წერილის ავტორისთვის საქილიკოა ყველაფერი, რაც სოფელს უკავშირდება: „შუა საუკუნეების სოფელში ავადმყოფის გადასარჩენად ცხენით მოჩაქრებული ექიმი“ და „სოფელში (ალბათ, უკვე თანამედროვე? — ე.ბ.) მეგობრის ბებია, რომელიც სიმინდის ტაროების გასარჩევ-გასაფურჩქნად (!) მეზობლებს მოისამდა ხოლმე გარშემო“.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია თვითონვე მოიძიოს, რა კონტექსტში მოიხმობს ავტორი ამ შედარებებს.

ვერ გავიგე, ან ექიმს რას ერჩის, ან მეგობრის ბებიას და მის მეზობლებს და საერთოდ, ასეთი რა დაუშავა სოფელმა ქალბატონ ლელას?

P.S. შურნალის იმავე ნომერში ქალბატონი ნანა დემეტრაშვილი გულთბილად საუბრობს საქართველოს ყველა კუთხის მაყურებელზე, რომელსაც უყვარს ქართული სიტყვა და ქართული თეატრი.

კიდევ ამ ბოლო დროს წაკითხული, ოლესია თავაძის მშვენიერი ჩანაწერები გამახსენდა...

101 გარებარება

ნომერი

პასუხისმგებლობა და მოვალეობა

გუბაზ ლეთოდიანი

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი)

მოვალეობა, პასუხისმგებლობა. ამას ავალდებულებს ექიმებს ჰიპოკრატეს ფიცა.

ექიმი ჰაუსი — ერთი მხრივ, ნაკლებად დამაჯერებელი პერსონაჟი, რომელიც არასდროს ცდება დაგნოზის დასმასა და მკურნალობის წარმატებით დასრულებაში. თუმცა, ჩემი აზრით, დასაშვებია ასეთი გმირის არსებობა, — სიცოცხლეზე სარკასტულად შეყვარებული. მისთვის მთავარი — პაციენტის სიცოცხლის გადარჩენაა. და მოუხედავად იმისა, რომ პაციენტმა უარი თქვა რეანიმაციაზე, ექიმი არ დალატობს საკუთარ მოვალეობას, მოქმედებს კანონის წინააღმდეგ (პაციენტის უფლება, უარი თქვას მკურნალობაზე, ექიმი კი უნდა დაემორჩილოს მის ნებას!). ამასთან, ჰაუსს არ დალატობს ალღო, სჯერა (თან საფუძვლიანადაც), რომ პაციენტის გადარჩენა შესაძლებელია.

ამ შემთხვევაში, ექიმის მოვალეობაში არ შედიოდა პაციენტის გადარჩენა, პირიქით, ის უნდა „გაეთავისუფლებინათ“ სიცოცხლისგან. გამოდის, რომ ექიმმა ჰაუსმა მოვალეობას უღლალატა. ლოგიკურად მართლაც, ასე. ჩანს, ჰაუსს ლოგიკაზე უარი უთქვამს, მაგრამ არა მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. ის ექიმია და მისთვის ვალია სიცოცხლის გადარჩენა. ამიტომაც არ ემორჩილება არაფერს და არავის, გარდა პასუხისმგებლობის გრძნობისა.

პაციენტი, რომელმაც უარი თქვა რეანიმაციაზე, მიმართავს ჰაუსს: „მე ერთადერთი რაც გამარჩდა, მუსიკოსად ყოფნა იყო. ახლა დაკვრა ალარ შემიღლია და ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. ეს ის ერთი იყო, რის გამოც სიცოცხლე მიღირდა, ისევე როგორც თქვენ გაგარინიათ ის ერთი, რასაც ადამიანის გადარჩენა ჰქვია...“ (შეიძლება სიტყვები ზუსტად ვერ ვთარგმნე, მაგრამ, იმედია, აზრი სწორად ვა-ვიგდა. ჰიდა, ექიმმაც ის გააკეთა, რისთვისაც ცოცხლობდა, გადაარჩინა პაციენტი).

მე მონი, შეცდომა არ იქნება, რომ ზემოთ მოყვანილი ფრაზა მოკლედ ასე გავიაზროთ — ყველა ადამიანისთვის არის რაღაც ნიშნეული, რის გამოც ულიოს სიცოცხლე. ვფიქრო, ეს უნდა აერთიანებდეს შექმნილ პერსონაჟს (ჰაუსს ვგულისხმობ) და ორ ისტორიულ პიროვნებას, გურჯი-ხათუნს და ილია ჭავჭავაძეს.

ალბათ, როცა ადამიანი წებით თუ უნებლიერ, „რაღაცა“ აკეთებს, ეს ცოტაოდენ სიამოვნებას მანც უნდა ჰგვიდეს. ეს შეიძლება ერთგვარი შეგუება, ადაპტაცია იყოს. რუსუდან დედოფლის ასულს არ გააჩნდა ნება, — აერჩია საკუთარი მომავალი. ეს დაბადებიდნ მოვალეობას მსხვერპლი იყო. ცამეტი წლისა გაათხოვეს რუმის სულთანზე, დედისა და არა საკუთარი ნებით (ავტორისა არ იყოს, მეც მენანება ასეთი ახალგაზრდა ქალი...). გახდა მეუღლე ქაიხუსევისა და დედოფლი რუმის სასულთნოსი. ამის შემდეგ ეკასრება მას პასუხისმგებლობა და მოვალეობა, როგორც მეუღლესა და დედოფლი. ის აღმოჩნდა უცხო სოციალურ და კულტურულ გარემოში. შეუძლებელია, მას არ გასწენდა მარტობის განცდა, თუმცა

გაუმართლა, რომ ქალაქ კონიაში მოღვაწეობდა ჯალალ ად-დინ რუმი (მევლინა), სუფი — დერვიშების ორდენის დამარსებელი.

იგი შემდგომში გურჯი-ხათუნის სულიერი მოძღვარი და მეგობარი გახდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი დედოფლი აუგო თურბე, რომელიც ჰგავს ქართული ტაძრის გუმბათის ყელს. ეს ფაქტი მანიშნებს გურჯი-ხათუნის მიერ სამშობლოს მონატრებას. გარდა ამისა,

მისი სახელი დაკავშირებულია იხლარას ხეობაში გამოკვეთილ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთანაც. აქ ყურადღებას იპყრობენ ფრესკები, რომლებზეც ქრისტიანი და მუსლიმი წმინდანები ერთად არიან გამოსახულნი. ეს გარემოება მეტყველებს, რომ ქართველ დედოფლას არ დაუკარგავს თვითმყოფადობა და მასში ერთმანეთს ერთგვარად შეერწყა ქრისტიანული და მუსლიმური კულტურა.

შესაძლოა, შეუსაბამოდ ჟღერდეს, მაგრამ გურჯი-ხათუნის „მოვალეობა“ სწორედ ეს იყო, — უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოში შეენარჩუნებინა საკუთარი თავი, დამახსოვრებოდა ხალხს, ისტორიას, როგორც ერთადერთი ქალი-დედოფლალი, რომელიც გამოსახეს მონეტაზე, რომელმაც ააშენებინა ეკლესია და გააიაფებინა პური („პური ჩვენი არსობისა“).

ლეგენდის მიხედვით, გურჯი-ხათუნს ველარ გაუძლია შორს საკუთარი ქვეყნისგან და გამოპარულა. თუმცა ალპათ უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ მას თავი მოეკლა. ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონდა: სამშობლოს მონატრება და მარტობა (ამ დროს მისი სულიერი მოძღვარი უკვე გარდაცვლილი იყო), — თითქოს მოთხადა ვალი და სხვა ალარაფერი დარჩენოდა. პრადად მე ლეგენდა უფრო მოწინოს.

გურჯი-ხათუნისგან განსხვავებით, არჩევანი ჰქონდა ილა ფავჭავაძეს. არაფერი შეუშლიდა ხელს ეცხოვრა თავისთვის, საკუთარი სიმოვნებისთვის, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. ცხრამეტი წლისა უკვე იცოდა რისთვის მიდობდა სასწავლებლად და რა უნდა ჩამოეტანა თავის ქვეყანაში. თუკი ამ ასაკისამ ამდენი იცოდა, ისიც ეცოდინებოდა, რა ელოდა ნინამურთან!

არსებობს მოსაზრება, — ადამიანს სჭირდება გარკვეული სახის განტვირთვა, ფიქრებისაგან, საქმისაგან „გათავისუფლება“ და ა.შ. ასეთი განტვირთვა ილიასათვის ბანქოს თამაში იყო. მისი ცხოვრების დანარჩენი ნაწილი კი იმ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის აღსრულებას მოხმარდა, რომელიც თვითონვე იტვირთა.

„ბედს ვერავინ წასულიაო“, — ეუბნება ილია იაკობ ბითარიშვილს. „იქნებ, ერთი-ორი დღე მაინც მოგვეცადა, ერთი-ორი დღე არაფერს, მეც ცუდს მიგრძნობს გულიო“, — ასეთია ილიას პასუხი. მან იცოდა, რა მოხდებოდა წინამურთან, მაგრამ არ უცდია თავის გადარჩენა. მახსენდება ჯეკ ლონ-



დონის მარტინ იდენი. იგი თავს იკლავს, რადგან მიაჩნია, რომ რაც შეეძლო გააკეთა, მისცა ქვეყანას და, აბა, სხვა რა- და დარჩენია, თუ არა სიკვდილი? ილია თავს იკლავს? არა, ამის სათქმელად არ გამიკეთებია ასეთი შედარება. მაშ რა არის ილიას საქციელი — თავი არ აარიდოს გარდაუვალ სიკვდილს?

მე ვიტყოფდი — პასუხისმგებლობა, თავგანწირვა. ის არ გაუბის სიკვდილს, პასუხისმგებლობას. ეს ერთი მხრივ, პაგიოგრაფიის გმირის თავდადებას ჰყავს, მეორეს მხრივ, კი — ილიასას (ერთი კაცის, რომელიც არასდროს უღალა- ტებდა იდეას). როგორც მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ აღამიანს შეეძლო. ახლა მისი

სიკვდილის დრო დამდგარიყო, — „შევეწირები და შევეწი- რები“. როსტომ ჩეხიძის ნაშრომის ერთ—ერთ თავში „გრი- გოლ რობაქიძე“ ჩანს, რომ ილიას სიკვდილის იდეა — „ნოე ჟორდანიამ... რეალობად აქცია ილიას ოცნება საქართვე- ლოს სახელმწიფოს ფენიქსისებური აღდგენით“ (თითქოს აღდგომა ილიასი). ფენიქსი ისე ვერ აღდგება, თუ არ დაი- ფერდოლა...

თუკი ცოცხლობა, ესე იგი ცხოვრებაც გადაგინდებულია, — „Vivere est militare“ („ცხოვრება ბრძოლაა“)! სამივე იბრძოდა რაღაცისთვის, რაც მათ არსებობას საზრისს ანიჭებდა, — ეს იყო მოვალეობა, პასუხისმგებლობა და მიზანიც!

მედეა რამიშვილი

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ- წიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფა- კულტეტის ქართული ფილოლოგის მიმართულების IV კურსის სტუდენტი)

1.

ექიმობა ყველაზე რთული პროფესიაა, ექიმი პასუხისმ- გებელია ადამიანის სიცოცხლეზე. ერთი გაუთვალისწინე- ბელი ან წინდაუქედვი ნაბიჯი და შეძლება პაციენტის სი- ცოცხლე შეინირო.

ქართულ ტელესივრცეში დიდი პოპულარობით სარგებ- ლობს სერიალი „ექიმი პაუსი“. ჩემი მეგობრებისან მსმენია, რომ ძალიან საინტერესოა, ბევრს საუბრობენ სერიალის მთავარი გმირის ექიმი ჰაუსის შესახებ. მათმა გაუთავებელ- მა საუბარმა, მიმზიდველმა რეკლამებმაც კი ვერ გაადამატყ- ვეტინეს სერიალის ყურება, ერთი უბრალო მიზეზის გამო, საშინალდად მეშინია საავადმყოფოს და ექიმების. თეოტრი კედ- ლები, ღია ფერის ფერის სამოსში გამოიწყობილი პერსონალი უსიამოვნობრივი აღვიძება ჩემში, ამიტომ გადავწევიტე უბრალოდ თვალი ამერიდებინა სერიალისთვის, მაგრამ ჩემი ეს გადაწყვეტილება არ გამორიცხავს, ზოგჯერ თვალი მოვ- კრა ცისფერ ეკრანზე მიმდინარე „ექიმ პაუსა“ რამდენიმე კადრი შემთხვევით ვნახე (სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სერიიდან) და ყოველთვის უცნაურ, აქამდე ჩემთვის უცნობ დაავადებას შექვედი. ყველა პაციენტი განიკურნა. მიმაჩნია, რომ მედიცინაში ასეთი რამ არ ხდება და სერიალში გადა- ჭარბებულია. ჩემი ეს მოსაზრება შეიძლება მცდარია.

თავიდან ბოლომდე ვნახე სერია „უარი რეანიმაციაზე“. მუსიკოსი, ჯონ ჰენრი, რომელსაც აქვს მწვავე პრემიონია და სიარულიც კი არ შეუძლია, უარს ამბობს რეანიმაციაში მკურ- ნალიაზე მაგრამ, როდესაც მისი მდგომარეობა გაუარესდა, ექიმი პაუსი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას და დახმარებას უწევს პაციენტს. ამის გამო მას სასამართლოშიც უჩივლებენ, თუმცა ექიმი ჰაუსის მეშვეობით მუსიკოსი განი- კურნება და ინგალიდის ეტლიდან ნამოღომასაც შეიძლება. ცხადია, პაციენტი მადლიერი რჩება ექიმი ჰაუსის.

ექიმი ჰაუსის ეს ნაბიჯი, არ მიექცია ყურადღება პაცი- ენტის უარისათვის და გაეწია დახმარება ჩემი აზრით სწო- რია, როცა ადამიანი უარს აცხადებს მკურნალობაზე ეს სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ვფიქ- რობ, აუცილებლად უნდა გაეწიათ მისთვის დახმარება. თუ ადამიანი მინც კვდება, იქნებ დახმარებამ გამოიღოს სასი-

კეთო შედეგი, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა.

2.



ტელემოთხობის — როგორც უანრის — არსე- ბობა ძალიან მნიშვნელო- ვანია. განსაკუთრებით ჩვენი თაობის წარმომად- გენლებისთვის, რომლე- ბიც იშვიათად თუ მივა- კითხავთ წიგნის თაროებს და კიდევ უფრო იშვიათად თუ ვინტერესდებით ჩვენი ქვეყ- ნის ისტორიით.

დათო ტურაშვილის ტელემოთხობა „გურჯი-ხათუნი“, ვიქირობ, ძალიან საინტერესოა. დღეს ძალიან ცოტას თუ ეცოდინება რუმის სულთანზე გათხოვილი ქალის, თამარ მეფის შვილიშვილსა და რუსუდან მეფის ულამაზესი ქა- ლიშვილის გურჯი-ხათუნის შესახებ. ცამეტი წლის ასაკში გათხოვილმა გურჯი-ხათუნმა შეძლო „ქვეყნიერების დე- ფოფლის“ სახელი დაერმატიდრებინა სელჩუკებში.

დათო ტურაშვილი მიჰყება და დეტალურად აღწერს იმ გზას, რომელიც შვიდი საუკუნის წინათ განვლო გურჯი-ხა- თუნმა და მისმა ამალამ ქორწილის დღეს. ულამაზესმა გურ- ჯი-ხათუნმა მალევე მოახერხა სელჩუთა სიყვარულის მოპო- ვება. ტელემოთხობაში მოცემულია ცნობა, რომ მისმა ქმარ- მა ქაიხოსრევმა მოაწრევინა მონეტა, გურჯი-ხათუნის პატივისაცემად. გარდა ამისა, უამრავი სხვა სურათია, რომე- ლიც ბევრ ცნობას გვაწვდის გურჯი-ხათუნისა და დიდი პოეტ- ისა და მოაზროვნის ჯალალ ედინ რუმის ურთიერთობაზე.

კალალ ედინ რუმი ანუ მევლანა გახლდათ გურჯი-ხა- თუნის მოძღვარი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ დე- დოფალმა უკანასენელა საჩუქარი მიუძღვნა და მის საფ- ლავზე ააგებინა ულამაზესი მწვანე თურქე, რომელიც ძა- ლიან ჰავას ქართული ეკლესის გუმბათს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სელჩუთა სასახლის ნან- გრევებზე აღმოჩენილია ბოლნური ჯვარი.

ნიგდეს ვილაიეთში, სოფელ ბელისირმასთან არის წმინ- და გიორგის ეკლესია, რომელიც გურჯი-ხათუნის სახელს უკავშირდება. სამნუხაროდ, აღარ არსებობს წარწერა, რო- მელიც დაადასტურებს, რომ გურჯი-ხათუნის მიერაა აგე-

ბული. ამ ეკლესიის ნანგრევების ხილვის საშუალებაც ეძლევა მაყურებელს. წმინდა გიორგის ეს ეკლესია იმით გამოირჩევა, რომ აქ ვხვდებით როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმანურ ფრესკებს. გასაოცარია, რომ აქ შეეძლოთ ერთად ელოცათ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს.

ტელემოთხოვას არაჩეულებრივ ხილს ანიჭებს მელოდია, რომელიც თან სდევს ამბის თხრობას და უფრო სასიამოვნოს ხდის ისტორიის მოსმენას.

ძალიან საინტერესოა ტელემოთხოვას ბოლოს ნაამბობი ლეგენდა გურჯი-ხათუნის გაუჩინარების შესახებ. მისი დაკრძალვის ადგილი უკრნობია. არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც, გურჯი-ხათუნი ვაჭართა ქარავანს გამოჰყოლია მონატრებული გურჯასტანისკენ.

უკანასკნელად გურჯი-ხათუნი სასახლის აიგანზე უნახავთ, საიდანაც მევლანას თურბეს გაცყურებდა. თურქმა ასტროლოგმა პიბი უნაჯიბებ აღმოაჩინა ვარსკვლავი, რომელსაც გურჯი-ხათუნის სახელი უნდოდა. ამბობენ, რომ ეს ვარსკვლავი დღესაც ციმციმებს და არასოდეს ჩაქრება, ისე როგორც გურჯი-ხათუნის ლამაზი და სევდიანი თავგადასავალი. გურჯი-ხათუნის სახელი რომ ისევ ცოცხლობს, ამას მოწმობს გურჯი-ხათუნის ქუჩა სელჩუქთა ქეყუანაში.

ტელემოთხოვას მაყურებელს სიამაყის გრძნობას ულვიდებს, ძალიან სასამოვნოა, რომ ეს სევდიანი ამბავი ქართველ ქალს ეხება, რომელმაც სილამაზითა და სათნოებით მოხიბლა სელჯუქები.

ტელემოთხოვაში ლამაზაც არის გადადებული ის ადგილები და ნანგრევები, სადაც ცხოვრობდა გურჯი-ხათუნი. იმდენად კარგად, რომ შემშერდა იმ ადამიანების, რომლებმაც გაიარეს ეს გზა. თექვსმეტ-წუთიანი ფირის ნახვის შემდეგ ჩნდება სურვილი მეტი გაიგო მის შესახებ და ამ სურვილს უფრო ამძაფრებს ტელემოთხოვას ბოლოს მიწერილი სიტყვები „დაანარჩენი წიგნში“...

იმდინა, ამ ტელემოთხოვას ნახვის შემდეგ ბევრი ჩვენებანი უკეთ გაეცნობა ამ ლამაზ და სევდიან ამბავს და დავიწყებას არ მისცემს საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქართველი ქალის სახელს.

3.

ილია ჭავჭავაძე წმინდანად არის შერაცხული. ადამიანი რომ წმინდანად შეირაცხოს, უდიდესი დამსახურება უნდა ჰქონდეს ერის წინაშე. ცხადია, ილია ჭავჭავაძეც მისი დიდი დამსახურების გამო იქნა შერაცხული წმინდანად და აღიარებული ერის წინამდებრად.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ქართველები ძალიან კარგად ვიცნობთ და ყველა ერთად ვალიარებთ თუ რა ძვირფასი საგანძურია მისი მწერლობა ჩვენთვის. ასევე ძალიან ლირებულია ილიას პუბლიცისტური წერილები. ილიას შემოქმედებაზე და მის სიკარგეზე სასაუბროდ თაბახთა წყება არ გვეყოფა. მას შემდეგ, რაც გავეცნი ამონაკრებს როსტომ ჩერიძის „ეკლიანი და პატარა გზიდან“, ცოტა არ იყოს დავიბენი, თუმცა, როცა ადამიანი წარმატებულია, მის გარშემო კრიტიკა ყოველთვის არის და ეს გასაგებიცა. ჩემთვის მანამდეც იყო ცნობილი კრიტიკა ილიაზე, ხშირად მსმენია, „განებივრებული“ თავადი იყო, ავანზე ქურქით გადმოდგებოდა და მედიდურად გადაპყურებდა მოჯამაგირეებსო. ეს ჩემი აზრით არ არის ის მყარი არგუმენტი, რომლის გამოც წარმოდგენა შეიძლება შეეცვალოს ადამიანს ილიაზე. ილია ჭავჭავაძე არამარტო ჩემისთანა, ჩვეულებრივი მკითხვე-

ლისთვის არის უდიდესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, არამედ ასეთად მიაჩნდათ იგი ისეთ გენიოსებს, როგორებიც იყვნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვები.

(ცნობილია თუ რა მითქმა-მოთქმა გამოიწვია ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ. მართლაც, დიდი ტრაგედია, ქართველის ხელით იქნეს მოკლული დიდი ილა. მაშინ კიდევ ერთხელ ესროლეს საქართველოს.

ზემოთ ვასხვნებ როსტომ ჩერიძის „ეკლიანი და პატარა გზა“ და ისიც აღვნიშნე, ცოტა დავიბენი წაკითხვის შემდეგ-მეთქი. განსაკუთრებით ნოე უორდანიას მოსაზრების წაკითხვის შემდეგ აღმოვჩნდი გაურკვევლობაში. ნოე უორდანიას დამსახურებაც ცნობილია ჩემთვის საქართველოს წინაშე. ალბათ, მე არავინ შემეკითხება, მავრამ მაინც რომ მკითხონ, ილია ჭავჭავაძის ლვანლს დაუფიქრებლად მივანიჭებ უბირატესობას. ილია ჭავჭავაძეს და ნოე უორდანიას სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულება ჰქონდათ (საბოლოოდ ნოე აღმოჩნდა ილიას იდეების მემკვიდრე) და აქედან გამომდინარეა ალბათ, რომ ნოესა და ილიას შორის დაიძაბა ურთიერთობა (ცხადია, ხელჩართულ პრძოლას არ ვგულისხმობ). არ ვამართლებ ნოე უორდანიას სიტყვებს, როდესაც ამბობს, რომელი უდანაშაულო ილია ჭავჭავაძე გახლდათ?! ვიცით, რომ მარქსიზმის იდეებით იყო შეპრობილი ნოე უორდანია და ილია ჭავჭავაძეს კი ნაციონალიზმის გამდვიძებელს უწოდებდა. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება არ ამართლებს გადამეტებულ კრიტიკას და, ჩემი აზრით, ჩირქი არ უნდა მოსცხო ისეთ უდიდეს კლასიკოსს, როგორიც ილია ჭავჭავაძე.

ნოე უორდანია, დანამდგილებით შეიძლება ითქვას, რომ დიდ პატივს სცემდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და ამას უხსნის კიდეც იოსებ იმედაშვილს, მას ილია არ მოსწოდა როგორც ბელებრისტი და საზოგადო მოღვაწე. მიუხედავად ამისა, ვერ გავამართლებ ნოე უორდანიასაზე დიდი პატივისცემის მიუხედავადაც მის ნათქვამ სიტყვებს: „ხეს რომ ჭრიან წაფლტები ცვიგა“. მაინც გაუმართლებლად მიმართა ნოე უორდანიასაგან ილიას მკვლელების არ დაგმობა. თუმცა ისიც უნდა ალინიშნოს, რომ საბოლოოდ ნოე უორდანია ილია ჭავჭავაძის იდეების გამგრძელებელი და მემკვიდრე. ამას მოწმობს 1917 წლის ეროვნული ყრილობა. როგორმე უნდა ამოვიგდოთ თავიდან ილიასა და ნოეს შორის არსებული კამათი. ჩვენგან ორივე პიროვნება პატივისცემის ლირისა. ორივეს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე.

საინტერესოა გრიგოლ რობაქიძის გახსენისა, გასაცარია სიზმარი, რომელიც ილიას მკვლელების წინა დამეს უნახას მას.

იკობ ბითარიშვილი იხსენებს ილია ჭავჭავაძის გარაცვალების დღეს, როცა წინათგრძნობა არ ასვენებდა იაკობს და თავად ილიასაც. იაკობ ბითარიშვილი იხსენებს როგორი შეუდრევებელი იყო ილია, მის კალამზე ვერც ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობამ იმოქმედა. ჭავჭავაძე ბოლომ-დე დარჩა საკუთარი იდეების დამკველი. ზაქარია ჭავჭავაძისთვის გაბედულად უთქვამს, სიყრმიდანვე ქართლის ბედს რომ იყო აყოლობი.

ჩვენი გაუთავებელი ლაპარაკი, რომ ილიას ქართლის ბედი ადარდებდა და რომ თავისი სამშობლოს კეთილდღეობას შეენირა, ზედმეტია. ამაზე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა, უნდა ვალიაროთ რომ ილიას მკვლელობა შავი ლაქა ჩვენი ქვენის ისტორიიაში.

გივი ალხაზიშვილი

„ვიდრე სიტყვაზე ვეძობი სიტყვას“...

ძალიან კარგია „ცდა“ თავის ფინალით. ყველა წინანდელი სიტყვა თითქოს იმიტომ დაინტერა, რომ ბოლო მეტაფორა გაჩერილიყო. ნატო ინგოროვამ ხმელი ლექსები დაარქვა მის ახალ პოეტურ ციკლს, იმ განსხვავებული სტილისტიკის გამო გარკვეულნილად რომ ცნობილია, მნირად, მაგრამ ცნობილია. მისი არჩევანი, ასეთი უბრალოების ფონზე გაამჟღავნოს თითქოს ინფორმაციული ტექსტი, ზეანეულობისგან თავისუფალი, ძალიან სწორია, რადგან ასეთ „ინფორმაციულ ფონზე“ ოდნავი სენსარული რხევაც კი მკვეთრად აღიბეჭდება და შესამჩნევია, რამდენადაც საგრძნობია, და არ უფასურდება შენილბული განცდა, რომელსაც ერთი ფრაზა „შემთხვევით გამოუჩნდა“ და ასეთ დროს ეფექტი მეტია.

ხმელი ლექსები რატომძაც მახსენებს იტალიურ ნეორეალისტურ პოეზიას, რაც წამიკითხავს სოლონოვიჩისა და სხვათა თარგმანში დიდი ხნის წინათ. ახლა, როცა ზოგი ქართველი პოეტის შემოქმედებაში დღემდე გრძელდება დაგვიანებული სიურრეალისტური ძიების ტექნიკა, ხმელი ლექსების ესთეტიკა სრულიად განსხვავებულია და ერთგვარ ალტერნატივადაც აღიქმება. თუმცა აქვე უნდა ვთქვა, რომ ნებისმიერ მიმდინარეობას თუ ესთეტიკას თავის ხიბლი და ასევე საეჭვო თვითმიზნურობაც ახასიათებს.

მგრძნობელობაზე თვითმიზნური აპელირება, თითქოს განცდილის ყალბად და მოსაბეზრებლად წათამაშება აუფასურებს იმას, რასაც დავაკაისრეთ ეფექტის გამომწვევი ფუნქცია და უკუშედეგს იძლევა თავისი კაკაფონიურობის და თავსმოხვეული ზემოქმედების გამო. თუმცა აქაც, როგორც სხვა შემთხვევამი, გააჩნია შესრულების დონეს ე.წ. „დუღნდეს“ ხარისხს და ა.შ.

„სხვა მხარე“ — ამ ლექსში ჯერ კიდევ ისმის ნატო ინგოროვას ლექსების ძველი ტონალობა, შემცირებული დოზით იგრძნობა, მაგრამ მაინც დომინორებს, თუმცა ფინალი ისევ მოულოდნელი ეფექტის ფუნქციას კი არ ასრულებს მხოლოდ, არამედ ერთგვარი სემანტიკურ-მუსიკალური და საბოლოო აკორდია ამ ლექსისთვის.

ხსოვნის ხანდაზმულობას
სუნთქვა გამოექცა
და ღიმილს დასწრო

ნუ მეტყვი იმას,
რაც არასდროს იქცევა სინამდვილედ.

თავისთავად საგრძნობი ნიუანსებია ამ სტრიქონებში, მაგრამ „ხმელი ლექსების“ ესთეტიკისთვის თითქოს ზედმეტია განცდის ასეთი დეტალიზაცია /დაწვრილმანება/. „ანგარიში“ — ეს ლექსი ყველაზე მეაცრია და, ამავდროულად, ყველაზე ამაღლელვებელია სინრფელის უეცარი

გამხელით, რადგან გამხელასაც აქვს თავის საზღვრები და როცა უსაზღვროა გამხელილი სევდა, იგი მკითხველშიც მეორდება და ილექტება სულში, თავის ექს რომ აჩენს სხვადასხვა „თავში“.

მე ამ ლექსს („სიკვდილის რეპეტიცია“) დავარქმევდი შეყვარებულის სასოწარკვეთილ რიტორიკას, ასრულება რომ არ უნდა ენეროს, ან შეუძლებელია ასრულდეს. სათაურის შინაარსის გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ რეპეტიციაა ლექსად რომ განხორციელდა; ერთგვარი სიტყვიერი „შურისძიებაა“, რასაც ფინალური სტრიქონი ახმოვანებს კიდეც მწარედ, მაგრამ არაფატალურად.

„კითხვითი სიტყვებით, კითხვის ნიშნების გარეშე“ — მე-ამინ-ე — ასე დაგნერდი მე ამ სიტყვის ავტორისეულ წათამაშებას, რადგან ამ სიტყვასთან ასეთი გამინაურება უკვე გულისხმობს სხვა მრავალ ნიუანსს და ამდენად არის საინტერესო და არა მხოლოდ ამ სიტყვის წათამაშებით.

რატომ გაურბიან,
თვალხილულები სინათლეს,
რატომ მესმის ჩემი ხმა,
როცა არ ვლაპარაკობ..
....

ან რატომ გამოიყვანე სახლიდან
ახალი კაბის საყიდლად.

ამ ლექსს ფინალი აკლია. ეს ავტორის უფლებაა და მისი საქმეა, თუმცა მე უურჩევდი ეძებოს განსხვავებული ფინალი.

„ამინდი გარდაცვლილთავის“ — ამ ლექსში ავტორი მისტიკურ კავშირებს ეძებს გარდაცვლილებთან. მოულოდნელია:

აქ ჩემი ბავშვობის გაჩერებაა.
ეს ხმა იქიდან მომყვება...

ლექსის მთელი აქცენტი გადატანილია შემდეგ ფინალურ სტრიქონებზე:

ნითელი კვერცხიც გაგორდება.
სალებავია სისხლი.

გარდაცვალების მისტერიაზე საუბარს არ გავაგრძელებ, არც იმ სიმბოლიკაზე, რასაც საბალდებომ წითელი კვერცხის საფლავზე გაგორების ტრადიცია გვაუწყებს. აქ დეკლარირებული „საღებავია სისხლი“ მოულოდნელად ისმის, ჩანს, როგორც რელობის არც თუ ისე დაფარული მხარე.

„ჩემი გაზაფხული“ — რამდენიმე წლის წინათ „ჩვენ მწერლიობაში“ ნავიკითხები: „ფერადი ცელოფანის პარკებით მორთული ხეები ნატვრის ხეებში არ შეგებალოთ“. ნატოს ლექსი ან ამ ფრაზის გაგრძელებაა, ან დამოუკიდებლად ალმარინა იგივე სახე, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან იგი ნებისმიერი მოქალაქის თვალწინაა ყოველდღიურად და ჩვენი ყოფის მუდმივ თანამგზავრად იქცა.

უნდა აღვინიშნო, რომ ეს ლექსი საყურადღებოა სისა-დავით და მოულოდნელი განცდის გამჭვირვალებით.

ის ვარდისფერი პარკის ნაგლეჯი,
ჩემი კაბის ნანილია,
ბავშვობაში ეკალს შევატოვე და
სურვილის ჩაფიქრება ვერ მოვასწარი.

იყავ ჩემი ნატვრის ხე. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ნატო ინგოროვება ჩვეულებრივ ყოფით ამბებს თუ დეტალებს პოეზიად გარდაქმნის და ამით იგი შორს დას ხელვნური, პოეტიზებული ტექსტებისგან და ცდილობს ყოველდღიური ყოფითი სინამდვილე აქციოს ვოეზიად, რაც საგრძნობია და აღსანიშნავი.

ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ასეთი ლექსების წერა ხელის დალლამდე შეიძლება, მაგრამ მწარედ შეცდება. არ გამოვრიცხავ, ავტორსაც გაუჩნდეს გაუცნობიერებელი სურვილი, „სერიულად“ წეროს მსგავსი ლექსები, რადგან გამოუვიდა, მაგრამ ეს ასე არ არის და, მიუხედავად კონვენციური ვალდებულებებისგან თავდასხინისა, გაცილებით რთულია დეპეშური ტექსტი რამდენიმე მოულოდნელი მიგნებით გააცოცხლო და შესანიშნავ ლირიკად აქციო. დაგროვება და შესაბამისა განწყობა სჭირდება, როგორც ნებისმიერ ნამდვილ ტექსტს, თუმცა დაგროვილი გამოცდილების მარავი, ჩვენში რომ არსებობს, ყოველთვის საბაბს ეძებს, რაიმეს ნამოედოს, ძაფივით დაგრძელდეს და რაიმედ მოიქსოვოს, რათა გაცოცხლდეს და იქცეს ცოცხალ სიტყვიერ ქსოვილად.

„ვწერ ხებადართულ სიმარტივეზე“, „ფრთხილად კარები იკეტება, ნუ მოაყოლებ კარში იმედს“, „ეს გზა სიხარულის გამხელასავით უხერხულია და გაინხელა“, „აქ ყველა სიტყვაა, რაც უნდა მეტვა და არ დაგრძერ“, „აქ იყო დრო. დარჩა ადგილი“. ეს მინიმალისტური ლექსები არ გვითვოთ, სხვადასხვა ლექსებში გაბნეული საუკეთესო სტრიქონებია და ბევრი დამრჩა ამისანერი, მაგრამ სხვები მკითხველმაც მოიძიოს. სიტყვის მომჭირნებობა იგრძნობა ამ ლექსებში და სიზუსტე. „აქ იყო დრო, დარჩა ადგილი..“. რაც ამოვკრიბე, პოეზიის მინერალებია, დაწეხილი შეგრძნებები სიღრმეს რომ გაგრძნობინებენ და დეპეშური ტექსტია თითო-ოროლა მეტაფორის თანხლებით. „აქ იყო დრო, დარჩა ადგილი... მე ვიცი ამგვარი ნათქვამი საიდან ალმოცენდება, ან რა გზაა გავლილი, ვიდრე ამას იტყოდა პოეტი.

არსებობის ნაწყვეტები ჩნდება და ლაგდება ლექსებად, ხან მოულოდნელობის ეფექტი აცოცხლებს „ხმელ“

სტრიქონებს, ხანაც ერთი მეტაფორის გაელვება კრავს მთელ წრედს.

ვიდრე —

სიტყვაზე ვენდობი სიტყვას.

ვიდრე —

ხსოვნა სიკადილივით სკამზე ჩამომიჯდება და სხვათა სიტყვით, მესამე პირში დამიწყებს საუბარს.

„ვიდრე“ — ეს ლექსი თითქოს „ვიდრეზე“ იგება და ცხოვრებისული ღრმა განცდის ფრაგმენტს გვაგრძნობინებს, დაგვანახებს, გაგვანდობს.

შენ თქვი: აქ არაფერია.

მე გითხარი: მოდი, გავაფერადოთ.

ჩვენ — ავჭრელდით.

ამ სიჭრელემ თვალი მოსჭრა

ჩემიანებს

და მათ, ვინც მხოლოდ ორ ფერში ხედავს.

ამ ლექსს სათაურად „მარტივი“ ჰქვია, მაგრამ ნახეთ ფინალური სტრიქონები როგორ აუქმებს მოჩვენებით სიმარტივეს და როგორ ამხელს თითქოს მიჩუმათებულ სათქმელს:

შენ თქვი: უნდა მოგეხვიო,

მე გითხარი: ზურგიდან უფრო იოლია.

ტყუილი ფეხისწვერებზე დგება.

კლასიკური მელოდრამის კადრი ცოცხლდება თვალინ, ხშირად რომ მოინატრებენ გამოფიტული რეალობით გადაღლილი ადამიანები, ავტორი და მეითხელი, სხვებიც, უნებლიერ რომ გაურბით თვალი იქით, რაც იყო და რისი გამეორების ალბათობაც ისევ პრისტობს.

როგორც ვხედავთ, ნატო ინგოროვება ექსატიტეციური ფრაგმენტებიდან ქმნის ლექსს, ყოველგვარი სპეცეფექტების გარეშე, სადაც და გულშიჩამნვდომად. თითქოს ერთი ნაბიჯია ზოგჯერ უბრალოებასა და ბანალობას შორის და ამ ბენვისხიდზე სიარული უფრო ძნელია ვიდრე დანისპირზე.

არ შეცდები თუ ვიტყვი, რომ რთულ ნიუანსებში თავისუფლად ცურვა, ალბათ, რილეკს სამყარომ ასწავლა, როცა იგი თარგმნიდა დიდი პოეტის ლექსებს. ვინც რილეკს სამყაროს ეზიარა და შესაძლებლობის დონეზე ჩასწოდა მისი სიღრმეებს, მის პოეზიასთან შეხვედრა უკვალოდ არ გაძრიალა და ეს საგრძნობია.

„ხმელი ლექსები“ ნატო ინგოროვებასთვის ახალი გზის დასაწყისია. სიტყვა „ხმელი“ გამხმარს არ ნიშანავს, უფრო სხვა რამეზე მიგვანიშნებს, შეულამაზებელ ტექსტს გულისხმობს გათავისუფლებულს სიმულაციებისაგან, ასე ჭარბად რომ არის ზოგადად თანამედროვე ქართულ პოეზიაში, თითქმის ყველა თაობის პოეზიაში.

ხმელი ლექსების ავტორი საოცრად გულწრფელია, როცა უბრალოების ტილოზე ალაგ-ალაგ, ძალიან მომჭირნედ, ძუნად მოიძნავს მოულოდნელ ფერადებს და მისი პოეზია ხან ამ საიდუმლოში და ხან უეცარ ღიაობაში მჟღავნდება.



ჩვენი თვალსაჩინო მთარგმნელი მედეა ზაალიშვილი დიდი ხანია ძალიან მოხიბლულია ენ სექსტონის პოეზიით, ტრაგიკული ბედის შემოქმედით, ვინც უცნობი რჩებოდა ქართული სივრცისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მის მხატვრულ მემკვიდრეობას მთელს მსოფლიოში ძალიან აფასებენ არამარტო გემოვნებიანი მკითხველები, არამედ სხობებიც. თარგმნასაც აპირებდა, მაგრამ ყოველთვის რაღაც დაბრკოლება ელობებოდა და გადასდებდა და გადასდებდა ხოლმე.

და აა, ჩვენა უურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა ანი კოპალინის მიერ ენ სექსტონის ბიოგრაფიოს დაან ვუდ მიიღებრუების მონოგრაფიიდან ფრაგმენტი „ორა ქალი, ორი პოეტი“, რომელიც შეეხებოდა ამ პოეტის პირად ურთერთობას ასევე ტრაგიკული ხვედრის შემოქმედთან სილვია პლათონან, ვისი ლექსებიც და რომანიც ლელა სამნიაშვილის წყალობით ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მკითხველისათვის.

და აა, ამ მსასალას კიდევ უნდა შეესმო ჩვენი მკითხველის ნარმოდგენა მასზე, ყური კი შეჩვეოდა ენ სექსტონის სახელს და გაღვევებულიყო ცნობისნადღილი მისი ლექსებისადმი. სასიკეთო ზეგავლენა ძალიან სწრაფად მოხდა — სწორედ ეს პუბლიკაცია აღმოჩნდა შემაგულანებელი მედეა ზაალიშვილისათვის, მიბრუნებოდა თითქოსდა მიტოვებულ ლირიკულ კრიბულს ამ დიდებული პოეტისა და რამდენიმე ნიმუში საჭარიკოდ გამოიტანა ქართულ სამოსელში. და ეს ნარმატბული მცდელობა იქცეს დასაწყისად ენ სექსტონის დამკვიდრებისა ჩვენს ლიტერატურაში.

ენ სექსტონი

დაცყვილება აგებოსთან

დამღალა ქალად ყოფნამ,
დამღალეს კოვზებმა და ქვაბებმა,
დამღალა ჩემმა ტუჩებმა და მკერდმა,
დამღალა კოსმეტიკამ და აბრეშუმმა,
ჯერ კიდევ ისხდნენ კაცები ჩემს მაგიდასთან,
შემოსხდომიდნენ ჩემს შეთავაზებულ ფიალას,
ფიალა საგსე იყო მენამულ ყურძნით
და დაფრენდნენ სუნზე მოსული ბუზები.
მამაჩემიც კი მოსულიყო თავისი თეთრი ძვლით,
მაგრამ მე დამღალა სქესმა საგნების.

ვიხილე სიზმარი გასულ ღამეს
და ვუთხარი...
„შენ ხარ პასუხი,
შენ ჩემს ქმარზე და მამაჩემზე დიდხანს იცოცხლებ“.
იმ სიზმრად იყო ჯაჭვებისგან შეკრული ქალაქი,
სადაც იმანე მოაკვდინეს კაცის სამოსში
და ირეოდა ანგელოსთა აუხსნელი, მრავალი სახე,
ვერ შეარჩევდით ორ ერთნაირს,
ზოგს ცხვირი და ზოგს ცალი ყური ეპყრა ხელთა;
ერთი მათგანი ლეჭდა ვარსკეულავს და გადმოგვცემდა
ორბიტას მისას.
და თვითეული მსგავსი იყო
თვითმორჩილ ლექსის,
ასრულებდა რა ღვთის ფუნქციას
ხალხისგან განზე.
„შენ ხარ პასუხი“
— ვთქვი და შევედი,
დავწექ ქალაქის ჭიშკარში და
მერე ჯაჭვები შემომაჭდეს,
დავეარგე ჩემი ჩვეული სითბო, ბოლო ასპექტიც,
ჩემს მარცხნივ იყო თვით ადამი,
ჩემს მარჯვენივ — ეგა.
ორივ ერთიან მერყყობდნენ მიზეზთა სამყაროში,
ერთად ვიქნევდით მკლავებს
და მზის ქვეშეთში მივაჭენებდით.

ალარ ვიყავი უკვე ქალი,
არც ის და არც ეს აღარ ვიყავი.

ო, ქალწულნო იერუსალიმის,
თავის დარბაზში შემიყენა მე მეფის ნებამ,
მე შავი ვარ და ვარ ლამაზი.
გამსხნეს, გამსადეს;
არც მკლავები მაქს, აღარც ფეხები
თევზის კანივით ქაცვითა ვარ მეც დაფარული,
მე აღარა ვარ იმაზე მეტი ქალი,
ვიდრე ქრისტე იყო კაცი.

თებერვალი. 1963

ცალთვალა კაცის ლეგენდა

ვკარგავ თვალისჩინს ოიდიპოსის მსგავსად,
მეც შევცოდე იუდასაგით,
მათი სასჯელი უკვე აღსრულდა;
გამოილია სირცხვილის და დამცირების
გრძნობები უკვე.
ხოლო რაც მე შემეხება,
აპა, სახეში შემომხედე,
ნახავ, თითქოს ცათამბჯენიდან
თვით ბოროტება დამცემოდეს
და თუმცა მათზე ვერას ვიტყვი
და ვერც ავხსნი იმ წვრილმანებს დამამცირებლებს,
ბევრი რამ მახსოვს
იუდას შესახებ —
იუდას შესახებ, მოხუცი და სახელგანთქმული —
შენ თვალს რომ გამოეპარა.

მისი ცხოვრების ამბავი
ჩემი ცხოვრების ამბავშია ჩაწნული,
ერთი თვალი შუშისა აქვს,
ჩემი ნერგები ეხლებიან მოხატულ ზედაპირს,
მაგრამ მეორე ელოდება
სამსჯავროს მისას,
განაგრძოს ხედვას...

რაღა თქმა უნდა
ახალი აღთქმა უფრო მომცრო.

მისი ბაგე ოთხჯერ იღება —
ისეთი ძველი, როგორც პრეისტორიული ურჩხული,
და მაინც, ასე თუ ისე, კაცის ქმნილია,
ერთმანეთთან შეკონლი რაღაც ძალით,
როგორც ფოცხის ყბა ქვისგან ნაკეთი
ხავავს იუდაელთა მიწას,
საკუთარ ერდოს ისე აღებს,
როგორც წმინდა ქალნული.

და უფრო მეტიც, როგორ მოვიდა იუდა აქამდე —
ის იუდა ისკარიოტელი,
რუბენის ტომის შთამომავალი?
უნდა ეცადა ამალება თავის ტომის!
რკინის ძელივით ჰქონდა კისერი,
ძლიერი, როგორც ნიუკასლი,
მისი გული კი მკვრივი, როგორც ცვილი,
მისი ფეხები დასიებული, დაღდაუსმელი,
კიდურები, ჯერ კიდევ ზრდადნი,
დამძიმებული!

ის მევდარი წონა იქნებოდა მისივე ბრალი,
უნდა სცოდნოდა!

უპირველესად ვინ ააგებს ამ სიმახინჯეს
ვფიქრობ იმ კაცზე, რომელიც ამბობს...
შეხე! ხელობის საფასური აი ეს არის,
ზედ ებატება საფასური ნედლი მასალის,
და თუ დასჭირდა სამი-ოთხი დღე ამის კეთებას
ესეც სავსებით გასაგებია.
გამოითვალეს ზედნადები ფასი ფიცრების
სამასი ფუნგი.

გამოითვალეს საკამარი წონაც იმისთვის, რომ
ზე აზიდოს კაცის სიმძიმე, თქვეს:
თხუთმეტ სტოუნს არ აჭარბებს
წონა ქურდისა.

სიმახინჯეც ხომ ჩვევის საქმეა,
შეცდომა რომ მოსვლოდათ მაშინ,
ჯვარცმა მცდარად აიგებოდა...
ფიჭვის ჯიშის კი არა,
სარკის დაკიდვა კი არა,
თავბრტყელა ლურსმინის ან ბურლვის ვარდნა კი არა,
არამედ ქონა შთაგონებისა.
მაგრამ იუდა როდი იყო ან გენიოსი
ან შთაგონების მფარველობის ქვეშ მოქცეული.

არ ვიცი, ოქრო იყო თუ ვერცხლი.
არ ვიცი, რატომ გასცა ქრისტე.
რა საბაბი ჰქონდა ამისთვის.
არ იყო ხარბი და უსინდისო,
ბოროტის ქმნაც აკრძალულ იყო.
თანაც აშკარად განსჭვრეტილი თუა წინასწარ,
შემდგომში არად ჩაგდებული.
და ბერე კი მივწერებული.

იუდას ყავდა დედა,
ისევე, როგორც მე მყავდა დედა.
ოჳ! პატივი დასდეთ და იამეთ მხოლოდ ფაქტები!

ნუდარა ფიქრობთ მძაფრ შეგრძნებებზე,
როგორც გითხარით, მე ასეთი შეგრძნებები მაქვს,
მაგრამ იფიქრეთ...
იუდას ყავდა დედა,
დედამისს ჰქონდა ოცნება,
ამ ოცნების გამო
მას ერთიანად მართავდა ბედი
და ასე შეურაცხყო დედა თვისი.
ამ ბოროტმოქმედებაზე ცოტა რამ გვსმენია
მან გაყიდა თავისი ღმერთი.

მარტი. 1963

სიჩუან

რაც უფრო მეტს ვნერ,
მეტი სიჩუმე მიღრღნის გულს.
ს.კ. უილიამსი

ჩემს ოთახს სოფლის სადგურივით
თეთრად ლებავენ
და სდუმს ოთახი
მთვარის შექზე მთლად გაცრეცილი,
წინილის ძვალზე უფრო თეთრია.
წმინდაწყლის ნაგავი,
ასეთი მდუმარე.
ჩემს უკან თეთრი ქანდაკებაა
და თეთრი მცენარები
იზრდებიან, როგორც უხამსი ანგელოსები,
თავის წელვად ენებს რომ გვიყოფენ
და არას ამბობენ.

ჩემი თმები კი მუქია.
თეთრ ცეცხლში დამეწვა
და უპრალოდ დანახშირდა.
ჩემი მძივებიც შავია,
ოცი თვალი
ვულკანიდან ამოფრქვეული,
ერთიანად ნირშელახული.
იმ სიტყვებით ვავსებ ოთახს,
რომელსაც ჩემი კალამი წერს,
სიტყვები ისე უონავენ,
როგორც სისხლი მუცლის მოშლისას.
ზუზუნით ვისვრი სიტყვებს ჰაერში
და ისინი მიბრუნდებიან
ბუშტების გუნდად
და მანც სიჩუმეა,
მუდამ სიჩუმე
ჩვილის ფართოდ გაღებული პირივით.
სიჩუმე სიკვდილა,
ის ყოველდღე მოდის ჩემთან, რომ დამზაფროს,
მხარზე დამაჯდეს თეთრი ჩიტი,
ჩაუნისკარტოს შავ თვალებს
და ჩემი ბაგის მთრთოლვარე კუნთა.

ინგლისურიდან თარგმნა
გედეა ზაალიშვილმა

მთარგმნებისაგან

„ახლოს მიიტანე ყური სულთან და გულმოფ-გინედ უსმინე“ — ეს ენ სექსტონია.

თანამდებობის პოეტ ქალთა შორის არავის დაუტყვევებია საზოგადოების წარმოსახვა ისე, როგორც ენ სექსტონს. საკუთარი ტკივილისა და გამოცდილებისაგან მან შექმნა ბრწყინვალე, უკომპიონის, გულაძლილი პოეზია, რომელიც ადამიანის შინაგანი ნვის ჭეშმარიტებას გვამცნობს. შექმნა ლექსები, რომელთაც უდიდესი აღტაცება ჰქოვება, გამოყიდნარე გულწრფელი, შიშველი ემოციებისა და მისთვის ნიშანდობლივი მეტაფორული აზროვნებისაგან.

ენ სექსტონის უახლოესი და ერთგული მეგობარი მექინი ნერდა: „ენის უწყალოდ დაჩჩებილი ცხოვრება მისავე ლექსებშია. იგი ყველაზე უფრო გულაძლილა პოეტებს შორის, არავის ჰქონია ისეთი სიმამაცე და გამბედაობა, რომ თავისი გული საზოგადოების წინაშე ერთიანად გაექიშვლებინა“.

ენ გრეი ჰარვეი — ასეთი იყო მისი ქალიშვილობის სახელი. „გასაოცარი პოეტი ქალი“, როგორც მას უნიდებდნენ შემდგომში, დაიბადა 1928 წლის 9 ნოემბერს, ნიუტონში, მასაჩუსეტსის შტატში. 1960 წლიდან, როდესაც მისი ირველი წიგნი „ბედლამში და ნახევრად უკან დაბრუნება“ გამოვიდა, პატივი და ლიდება არ მოჰკლებია. მიღებული აქვს ამერიკის სამეცნიერო აკადემიის, ფორდისა და პულიცერის პრიზი კრებულისათვის „იცოცხლე და მოკვდი“, არჩეულ იქნა დიდი პრიტანეთის სამეცნ ლიტერატურული საზოგადოების წევრად, რამდენჯერმე მიენიჭა საპატიო ღოქტორის წოდება.

ანა განებივრებული იყო ხალხის თაყვანისცემით, მაგრამ ყურადღების ცენტრში მყოფი „ჭეშმარიტი პოეტის ქალის“ უკან, რომელსაც მდიდრულად მორთვა-მოკაზზეა უყავარდა, იმავებოლდა შეშინებული და მორიდებული ბავშვი, რომელიც ლამის აკვიდიანვე გრძნობდაც ცხოვრების წესს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი მშობლებისთვის არასასურველი შვილი, ხუთი მისი დებისთვის შურის საგანი იყო. მასნავლებლებიც ვერ ამჩნევდნენ მასში ღროვანი მიძინებულ ნიჭს და ვერ იჩენდნენ მისადმი მოთმიზებასა და ლმობიერებას. ანა ყოველთვის შეპყრობილი იყო წინააღმდეგობის სულით, მაგრამ თვალს ხუჭავდა, როცა კრიტიკოსები შეუტევდნენ ხოლმე. შეშინებული გოგონა იქცა გამომწვევ, კაშკაშა, მაგრამ იმავდროულად უკიდურესად თავისთავში ჩაკეტილ და ფსიქიურად გაუნონასწორებელ ქალად, თავს რომ ხშირად აფარებდა ვესტიულის კერძო ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, რომელიც მისთვის „საიმედო თავშესაფარს“ წარმოადგენდა, „როდესაც ხების პიკს აღნევდნენ და თვითმკვლელობას კენუბიძებინენ“. აქ, თითქოს ყველაფერი ყუჩდებოდა და ყველა ტკივილი ცხრებოდა. მაგრამ, ბოლოს მაინც ვერ გაუძლო ქაოტურ და მღელვარე ცხოვრებას და 1975 წელს, 46 წლისამ, ნახშირბად ერთუანგით მოიწამლა თავი.

ასე გამართლდა მისივე გამონათქვამი: „გაუზიარებელი სიხარული აღრევე კვდება“.

ჯონ სტაინბეკი

ციცური პონი

დანაკირავი

გაზაფხულის ერთ შუადეს პატარა ბიჭი ჯოდი მწყობრი ნაბიჯით მიუყვებოდა თავისი რანჩისაკენ მიმავალ შარაგზას, რომელსაც აქეთ-იქიდან ჯაგნარი გასდევდა. გეგონებოდათ დიდ დოლზე უკრავსო, მუხლს ისე რიტმულად ურტყამდა პატარა, ღორის ქონივით მბზუნავ სათლს, რითაც სკოლაში ლანჩი მიჰქონდა ხოლმე. ბიჭი კბილებზე ენას ანკლაპუნებდა და ამით თითქოს ბანს აძლევდა პატარა დოლების რაკარუკსა და საყირთა გუგუნს. მისი რაზმის დანარჩენი ჯარისკაცები, ასევე მწყობრი ნაბაჯით რომ მოსდევდნენ სკოლიდან, თანდათან შემოეფანტა ღრანტებსა და ხეობებში და შარაგზით თავთავიანთი სახლებისაკენ გასწიეს. ჯოდიმ მარტომ გააგრძელა მარშით სვლა, მუხლში მოხრილ ფეხებს ხან მაღლა სწევდა, ხანაც დაბლა და მინაზე ნაკვალევს ტროვებდა. ბიჭს ახლა უკვე წარმოსახვითი მდუმარე და გამანადგურებელი არმია მისდევდა უკან, დიდი ბაირალებითა და ხმლებით აღჭურვილი.

გაზაფხულისთვის ჩვეული მომწვანო-მოოქროსფრო შუადე იდგა. ტოებებგაშლილი მუხების ჩრდილქვეშ უფერული, მაღალი მცენარები ამოზრდილიყო, გორაკებზე ნოყიერი, ქორფაბალა-ხიანი საძოვრები გადაჭიმულიყო. აბზინდის ახლად ამოსული ფოთლები ვერცხლისფრად ელავდა, მუხებს ქუდებივთ ესურათ ოქროვანი სიმწვანე. გორაკებზე ჰაერი ისეთი კეთილსურნელებით გაუდენითილიყო, რომ ცხენები მდელოებზე შეშლილებივთ დაშლიგინებდნენ, მერე უცცებ ერთ ადგილზე შეშლებოდნენ, და რაღაცას აყურადებდნენ. ბატკნები და ბებერი ცხვრებიც კი ჯერ მოულოდნელად აკუნტრუშდებოდნენ, შემდეგ ფეხები თითქოს უხევდებოდათ ერთ ადგილა და ბალახის ძოვას განაგრძობდნენ. პანია, მოუქნელი ხბორები ერთმანეთს ერჩოლებოდნენ, დროდადრო გვერდზე გახტებოდნენ და მერე ისევ რქენდნენ ერთიმეორეს.

ჯოდის წარმოსახვითმა და მდუმარე არმიამ მწყობრით რომ ჩაიარა, ცხოველებმა ძოვა და გართობა შეწყვიტეს და თვალი გააყოლეს. ბიჭი უცცებ შეჩერდა. რუხი არმიაც აღელვებული და დაბნეული შედგა. ჯოდი მუხლებზე დაეშვა. არმია ერთხანს გრძელ მწკრივად უხერცულად იდგა, მერე ერთი სევდიანად ამოიოხერა, ნაცრისფერ მსუბუქ ნისლად გადაიქცა და ჰაერში გაიფანტა. მტვრიან გზაზე ჯოდიმ გომბეშოსმაგვარი ხელიკის ეკლიანი ზურგი შენიშვნა. ბიჭი წაეტანა, ჭუჭყანი ხელი დაკბილულ ფარფლში სტაცა და ისე ჩაბდუჯა, რომ პატარა არსებამ თავი ვერაფრით დაალწია. ჯოდიმ ხელიკი გულალმა გადმოაბრუნა და ბაცი იქრისფერი მუცელი გამოუჩინა, საჩვენებელი თითოებით ნაზად მოეფერა ყელსა და მკერდზე. პანია ცხოველი გაისუსა, თვალები მიღულა და ჩაეგინა.

ჯოდიმ სახურავი ახადა საუზმის სატარებელ მომცრო სათლს და თავისი პირებელი ნადავლი შიგ მოათავსა. ახლა უკვე შეეძლო გზის გაგრძელება. მუხლებსა და ბეჭებში ღონისძიები, ფეხ-შიშველი ბავშვი ფრთხილიდად და უხმაუროდ მოძრაობდა, მარჯვენა ხელში წარმოსახვითი გრძელი, ნაცრისფერი შაშხანა ეჭირა. გზას ორივე მხარეს მიუყვებოდა გაბურდული ჯაგნარი, სადაც მოულოდნელად გაჩინდნენ ნაცრისფერი ვეფებები და დათვები.

ახალი თარგმანები

ნადირობა ერთობ იღბლიანი გამოდგა, რადგანაც სანამ პიჭი მიაღწევდა გზაგასაყარს, იმ ადგილს, საფოსტო ყუთი რომ იდგა, კიდევ დაიჭირა ორი ეკლისებურფარფლიანი გომბეშო, ოთხი პატარა ბალახის ხვლიკი, ერთი მოლურჯო გველი, ყვითელფრთიანი თექვესმეტი კალა და ლოდის ქვეშიდან ერთი ყავისფერი ტრიტონიც გამოითრია. სხვადასხვა ჯურის ეს არსებანი არცოუ დიდი ხალისით დაბობდავდნენ თუნეუის სათლში.

გზაგასაყართან შაშხანა აორთქლდა, ხოლო ვეფხვები და დათვები უკვე გორაკის წვერიდან გაუჩინარდნენ. სათლში მბობლავ სლიკინა და საცოდავ ცხოველებსაც აღარ ეტყობოდათ სიცოცხლის ნიშან-წყალი. ჯოდიმ საფოსტო ყუთზე პატარა, წითელი ლითონის დროშა დაინახა, რაც ნიშნავდა, რაღაც გზაგზილი მოსულაო. ბიჭმა სათლი მინაზე დადგა და საფოსტო ყუთი გააღო. შიგნით „მონტგომერი უარდის“ კატალოგი და უურნალი „საღინას უიკლი“ იდო. ბავშვმა ჯახუნით დახურა ყუთი, ლანჩის სათლი აიღო და ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა ფერდობზე თავისი რანჩოსაკენ. ჩაურბინა ბოსელს, მინამდე დასულ თივის ზევის, ფარდულს, კვიპაროსს, მერქ სახლის კარზე დამაგრებულ ლითონის ცხაურზე მიაბრუნა და დაიძახა:

— მემ, მემ, კატალოგი მოვიდა.

მისის თიფლინ სამზარეულოში იმყოფებოდა და შედებულ რძეს კოვზით ასხამდა ნაჭრის გუდაში. ქალმა კოვზი გვერდზე გადადო და ხელები ონაზე გადაიბანა.

— აქ ვარ, ჯოდი, სამზარეულოში.

ბავშვმა შიგნიბინა და ლანჩის სათლი ხმაურით დადგა ონკანის ნიუარაზე.

— აა, შეხედე, შეიძლება დავათვალიერო, მემ?

მისის თიფლინმა კოვზი ისევ აიღო და თავის საქმეს მიუბრუნდა.

— ჯოდი, არ დაკარგო, მამაშენს აუცილებლად მოუნდება გადათვალიერება, — ქალმა ჯამიდან კოვზით ჩამოფხიკა შედებული რძის ნარჩენები და ტრომსიკაში ჩაუძახა. — ჰო, მართლა, ვიდრე შენს საქმებს შეუდგებოდე, მამაშენთან გაიქცი, შენი ნახვა უნდა.

მისის თიფლინმა ყველის გუდასთან შემოჯარულ ბუზებს დაუქმია.

ელდანაკარგმა ჯოდიმ კატალოგი დახურა.

— რაა, მემ?

— რატომ არ იცი წესიერი მოსმენა? გითხარი, მამაშენს უნდა-მეტექი შენი ნახვა.

ბავშვმა კატალოგი ფრთხილად დადო ნიუარის გვერდით.

— რა მოხდა... დავაშავე რამე?

მისის თიფლინს გაეცინა:

— სულ მუდამ სინდისი გექვნის. აბა, რა ჩაიდინე?

— არაფერი, მემ, — დამნაშავესავით წაილულუდა ბიჭმა, თუმც ვერ იხსენებდა, რა ჩაედინა, და ვერც იმას განჭრეტდა, რომელ საქციელს ჩაუთვლიდა მამა დანაშაულად.

დედამ სავსე გუდა ლურსმანზე ისე ჩამოკიდა, რომ წვე-თები ნიუარაში ჩანრეტილიყო.

— უბრალოდ, მითხრა, რომ დაბრუნდება, ჩემთან მოვიდესო. სადღაც მანდ, საჯინიბოსთან უნდა იყოს.

ჯოდი შებრუნდა და უკანა კარით გავიდა. გაიგონა, როგორ აპხადა დედამ სათლს სახურავი და რა მწარე კივილი

აღმოხდა. ბიჭმა უცებ გაიაზრა, რაც მოხდა, დედის ძახილს ყური მოუყრუა და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა საჯინიბოს-კენ.

კარლ თიფლინი და მათი რანჩის მუშა ბილი ბაკი საძოვარსშემოვლებულ ლობესთან იდგნენ. ორივეს ცალი ფეხი ღობის ქვედა ძელზე შემოედგა, იდაყვებით კი ზედა ძელს ეყრდნობოდნენ. კაცები უმიზნოდ და ზანტად საუბრობდნენ. საძოვარზე ექვსილდე ცხენი კმაყოფილებით ციცქნიდა ლორთქო ბალახს. ფაშაზი, სახელად ნელი, ზურგშექცევით იდგა ღობის კართან და იქვე ჩარჭობილ მაგარ ბოძს გავას უხახუნებდა.

ჯოდი გაუბედავად უახლოვდებოდა მამაკაცებს. არხეინი ნაბიჯით მიდიოდა და სახეზე გულუბრყვილობა და მიამიტობა აღბეჭდვოდა. მიახლოებისთანავე მანაც კაცების მსგავსად ერთი ფეხი ღობის ქვედა ძელს შემოსდო, იდაყვები ზედა ძელს დააყრდნო და საძოვარს გახედა. კაცებმა აღმაცერად გადმოხედეს ბიჭს.

— შენი ნახვა მინდოდა, — უთხრა მამამ მკაცრი კილოთი, როგორსაც ბავშვებისა და ცხოველებისთვის იმეტებდა.

— გისმენ, სერ, — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ბავშვმა.

— ბილი ამბობს, კარგად უვლიდა ცხენს, ვიდრე მოკვებოდაო.

დასჯის საფრთხემ გადაიარა და ბიჭიც გათამამდა.

— დიახ, სერ, ასე იყო.

— ბილი ამბობს, ცხენებთან მეტად მომთმენი და ხელმარჯვეარა.

ჯოდი მუშისადმი უცებ უსაზღვრო მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა. საუბარში ბილიც ჩაერთო:

— იშვიათად თუ მინახავს, ვინმეს ასე მოევლოს პონის-თვის.

კარლ თიფლინი ნელ-ნელა გადადიოდა საქმეზე:

— სხვა ცხენი რომ გყავდეს, იმასაც თავდაუზოგავად მოუვლი?

— დიახ, სერ.

— მაშ მომისმინე, ბილი ამბობს, კარგ მეჯინიბედ დადგომის საუკეთესო საშუალება კვიცის გაზრდააო.

— ეს ერთადერთი სწორი საშუალებაა, — დაადასტურა ბილიმ.

— ახლა, მომისმინე, ჯოდი, — განაგრძო კარლმა. ჯეს ტეილორი ხომ იცი, მთაზე რომ რანჩია, იმის მეპატრონე; ჰოდა, მას ულაყი ჰყავს, მაგრამ ეს ამბავი ხუთი ღოლარი დაგვიჯდება. ფულს მე გადავიხდი, ამის საფასურად კი მთელი ზაფხული მოგინევს მუშაობა. თანახმა ხარ?

ჯოდი მთელი სხეულით თრთოდა.

— დიახ, სერ, — ძლივს ამოლერლა ბავშვმა.

— ნუნუნს ხომ არ გაგვაგონებ. ხომ არ დაგავინუდება იმისი გაკეთება, რასაც დაგავალებენ?

— არა, სერ.

— მაშ კარგი. ხვალ დილას წაიყვანა ნელის მთის რანჩიში და შეაჯვარებ. მერე კი, ვიდრე კვიცს მოიგებს, შენ მოუვლი; კვიცსაც შენ თვითონ გაზრდი.

— დიახ, სერ.

— მაშ კარგი. ხვალ დილას წაიყვანა ნელის მთის რანჩიში და შეაჯვარებ. მერე კი, ვიდრე კვიცს მოიგებს, შენ მოუვლი;

— დიახ, სერ.

— ახლა ნადი, ქათმებს მიხედე და შეშა შეაგროვე.

ჯოდი უმალ მოსწყდა ადგილს. ბილის რომ ჩაუარა, კი-

ნაღამ მეგობრულად მოუთათუნა ხელი ლურჯჯინსიან ფეხზე.

ახალი თარგმანები

იმისმა შეგრძნებამ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საქმე მიანდეს და უკვე დიდ ბიჭად თვლიდნენ, სიამოვნებისაგან მხრები აუთორთოლა.

საქმეს უჩვეულო სერიოზულობით შეუდგა. საღამო ხანს საკენტი ძველებურად აღარ მოაპირქვავა ერთ ადგილზე, აი, ისე, ქათმები ერთმანეთს რომ ახტებოდნენ და საჭმლის მოპოვებას ამ გზით ცდილობდნენ. ახლა მან ისე ფაქტიზად და შორი-შორს მიმოაბინა მარცვალი, რომ ფრინველებმა ძებნაც კი დაუწყეს საკვებს. როცა შინ შესულმა მორჩილად მოისმინა სასოწარკვეთილი დედის შეგონება იმის შესახებ, ზოგიერთი ბიჭი თავისი ლანჩის სათლს სლიკინა ქვეწარმავლებითა და საზიზღარი მნერებით აესებსო, აღუთვა მშობელს, ასეთ რამეს აღარ ჩავიდენო. ჯოდის მართლა დაუფლდა ისეთი შეგრძნება, რომ მთელი მისი ბავშური გატაცებები წარსულს ჩაბარდა. ის უკევ დიდი ბიჭი იყო და აღარ შეეფერებოდა გომბეშობისა და ხვლიკების ჩამწყდევა სათლში. იმდენი შეშა შეზიდა შინ და ისე ააკოკოლავა, რომ დედა გავლა-გამოვლისას შეშინებული უვლიდა გვერდს ამ გროვას, ემანდ ზვავივით ზედ არ დამებროსო. შეშას რომ მორჩა და ქათმების მიერ დამალული კვერცხებიც მოაგროვა, ჯოდიმი ისევ ჩაუარა ჯერ კვიპაროსს, მერე ფარდულს და საძოვარს მიუახლოვდა. წყლის ლარიდან გამომდვრალმა მსუქანმა, მეჭეჭებიანმა გომბეშომაც კი ვერ მიიძყრო მისი ყურადღება.

კარლ თიფლინი და ბილი ბაკი არ ჩანდნენ, მაგრამ ლითონის ჟღარუნა ხმაზე, ბოსლიდან რომ გამოდიოდა, ჯოდი მიხვდა, მათი მუშა იქ იყო და ძროხის წველას აპირებდა.

ცხენები ძოვა-ძოვით მიინევდნენ მინდვრის ბოლოსაკენ. ნელი კვლავ წელანდელივით იდგა და ნერვიულად უხასუნებდა ბოძს უკანალს. ჯოდი მას ნელა მიუახლოვდა და მოეფერა:

— აბა, გოგონა, აბა, ნელი.

გაღიზიანებულმა ფაშატმა ყურები უკან გადაიწყო, დრუნწი ასწია და ყვითელი კბილები დააღრჭიალა, მერე თავის ქრევას მოჰყვა და თვალები გაშმაგებით ააბრიალა.

ჯოდი ღობეზე შემოჯდა, ფეხები გადმოკიდა და მამობრივი მზერით დააკვირდა ცხენს.

ბავშვი კარგა ხანს იჯდა ასე, ამასობაში დაბინდდა კი-დეც. ღამურებმა და უფეხურად დაინტენს თარეში. რძით სავსე სათლით სახლისაკენ მიმავალმა ბილი ბაკმა ჯოდი შენიშნა და შეგრძნდა.

— დიდანს მოგინევს ლოდინი, — უთხრა ალერსიანად, — ისე დიდხანს, რომ დაილები.

— არა, არ დავიდლები. მანც რამდენ ხანს უნდა ველოდო?

— დაახლოებით ერთი წელი.

— არაფერია, დაველოდები.

შინიდან ლითონის სამკუთხედის მჭახე წკარუნი გაისმა. ჯოდი ღობიდან ჩამოძრა და ბილისთან ერთად წავიდა სავახშმოდ. ბიჭმა ხელიც კი წააშველა მუშას სათლის წალებაში.

მეორე ღილით კარლ თიფლინმა ხუთდოლარიანი გაზე-თის წაგლეჯში შეახვია, ბიჭს კომბინეზონის ჯიბეში ჩაუდო და ჯიბისპირი ქინძისთავით შეუკრა. ბილიმ ფაშატ ნელის ავშარა ჩამოაცვა და საძოვრიდან გამოიყვანა.

— ფრთხილად იყავი, იცოდე, — უთხრა ბავშვს, — აღვირი მოკლედ გეჭიროს, თორემ გიყბენს, ხომ ხედავ, გიჟივითაა.

ჯოდიმ ტყავის ავშარა მოკლედ დაიჭირა და გორაკის რანჩოსაკენ დაადგა გზას. უკან ცქვიტად და კუნტრუშით გაჰყვა ნელი. სავარგულებზე, გზის გასწვრივ, ველური შერის მოგრძო თავთავები ამონვერილიყო. დილის თბილი მზე ისე ნაზად ელამუნებოდა ჯოდის ზურგს, რომ მიუხედავად ზრდასრულობის შეგრძნებისა, ბიჭი დროდადრო მაინც ხტუნვა-ხტუნვით მიუყვებოდა ბილებს. ღობებზე ჩამომსხდარი პერიანი, წითელყობლებისანი შაშვები მჭახე გადაძახილებით უხმოდნენ ერთმანეთს. ტოროლების ჭიკიკი წყაროს ჩაუხუს ჩამოცგავდა. მუხის ხშირ ფოთლებში შემალული მტრედები თავშეუკავებით ეღულუნებოდნენ ერთმანეთს. მინდვრებში კურდღლები მზეს მიფიცხებოდნენ, ბალახებიდან მხოლოდ მათი დაცქვეტილი ყურები მოჩან-

და. მთელი საათი აღმართ-აღმართ შეუჩერებელი სიარულის შემდეგ, ბიჭმა ვიწრო გზაზე გადაუხვია და უფრო ციცაბო გორაკს აუყვა მთის რანჩოსაკენ. მუხების კენწეროების თავზე გამოჩნდა წითელსახურავიანი თავლა და შორიალოდან ძალის უხალისო ყეფაც მოისმა.

ნელი მოულოდნელად უკან გადახტა და ამამის დაუსხლტა ბავშვს. ჯოდის თავლის მხრიდან მჭახე, სტევნისმაგვარი ქიხვინისა და ტოტების მტვრევის ხმა მოესმა, მერე კაცის ყვირილიც გაიგონა. ნელი ყალყზე შედგა და დასვითვინა. ჯოდი ავშარას რომ ჩაურიდა, ფაშატმა კბილები დაკრიჭა და მისენ გაქანდა. ბიჭმა ხელიდან გაუშვა სადავე და უჩჩებს შეაფარა თავი. მუხების ტევრიდან ისევ მოისმა ხმამაღალი ქხვინი და ნელიც შეეხმანა. დალმართზე თქარა-თქურით გამოქროლდა ულაყი, რომელსაც ავშარის განყვეტილი ქამარი დასთრევდა და ოვალები ციცებიანივით უელავდა. დაბერილი ნესტოები ისე გასწითლებოდა, თითქოს ცეცხლს აფრეჭვეს ცხეირიდანა. შავი, პრიალა ბეწვი მზეზე უელავდა. ულაყი ისეთი სისწრაფით მოქროდა, ფაშატს რომ უსწორა, მაშინაც კი ვერ მოახერხა შეჩერება. ნელიმ ყურები უკან გადაიწყო, დატრიალდა და ტლინკები ჰყარა. ულაყი მობრუნდა და დაიჭიხვინა, შემდეგ ყალყზე შედგა და ნინა ფეხები დაუშინა ფაშატს. ნელი შეტორტმანდა, ულაყი კბილებით წვდა კისერში და სისხლი ადინა.

ნელის უმალ შეეცვალა გუნება და კეკლუც მდედრად იქცა, დრუნწი ჩაუტანა ულაყის მორკალულ კისერს, გარსემოუარა და მხარი მხარზე გაუსახუნა. ჯოდი ბურებს შეფარებოდა და იქიდან უყურებდა ცხენებს. ზურგსუკან ფლოქების თქარა-თქური შემოესმა და, ვიდრე შემობრუნდებოდა, ვილაცის ხელი კომბინეზონის ბრიტელებზე წვდა და ზემოთ აიტაცა. ჯეს ტეილორმა ბავშვი ცხენზე შემოსვა.

— შეიძლება მოეკალი, — თქვა მან, — „მზის ძალას“ ზოგჯერ ეშმა შეუჩნდება ხოლმე. აინყვიტა და პირდაპირ ჭიშკრიდან გამოაცრდა.

წყნარად მჯდარმა ჯოდიმ უცებ იყვირა:

— რაღაცას დაუშავებს! არ მოკლას, წაიყვანეთ თქვენი ცხენი!

ჯესმა ჩაიხითხითა:

— არაფერი მოუვა, აბა, ჩამოხტი და სახლში შედი, იქნებ ღვეზელსაც გამოჰკრა ხელი.

მაგრამ ჯოდიმ უარის წინადა თავი გაიქნია:

— ეს ჩემი ცხენია და კვიციც ჩემი იქნება, მე უნდა გავზარდო.

ახალი თარგმანები

ჯესმა თავი დაუქნია:

— ძალიან კარგი. კარლს ზოგჯერ ჭკვიანური აზრიც მოსდის თავში.

საფრთხემ მალე გადაიარა. ჯესმა ჯოდი ცხენიდან ჩა-მოსვა, გაწყვეტილ თასნას სტაცა ხელი, თავისი ცხენით გა-კურცხლა და ულაყიც თან გაიყოლა. ჯოდი ფეხდაფეხ დაე-დევნი, თან მიჰყავდა ნელიც.

ბავშვმა ქინძისთავი შეიხსნა, ჯესის ხუთი დოლარი გა-დასცა, ღვეზელის ორი ნა-ჭერი შეჭამა და ამის შემ-დეგლა წავიდა სახლში. ამ-ჯერად ნელი მორჩილად გაცყვა ბიჭს. ცხენი ისეთი მშეგიდი იყო, რომ ჯოდი კუნძზე შედგა, ზურგზე შე-აჯდა და ნახევარზე მეტი მანძილი ასე გაიარა სახ-ლამდე.

იმ ხუთი დოლარის ასა-ნაზღაურებლად, მამამ რომ გადაიხადა, მთელი გვიანი გაზაფხული და ზაფხული ჯოდი მუხლჩაუსრელი შრომობდა — მოთიბულ ბა-ლახს აგროვებდა ფოცხით, თივის მოსაგროვებელი ხელსაწყო ცხენს გამობაა და ამ საქმეს ასე დაადგა თავი, ხოლო როცა დასაპ-რესი მანქანა მოიტანეს, წრეზე მოუნია ცხენის ტა-რება და ამ გზით დაპრესა თივა. ამის გარდა, კარლ თიფლინმა შვილს ძროხის წველა ასწავლა და ეს საქ-მეც მას მიანდო. მოკლედ, ყოველ ცისმარე დღეს და ყოველ საღამოს ახალ-ახა-ლი საქმეები ემატებოდა ბავშვს.

ნაბლისფერი ფაშატი ნელი მალე შეიცვალა, თითქოს უფრო დამშვიდდა. გორაკის შეყვითლებულ ფერდობებზე ძოვისა თუ მსუბუქი სამუშაოს შესრულების დროს დრუნწ-ზე მუდმივად რაღაცნაირი უაზრო ლიმილი დასთამაშებდა. მოძრაობდა ნელა, საკუთარი ღირსების შეგრძნებით, დე-დოფალივით. საზიდარში შებმულიც კი მშვიდად და უემო-ციონდ მიაპიჯებდა. ჯოდი ყოველდღე ნახულობდა ნელის, კრიტიკული თვალით აკვირდებოდა და ცვლილების დიდად ვერ ამჩნევდა.

ერთ ნაშუადლევს ბილი ბაკმა ნაკელის ასაფხეკი მრა-ვალკბილა ფინალი კედელს მიაყუდა, ქამარი შეიხსნა, შარ-ვლიდან ამოჩაჩული ცერანგი გაისწორა და სარტყელი ისევ შეიქრა. მერე ქუდის ზონრიდან ჩალის პატარა ღერო ამო-აძრო და ტურის კუთხეში მოიგდო. ამასობაში ჯოდიმ, რო-მელიც თავის სერიოზულ ძალლს — „ბოის“ — ორმოდან მინდვრის თაგვის გამოდევნაში ეხმარებოდა, თვალი მოჰკ-რა თავდასთან არხეინად მოსიარულე ბილის და ადგილი-დან წამოიმართა.

— მოდი, ნელი მოვინახულოთ, — შესთავაზა ბილიმ.

ჯოდი მაშინვე გაცყვა. „ბოიმ“ მხარუკულმა გაპხედა მათ, მერე გაშემაგებით დაუწყო მიწას თხრა, თან იღრინე-ბოდა, რამდენჯერმე წამოიყეფა კიდეც, აქაოდა, სადაც არის, დავიჭერ თაგვსო, მავრამ მეორედ რომ გამოიხედა და ნახა, ჯოდისა და ბილის სულაც არ აინტერესებდათ მი-სი გარჯა, უსალისოდ ამოუკოფხდა ორმოდან და ფერდობი-საკენ მიმავალთ დაედევნა.

ველური შერია სიმწი-ფის პირას იყო. მარცვლით დამძიმებული თავთავები მიწისკენ დახრილიყვენენ. ბილისა და ჯოდის ფეხები გამხმარი ფოთლები შრაშუ-ნობდა. ფერდობის შუა-გულში მოჩანდნენ ფაშატი ნელი და მონაცრისფრო-ფოლადისფერი იაბო პიტი, რომლებიც შვრის თავთა-ვებს წინენდნენ. მიახლოე-ბულ მამაკაცებს ნელიმ გა-მოხედა, ყურები უკან გადა-იწყო და უკანასკნელოდ მოჰყენა თავის ქენევას. ბილი ცხენს მიუახლოვდა, ხელი ფაფარში ჩაუყო და მანამდე უთათუნებდა კისერზე, ვიდრე ნელი ყურებს წინ წა-მოსწევდა და გაუბედავად წატანებოდა მის პერანგს.

— როგორ გგონია, მარ-თლა გააჩენს კვიცს? — იკითხა ჯოდიმ.

ბილიმ ცერა და საჩვენე-ბელი თითებით ცხენს ქუ-თუთოები აუნია, მერე ქვე-და დრუნწი და ტყავივით მა-გარი შევი ძუძუსთავები მო-უსინჯა.

— სულაც არ გამიკვირდება, — თქვა დამაჯერებლად.

— კი, მაგრამ ცვლილება სულაც არ ეტყობა, უკვე სამი თვე გავიდა.

ბილიმ თითსახსრით მოუსრისა ცხენს ფართო შუბლი. ნელი სიამოვნებისგან აფრუტუნდა.

— ხომ გეუბნებოდი, ლოდინით დაიღლები-მეტქი, კი-დევ ხუთი თვესა საჭირო, რამე რომ დაეტყოს. მთლიანობაში სულ რვა თვე დარჩა კვიცის გაჩენამდე, სადღაც იანვარში უნდა ველოდოთ.

ჯოდიმ ღრმად ამოიოხრა.

— რა დიდი დროა, არა? — იკითხა მან.

— მერე კიდევ ორი წელი უნდა ელოდო, ვიდრე ზედ შეჯდომას შეძლებ.

— მაშინ ხომ უკვე დიდი ვიქენები, — დაიყვირა სასოწარ-კვეთილმა ბავშვმა.

— ხომ. მანამდე მთლად დაბერდები, — კვერი დაუკა-ბილიმ.

— როგორ გგონია, რა ფერისა იქნება კვიცი?



მხატვარი ნინო ზაალიშვილი

ახალი თარგმანები

— ამისი გამოცნობა ძნელია. ულაყი შავია, ფაშატიქურანა, კვიცი ან შავი იქნება, ან წალა. შეიძლება სულაც რუხი ფერისა იყოს, ანდა ჭრელი. წინასარ ვერაფერს იტყვი. ისეც ხდება, შავ ფაშატს თუთრი კვიცი უჩნდება ხოლმე.

— ნეტავი შავი გაჩნდეს და თანაც ულაყი.

— თუ ულაყი გაჩნდა, დაკოდვა მოგინევს, მამაშენი ისე არ დაგროვას მისი ყოლის ნებას.

— იქნება დამრთოს, — შეეპასუხა ჯოდი, — მე ვასწავლი კარგად მოქცევას.

ბილიმ ტუჩები მოწრუპა და ჩალის ღერო პირის კუთხიდან გადმოავროს.

— ულაყის ნდობა არ შეიძლება, — თქვა კრიტიკული ტონით, — სულ ჩხუბზე უჭირავთ თვალი და ერთ ამბავში არიან. ზოგჯერ ისე გატუტუცდებიან, ალარც კი მუშაობენ. ფაშატებს გასაქანს არ აძლევნ და იაბოებს ჩრიექით სცემენ. მამაშენი არ დაგროვას მისი ყოლის ნებას.

ნელი ნება-ნება მიუყვებოდა გზას და გამხმარ ბალახს წინენიდა. ჯოდიმ თავთავიდან მარცვლები გამორშვნიტა და მალო აპყარა. წვეტიანი მარცვლები პატარა შუბები-ვით აცვივდა ჰერმი.

— ბილი, მომიყენი რა, როგორ ხდება ყველაფერი; ძრო-სა რომ მშობიარობს, ისე?

— დაახლოებით, მაგრამ ფაშატები უფრო მგრძნობია-რენი არიან, ზოგჯერ დახმარება სჭირდებათ, ზოგჯერ ისეც ხდება... ბილი გაჩუმდა.

— რა ხდება ზოგჯერ, ბილი?

— კვიცის ნანილ-ნანილ გამოლება, თორემ ფაშატი მოკვდება.

— ამჯერად ხომ არ მოხდება ასე, ბილი?

— არა, რას ამბობ, ნელი მშვენიერ კვიცებს აჩენს.

— შეიძლება მეც დავესწრო? ბილი, ხომ ხამდვილად და-მიძახებ, ეს ხომ ჩემი კვიცია?

— აბა, რას ვიზამ, რაღა თქმა უნდა, დაგიძახებ.

— მომიყევი, რა, როგორ იქნება?

— ხომ გინახავს, ძროხა რომ ხბოს იგებს. აქაც თითქმის იგივე ხდება. ფაშატი იწყებს გმინვას, ეწყება ჭინთვები და, თუკი მშობიარობა ნორმალურად მიმდინარეობს, გამოჩნ-დება თავი და წინა ფეხები. ხბოს მსგავსად კვიციც ჩრიექ-ბით აფართოებს გამოსასვლელ ხერელს, მერე იწყებს სუნ-თქას. ამ დროს სჯობს იქვე იყო, რადგან თუ ფეხები სწო-რად არ ექნება დაწყობილი, შეიძლება მომყოლიც ვეღარ გახეთქოს და დაიხრის.

ჯოდიმ ფეხი ბლუჯა ბალახით გაიწმინდა.

— ესე იგი, მაგ დროს იქ ვიქნები, ხო?

— აუცილებლად.

ისინი ნელა დაემცნენ ფერდობზე, ბოსლის მიმართულე-ბით. ჯოდის სტანჯავდა სათქმელი, რომლის გამჟღვენე-ბაც ნამდვილად არ სურდა.

— ბილი, — დაიწყო გაუბედავად, — ხომ ჩაერევი კვიცს რამე რომ არ დაემართოს?

ბილი მიხვდა, რომ ჯოდის წითური პონი გაახსენდა. ისიც ხომ იმიტომ მოკვდა, რომ გაიგუდა. ბილიმ კარგად უწყოდა, იმ ამბამდე მას შეუმცდარად მიიჩნევდნენ, მაგრამ აღმოჩნ-და, რომ მასაც შეიძლება მარცხი მოსელოდა. ამის გაცნობი-ერებამ, ცოტა არ იყოს, საკუთარი თავის რჩება შეურყია.

— დაბეჯითებით ვერ იტყვი, — ცოტა არ იყოს, უკე-ხად თქვა კაცმა, — ათასი რამ შეიძლება მოხდეს და ყველა-

ფერი ჩემი ბრალი ხომ არ იქნება, — ბილის არ სიამოვნებ-და სახელის შელახვა, ამიტომაც უხეშად დასძინა: — მე, რაც შემეძლება, კველაფერს ვიღონებ, მაგრამ დაპირებით ვერაფერს დაგპირდები. ნელი კარგი ფაშატია და კარგი კვიცებიც გაუჩენია. წესით, ახლაც ასე უნდა მოხდეს — ესა თქვა, ჯოდის გასცილდა და თავლის გვერდით, აღსაკაზმ ითახში გაუჩინარდა. ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

ჯოდი ბშირად ეწვეოდა ხოლმე სახლის უკან ამოყრილ ჯაგნარს. იქ, რკინის დაჭანგებული მილით წვრილ ნაკადად მიედინებოდა წყაროს წყალი და ძეგლ, მწვანე კასრში გროვდებოდა. ის ადგილი, სადაც წყალი მიწაზე გადმოდი-ოდა, გამუდმებით მწვანე ბალახით იყო დაფარული. მაში-ნაც კი, როცა ზაფხულში გორაკები მზის მცხუნვარებისგან გადახრუებოდნენ, ეს ადგილი მაინც მწვანედ ბიბინებდა. წყალი მთელი ნელი ნაზად მოჩუხებულდა ღარში. ეს ადგი-ლი ჯოდის იზიდავდა. შინ როცა დასჯიდნენ, სწორედ გრი-ლი, მწვანე ბალახი და მომდერალი წყალი ანუგაშებდა ბიჭს, როცა ცუდ გუნებაზე იყო, სწორედ ჯაგნარი უქარ-ვებდა მტანჯველ ბოლმას, ბალახზე მოკალათებული წყლის ჩუხჩუხს რომ უსმენდა, მის სულში მოქუფრული დღეების მიერ აღმართული ბარიერები ნანგრევებად იქცე-ოდა.

რამდენადაც ძეირფასი იყო ბიჭისთვის წყლის კასრი, იმდენად დიდ სიძულვილს აღუძრავდა ფარდულის გვერ-დით ამოსული შავი კვიპაროსი, რადგან აღრე თუ გვიან სწორედ ამ ხესან მოჰყავდათ ყველა ლორი დასაკლავდ. ბავშვს ამ სანახაობისგან სული უგუბდებოდა, ყურისწამ-ლები ჭყვიტინისა და დაღვრილი სისხლის გამო გული უწ-ქარდებოდა და მკერდში ძლიერ ტკივილს გრძნობდა. მერე ლორებს დიდ, რკინის სამცველა ქაბში თუთქავდნენ და ჯა-გარს ისე აფხევდნენ, ტყავი თეთრად გამოანათებდა ხოლ-მე. ჯოდი წყლის კასრთან გარბოდა და იქამდე იჯდა იქ, ვიდრე გული დაუმშვიდებოდა. წყლის კასრი და კვიპარო-სი ერთურთის მოქიშებებად და მტრებად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

როცა ბილი გაბრაზებული გაშორდა, ჯოდიმ სახლისკენ გასწია. გზაში ნელისა და პატარა კვიცზე ფიქრობდა. უცებ შენიშნა, რომ როგორდაც შავი კვიპაროსის ქვეშ ამოეყო თავი, სწორედ იმ ეული ხის ქვეშ, სადაც ლორებს კიდებდ-ნენ ხოლმე. ბიჭმა შუბლიდან ჩალისცერი თმა გადაიყარა და ნაბიჯს აუქერა. ცუდად ენიშნა კვიცზე ფიქრი იმ ხის ქვეშ, სადაც ლორებს ხოცავდნენ, მითუმეტეს, ბილის სიტყ-ვების შემდეგ. ამ სამწუხარო დამთხვევას ავბედითი შედე-გი რომ არ მოჰყავდათ, ჯოდი სწრაფი ნაბიჯით გასცდა სახლს, გადაჭრა ქათმების სადგომი და ჯაგნარს შეერია.

ბიჭი მწვანე ბალახზე დაჯდა. მისი ყურითასმენა მთლია-ნად წყლის ჩუხჩუხმა დაიპყრო. მზერა ჯერ რანჩისა და მის შენიშნებს მოავლო, მერე ყვითელი ხორბლით დახუნძლულ გორაკებს გახედა. გორაკზე ნელი ბალახობდა. აქ, წყლის პირას ყოველთვის ქრებოდა დროისა და მანძილის შეგრძ-ნება. ჯოდიმ ოცხების თვალით დაანახა შავი, მაღალფეხე-ბა კვიცი, რომელიც ნელის ფერდს ეხახუნებოდა და რძეს ითხოვდა. მერე საკუთარი თავიც წარმოიდგინა: აი, კვიცს მჭიდროდ უჭერს აღვირს. რამდენიმე წამში კვიცი თვალ-ნარმტაც ბედაურად გადაიქცევა, ფართო მკერდითა და გრძელი, მოხრილი კისრით, სწორედ ისეთით, ზღვის ცხენს

ახალი თარგმანები

რომ აქვს, კუდი აალებული ცეცხლის შავი ენებივით ულაპლაპებს. ცხენი არავის ემორჩილება, ჯოდის გარდა. სკოლის ეზოში ბავშვები ეხვევნებიან, გაგვასეირნეო, ისიც მოწყალედ ილიმება და ნებას რთავს, მაგრამ როგორც კი ბიჭები ზურგზე მოექცევიან, ეს შავი დემონი ტანს შეიძერტყავს და ძირს გადაუძახებს მათ. ისე, რატომაც არ უნდა დაარქვას შავი დემონი?.. და უცებ მოჩქებულება წყალმა, ბალახმა და მზემ თავთავისი ადგილი დაიკავეს.. .

ზოგჯერ, ღამ-ღამიბით, რაჩიოს ბინადართ, თავიანთ ლოგინებში მშვიდად რომ წვანან, ცხენის ფლობების თქარათქური ესმით. — ეს ჯოდია, შავ დემონზე ახხედრებული, — ამბობენ ისინი, — ისევ შერიცის დასახმარებლად გამოიძახეს, — მერე კი. . . ოქროსფერი მტვერი სალინას როდეოს მთელს არუაზეა მოდებული. დიქტორი შეჯიბრის დაწყებას იუწყება. მონანილენი ერთმანეთს ექმშებიან ხარისთვის ქამანდის სწრაფად ჩამოცმაში. როცა შავ პედაურზე ამხედრებული ჯოდი სტარტთან მიაგდებს ცხენს, დანარჩენი მონანილები უქმაყოფილოდ შეიშმუშნებიან, რადგან იციან, პირველ ადგილს ვერ ელირსებიან. ჯოდი და დემონი უცებ მოსდებენ ქამანდს და შებოჭავენ ხარს ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ამას ორაციანი ჯგუფი შეძლებდა. ჯოდი პატარა ბიჭი აღარ არის, ხოლო დემონი უპრალო ცხენი როდია. ისინი უკვე ერთხო არიან, ერთ დიდებულ მთლიანობას წარმოადგენენ. მერე კი. . .

ჯოდი წერილს იღებს თვეში ამერიკის პრეზიდენტისა-გან, რომელიც სთხოვს, ვაშინგტონში ბანდიტის დაჭრაში დაეხმაროს. . . ჯოდი უფრო მოხერხებულად მოკალათდა ბალახზე. წყლის წვრილი ნაკადი წკრიალით ჩაედნებოდა დახასებულ კასრში.

წელიწადი ნელა გადიოდა. ჯოდის დროდადრო კვიცის ყოლის იმედი ეკარგებოდა, მითუმეტეს, რომ ნელი სრულიადაც არ იცვლებოდა. კარლ თიფლინი ისევ აპამდა მას მსუბუქ საზიდარში, ფოცხებს მინდორში აზიდინებდა და აღებულ თვას — თავლაში.

მიიწურა ზაფხულიცა და თბილი, ნათელი შემოდგომაც. მერე დილაობით მინაზე გააფთრებულმა ქარიშხლებმა დაიწყეს თარეში. ჰაერში სუსტი იგრძნობოდა. თუთუბოს წითელი ფერი დასდებოდა. სექტემბრის ერთ დილას, საუზმის შემდეგ, დედამ სამზარეულოში დაუძახა ჯოდის. ქალი სათლში ჩაყრილ ქატოს ცხელ წყალს ასხამდა და ურევდა შეჭამანდს, ფაფისებური მასა რომ გამოსულიყო.

— რა მოხდა, მემ? — ჰკითხა ჯოდი.

— მიყურე, როგორ ვაკეთებ. ამიერიდან დღეგამოშვებით მოგინევს ამის მომზადება.

— ეს რა არის?

— თბილი სალაფავი ნელისთვის. . . ახლა მისთვის ეს სა-სარგებლოა.

ჯოდიმ თითების სახსრებით მოიქექა შუბლი.

— რამე ხომ არ დაემართა? — გაუბედავად იკითხა.

მისის თიფლინმა ჩაიდანი დადგა და სალაფავს ხის პატარა ნიჩბით ამოურია.

— რა თქმა უნდა არა, მაგრამ დღეიდან კიდევ მეტად უნდა მოუარო. აი, წაუღე საუზმე.

ჯოდიმ ხელი სტაცა სათლს, ჩაუქროლა ფარდულს, ბოსელს, მძიმე ჭურჭელი მუხლზე ეხლებოდა. ნელი ღარში წყალს ეთამაშებოდა, ტალღებს აგორებდა, თავს იქნევდა და წვეთებს მინაზე აშევებდა.

ჯოდი ღობეზე გადაძვრა და ორთქლადენილი სალაფავიანი სათლი გვერდით დაუდგა ნელის. თვითონ განზე გადგა და ცქერა დაუწყო. ნელის ცვლილება დატყობოდა. მუცელი გაზრდოდა, ჩლიქებს რბილად და ფრთხილად ადგამდა. ცხენმა დრუები ვედროში ჩაყო და ხარბად შეექცა ცხელ საკვებებს. კარგად გამოიძალამა ღბიძგა სათლს, მერე წყნარად მივიდა ჯოდისთან და ლოყა გაუხახუნა.

აღსაკაზმი თთახიდან ბილი ბაკი გამოვიდა და ჯოდის მიუახლოვდა.

— ერთი თუ დაიწყო ზრდა, ველარაფერი შეაჩერებს, ხომ ასეა?

— უცებ გაეზარდა მუცელი?

— არა, შენ უბრალოდ ყურადღება არ მიგიქცევია, — ბილიმ ჯოდისკენ მოუტრიალა ფაშატს თავი, — ახლა ისეთი ალერსიანი გახდება! ხედავ, რა ალერსიანი თვალები აქვს? ზოგი ფაშატი ამ დროს ავდება, მაგრამ თუკი დატება, მერე ამქვეყნად ყველა და ყველაფერი უყვარს.

ნელიმ ბილის მელავევეშ, შეუყო თავი და კისრით მელავსა და გვერდს შორის ზეეით-ქვევით დაუწყო ხასუნი.

— ასე რომ, შენც სულ უნდა ეფერო, — დაუმატა ბილიმ.

— კიდევ ბევრი დარჩა? — იკითხა სულშეგუბებულმა ბიჭმა.

ბილიმ ბუტბუტით რალაც დაითვალა თითებზე.

— სამი თვე, — თქვა მერე ხმამაღლა, — დაბეჯითებით მაინც ვერ იტყვიო. ზოგჯერ ზუსტად თერთმეტ თვეში მშობიარობენ; შეიძლება ორი კვირით ადრე ან ერთი თვის დაგვიანებითაც მოხდეს ეს ამბავი, ამით არაფერი შავდება.

ჯოდი მიწას დააშტერდა.

— ბილი, — ცოტა ნერვიულად დაიწყო ბიჭმა, — ბილი, ხომ მართლა დამიძახებ, მშობიარობა რომ დაეწყება?

ბილი კბილებით ოდნავ შეხებ ნელის ყურს.

— კარლს უნდა, რომ თავიდანვე შენ თვითონ გააკეთო ყველაფერი. ეს არის სწავლის ყველაზე კარგი საშუალება. სხვანაირად უფრო მეტს ვერსად ისწავლი. ასევე მასწავლა მამაჩემმა ასალის გადაფარება. მერომ შემხელა ვიყავი, მამაჩემი მაშინ მეტერ იყო და ხშირად ვეხმარებოდი. ერთხელ ცხენს ცუდად გადავაფარე ასალი და ამის გამო უნაგირმა ზურგი გაუღიზიანა. მამამ არც მიყვირა, არც გამლანდა. მერორ დილით კი მძიმე, ორმოცუტიანი უნაგირი დამადგა და მაიძულა თაკარა მზეში — ნელში მოხრილსა და უნაგირდადგმულს — ცხენი იმ ოხერ მთაზე ამეცვანა. ძლიერ გადავრჩი ცოცხალი და ამის შემდეგ ჩემ მიერ გადაფარებულ ასალს ნაოჭსაც ვერსად უპოვიდა, სხვანაირად უკვე აღარ შემეძლო. იმის შემდეგ აღარც არასოდეს გადამიფარებია ასალი, მაგრამ მაინც არა-სოდეს დამავიწყებდა ჩემს ზურგზე დადგმული უნაგირი.

ჯოდიმ ხელი გაიწოდა და ცხენს ფაფარზე შეეხო:

— ხომ მეტყვი, რა როგორ გავაკეთო? შენ ხომ ყველაფერი იცი ცხენების შესახებ?

ბილიმ გაიცინა.

— სხვათა შორის, მე თვითონ ნახევრად ცხენი ვარ, იცი? — თქვა მან, — დედაბემი ჩემზე მშობიარობას გადაჲყვა. მამა ცხენების და ჯორების მეხრე იყო მთაში, იქ კი, რახან ძროხები არა ჰყავდა, მამა ძირითადად ცხენის რძეს მასმევდა თურმე, — ბილი უკვე სერიოზულად ლაპარაკობდა, — ცხენი ამაშები ამას გრძნობენ, არა, ნელი?

ფაშატმა თავი მოაბრუნა და ერთი წუთით შიგ თვალებში ჩახედა ბილის. ცხენები ჩვეულებრივ ასეთ რამეს არ აკე-

ახალი თარგმანები

თებერ ხოლმე. ბილი გაამაყდა, საკუთარი თავის რწმენა და-უბრუნდა და ცოტა წაიტრაბახა კიდევ.

— მაგარი კვიცი გეყოლება, ამაზე მე ვიზრუნებ. და-განყებრებ სულ თავიდან. თუკი ისე მოიცევი, როგორც მე გასწავლი, შენისთანა ცხენი ქვეყნად არავის ეყოლება.

ამ სიტყვებმა სულში სითბო ჩაუღვარა ჯოდის, ბიჭი გა-ამაყდა, ისე გაამაყდა, რომ შინ მიმავლმა ფეხები მუხლებ-ში მოღუნა და ტანის რწევას ისე მოჰყვა, თითქოს ცხენზე იჯდა, თან ჩურჩულებდა:

— აჩუ, შავო დემონო, აჩუ! აბა, გაჩერდი და ფლოქეს ნუ სცემ მიწას!

ზამთარი უეცრად დადგა. მას წინ რამდენიმე ქარიანი შხაპუნა წვიმა და თავსმები უძღვდა. გორაკები ჩალისფ-რად აღარ მოჩანდა, წყალმა ჩამატექა. კანიონებზე ხმაურით დაწერნებ ზამთრის ნიაღვრები. მიწიდან სოკოები წამო-ყელყელავდნენ და ჯერ კიდევ შობამდე ახალმა ბალახმა ამყოყო თავი.

მაგრამ იმ წლის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჯოდის-თვის შობა არ ყოფილა. იანგრის ის უმნიშვნელოვანესი დღე, რომლის გარშემოც სხვა თვეები ტრიალებდა, ჯერ კი-დევ არ იყო ცნობილი. წვიმები რომ დაიწყო, ჯოდიმ ნელი ბაგაში შეიყვანა, ყოველ დილას სალაფავს აჭმევდა, წმენდ-და და ასუფთავებდა.

ფაშატი დღითიდღე ისე იბერებოდა, ჯოდი შეშფოთდა. — არ გასკდეს, — შესჩივლა ბილის.

ბილი თავისი ძლიერი, ოთხუთხები ხელი ნელის გა-ტიყნულ მუცელს მოუსვა.

— აქ დაადე, — დაბალი ხმით უთხრა ბიჭს, — გრძნობ, როგორ მოძრაობს? ალბათ გაგიუდები, უცებ ტყუპი კვიცი რომ მოიგოს, არა?

— მართლა? — წამოიძახა ბავშვმა, — მართლა შეიძლე-ბა, რომ ტყუპი ეყოლოს?

— არა მგონია, თუმცადა ასეთი რამეც ხდება.

იანგრის პირველ ნახევარში გადაუღებლად წვიმდა. რო-ცა სკოლაში არ იმყოფებოდა, ჯოდი მთელ დღეებს ნელის ბაგასთან ატარებდა: დღეში ოცჯერ მაინც უსინჯავდა მუ-ცელს, რომ კვიცის მოძრაობა ეგრძნო. ნელი სულ უფრო მეტად მიერვია და დაუმეგობრდა ბიჭს, ხშირად ცხვირსაც უხასუნებდა. როგორც კი ჯოდი გამოჩნდებოდა თავლაში, ცხენი ჩუმად წაიჭინებდა ხოლმე.

ერთ დღეს ჯოდისთან ერთად კარლ თიფლინიც შევიდა თავლაში, კმაყოფილი მზერით შეათვალიერა ცხენის მოვ-ლილი ბერვი, ხელით მოუსინჯა მკერივი ხორცი ნეკნებსა და მკერდზე.

— კარგად გიმუშავია, — უთხრა შვილს. ამ სიტყვებს უდიდესი ჯილდოს ფასი ჰქონდა და ბიჭიც მთელი რამდე-ნიმე საათი სიამაყითაც კი იყო აღვისილი.

დადგა თხუთმეტი იანვარი. კვიცი კი არა და არ იბადე-ბოდა. ოცი იანვარიც გავიდა. ჯოდის მუცელში უკვე შიშის ურუანტელი უვლიდა.

— ყველაფერი კარგად მიდის? — ბავშვი პასუხს ბილის-გან მოითხოვდა.

— აბა, რა!

მერე ისევ თავიდან დაიწყო:

— დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება?

ბილი ხელი გადაუსვა ფაშატს კისერზე. ცხენმა აღელ-ვებით ააქნია თავი.

— ხომ გითხარი, ვადები შეიძლება ზუსტად არ დაემთხ-ვეს-მეთქი. უნდა დავიცადოთ, ჯოდი.

თვე რომ გავიდა და კვიცი მანაც არ დაიბადა, ჯოდი კი-ნაღმი ჭყუიდან გადავიდა. ნელი ისე გაიბერა, რომ სუნთქვა უჭირდა, ყურები დაცეკვეტოდა და ისე ახლოს მიეტანა ერ-თმანეთთან, თითქოს თავი სტყივაო. ჯოდის მოუსვენრად ეძინა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ბუნდოვან სიზმრებს ხედავდა.

ორ თებერვალს დამით ბიჭმა ყვირილით გაიღვიძა. დე-დამ მისი დამშვიდება სცადა:

— ჯოდი, რაღაც დაგესიზმრა, გამოფხიზლდი და მერე ისევ დაიძინებ.

მაგრამ ჯოდი შიშას და უიმედო დარდს შეეპყრო. ბაგშ-ვი ერთხანს ჩუმად იწვა, ელოდა, როდის ჩაეძინებოდა დე-დას, მერე ფრთხილად ჩაიცვა და ფეხშიშველი გაიპარა გა-რეთ.

უკუნი და შავი ღამე იდგა. ცრიდა. წამით ბუნდოვნად გამოჩნდა კვიპაროსი და ფარდული, თუმცა ორივე სწრა-ფად გაქრა ნისლმი. თავლის კარმა გაღებისას დაიჭრიალა. ასეთი რამ დღისით არასოდეს მოსულია. ჯოდიმ თაროზე ფანარი და თუნუქისყუთიანი ასანთი მოძებნა, ფითილს ცეცხლი მოუკიდა და ჩალით დაფარული გრძელი გასასვ-ლელით ნელის ბაგისაკენ გაემართა. ნელი იდგა და მთელი ტანით აქეთ-იქით ქანაობდა. ჯოდი მიეფერა ცხენს: — აბა, ნელი, აააბა, ნელი, — მაგრამ ცხენს არც ქანაობა შეუწყვე-ტია და არც მისკენ მოუხედავს. ბიჭი მხარზე შეეხო ცხენს და იგრძნო, როგორ კანგალებდა. იქვე, სათივედან ბილი ბა-კის ხმა გაისმა:

— ჯოდი, აქ რას აკეთებ?

ბიჭმა უკან დაიხინა და სასოწარკვეთილი მზერით ახედა ზემოთ, ბილის მიერ თივით მოწყობილ ბუდეს.

— როგორ ფირობ, კარგად არის?

— ვფიქრობ, კი!

— ხომ ჩაერევი, რამე არ მოუვიდეს, ბილი, ხომ ნამდვი-ლად ჩაერევი?

— გითხარი, დაგიძახებ-მეთქი, და ასეც ვიზამ, — ჩა-მოლრინა ბილიმ ზემოდან, — ნადი, ახლა დაიძინებ და ნუ ანუხებ ცხენს, თავისი გაჭირვებაც ეყოფა.

ჯოდი მობუზა. ასეთი ტონით ბილი არასოდეს დალა-პარაკებია.

— მისი ნახვა მომინდა და იმიტომ მოვედი, ვერ დავიძი-ნე, — თქვა ბიჭმა:

ბილიმ ცოტათი შეარბილა კილო:

— კარგი, ახლა წადი და დაიძინებ. ნუ შეაწუხებ. გითხა-რი, გეყოლება მაგარი კვიცი-მეთქი. ახლა მოუსვი აქედან.

ჯოდი ნელა გავიდა თავლიდან. ფანარი ჩააქრო და თა-როზე შემოდო. ლამის უკუნმა და ნოტიო ნისლმა მთლიანად შთანთქა ბავშვი. უნდოდა ბილის სიტყვები ადრინდელივით ერწმუნა. ფანრის შუქისგან დაბინდულ მის თვალებს მხო-ლოდ რამდენიმე წამის შემდეგ დაუბრუნდა საგნების სიბ-ნელეში აღქმის უნარი. ნოტიო მიწამ შიშველი ფეხები და-უზრო. კვიპაროსის ქვეშ დაბუდებულმა ინდაურებმა შთო-თანი კივეივი ატეხეს, ორივე ძალი უმაღ შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას — გამოხტნენ და ყოველი შემ-თხვევისათვის ყეფა ატეხეს, — აქაოდა, იქნებ კოიოტები მოიპარებიანო ხისკენ.

სამზარეულოში უჩუმრად შესული ჯოდი სკამს წამოე-დო. კარლმა თავისი საძილე ოთახიდან დაიძახა:

ახალი თარგმანები

— ვინ არის მანდ? რა ამბავია?

მისის თიფლინმა ნამძინარევი ხმით იკითხა:

— რა მოხდა, კარლ?

ერთი წუთის შემდეგ სანოლი ოთახიდან სანთლით ხელში გამოვიდა კარლი და დაინახა შვილი, რომელმაც თავის ითახში შეპარვა ვერ მოასწრო.

— აქ რას აკეთებ?

ჯოდიმ თვალი მოარიდა მამას.

— ფაშატის სანახავად ვიყავი.

მამამ უცებ ვერ გაიაზრა, ძილის დაფრთხობის გამო გაბრაზებოდა ბიჭის თუ ცხენზე ზრუნვისათვის შეექო.

— მომისმინე, — თქვა ბოლოს, ამ ქვეყანაში არ არსებობს ადამიანი, რომელიც კვიცებში ბილიზე უკეთ ერკვევა. მოდი, ეგ საქმე მას მიანდე.

— პანი რომ მოკედა?! — აღმოხდა ბიჭს.

— ბილი არაფერ შუაშია, — კუშტად თქვა კარლმა, — თუკი ბილიმ ვერ შეძლო შველა, მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო და ეგაა.

მისის თიფლინმა ოთახიდან დაუძახა ქმარს:

— ფეხები დააბანინე და დაწვეს დასაძინებლად, კარლ, თორებ ხვალ მთელი დღე გამოუძინებელი ივლის.

მხარზე ვიღაც რომ შეეხო და შეანჯლრია, მძინარე ჯოდის ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ის-ის იყო მოხუჭა თვალი და დაძინებას ცდილობდა. სანოლთან ბილი ბაკი იდგა და ხელში ფანარი ეჭირა.

— ადექი, — უთხრა მან, — სწრაფად გამომყევი, — შებრუნდა და ოთახიდან აჩქარებით გავიდა.

— რა მოხდა? — დაიძახა მისის თიფლინმა, — შენ ხარ, ბილი?

— დიახ, მემ.

— ხელის დაეწყო მშობიარობა?

— დიახ, მემ.

— ახლავე ავდგები და წყალს გაგიცხელებ, იქნებ დაგჭირდეს.

ჯოდიმ ისეთი ფაცხაფუცხით ჩაიცვა და გავარდა უკანა კარიდან, რომ ბილის ფანარი ჯერ კიდევ ირწეოდა თავლისკენ მიმავალ ნახევარ გზაზე. განთიად უკვე გამოეკვეთა გორაკთა კონტურები, თუმცა დაბლობი ჯერ ისევ წყვდიადში გახვეულიყო. ჯოდიმ გიშევით გავარდა ფანრის მიმართულებით და ბილის ზედ თავლის კართან დაეწია. ბილიმ ფანარი ბაგის ძგიდები ჩარჭობილ ლურსმანზე ჩამოკიდა და სამუშაო ქურთუკი გაიხადა. ჯოდიმ დაინახა, კაცს შიგნით მოკლესახელობიანი პერანგი ეცვა.

ნელი გაშეშებული და დაძაბული იდგა. უცებ ჩაიცუცქა, მთელი სხეული დაეკრუნჩხა. სპაზმმა გაუარა, მაგრამ წუთის შემდეგ ისევ გაუშემორდა.

— რაღაც ისე ვერ არის, — ნერულად ნაიბუტებუტა ბილიმ, — მისი შიშველი მკლავი ცხენის ნიალში გაუჩინარდა, — ღმერთო ჩემო, არასწორად მოდის, — თქვა მან.

ცხენს ისევ მოუარა კრუნჩხვამ. ბილი დაიძახა, ხელებსა და მხრებზე კუნთები დაებერა, ძალ-ლონეს არ იშურებდა, შუბლზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ნელიმ ტკივილისა-გან დაიღმუვლა. ბილი ისევ ბუტბუტს მოჰყვა.

— ვერ ვატრიალებ, არასწორად მოდის.

ბილიმ ველური მზერა ესროლა ჯოდის, მერე თითქები შეახო ცხენს და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად დაუწყო სინჯვა. კაცს ლოყებზე კანი დაეჭიმა და რუხი ფერი დაე-

დო. მთელი წუთი შეკითხვით სავსე მზერით უცქერდა ბაგის გარეთ მდგარ ჯოდის. უცებ მიბრუნდა, ნაკელის გასატან ლუკითან მივიდა და ქვემოთ თაროდან ნალების დასაჭედი ჩაქუჩი აიღო.

— გადი გარეთ, ჯოდი, — უთხრა ბიჭს.

ჯოდი იდგა და უაზროდ შეჰყურებდა.

— რომ გეუბნები, გადი, თორებ გვაინ იქნება.

ჯოდი არ განძრეულა.

ბილი სწრაფად მიუაზლოვდა ნელის თავს და დაიყვირა:

— მიბრუნდა, ეშმაკმა წაგილოს, მიბრუნდი იქით.

ჯოდი ამჯერად დაემორჩილა და თავი გვერდზე მიაბრუნა. მის სმენას ჯერ ბილის ხრინწიანი ჩურჩული მისწვდა, მერე ძვლის მსხვრევის ყრუ ხმაც შემოესმა. ნელიმ გულისგამგირავად დაიხვიზვინა. ჯოდიმ მოიხედა და თვალი ჰეკიდა ჩაქუჩის, რომელიც მეორედ დაბრევა ნელის მუბლზე. ცხენი მთელი სიმძიმით გადავარდა გვერდზე, ერთი გაიფართხალა და მიყუჩდა.

ბილი მის გაბერილ მუცელს მივარდა, ხელში უზარმაზარი დასაკეცი დანა ეჭირა. კაცი ცხენის უხეში კანის აკუნგა-დაეუცმაცებას შეუდგა. პარი ცოცხალი შიგნეულის მძაფრი სუნით გაიუღინთა. სხვა ცხენებმა უკან დაიხინეს, რამდენადაც დასაბმელი ჯაჭვები აძლევდა ამის საშუალებას, თან აჭიხვინდნენ და ფლოქვები მინას დაუშინეს.

ბილიმ დანა დააგდო. როვე ხელი შეყო საშინელ ხერელში და იქიდან დიდი, თეთრი, წვეთებისამომდინარე ფუთასავით რაღაც გამოილო. კაცმა კბილებით გაგლიჯა ქსოვილი. გამოჩნდა პატარა, შევი თავი და ორი სველი, პრილი, პანია ყური. ორჯერ გაისმა ბუტებუყისმაგვარი ხმა. ბილიმ ახალდაბადებული კვიცი მოყოლიდან გამოიყვანა, აიღო წელან დაგდებული დანა და ჭიბლარი გადაუჭრა. ერთი წუთის შემდეგ ხელში პატარა, შავი კვიცი ეჭირა და ათვალიერებდა, მერე ნელი ნაბიჯით ჯოდისაკენ გაემართა და მის ფეხებთან დაფენილი ჩალაზე დაუწევინა პატარა არსება.

ბილის სახე, ხელები და მკერდი ერთიანად სისხლით მოსვროდა. სხეული მთლად უკანკალებდა და კბილზე სცემდა, ხმა დაპკარგოდა და სადღაც, ყელის სიღრმიდან ძილის ამოლერდა:

— აი, შენი კვიცი. შეგპირდი და შეგისრულე კიდეც. . . სხვა გზა აღარ იყო. . . იძულებული ვიყავი ასე მოვცეცეულიყვავი, — გაჩუმდა და ბაგას გახედა, — ახლა დაბანე და გაამშრალე ისე, დედამისი როგორც იზამდა, საკუთარი ხელით უნდა გამოკვებო. როგორც შეგპირდი, კვიცი უკავე გყავს.

ჯოდი არაფრისმთელი გამომეტყველებით მისჩერებოდა სველ, სუსტად მქშინავ კვიცს. პაწია არსება ნიკაპი წინ წამოსწია და თავის აწევა სცადა. ჯერ ისევ უჩინო თვალები ლურჯად უელავდა.

— ეშმაკმა დალახეროს, — დაიყვირა ბილიმ, — მოიტან თუ არა წყალს? მოიტან თუ არა?

ჯოდი მიტრიალდა და თავლიდან გალასლასდა უკვე განათებულ მიდამოში. მთელი სხეული, ყელიდან მოყოლებული მუცლამდე, საშინლად სტკიოდა. ფეხები გახევებოდა და დამძიმებოდა. სურდა კვიცის გამო გახარებული ყოფილიყო, მაგრამ ბილი ბაკის გასისხლიანებული სახე და გატანჯული, დაღლილი თვალები მის თავს ზემოთ, პარმში ლივლივებდა.

ინგლისურიდან თარგმნა
მაისა ჯიჯეიშვილა

ԱՇԽԱՏԱ ՎՐԱՅԻ

გულწრფელად მოგახსენებთ, ძალიან გამახარა ზურაპ ლავრელაშვილის გამოხმაურებამ ჩემს ნერილზე, რომელიც ეხებოდა ზურაპ ხასაძას ესეის „აკუტაგავას ტრაგედია“.

სიმართლე რომ გითხრათ, იმ წერილის გამოქვეყნება-
საც კი არ ველოდი, არათუ მასზე გამოხმაურებას.

მეორეც, გამომებამაურა მწერალი, რომლის შემოქმედებას დიდად ვაფასებ და მიმაჩნია, რომ იგი არის ერთი კარგი „დაღვინებული“ პროზა. წაკითხული მაქვს მისი ადრეული მოთხრობები, რომლებიც გამოიჩინევა ფსიქოლოგიური სიღრმითა და თხრობის ძალიან კარგი მანერით. დიდი ხნის წინათ წავიკითხე, მაგრამ დღემდე მახსოვეს „ბაგრატიონთა გვარის პრინცესა“. ჩემი აზრით, უნაკლო ნანარმოები, რომელსაც, თუ ზოგიერთები არ მიწერნენ, შეიძლება შედევრი კუნილონთ. ბოლო დროს, „ჩვენს მწერლობაში“ წავიკითხე რომანი „მდგინარება“, ატენის ხეობაში მომზდარი უცნაური ამბავი, წარსულის ნამდვილი, შთამბეჭდავი სურათები და ქართული ეროვნული ხასიათის მხატვრული ანალიზი.

ერთი სიტყვით, მაღლობელი ვარ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორის, როსტომ ჩხეიძისა და ზურაბ ლავრელაშვილისა, რომ ლიტერატორთა მარაქაში გამრიეს.

პროფესიით ენტრომოლოგი გახლავართ. აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მიმუშავია და, მგონი, არც-თუ ცუდად, მაგრამ დდო ხანია ჩემი სამსახური გაუქმდა. ენტრომოლოგი კი არა, მწერალი და მხატვარი აღარ ახსოვს ქვეყანას. ვის რაღად უნდიხარ, მწერების სპეციალისტი ხარ თუ აგრძონიმი, მიზის მზომელი თუ მელიორატორი. დავრჩი უმუშევარი. შვილების სარჩენი გავხდი. მაღლობა უფალს, მთლიად ბედისამარა რომ არ დამტოვა. ვზივარ სახლში და ვკითხულობ ლიტერატურას. ძალიან მიყვარს „ჩვენი მწერლობა“.⁶ ნომერი არ გამომრჩენია. კარგ რამეს რომ წავიკითხავ, მიხარია და სურვილი მიჩნდება, სხვასაც გავაგებინო ჩემი სიხარული. ასე იყო მაშინაც, როცა ზურაბ ხასაიას ნერილი წავიკითხე აკუტაგავას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მერე რა, რომ უცხოელზე წერს, ავტორი ხომ ქართველია, ეს ხომ ქართული ნააზრევია, ქართული ჭურა-გონების ნაყოფი.

ბატონ ზურაბ ლავრელაშვილს არ მოსწონს ჩემი დასკვნა, რომ ზურაბ ხასაძესნაირი მოაზროვნები შექმნიან ამინდს ქართულ კრიტიკაში. მისი აზრით, იმიტომ ვერ შექმნიან, რომ ქართულ ლიტერატურაზე ვერ წერენ ისე, როგორც უცხოურ ლიტერატურაზე.

შეტიც, ბატონი ზურაბ ლავრელაშვილი იმასაც ამბობს, შეიძლება საქართველოში კრიტიკა არც არასოდეს არსებულაა.

რა უფლება მაქვს შევეძავო პროფესიონალ ლიტერატურს იმაში, რაც ჩემზე გაცილებით უჟეთესად იცის, მაგრამ მაინც გავძებავ და ვიტყვი: არა მგონია, მარტო მე ვთიქრობდე ასე.

თუ კრიტიკა არასოდეს არსებულა საქართველოში, მაშვინ იყვნენ კიტა პაბიძე, გახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე კაპანელით? ნუთუ ძალიან ჩამორჩება მათი ნააზრევი ეროვნული კრიტიკის მამათა ნააზრევის?

ვინ იყვნენ გერონტი ქიქოძე, გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე? ნუთუ მათი ნიჭი და გემოვნება ეჭვს იწვევს?

თუ დღეს კრიტიკოსები არ არსებობენ, მაშ ვინ არიან თეომურაზ დოიაზვილი, ლევან ბრეგაძე, როსტომ ჩხეიძე, ლალი ავალიანი, ნუგზარ მუზავილი, ზაზა შათირიშვილი, მაია ჯალიაზვილი, ინგა მილორავა, ჩვენი ელგუჯა, თავებრიძე (ქუთაისმა ტოლი ხომ არ უნდა დაუდოს თბილის!), და კიდევ ბევრი საინტერესო და მცოდნე ლიტერატორი?

ან კიდევ, ნუთუ კრიტიკა არ არის ის, რასაც მწერლები წერენ ლიტერატურაზე? მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ტარიელ ჭანტურიას, თამაზ ჭილაძის, ნაირა გელაშვილის, მაკა ჯოხაძის, ემზარ კვიტაიშვილის, გიგი ალხაზიშვილის ესეები და წერილები.

თუნდაც ბატონი ზურაბ ლავრენტიშვილის წერილები კრიტიკა არ არის? კრიტიკული არ იყო მისი შენიშვნები მიხედვის „ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებზე“? მერე რა, რომ მცირე მოცულობის იყო, სამაგიეროდ, ერთ რამედ ღირდა თავისი სითამამითა და სიმართლით.

იმ ჩემს წერილში ცოტა მეც გადავაჭარბე. როცა კრიტიკაზე წერ, არ შეიძლება კრიტიკული არ იყო.

დალგეული კრიტიკოსები როგორ არ არიან. არიან და არცთუ ცოტანიც, მაგრამ არ ჩანს მათი საქმე.

არ ჩანს იმიტომ, რომ ორგანიზებული არ არის მათი შრომა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ორგანიზებული არ არის კრიტიკა როგორც პროცესი, რომელსაც დღეს, თუ არ ვცდები, დისკურსს უწოდებენ.

უნდა მოხდეს კრიტიკის ორგანიზება და აი, მაშინ გა-
მოჩნდება, გვაქვს თუ არა იგი.

ძველ დროში კრიტიკის ორგანიზებას ხელისუფლება ახდენდა და ეს, ცუდი იყო თუ კარგი, ჩანდა. კრიტიკოსიც ჩანდა და კრიტიკის არსებობაც იგრძნობოდა. დიახ, ცუდი იყო, მაგრამ მაინც იყო.

გამომცემლობებმა, რედაციებიმა, ლიტერატურულმა გაერთიანებებმა უნდა იტვირთონ ეს მისია და შექმნან პირობები კრიტიკის ორგანიზებული მუშაობისათვის. ამისათვის საჭიროა ძალებისა და გეგმების კოორდინაცია, საერთო ნიადაგის მოძღვანა და შეთანხმებული პოლიტიკის წარმართვა.

ეს არ არის ძნელი საქმე, მთავარია იყოს სურვილი და კეთილი ნება.

ისევ რომანტიზმი გადავშევი. ენტომოლოგები მთელ ცხოვრებას ღია ცის ქვეშ ვატარებდით და არ გამემტყუნება. ყოველ შემთხვევში, იძედა მაქს, რომ მაპატიება. დრო და ყურადღება წაგართვით, ბატონო ზურაპ მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ძალიან გამახარა ოქვებითან შეხვედრამ ჟურნალის ფურცლებზე. არ დამაკინუდება ის ნომერი — 2010 წლის 19 მარტი. გარეუანს საოცრად მომხიბლავი ეკა ბაქრაძე ამშვენებს, გვერდებს კი — თქვენი გამოხმაურებაც.

ეს იყო დაუსწრებული შეხვედრა. იმედია, დასწრებულ შეხვედრასაც მოვახერხებთ. მე, სამწუხაროდ, სახსრების ქრონიკული ანთების გამო გარეთ ცხვირს ვერ ვყოფ, სიარული მიწიოს, თქვენ კი, ბატონი ზურაბ, როცა მოგინიოთ ქუთაისში გამოვლამ, გთხოვთ არ დაიზაროთ, პატივი დამდოთ და მობრძანდეთ ჩემთან თქვენს მეგობრებთან ერთად. საფიჩნიაზე ყველა მოგასწავლით ჩემს მისამართს.

ანზორ დიდებულიძე
ქუთაისი

* * *

ქართული ლიტერატურის მუზეუმში მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენაა და ვახტანგ ჭელიძე „ლიტერატურული საქართველოდან“ თამაზ ვასაძესა და მეგაგვართავნის რეპორტაჟისა თუ ჩანახატის მოსამზადებლად.

თვალიერებისას იზა ორჯონიკიძეც წამოგვადგება თავს და კაბინეტშიც მიგვინვეს.

მე თამაზ ვასაძეს წარვუდგენ.

მისი გვარის გაგონებისას იზა აიმრიზება:

— ეს რა გვარი გქონია! ვასაძეები ხომ დასაბეზდებლად დარბოდნენ მთავრობაში!

გავიგონდებით, მაგრამ თამაზი მალევე მოეგება გონის:

— ვის გულისხმობთ, არ ვიცი, ქალბატონო იზა, მაგრამ თუ მართლა დარბოდნენ მთავრობაში ასეთი უკადრისი მიზნით, ვისთან დარბოდნენ, იმასაც ხომ ვერ შემახსენებდით?..

იზა გამრება და განზე გაიხედავს. გაჩუმება არა სჩვევია, მაგრამ ამჯერად როგორდა გინდა მარჯვე პასუხი რაიმე მახვილი სიტყვით მოჭრა სრულიად განიარაღებულმა.

ისე ორჯონიკიძე რომ ხარ, გვარების გაქიაქებას კი უნდა მოერიდო.



გამობრუნებულნი ღიმილით რომ გავიმეორებდი თამაზის პასუხს, დავძინდი: მურმან ლებანიძის თემაა ეს ეპიზოდი, რომ შესწრებოდა, იუმორესკად აქცევდა-მეთქი.

ეტყობა, ეს ფრაზა გუნებაში ჩარჩა და მეორე დღეს თამაზი მომიტანს პაროდიას მურმანის სტილში, შავ მონახაზს, რომელსაც ალაგ-ალაგ ხელს გავკრავ და საბოლოოდ ლექსი ასეთ სახეს მიიღებს.

თამაზისათვის უთქვამს ორჯონიკიძე იზას:
„ეს რა გვარი გაქვს, ბიჭო, ვასაძეთ ცოდვებს ვინ ზღავს!“

უპასუხია თამაზს,
გაჩუმდებოდა რისად:
„ვისთან დარბოდნენ მერე
ვასაძეები, იზა?..“

მეგობართა წრეში ხან მე და ხან თამაზი არაერთხელ გავიმეორებდით ამ იუმორესკას, როგორც მურმან ლებანიძის არაოფიციალურ ლექსს.

რა გგონიათ, უმეტესობა ვერც მიხვდა, რომ ეს მხოლოდ პაროდიული შეხმაინება გახლდათ.

თანდათანობით მიგვაინყდებოდა.

ტრისტან მახაური კი დროდადრო გაიხსენებს ხოლმე სამეგობრო სუფრასთან და უკვირს, რომ ეს იუმორესკა მურმან ლებანიძის პოეტურ კრებულებში არ შეაქვთ.

* * *

ვიქტორ ვასილიევი ვახტანგ ქარსელაძისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ მოთხრობაში „მოზღვავებული სიკეთე“ სხვადასხვა ყაიდის მასალებთან ერთად მოიხმობს ერთ ნარჩერასაც მისთვის ნაჩუქარ წიგნზე.

ეს ნარჩერა ეკუთვნის ჭადრაკის დიდ მოამაგეს თენგიზ გიორგაძეს, ვინც ნონა გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი წიგნი ამ ნარჩერით აჩუქავახტანგ ქარსელაძეს:

— შენ რომ არა, ჩვენ არც ნონა გვეყოლებოდა და არც სხვა ვიმერ. შენი საქმე მუდამ იცოცხლება.

და რუსი საჭადრაკო ჟურნალისტი და შესანიშნავი სტილისტი თვალნათლივს ხდის ყველასათვის, რომ ეს მართლაც ასეა, და არამარტო იმიტომ, რომ ნანა ალექსანდრიამაც, ვახტანგ ქარსელაძის კიდევ ერთმა აღმოჩენამ ნონას შემდგომ, ითამაშა მატჩები მსოფლიო პირველობაზე, არამედ მაია ჩიბურდანიძის მოგებაც ნონასთან შერკინებაში ქართული სამწვრთნელო ხელოვნების დადასტურებად იქცა. ...მერე ნანა იოსელიანისა და ნინო გურიელის გამოჩენაც...



მერე რა, რომ ვახტანგ ქარსელაძის გარდაცვალებისას მაია ხუთი წლისა გახლდათ, ნანა და ნინო კი ოთხთხოვთი წლისანი.

მათ თვალისმომჭრელ წარმატებებსაც მაშინ და სწორედ მაშინ ჩაეყარა საძირკველი, როდესაც ვახტანგ ქარსელაძემ პატარა ზუგდიდელ გოგონაში მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ამოიცნო.

და კიდეც მოიყოლა ნონა გაფრინდაშვილის ტრიუმფმა და თექვსმეტწლიანმა მმართველობამ საჭადრაკო დედოფლის რაზეში ტალანტთა მთელი წყება.

ეს ნონას სკოლაა.

ეს ვახტანგ ქარსელაძის სკოლაა. შენ რომ არა, ჩვენ არც ნონა გვეყოლებოდა და არც სხვა ვინმერ...

ესაა ის ფორმულა, რომელიც მთელ ეპოქას იტევს თავისი სისხარტითა და ღრმა განზოგადებით.

ვიქტორ ვასილიევს, საჭადრაკო ნოველებისა და მოთხრობების ავტორსა და მხატვრული სიტყვის ფაქტი

ზად შემგრძნობს, არავისავან ესწავლება მოხდენილი ფრაზის დაფასება, და ამიტომაც თავს ვერ იკავებს, რომ იქვე აღტაცებით არ დასძინოს:

— ოქრო სიტყვებია!

თუმც... ამ ფრაზასაც მოადევნებს:

— მაგრამ სჯობდა ისინი წიგნში ყოფილიყო.

და ამ ორლესული მოქნევით თვითონაც ლიტერატურულ ფორმულას ქმნის, სხარტსა და ლრმა განზოგადების მქონეს.

კარგია, ძალიან კარგი, გარეკანსა თუ სატიტულო გვერდზე უშურველად რომ გამოთქვამ შენს თვალსაზრისს, მაგრამ ის, რაც თვით წიგნში უნდა იყოს აღნიშნული, რატომ უნდა აღმოჩნდეს მის გარეთ, მარტოდენ იმ პიროვნებისა და მის უახლოეს ადამინთა გასაცნობად?..

ამას ამ შემთხვევაში უთუთოდ ჰქონდა თავისი მიზეზი.

თავთავისი მიზეზი აქვს ყველა ამგვარ შემთხვევაში — ხან გადამეტებული სიფრთხილე თუ შიში ვიღაცის ან რაღაცის წინაშე, ხანაც არაგულწრფელობა — ბოლოსდაბოლოს ერთ ადამიანს მიმართავ და არა ზოგადად მყითხველს, და იმ წუთას არ ფიქრობ, რომ შესაძლოა ეს წარწერა ხელმისაწვდომი გახდეს ყველასათვის.

* * *

მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასაო, — ირწმუნებოდა სახალხო მთქმელი.

არცერთი არ გაინვრთნება: მგელი, არწივი, კაი ყმაო, — მხარს უპამდა მეორე.

და რჩებოდა მათი სტრიქონები შეგონებებად, იმ უეჭველ ჭემარიტებად, რომელიც აღარც უნდა გადასინჯულიყო.

ეს პარალელიც საგულისხმო გახლდათ, მგლისა და კაი ყმის შედარება, მითუმეტეს, კიდევ სხვა უცნობი პოეტის ლექსში „კიდევაც დაიზრდებიან“ ხსენებით მგლის ლეკვები იხსენიებოდნენ და სინამდვილეში ვაჟეკაცთა იდუმალი სახებანი ჩნდებოდა, რომელიც ისე არ ამონებოდნენ, რომ მტრის ჯავრი არ შექამათ.

თუმც ამჯერად მთავარი ის დადგენილი რჩენაა: მგელი არ გაინვრთნება.

ეგაა, იორამ ღუდუშაური მაინცდამაინც ვერ გაიზიარებდა ამ თვალსაზრისს, რაკიდა შიგნიდან იცნობდა ბუნებას და ცხოველთა ზნე-ჩვეულებანიც ისევე მოეხსენებოდა, თითქოს ახალი დროის მინდია ყოფილიყოს, ან ენქიდუ, ანდა პიბლიური აბელი. თანაც, თეორიულ მტკიცებას კი არ მოჰყებოდა, არამედ თვითონვე გამოზრდიდა და გაწვრთნიდა მგლის ლეკვის და თვალნათლივს გახდიდა ყველასათვის, რომ მგელს ძაღლზე ნაკლები ერთგულება არა სჩვეოდა, თუ მეტი არა.

სჯობდა წიგნში ყოფილიყო...

საჭადრაკო უურნალისტი რას წარმოიდგენდა, რომ ამ ფრაზით ხსნიდა ახალი რკალის იდეას მიძლვნითი წარწერების ციკლსა თუ სულაც სამყაროში, რკალის, რომელიც პირობითად ასე დასათაურდება: რაც წიგნში უნდა ყოფილიყო და არა წიგნზე.

თქვენითაც მიხვდებით — ისეთი მრავალფეროვანი გალერეა წარმოდგება ამ რკალის რელიეფურად გამოკვეთის შემდეგ, ძალიან წაადგებათ მხატვრულ-დოკუმენტური პროზით გატაცებულ მწერლებსა თუ უურნალისტებს.

შენ რომ არაო...

და გულმონქალედ ჩაიღიმებდა ამ მიძლვნის გადაკითხვისას ვახტანგ ქარსელაძე, ვინც არამარტო რუსი უურნალისტის დოკუმენტური მოთხრობის გმირად იქცა, არამედ ქართველი მწერლის ნოველის პერსონაჟადაც — ოთარ ჩხეიძის „იმ ერთ საღამოს“, პირად მოგონებას რომ ეყრდნობა.

...ისე ზოგს ამ მხრივ მაინც უმართლებს, წიგნზე მაინც რომ აღინიშნება მათი ღვანლი, თორებ რამდენ ადამიანს ვიცნობთ, არც წიგნში და არც წიგნზე რომ არ ღირსებიათ მადლიერების სიტყვა, თორებ საქებარ გამოთქმებს ვინ ჩივის.



მხატვარი კარლო ფაჩულია

გახმაურდებოდა მისი ამბავი და სხვანიც მოინდომებდნენ მგლის მოშინაურებას. თან იორამისაც სჯეროდათ, თან საკუთარი თავისაც არ ეიმედებოდათ და ამიტომაც უფლის მაღლს უფრო მიენდობოდნენ — საპატრიარქოს აჩუქებდნენ მგლის ლეკვს, თუ სადმე გამოიზრდება და წროთნას დაემორჩილება, აქ გამოიწვრთნებაო.

სასულიერო პირები ერთ მორჩილს ჩააბარებდნენ ამ ლეკვს: შენ მიხედე და დააკვირდი, როგორ შეიცვლის ან ზნეს ან ფერსო.

მორჩილი გამოუძღვება ოთხფეხა მეგობარს, თოკზე გამობმულს.

უცრად ზარების რეკვა ატყდება.

მორჩილი ლაჯებში ამოიდებს თოკს და ლოცვად დადგება.

მრევლი უცნაური სურათის შემსრე შეიქნება და გაოცებულიც მიაჩერდებიან.

— რა ხდება? — დასცედება ერთ-ერთს.

— ვერ ხედავ, მგლის თავზე სახარებას კითხულობს.

ესეც ანდაზის უნებლიერ ილუსტრაცია.

...ისე მგელკაცთა თავზე თქვით სახარების კითხვა, თორებ მგლის ლეკვი რაღაცას შეისმენდა და იმ ანდაზის ეჭვშეუვალ სიმართლესაც ბზარს გაუწენდა.

თვით იორამ ღუდუშაურია ამის თავდები.

ვერ დაუჯერებთ?

თქვენი ნებაა, ისე ვინც მინდიას არ უჯერებს, არა მგონია, მართალი გზით ვიღოდებს.

ივანე ჯავახიშვილი საზ-
გასმით აღნიშნავდა, რომ XI
საუკუნის მინურულში ჯვა-
როსანთა მიერ იერუსალიმის აღებამ მაპმადიანთა უძლევე-
ლობას სახელი გაუტეხა და დავით აღმაშენებელმა საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობა სწორედ ამის შედეგ აღადგინაო.

1095 წლის ნოემბერში საფრანგეთის ქალაქ კლერმონში რომის პაპმა საეკლესიო კრება მოინვია და მგზნებარე ქადა-
გება წარმოთქვა. მთელ თავის სამწყსოს მოუწოდებდა, რომ იარალი აესხათ და სასწრაფოდ დაძრულიყვნენ აღმოსავლე-
თის ქრისტიანთა შესასწავლა — ურჯუ-
ლონი ატყვევებები და ულეტენ ჩვენს მოძმეო, ეკლესიებს ანგრევენ და მაცხოვრის საფლავს ბილნავენი.

მერე იმონმებდა გოდებას 79-ე ფსალმუნიდან:

„ლმერთო, შევიდეს წარმართნი სამკ-
ვიდრებელსა შენსა და შეგინეს ტაძარი
წმიდა შენი... დაასხეს მძორები მონათა შენ-
თა საჭმელად მფრინველთა ცისათა და
ხორცი წმიდათა შენთანი — მხეცთა ქვე-
ყანისათა. დასთხიეს სისხლი მათი ვითარცა
წყალი გარემოს იერუსალიმისა და არავინ
იყო მფარველ მათდა. ვიქმნებით ჩვენ საყ-
ვედრებელ მოძმეოთ ჩვენთა, საცინელ და
საკიცხელ გარემოსთა ჩვენთა. ვიდრემდის,
უფალო, განრისხენ სრულიად და აღატყ-
დეს, ვითარცა ცეცხლი, შერი შენი?“

რომის პაპი უფლის სახელით მიმარ-
თავდა ყველას, მდიდარსა თუ ღატაკს,
ყოველი ლონე გაედოთ „წმიდა მინის“
განთავისუფლებისათვის.

რომის პაპი ამბობდა: აქაური მინა-წყა-
ლი ძლივს გასაზრდოებთ, ამიტომაც ერთმანეთს კბენთ და
ჭამთ, ერთმანეთს ეპრევით და სასიკვდილო ჭრილობებს აყენებ-
თო. ვინც აქ უპოვარი და მწესარეა, იქ შეძლებული და მხილუ-
ლი გახდება, რადგანაც იერუსალიმის უნაყოფირები მხარე ამ-
ქვეყნიური სამოხეა, სადაც თაფლისა და რძის მდინარეები მო-
ედინებიან.

მოუწოდებდა: დაე, შეწყდეს სიძულევილი თქვენს შორის,
დადუმდეს მტრობა, მოისპოს შულლი, დაადექით გზას
მაცხოვრის საფლავის გამოსახსნელად, წარმართებს მინა
წაართვით და თავად დაისაჯუთრეთო.

პასუხად გაისმა ერთსულოვანი შეძახილი: „დეუს ლე
ვოლტ!“ (უფალს აგრე სწადია). რომის პაპმა თვალი ზეცას
აღაპყრო, უფალს მადლი შესწირა, ხელის ანევით სიჩუმე ითხო-
ვა და ალფრიოგანებით წარმოთქვა: „უძრიოდასეს ძმანო...
თქვენს ნაფიქრალში უფალი რომ არ ჩარუსულიყო, ესოდენ ერთ-
სულოვანი შეძახილი არ აღმოგხდებოდა. და თუმცა მრავალ
ბაგეთაგან გაისმა ეს შეძახილი, წყარო მისი ერთადერთია. აი,
რატომ გეტყვით თქვენ, რომ უფალმა შთაგაგონათ ეს შეძახი-
ლი. დაე, ეს სიტყვები იყოს თქვენი საბრძოლო დევიზი, ვინაი-
დან ეკუთვნის უფალს. და როდესაც მტერს შეერკინებით, დაე,
ყველამ ერთხმად დასჭექოს სიტყვა უფლისა: დეუს ლე ვოლტ!..
ძალგულოვანი მხედარნო და უძლეველ წინაპართა შთამომა-
ვალნო! ნუ დაივიწყებთ მათ სასახლო ლვანლს, გაიხსენეთ მა-
მა-პაპათა საქმენი საგმირონია. და თუკი გაკვებით სათონ ერთ-
გულება შვილებისა, მშობლებისა, ცოლებისა, კარგად ჩაუფიქ-
რდით იმას, რასაც ბრძანებს მაცხოვარი: და რომელმან არა

აღიღოს ჯვარი თვისი და შემო-

მიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა
ლირს.“

ასე მიეცა დასაბამი ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქას.
საყოველთაო ენთუზიაზმი მოედო მთელს ევროპას.
იმდროინდელი მემატიანის სიტყვით, მოხდა საოცარი
მოვლენა — ძვირად ყიდულობდნენ იმას, რაც ხანგრძლივი
მგზავრობისთვის სტირდებოდათ და იაფად ყიდდნენ ყველა-
ფერს, რომ აერაზღლაურებინათ ხარჯი. მანამდე, კაცი დილეგ-
ში რომ ჩაგეგდო და სასტიკად გენამებინა, ვერ აიძულებდი
იმის დათმობას, რასაც ამჟამად, თავი-
სი ნებით, სულ მუქთად თმობდაო.

და კიდევ უფრო საოცარი ის იყო,
რომ მრავალნი, ვისაც დღეს არავითარი
სურვილი არ გააჩნდათ იერუსალიმს
გამგზავრებისა და ხმამალლა დასცი-
ნოდნენ იმათ, ვინც იაფად ელეოდა თა-
ვის ფოვლათს, და უმტკიცებდნენ,
უბადრუები მოგზაურობა გელით და
დაბრუნებაც უბადრუები იქნებაო, სწო-
რედ ესენი, მეორე დღეს, უეცარი და
მართლაც ლვთაებრივი აღტკინებით
შეპყრობილნი, მთელ თავის ქონებას
დაუყოვნებლივ ყიდდნენ და იმათ უერ-
თდებოდნენ, ვისაც წინა დღეს მასხრად
იგდებდნენ.

მარტოოდენ ომებში გამოცდილი და
ბრძოლას მოწყურებული რაინდები
როდი გამოეხმაურნენ რომის პაპის მო-
ნიდებას. ბავშვებს, ქალებს და ბერიკა-
ცებსაც გადაედოთ ეპიდემიასაგვით
აფეთქებული წადილი ჯვაროსნობისა.

ბიზანტიელი ისტორიკოსის სიტყ-
ვით, ჯვაროსნები ყოველი მხრიდან დაიძრნენ იერუსალიმი-
საკენ და სიმრავლე მათი აღმატებოდა ზღვაში ქვიშას და
ცაში ვარსკვლავებს.

1099 წლის 15 ივნისს ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი.

ჯვაროსნული ქრონიკის ავტორი აღტაცებით მოგვითხ-
რობს, რომ იერუსალიმის ქუჩები ჩახერგილი იყო გამებით,
ხოლო სოლომონის ტაძრის მახლობლად რაინდთა ცხენებს
სისხლი მუხლამდე სწოდებოდათ.

ევროპელი პოტეტი წერდა: ხმალგაშიშვლებული ფრანკები
დაძრნიან ქალაქში და არავის არ ინდობენ. იმათაც კი არ ინ-
დობენ, ვინც მორჩილად ივედრება დანდობას... მათ დარტყ-
მებებები ცეცმოდნენ ურჯულონი, როგორც ცვივა დამპალი
რკი მუხის ხიდან, როდესაც ტოტებს ანჯლრევენ.

სასოწანაკეთილი არაბი მგოსანი კი მნარედ მოთქვამდა:
„ჩვენი სისხლი შეერია ცრემლს. აღარ დარჩა თავშესაფარი,
საითაც შეიძლება გაექცე ვარამს, ჩვენ რომ დაგვთოგუნა...
ძენი ისლამისა, როგორ ძალგით დახუჭოთ თვალი ტყვეო-
ბაში იმ ვაებისა, რომელიც ღრმა ძილში ჩაფლულსაც კი გა-
ალვიძებდა? ნუთუ არაბთა თავკაცნი ამგვარ ბოროტებას შე-
ურიგებიან? ნუთუ ამგვარ შერცხვენას ქედს მოუხრიან? და
თუკი ისინი დათმობენ ზეციურ ჯილდოს, ნუთუ აღაფის მოსახვეჭად ბრძოლა მაინც არ აცდუნებთ?“

ჯვაროსანთა არნახული და გაუგონარი წარმატების ამ-
ბავმა ფრთხი შეასხა საქართველოს, რომელიც დავით აღ-
მაშენებლის გარჯით თანდათან წელში იმართებოდა და მო-
მავალ გამარჯვებათა მოსაბოვებლად ემზადებოდა.



დავით აღმაშენებელი

ჩამელითის შეურდებობა

იდეოლოგიის თითქოსდა
მოწმენდილ ცაზე უცრად მე-
ხი გავარდა.

1972 წლის შემოდგომაზე

მოსკოვურმა გაზეთმა „ლიტერატურნაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა სტატია ასეთი სათაურით: „ანტიისტორიზმის წინააღმდეგ“, რომელიც გმობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა რევოლუციამდელ წარსულს. სტატიის ავტორი უმოწყალოდ ესხმოდა თავს ნაციონალიზმის რეციდივთა გამოვლინებას მოკავშირე რესუბლიკათა ძმურ ოჯახში, არც რუსებს ინდობდა და არც ყირგიზებს. საგანგებოდ ამახვილებდ ყურადღებას ქართული და სომხური ნაციონალიზმის ნიმუშებზე ამ ქვეყნების ისტორიის გაშუქებისას. სამარცხვინო ბიძზე გააკრა წარსულის მოღვაწეთა იდეალიზაცია და მაგალითებად დაასახელა „თემური“ და „დავითი“ (ალბათ გულისხმობდა უზბეკთა თემურ-ლენგს და ჩვენს დავითი აღმაშენებელს).

სტატიის ავტორი მოუწოდებდა კულტურის მუშავებს, რომ მარტონდენ რევოლუციური წარსული შეესწავლათ.

ჩვეული და შეჩერებული ვითარების კვლლობაზეც კი სტატია გამოირჩეოდა მარქს-ენგელს-ლენინ-ბრუჯნევის ციტატების სიუხვით.

სტატიას ხელს აწერდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. იაკოვლევი, მაგრამ ყველა მშენებირად იცოდა, რომ იგი, იმავდროულად, იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე. მაშასადამე, მისი სიტყვა, რასაკვირველია, უტოლდებოდა უზენაეს დირექტივის. საკავშირო თუ ადგილობრივი ცენტურა ხალისიანდ აბობოვერდა.

მთელი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კულევით ინსტიტუტებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნებებსა და საჯარისო წანილებში, სკოლებსა და საავადმყოფოებში ტარდებოდა საქრთო კრებები, სადაც გულდასმით კითხულობდნენ და იზეპირებდნენ ა. იაკოვლევის სტატიას.

რამელა იდეოლოგიური უანდარმი უნდა ბრძანდებოდე, რომ ერთდროულად მოიმდურო უპირველეს საბჭოთა მწერლად აღიარებული შოლოხოვიც და უპირველეს ანტისაბჭოთა მწერლად შერაცხული სოლუციინიც.

ორივემ საპროტესტო დეპეშა აფრინა კრემლში.

პოლიტიკური დაფრთხოების (ბრეუნევს უძრაობა უყვარდა) და ცენტრალური კომიტეტის მდინობაზე მეოცნებე კაცი ელჩად გამნესეს კანადში, რასაც შეიძლება ვუწოდოთ კომფორტული გადასახლება.

გორბაჩივმა ამაოტივტივა დავინების ზღვიდან და იდეო-

ლოგიის ნანატრი შეფობა უწყალობა.

აი, რას წერდა ა. იაკოვლევი 1972 წელს: „კაცობრიობის

ისტორია ვითარდება აღმავალი ხაზით და საესებით შეესაბამება საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებს, რომლებიც აღმოაჩინეს უდიდესმა მეცნიერებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა“.

შეურიგებელ ომს უცხადებდა „უკანასკნევას მარქსიზმინიზმის პოზიციებიდან“.

თხუთმეტი წლის შემდეგ თვალები აეხილა და გვაუწყა: „მარქსიზმის, საბილოო ჯამში, ჩვენ მიგვიყვანა უძირო უფსკ-რულამდე, სულიერ და ეკონომიკურ ჩამორჩენილობამდე, სინდისის გაქრობამდე“.

ქამელეონებსაც კი შემურდებოდათ ამგვარი ფერისცვალება...

ყოვლილი საბჭოთა კავშირის ყოფილი „კაგეტეს“ უკანასკნელი შეფი ვლადიმირ კრიუჩკოვი, რომელიც 1974-1988 წლებში ხელმძღვანელობდა საგარეო დაზვერვის სამმართველოს, თავის მოვონებათა წიგნი მთელ თავს უთმობს „პერესტოროკის მთავარ არქიტექტორობა“ მონათლულ ალექსანდრე იაკოვლევის მოღვაწობის უჩინარ შხარეს.

„კაგეტეს“ ყოვლისმცოდნე თავიაცის სიტყვით, იაკოვლევს მჭიდრო კავშირი ჰქონია დამყარებული შეერთებული შტატების სპეციალსახურებთან ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, ამერიკელთა შპიონი ყოფილა.

კრიუჩკოვს რამდენიმე სანდო წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია გორბაჩივისთვის მოუხსენებია. უკანასკნელი საბჭოთა ბელადი თურმე დიდხანს სცემდა ბოლთას თავის კაბინეტში და ბოლოს უთქვამს კრიუჩკოვისთვის: იაკოვლევს გულახდილად დაელაპარაკე და ვნახოთ, რას იტყვისო.

კრიუჩკოვმა უყოყმანოდ შეასრულა ბელადის ბრძნული რჩევა და საბჭოთა იდეოლოგიის უკანასკნელ შეფი პირში მიახალა: თქვენ ამერიკული დაზვერვის აგენტი ბრძანდებითო.

იაკოვლევი გაფილორებულა, დაბნეულა, მაგრამ ბრძალდება არ გაუპროტესტებია. თავის გასამართლებლად თუ დასაცავად კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ და მხრავდაო.

მთავარი არქიტექტორის მთავარ პროტექტორზე რაღას ამბობენ?

სი-ა-ე-ის (ჩვენში „ცერეუს“ რომ ეძახიან) ყოფილი შეფი რობერტ გეიტის უურნალ „ტაიმის“ ფურცლებზე ეხება გავრცელებულ მითქმა-მოთხმას, თითქოსდა გორბაჩივი ამერიკულ დაზვერვას ემსახურებოდა და ორაზროვნად შენიშვანას: მადლობა ლერთს, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. მერე კი დასექნს: „ჩვენ, ალბათ, ვერ შევძლებით ისე გავძლილდით გორბაჩივს, რომ ესოდენ მარჯვედ დაენგრია საბჭოთა კავშირი“. მრავალფეროვან, ღრმა, გულწრფელ ლექსებს ახალი ელფერი შეაქვთ ქართულ პოეზიაში. ამ ლექსებს „ახალგაზრდობის ელექტრიზაცია“ კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას უძლებელი არქიტექტივს „არქიტექტურული გადასახლებაში სამსახურის უფროსის მარიკა ბაკურაძე“. შეხვედრას ესწრებიდნენ ზაზას მეგობრები და მისი შემოქმედების თავის მინიჭებული 20 წელიანდს აჯამებს.

შეხვედრას უძლებელი არქიტექტივს „არქიტექტურული გადასახლებაში სამსახურის უფროსის მარიკა ბაკურაძე“. შეხვედრას ესწრებიდნენ ზაზას მეგობრები და მისი შემოქმედების თავის მინიჭებული 20 წელიანდს აჯამებს.

შეხვედრას უძლებელი არქიტექტივს „არქიტექტურული გადასახლებაში სამსახურის უფროსის მარიკა ბაკურაძე“. შეხვედრას ესწრებიდნენ ზაზას მეგობრები და მისი შემოქმედების თავის მინიჭებული 20 წელიანდს აჯამებს.

შეხვედრას უძლებელი არქიტექტივს „არქიტექტურული გადასახლებაში სამსახურის უფროსის მარიკა ბაკურაძე“. შეხვედრას ესწრებიდნენ ზაზას მეგობრები და მისი შემოქმედების თავის მინიჭებული 20 წელიანდს აჯამებს.

ქრონიკა

მრავალფეროვან, ღრმა, გულწრფელ ლექსებს ახალი ელფერი შეაქვთ ქართულ პოეზიაში. ამ ლექსებს „ახალგაზრდობის ელექტრიზაცია“ კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობისთვის, იმისთვის, რომ მის ნაწერები კი უწოდეს. ფიქრობენ, რომ ბევრი გამოიყენებს სიყვარულის ახსნისთვის მისი ლექსებიდან ფრაზებს. სტუმრების მოწონება დაიმსახურა კრებულის ვიზუალურმა მასრემაც.

შეხვედრას დასასრულს აეტორობი